

**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376**

**ჯუმპერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემია**

**ათიწათი
2015 / 4 / (18)**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015**

უფლის საგალოპელი




მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის“
გული ფეთქავს.
გულნაზ ხარაიშვილი



უნინდესი და უნეტარესი
ილია //


უნინდესი მყავს
რაღად დავლონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავლობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

(მამა გაბრიელი)

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...
შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...
ლმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,
აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.
დამლოცე მამავ, იქნებ მწუხრი გადავიყარო,
მამა გაბრიელ, უტკბილესო, უსათუთესო...
ხომ მიქადაგებ, მტერი ისევ რომ შევიყვარო,
და შენი ლოცვით ლექსი შევქმნა საუკეთესო.
გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

შენი ღოცვით

სიცოცხლეშივე მზედ ბრნყინავდი შენი სიმშვიდით...
ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.
როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი,
ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავდრებთან.



(მამა ანდრია აბაშიძეს)

დამლოცე მამა ანდრიავ,
მოვინანიებ ცოდვებს...
იქნებ ჯერ კიდევ ადრეა,
რადგან დარდებით ვგოდებ.

რწმენა შემოდის ჩემს გულში,
შემოდის ჩემთან რჩება,
მინდა რომ დარჩეს წარსულში,
არ მიტევების ჩვევა...



გულნაზ ხარაიშვილი



წმინდა გიორგი

ხატმწერები ხატია ლარიაშვილი

ყვავილნუეს- უბადლო მამუეს (როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა)

წითელ ყაყაჩოებს დავკრეფ,
ლაგამს მოვაშორებ თეთრ ცხენს,
ცის ცვარს პეშვით ფრთხილად ავკრეფ,
იუდას გავუბნევ ვერცხლებს.
თეთრ ცხენზე უბადლო მხედარს,
იმედით შევავლებ მზერას,
მუხლმოყრით შევვედრებ მზისდარს
მამულს, მიტოვებულ კერას.
სამასსამოცდახუთ ტაძარს
ფეხდაფეხ მოვივლი კრძალვით,
ლოცვებით დავანთებ ხანძარს,
მტერსაც კი შევუნდობ მალვით.
თავთუხის თაველთა ყანას,
წითელ ყაყაჩოთა სისხლით,
არ დავთმობ ოშესა თუ ბანას,
ღვარძლში არეული იფქლით.
უბეში ჩავათბობ ფრთხილად,
ბუდეჩამონგრეულ ბარტყებს,

სულს ვიხმარ ჩონგურის სიმად,
ტანჯულ ერს შევვედრებ ხატებს.
თვალსაც არ მივლულავ ცისკარს,
ცის ნამით გავლუმპავ კაბას,
დავუხშობ მტერს ყველა ჭიშკარს,
ამბორს ვყოფ თეთრ ჩოხის კალთას;
შევვედრებ, რომ ყველა ქართველს,
მოეგოს ცოდვებთან ბრძოლა,
დაჭრილი არნივის მართვეს,
ლაღად შეძლებოდეს ქროლვა...
ყვავილნულს- უბადლო მამულს,
სამოთხის სადარი მიწით,
ზვარაკად შევწირავ ჩემს გულს
და, მტერს ელდას მოვგვრი სიმწრით...
მიწა-გაპოხილი სისხლი,
დღემუდამ ნაბრძოლი ველი,
მადლი- ანონილი მისხალ...
და ...წმიდა გიორგი-მხსნელი!

მაია ტყემალაძე

უფლის საგალოშვილი

გულნაზ ხარაიშვილი



დეკემბრის სამ რიცხვში ეროვნული ბიბლიოთეკა ქართული ფოლკლორული სიმღერებით იყო გაცისკროვნებული (ლომისის ანსამბლი, ხელმძღვანელი შალვა ილურიძე). ჯუმბერ ლეჟავას აკადემია მასპინძლობდა დიდ მხატვარს, ბატონ ნიკო ხერკელაძეს, რომელმაც დაწერა წიგნი „ცრემლში ნალესი“ ხმალი, (გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი). ბატონი ნიკო რჩეული პირვებაა, რჩეულთა შორის, ის უდავოდ დასაფასებელი და შესაფასებელია სახელმწიფოსაგან, როგორც მხატვარი, როგორც მწერალი და დამცველი დიდი მოურავისა, პირველ რიგში აღსანიშნავია და სამადლობელ სიტყვებს იმსახურებს ტელევიზია „ობიექტივი“ სადაც შექდება „ცრემლში ნალესი“ ხმალი. ბატონი ნიკო წევრია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიის და ამიტომაა, რომ ინიციატორები გავხდით ამ ღონისძიების ჩატარებისა, ღონისძიებაზე მოწვეული იყო სხვა უამრავ სტუმრებთან ერთად მამა მერაბი დეკანონიძე მეუღლითურთ. ღონისძიება მამა მერაბის ლოცვა კურთხევით გაიხსნა. მამა მერაბია მოძღვარი, რომლის ლოცვა-კურთხევით 110 ბავშვი დაიბადა და 100 ქალბატონი დედა გახდა.

აი, რას წერს მამა მერაბიზე თამილა ნიუარაძე

ქართველი კაცის უფალზე ბავშვური მინდობის კეთილი მაგალითის შესახებ ჩვენი ბებია – პაპების სახით მრავალგზის მოგვისმენია და წარმოსახვის ნისლიანი სურათებით არცთუ შორეულ წარსულში ვხედავთ კიდეც, თუ როგორ მიუყვებიან, შვილიერების მვედრებელ მლოცველთა გრძელ ჯაჭვად, მორთული აკვნებითა და შესაწირავით ხელში, ტაძრისაკენ მიმავალ ციცაბო აღმართებს.

ძველად მთაში, ყოველ სოფელში იყო საყდარი ან ნიში, რომელიც ოჯახის ბედნიერებას და მის სიწმინდეს მფარველობდა. ქართველის ქრისტესმიერი მადლით გაფაქიზებული გული კი მოკრძალებით, სიცოცხლის ფასად იცავდა მას.

ასეთი მადლიანი ტაძრები და ადგილები დღესაც მრავლად არის საქართველოში, სადაც უფლის ნებით, შვილიერების მომმადლებელი სასწაული იმ ღვთისმსახურთა ხელით აღესრულება, რომელთა დაფარული ჯვრისმტვირთველობისა და რაც მთავარია, გულისმიერი სარწმუნოების შესახებ მხოლოდ უფალმა უწყის.

დიდი დილმის მე-4 მიკრორაიონში წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი 2009 წელს დეკანოზ მერაბ დეკანონის ძალისხმევით შემონირულობის საფუძველზე აშენდა. ტაძარი რუსთავის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე იოანეს მიერ 2010 წელს იკურთხა.

მამა მერაბი მღვდლად ორმოცდახუთი წლის ასაკში აკურთხეს, ადრე იგი ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კვლევის ინსტიტუტში – კონსტრუქტორი, ქარხანაში – ინჟინერ-ტექნიკოლოგიური ბიუროს უფროსი, განათლების სამინისტროში – განყოფილების გამგე და არაერთი პროექტის ავტორი გახლდათ.

სარწმუნოება ხომ ნიჭია, იყო მორწმუნებული, ეს თავისთავად არ ძალუდს ადამიანს და იგი სწორედაც რომ საღვთო განგებას უკავშირდება.

მამა მერაბს დღესაც ვერ აუხსნია, როგორ შეძლო მხატვრის ფუნჯით იმ უამრავი ხატისა თუ ფერწერული ტილოს შექმნა, რომლებიც დღეს ტაძარს და საგამოფენო დარბაზებს ამშვენებენ, მაშინ როდესაც ამ დრომდე მას არაფერი დაუხატავს. ასევე მოულოდნელად დაიწყო ხატვა მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მაია ჯანვერდაშვილმაც.



მამა მერაბი და დედა მაია

მოძღვარი იხსენებს, როგორ გააღვიძა ლამით ხმამ, რომელმაც ახალი ცხოვრების დაწყება, სულიერი განახლებისკენ მოუწოდა: – დამთავრდა შენი ერისკაცობა, მთელი დანარჩენი ცხოვ-რება ლოცვაში უნდა გაატარო, უფალს ემსახუროო.

თვითონ მამაო ამბობს:


„ექვსი თვის განმავლობაში ეს ხმა ყოველლამე მაღვიძებდა და გამუდმებით ერთსადაიმავეს მიმეორებდა. წასაკითხი ფსალმუნების ნომრებსაც მისახელებდა. ბოლოს კი მითხრა, რომ მონასტერში უნდა წავსულიყავი. მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო. ასე გადავ-წყვიტე უღრან ტყეში ერთ-ერთ მონასტერში წასვლა.“

მამა მერაბს 3000 ათასზე მეტი ხატი თუ ფერწერული ტილო აქვს დაწერილი. მამა მერაბის შემოქმედება, როგორც მას პროფესიონალი მხატვრები აფასებენ, საოცარი გულწრფელობითა და თავისუფლების სულით სუნთქავს.

ეს არის სწორედ ცოცხალი სარწმუნოება, სადაც არ თამაშობენ. ხელოვნურად არაფერს ირგებენ, სადაც შემოქმედის თავისუფალი ნების მიერ მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება უფალს მორჩილებითა და სრული ნდობით მიჰყვება: „ვიფსალმუნ დაგულისხმავყო უბინო გზაზე; როდის მოხვალ ჩემთან?“

უცნაურად შეიქმნა ყველასთვის საყვარელი მამა გაბრიელის ხატიც, რომელის წერაც მამა მერაბმა ღირსი მამის მაკურნებელი ზეთით დაიწყო. ამასთან მას ლოცვით შესთხოვა, მიეცა მისთვის ძალა, რათა მამა გაბრიელისეული ხასიათისა და თვითმყოფადობის გამოსახვა შესძლებოდა. თუმცა იმჯერად არაფერი გამოუვიდა. ხატს ტილო გადაუსვა და დაღლილმა მეორე დღისათვის გადადო საქმე. სწორედ ასეთი სახით ინება თავად წმინდა მამამ დარჩენა. მამა გაბრიელის მართლაც შთამბეჭდავი ხატება, მისი ბავშვური სიწრფელით გაცისკროვნებული სახე სწორედ ასე ნახევრად გადღაბნილ პალიტრის ფერებში ცოცხლად და შეუდარებელი ბუნებრიობით შემორჩა ტილოს. მამა გაბრიელის მეორე ხატი კი, ასეთივე სისწრაფით, მისი საფლავის გახსნის დღეს დაიწერა.

ღვთის განგებულება შეუცნობელი ბილიკებით გვიკვალავს ცხონების გზას. დიდი დილმის წმ. ნიკოლოზის ტაძარში საზეიმო, იმედით სავსე განწყობა სუფევს. იგი დღეს უშვილო წყვილთა ნუგეშად გვევლინება, წმინდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედი ძალის შემწეობით მოძღვარმა 1000-მდე უშვილო ოჯახი დალოცა. ეკლესიაში ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა, ასეთ წყვილებს მამა მერაბისა და მისი მეუღლის დაწერილი ხატები გაატანონ ოჯახში, რომლის წინაშეც უშვილო ოჯახები წირვას აღასრულებენ. ასე შეაღწია მამა მერაბის კურთხევით 100-ზე მეტ უშვილო ოჯახში შვილის შეძენით ან მისი მოლოდინით გამოწვეულმა სიხარულმა.



მაცხოვარი
ხატმწერი მამა მერაბ დევანიძე



მამა გაბრიელი
სატმწერი მამა მელაბ დეკანოძე

თამარ არდაშელავას და ირაკლი ბალათურიას ოთხი წელია შვილი არ ჰყავდათ. წმ. ნოკოლოზის ტაძრის და მამა მერაბის სასწაულმოქმედი კურთხევის შესახებ, სრულიად შემთხვევით, ინტერნეტის საშუალებით შეიტყვეს. მამა მერაბმა მასთან მისული ახალგაზრდა წყვილი დალოცა, რჩევები მისცა და უფალს შესთხოვა, მათთვის შვილიერება მიემადლებინა. ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-ქმარმა წირვაზე მამა მერაბს შვილის მოლოდინის დიდი სიხარული გაუზიარა. წყვილი ამ დრომდე არცერთი ტაძრის მრევლი არ ყოფილა. თუმცა ერთმანეთის სიყვარულმა და უფლის რწმენამ მათ ხსნის გზა აპოვნინა. ახლა ისინი სხვაგვარად ფიქრობენ და მიაჩნიათ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა. შეისმინოს უფლის ხმა და დაემორჩილოს მოძღვრის რჩევა-დარიგებას.

რაც ჩვენს ტაძარში ხდება, ამბობს მამაო, უფლის დაშვებითაა და მე საერთოდ არაფერ შუაში ვარ!. . უფლისა და წმ. ნიკოლოზის დიდი სასწაულია ჩემზე მადლის სახით გადმოსული. რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია უფლისთვის.

როგორც ჩემი მხატვრობის დიდი სასწაული, ასევე არის ეს მადლიც, რომელიც სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, სანამ ამ მადლს მივიღებდი, წმინდა ნიკოლოზი გამომეცხადა სიზმრად და ამის შესახებ მაუწყა. დიდება უფალს და მადლობა ყოველივესთვის“ – ასე უქადაგებს გულისხმიერი, სულიერი მამა მრევლს და ამ წილიზმით სავსე ეპოქაში მათთვის სასოებისა და ქრისტეს მშობლიურ წიაღში მყოფობით გამოწვეული სიხარულის ახალ ლამპარს ანთებს.

ადამიანი ვერასოდეს იქნება ჭეშმარიტად კეთილი, როგორც არ უნდა მოისურვოს ეს, თუკი მასში ღმერთი არ დაემკვიდრება, რამეთუ „არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოდ ღმერთი“, ბრძანებს ანტონი დიდი, თუმცა ადამიანის მცდელობასა და ძალისხმევაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული და როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, მისი გულისხმიერი, ცოცხალი სარწმუნოება, მოყვასისთვის თავგანწირული და დაუზოგავი სიცოცხლე, მართლაც რომ მრავალთა ჩახერგილი ბილიკების გამკვალავი ხდება.“

ასეთი სასწაულების მადლობისილთ შევხვდით 3 დეკემბერს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ძირითადი წარმომადგენლობა.

გულში ვლოცულობდი და ჩუმად მაცხოვარს ვევედრებოდი, ნეტა მოისურვოს მამა მერაბიმ და დედა მაიამ აკადემიაში შემოსვლა. მათი ლოცვით აკადემია ეკონომიურად მოძლიერდება. ეს გავიფიქრე თუ არა, მამა მერაბიმ საუბარი გააგრძელა, რა თბილი აურა გადმოდის თქვენგან. რას ამბობთ მამაო, ვპასუხობ მოკრძალებით. პირიქით, მიხარია, რომ თქვენს გვერდით მომიწია ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ მამაო ვარ, აგრძელებს საუბარს მამა მერაბი, მე ვხატავ, ხატავს ჩემი მეუღლეც. ჩვენ ერთად ვისწავლეთ ხატვა, უფალი იყო ჩვენი მადლის მომფენი. ხვალ შაბათია, ჩვენს ეკლესიაში თუ მოხვალთ, იქ იხილავთ ყველაფერს. კვირას კი ვახტანგ ჭაბუკიანის სახლმ-მუზეუმში ვაწყობთ მე და ჩემი მეუღლე გამოფენას. დღევანდელი დღის ღონისძიებით ალფროთოვანებული ვარ. როგორ თბილად ეფერებით ყველას. ჩემი სურვილია ჩემი საღამო თქვენ წაიყვანოთ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეუფე თადეოზის სულმა შემომლიმილა თითქოს, ვგრძნობდი რაღაც ძალას, შვებას...

მეორე დღეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას ვესტუმრე, შვილთან, რძალთან და შვილიშვილთან ერთად. სასწაული იყო მართლაც წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ხალხის სიმრავლე. 200-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის მრევლი წირვას ესწრებოდა. სრული წესრიგის ჰარმონიაში ჩაფლული დიდხანს ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, ვისაც რწმენა არა აქვს უფლისა... ვფიქრობდი და მეცოდებოდნენ, რომ რწმენის გარეშე სიცოცხლეს აპა რა ფასი უნდა ჰქონდეს.



მამა მერაბი მთელი დამე ხატებისა და სხვადასხვა ნახატებით დამენათევი წირვას ატარებდა. მისი ლოცვით ახალდაბადებულებს, ეფერებოდა, მოხუცებს გულში იკრავდა. იქ ვნახე ცნობილი და უცნობი სახეები. კვირას გამოფენაზე დიდი ინტერესით წავედი აკადემიის ლიდერებთან ერთად (სერგი ლომაძესა და კახა ბაციკაძესთან ერთად). ის ლვთიური და თანაც ისტორიული დღე სერგი ლომაძის კალამის საკუთრება გახდა.

**სერგი ლომაძე
მამა მერაბის მიერ შექმნილი (დახატული)
დილი დღე**

მამა მერაბი (დეკანოიძე) ბატონი ნიკო ხერკელაძისადმი მიძღვნილ აკადემიურ საღამოზე გავიცანით. ქალბატონმა გულნაზიმ იგი პრეზიდიუმში მოიხმო; დიახ სინამდვილეში სწორედ მა- მა მერაბმა გახსნა „ცრემლში ნალესი ხმლის“ ავტორის დაუვინწყარი საღამო:

ანსამბლ ლომისის სიმღერის შემდეგ სწორედ ის გამოვიდა სიტყვით და დალოცა ღონისძიება.

ბატონი ნიკოს საღამოს, დეკანმბერშივე, ფეხდაფეხ მოჰყვა თვითონ მამა მერაბის გამოფე- ნა ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმში, აღმაშენებლის პროსპექტზე(მეფისუ- ბანი, ყოფილი პლეხანოვის პროსპექტი), სადაც ჩვენ კიდევ უფრო კარგად გაგვაცნო თავი ამ მრავალმხრივი ნიჭის მქონე სასულიერო პირმა, – იგი ჩვენს წინაშე წარსდგა, როგორც უაღრე- სად საინტერესო მხატვარი. მამა მერაბის ნახატები ბრწყინვალე შენაძენია თანამედროვე ქარ- თული ხელოვნებისათვის.

ჭაბუკიანის მუზეუმი დიდი არაა, ამიტომაც იქ მხოლოდ მცირე ნაწილი გამოეფინათ ნახა- ტებისა. მიუხედავად ამისა გამოფენისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. ხალხი მოაწყდა მცირე დარბაზს, ერთი პერიოდი აქ მათი დატევა შეუძლებელი გახდა. თუმცა უფრო ადრე, ან უფრო მოგვიანებით, კარგად შეიძლებოდა ნახატთა დათვალიერება. ეს თითქოს თავისებური ხატების ფერებში ჩაფლული სამყარო გახლდათ. როგორც ჩანს, მოძღვარს უყვარს წმინდა, ამაღლებული პიროვნებების ხატვა, ამიტომაც მის ნახატთა ნაწილი სწორედ ხატურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ წინ შეიძლება ლოცვაც მოუნდეს ადამიანს. – ასეთია ძალა ხატისა, ხოლო ეს ქმნილებები, თითქოს, გაცოცხლებული იყო და მათგან საოცარი ენერგია მოდიოდა. ასეთ სურათებს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ავსებდა იგივე ავტორის სხვა სტილის მხატვრობანი, რომელთა შო- რისაც უმეტესად სხვადასხვაფერ ყვავილებს მოჰკრავდით თვალს. ეტყობა, რომ ბუნებაა, ყვა- ვილებია აღტაცება მოძღვრისა, და იგი მათ ხშირად ხატავს: ყვავილი ხომ მზის წვეთია, დედამი- წაზე მოხვედრილი, ფერადი წვეთი მზისა..

საერთოდ რთულია თქმა, ზუსტად რა არის საიდუმლო ამ გასაოცარი კაცის ფენომენის. იგი მხატვრობაში ქმნის ფერთა და სახეთა ოკეანეს, ასევე შესანიშნავად მღერის, არის თავისე- ბური ფილოსოფოსიც (ამბობენ, რომ პოეტ-მწერალიც არისო, ზუსტად არ ვიცი) და თვითონვე უკეთებს ორგანიზებას თავისივე ცხოვრება-შემოქმედებას. მოკლედ ისაა კაცი, რომელმაც თვით შექმნა საკუთარივე თავისაგან ნამდვილი პიროვნება. თითქოს ხომ ყოველივე ლოგიკუ- რად ჩამოვაყალიბე, მაინც რთულია ახსნა ადამიანისა და მისი ფენომენის.

გამოფენის პარალელურად შედგა ღონისძიება, რომლის საჭეთმცყრობელი ქალბატონი გულნაზი იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურმა მამა მერაბმა რამდენჯერმე აიღო თავისთავ- ზე ინიციატივა, გულნაზ ხარაიშვილი მაინც ბოლომდე და სოლიდურად გაუძღვა შემოქმედებით საღამოს, რომელსაც სხვათაშორის, სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ: მამა გურამი, დედა მაია, და სასულიერო სივრცეში სულ ცოტა ხნის წინ გადანაცვლებული, ერთ დროს აქტიური პოეტი გიორგი ბუნდოვანი(თუმცა ბოლო დროს ამ ფსევდონიმით აღარ გამოდის).

საღამოზე სიტყვით და ლექსებით უამრავი ადამიანი გამოვიდა. მათ შორის ვიყავით მე და კახაც, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ პოეტები. ისე მოხდა, რომ წელს, ორიათასთხუთმეტში, ძალი-

ან ბევრი აღიარება მივიღეთ და როცა აკადემიამ გადმოგვცა საუკეთესო ქართული შემოქმედებითი ჯგუფის წოდებაც (ძირითადად – მისი ეგიდით), ზოგმა გაიგო როგორც საუკეთესოები ზოგადად და არა მხოლოდ საქართველოში. გულის სიღრმეში გაგვიხარდა ასეთი ფართო მასშტაბური გაგება. საქართველო, სინამდვილეში მაინც ჩაკეტილ სივრცედ რჩება. არადა, კარგი იყო, რომ ვთქვათ, მამა მერაბის ნახატები ძალიან ბევრ უცხოელსაც ენახა. ამით ისინი უკეთ გაიგებდნენ ქართულ სულს, გულს, აზროვნებას ქართულს. ხელოვნება უნდა იყოს საზღვრების გარეშე. თუკი მაგალითად, ღრმა აზიელი, დიდი რაბინდრანათ თაგორი (მერე კი – ოშოც) უცებ ევრაზიელიც გახდა და მსოფლიო მოქალაქეც, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა ახალი ქრისტე და ახალი ბუდა ეპოვა საკუთარ თავში, რათა ღმერთ-კაცური ხაზით (უმაღლესი პოეზია – ფილოსოფიით) შედეგიანად დაპირისპირებოდა, ვთქვათ ასევე მსოფლიო მოქალაქე ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცურ ხაზს, რატომ არ უნდა შეეძლოთ რჩეულ ქართველებსაც, რომ თაგორივით გასტყორცნონ თავიანთი სამოქმედო არეალი ჯერ მთელს ევრაზიაზე და მერე თავისთავად, სრულ პლანეტაზე? ან, რომ ფილოსოფოს განდივით შექმნან ლეგენდა?

ბატონები – ზურაბ ნიუარაძე, რეზო ადამია, ნიკო ხერკელაძე, უფრო მეტად უნდა წარ-
ვუდგინოთ მსოფლიოს თავიანთი ნააზრევით, ტილოებით, მამა მერაბის ნახატებიც უფრო საერ-
თაშორისო უნდა გახდეს, სხვა ქართველი ხელოვანებიც ამ გზას უნდა დაადგნენ, ოღონდაც ისე,
რომ არ მოსწყდნენ ფესვებს, არ მოსწყდნენ ჩვენს სამშობლოს, უცხოეთში ხომ, რიგ მიზეზთა
გამო, ისედაც ძალიან ბევრი გადაიხვეწა.

შემოქმედებითი საღამო დაამშვენა ქალთა მუსიკალურმა ტრიომ (ორი მეციოლინე, ერთი პიანისტი), რომელთაც რამდენიმე რჩევა იქვე მისცა თვით ბატონმა ვაჟა აზარაშვილმა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა მხატვართა ორი ძირითადი ფრთიდან (ვრცელი დაჯგუფებები) ერთ - ერთის ლიდერიც - გურამ ცერცვაძეც, ხოლო მამა მერაბს საჩუქრად გადაეცა ნიკო ხერკელაძის ცნობილი წიგნი. ბატონმა გურამმა კი მამა მერაბს პირადად გადასცა ჩვენი აკადემიის აკადემიკოსის საპატიო მოწმობა..

ღონისძიებამ კარგა ხანს გასტანა. ხოლო რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „მეორე განყოფილებას“, ისიც ძირითადად ღონისძიებასავთ ლამაზი გამოვიდა, რადგან ისიც შემოქმედებითი სა-ლამოს რანგში ამაღლდა, მხოლოდ პურობად არ დარჩენილა. რესტორან „ათინათში“ ვისხედით რამდენიმე მაგიდასთან ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით მე, კახა, ჩვენი გულნაზი, ლამზირა შეყილაძე და კიდევ სხვები. ჩემს გვერდით ერთი მომხიბლავი ადამიანი იჯდა – რომელმაც თავი მხატვრად გამაცნო, თუმცა მერე მოგვიანებით, პირდაპირ ცეცხლი დაანთო თავისი ცეკვით. ზოგი სხვა ქალბატონიც განაფული აღმოჩნდა ცეკვის ხელოვნებაში, აი მამაკაცები კი უმეტე-სად, მხოლოდ სიმღერებში აქტიურობდნენ, თუ არ ჩავთვლით ქართველ მამაკაცთა უნამდვი-ლეს პროფესიას – სადღეგრძელოებს. რაც შეეხება მამა მერაბს, იგი უბადლო მომღერალი აღ-მოჩნდა. როგორც ჩანს, მხატვრობასთან ერთად, ყველაზე მეტად თავს სწორედ მუსიკაში ავ-ლენს და კარგია, რომ სასულიერო გზა დღეს აღარაა ისეთი დოგმატური, როგორიც ადრე იყო: ჩვენმა პატრიარქმა, ასევე მეუფე თადეოზმა და სხვებმა, სასულიერო პირთ საბოლოოდ გაუხ-სნეს გზა ხელოვნებისაკენ. ადრე სასულიეროთა ხელოვნება მკვეთრ ჩარჩოებში იყო მოქცეული, ახლა კი ამ ჩარჩოებმა დაკარგა სიმკვეთრე. დღეს ხელოვნება და რელიგია ხელი-ხელ ჩაკიდე-ბულნი, ერთად ეპრძევიან უკეთურობას...

რესტორან „ათინათში“ პურობის გარდა, იყო ბევრი სიმღერა, ცეკვა, იყო ასევე რაღა თქმა უნდა, სიტყვა – თქმანი და ლექსები.

ასე რომ მამა მერაბისა და ქალბატონ გულნაზის წყალობით, იმ დღეს ჩვენ, ყველანი ვეზი-არეთ მხატვრობას, მუსიკას, პოეზიას.. მოკლედ, ყველაფერს ერთად.

აქვე უნდა მოგაწოდოთ იმ დღეს მამა მერაბისადმი მიძღვნილი პოეტი ქალბატონის ლამზირა შეყილაძის ლექსი:

ხარ ღმერთკაციელით უებრო, წმინდა,
მისებრ სიმართლის მაკვოცხლებელი.

შენი სამშობლო ძლიერი გინდა,
მზისებრ სავსე და შუქთა მფენელი.

სიკეთის ზღვაა... შენი თვალები,
დახვალ ღვთაებრივ ხიბლით ნამული.
სულ სხვაა შენი გადმოსახედი,
გეტკიილება შენი მამული.
ღვთის სიყვარული გიხეთქავს ძარღვებს,
სიკეთის მადლი მოსჩქეფს გულიდან.
გულში ახარებ იებს და ვარდებს,
ეს სიმღერები მამულს სულიდან.
რამდენის გულში აცოცხლებ უფალს,
იწვი მოყვასის სიმხურვალეში.
მრევლს უმსუბუქებ ცხოვრებას მუხთალს,
ახვევ ღვთაებრივ სინეტარეში.
ამად ააგე ტაძარი წმინდა,
ბრმა სულებისთვის გამოჩნდი მხსნელი,

გწამდეს, წვალება ნამდვილად ღირდა,
ღმერთს შენი გული აჩუქე წრფელი.
მეუღლე შეგხვდა შენებრ მორწმუნე,
მყის მიგიხვდება შენს ჩანაფიქრებს.
ისიც სიკეთის არის მოსურნე,
ერთიანობით აღწევთ რთულ მიზნებს.
თქვენს გვერდით ყველა ბედნიერია,
მცირედი მაინც თუ იცის თქვენზე.
ასეთი კარგი მომავალია,
წინაპრის ჯანსაღ, ჯიშიან ძვლებზე.
გაიქარავნებს დრო პირნათელი,
ამომავალი მზე მოგიგონებს.
თქვენი ღვანების მადლის სახელი
ეკუთვნის დროთა ქორონიკონებს.

სერგი ლომაძეა აკადემიის ისტორიის აღმწერი და აკადემიის გული, კახა ბაციკაძესთან ერთად. 7 დღის გაცნობილი მამა მერაბისა და დედა მაიას პორტრეტი მეც ამ სიტყვებით აღვწერე:

სულის გალომა

მამაო მერაბ, სულის გალობა,
თქვენშია მართლაც როგორც საუნჯე...
ცოლ-ქმრის სიმღერას, ღმერთის წყალობას,
სიმშვიდით ვუსმენ, ლამის დავმუნჯდე.
სიკეთე ვთესოთ, ლოცვებით გვმოძღვრავ,
ამოუცნობი ღვთიური მადლით...
მრევლი ბევრი გყავს სასწაულ მოძღვარს,
ყველა რწმენით და იმედით დადის...
უშვილოს სხეულს აინთო სხივი,
მადლი ეწვია შენს წმინდა საყდარს...
ლოცვით გამრავლდა ოთარ და გივი
წლობით რომ მშობლებს ერთიც არ ჰყავდათ.
მეც სასწაულის მომსწრე გამხადეთ.
ტკბილო მაიკო, მამა მერაბი,

წმინდა ხატები ბევრი დახატეთ,
თქვენი სიმღერა არის ჯღერადი.
მტკვარი ჩერდება როდესაც გალობთ,
გვესმის ტკბილ-ხმათა სიტყის სინაზე
გაჭირვებულს და უმწეოს წყალობთ,
თეთრსაც არ იღებთ, არცერთ წირვაზე,
მზისგულა ცოლ-ქმარს წმინდა ტაძარი,
აგიგიათ და ლოცულობთ... ხატავთ...
ღრუბლებს ააშრობს სანთლის ხანძარი,
იქ მოსულთ მადლის სიმდიდრეს ატანთ.
დედა მაია, მამა მერაბი,
ხართ ყლორტებივით შეზრდილნი ერთად,
თქვენით დღეები არის ფერადი,
და ეს ღრუბლებიც გავარდისფერდა.

მამა მერაბი და დედა მაია ორივე უმაღლესი განათლებით არიან. მამა მერაბიმ სასულიერო აკადემია წარმატებით დაამთავრა. უფლის ხელდასმით ცოლ-ქმარმა ერთად ისწავლეს ხატვა. ისინი უნიკალური ნახატების შემსრულებლები არიან. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით არჩეულები არიან აკადემიაში, აკადემიკოსის სტატუსით.







**გულნაზ ხარაიშვილი
უურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
უუმპერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი**

კერძება

ღმერთო, დამილოცე ერი,
ცრემლი შეუმშრალე დედებს...
დოვლათი მოგვეცი ბევრი,
სიკეთე დაგვაძედე...



პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

მოღიხარ წელო ახალო?

მოდიხარ წელო ახალო?
ნეტავ რა უნდა გვახარო?!
მშვიდობა შენს მობრძანებას!
შენს მოსვლას, წელო ახალო!
მოლოდინებავ ხვალისავ
იმედიანი ცა ხარო...
ჟამნო მოდიხართ...მოდიხართ...
მამულო, კლდეებრ დგახარო.
მშვენიერი ხარ სიცოცხლევ,
ღვთივბოძებული რამ ხარო...
სალოცავივით შენს წინა
ჩვენ ლოცვად თავი დავხაროთ...
ამოუცნობი ბევრია,
საოცარია სამყარო.
მზე ბრიალა და ცხრათვალა,

ცხრა ძე, ცხრა მუხა, ცხრა წყარო...
გულზე რომ ტალღად გადამდის
ჰო, სიცოცხლის წანწერო...
გახარებულიც მენახეთ
ჭირგადახდილნო...საწყალნო...
ოთხეუთხივ ჯვარი გწერიათ:
ჩემო ცავ, მიწავ და წყალო...
სიხარულს გარითმებოდე
ჩვენი გულების ფანცქალო...
...ათასწლეულო ახალო,
ნეტავ რა უნდა გვახარო?!
მშვიდობის მტრედთა ღუღუნით
შეგგებებოდეს სამყარო...
ამინ.

გამათხოვლის მოლოდინი

გარეთ იანვრის ღამეა ცივი,
სარკმელს ფერმერთალი მთვარე ანათებს,
ეზოში ხე დგას უტყვი კაცივით,
რომელიც თავის სახელს ამართლებს,
ელის გაზაფხულს ბრძნული ლოდინით
სადმე აპრილმა თუ დაიქუხა,
აღსავსე მზითა და ნედლი დილით
აახმიანებს ძლიერ მხრებს მუხა.

იმური

ლამაზია და კარგი იმედი,
ბოლო ეღება ყოველგვარ ეჭვებს,
ლამაზია და კარგი იმედი
და მოლოდინი ლხენას გვანიჭებს.
როცა მოყვასის ვღებულობთ ბარათს,
რომელიც უთქმელ სიყვარულს იტევს...
ჩვენ გვახალისებს იმედი მარად,
ვით წვიმის შემდეგ თბილი მზე ჩიტებს.

იმედი არის ფუძე ყველაფრის
და იმედია სიკეთე დიდი.
იმედი იგი ბნელში მზე არის,
ყინვაში ცეცხლი და წყალზე ხიდი.
იცინის დილა სხივით ნაფერი
და უხვად აფრქვევს ეშხსა და ხალისს
და ყველაფერი, და ყველაფერი
სუნთქავს და ცოცხლობს იმედით ხვალის.

ვენაცვალი მე ჩემს ძართულს

ვენაცვალე მე ჩემს ქართულს,
ღვთიურ ხმათა ჰანგში ჩართულს,
თვითმყოფადს და წელგამართულს,
ვაწკრიალებ მისთვის ფანდურს.
მაღლა ციდან ნაჩუქარი
ხან დინჯი, ხან ცა მქუხარი,
სიბრძნით, შნოთი და უნარით,
არც არვისგან საწუნარი.
სიყვარულით – ულეველი,
სიხარულით – აღმაფრენა,
მეტყველებით საკვირველი
ჩვენი ტებილი დედაენა.
მისი მტერი და ორგული
დაისჯება მაღლა ციდან.
უწმინდური ვერ ეკარვის,
რადგან არის თვითონ წმინდა.
სიცოცხლევ და სიხარულო,
ენავ ჩვენო – მადლის მფენო,

მოყვრის მარად დამლოცველო,
მტერი უნდა შეაჩვენო.
სულ მომავლის მოიმედევ,
ბევრჯერ გედგა უამი მძიმე,
შენს მაღალ ცას, მთებს და ქედებს
ცისარტყელებრ ეციმციმე.
ფრთა ვარდისო – მარადისო,
საფიცარო, სალოცველო,
ანგელოზთა ლალადისო,
უკვდავებით სადლეგრძელოვ.
ნათლის სვეტად ჩამოსულო,
სიყვარულად განზრახულო,
ერის სულო, ერის გულო,
ფერმრავალო გაზაფხულო.
ხარ მაღლიდან დაფარული
მადლი მისი გცავდეს მარად,
ედემის ბალს მისადარო
იყვავილე მთად და ბარად.

ყველა კუთილ ღჯახს

ბედობის დღეა – დაგბედებოდეთ
ღვთის სიყვარული, დოვლათ-ბარაქა...
ჯანის სიმრთელე, სიმხიარულე,
მშვიდობით ყოფნა, სოფლად, ქალაქად...
შვილთა სიმრავლე, ფუძის სიმტკიცე,
ლხინი, ნათლობა, ქორწილ-ძეობა
და ღმერთმა მისცეს ჩვენს საქართველოს
ჭირში სიმტკიცე, მტერთა მძლეობა...





ღღღ ღაგვილოცე

ნეტავ რა გველის ჩვენ ახალ დილას?
ვინ იცის რითი გაგვიხარია?!
მუხლ მოდრეკილმა, წარმოვთქვათ სიტყვა
ღღღ დაგვილოცე, წმინდავ მარიამ!

2015 წელი

ალექსანდრე გოგინაშვილი

ჩაჯჭიდოთ ხელი

განა დაიქცა ქვეყნად სამყარო?
განა არ ბრნებინავს ქვეყნად ლალები?
ნუთუ ქვეყანა გადარეულა
ტყვილად რეკავენ ტაძრის ზარები?

აღარც სინდისი, აღარც მეობა,
აღარც ერთობა გასახარები?
რისთვის გავწირეთ, რისთვის წავბილნეთ,
ქართველთა სისხლი მათი გვარები?

ვიმღეროთ მზეში, ვიმღეროთ ქარში,
მტერს აურიოთ ცივი გონება,

თუმცა მცირედნი ვიყოთ იმ ჯარში
მტერს მაინც ბევრი, რომ ეგონება.

ჩავჭიდოთ ხელი, ავწიოთ ჯვარი,
დროშა რომელიც ასე ფრიალებს,
კვლავ ამაღლდება ქართული სული
გული მკერდიდან დაიღრიალებს.

რაგინდ ურიცხვი გვესხმოდეს მტერი
ტყვიას გვესროდეს ხმითა ზრიალას,
მაინც იხარებს ქართველი ერი
კვლვაც შევავსებთ ღვინით ფიალას.

2015 წ.

ღღღ მშვიდობისა

დილა გათენდა წავიდა ღამე,
სასიხარულო მითხარით რამე,
მსურს, რომ თვალები არ დამწვათ სევდით,
მსურს ლამაზებო გიგულოთ გვერდით.

გამოიღვიძეთ ადექით ზეზე!
აღარ გჭირდებათ სიზმრები მზეზე,
დარდი წარსულმა წაიღო წუხელ
სიზმრად ნახულსა ნურავის უმხელ.

გამოდით! ნახეთ! რა ლურჯი ცაა
შვენიერია როგორიცაა,
მინდა გისურვოთ ლამაზი დღენი
სასიხარულო გქონდეთ ბევრი.

ოცნება ხდება ნატრული დღისა,
სხივი გაგვათბობს კაშკაშა მზისა,
ღღღ დავილოცოთ ნათელი ცისა
ყველამ შევძახოთ, ღღღ მშვიდობისა!

2015 წ.

გადამთილი ყორნები

ეძღვნება სირიაში დახოცილ ქრისტიანებს.

ზეცას გამოჩნდენ ყორნები
მოყვრები შავი დღისანი,
ბოროტებისა მონები
გადამთიელნი კლდისანი,

ზეცას გაფანტეს ბულბულნი
ბგერითა ნაზის ხმისანი,
კაცისა გულის გამრთობნი
მგოსანნი უფლის ძისანი.

ჩამოუქროლეს ქალაქებს
ჯვარზედა აცვეს დედები,
ბავშვები ტყეში გარეეს
თან დააწიეს მხედრები,

სიყვარულისთვის დახოცეს
უფალი რად გყავთ ერთიო?!

ეხლა ხომ ჩვენი ჯერია ?!
მხოლოდ ჩვენშია ღმერთიო!

წაბილნეს, ტაძრებს დაესხნენ
ზედ ჯავრზედ დასცეს მეხიო,
ეგეც არაფრით იკმარეს
ხატებს გადუსვეს ნეხვიო,

ვითომც დაკნინეს უფალი
ტაძარი იქცა გროვადა,
გარშემო მსახურს ხოცავენ
შემოსევიან ხროვადა,

მკვდრების გარშემო ცეკვავენ
თან ადიდებენ ალახსა,
ნეტავი ძალა მქონოდა
დავწვავდი როგორც ბალახსა.

რატომ დახოცეთ? რას ერჩით?
ვოთომც უფლისა სახელით,
საფლავიც არსად დაუდეთ
რომ არ ჰყოლოდათ მხახველი.

თუმცა, კაცისა მოძულეს
არეული აქვს წესები,
ალბათ მის გულში გაიდგა
სატანამ ცეცხლის ფესვები.

გადამთიელნო ყორნებო!
მონებო ვითომც ღვთისაო,
ნეტავი კარგათ გეკითხათ
ყურანი ალახისაო.

უფალი მხოლოდ ერთია!
ჩვენც ხომ ძენი ვართ ღვთისანი?!
სხვა და სხვა სახით გვეწვია
ყველას გვქონოდა მიზანი.

ამას ქადაგებს უფალი?
ალარ შეისმენს ლოცვასა!
კაცთა მოძულეს დასჯის და
არ არჩინს შვილთა ხოცვასა.

2015 წელი

ჰამთარი

თითქოს გაირღვა ლურჯი ცის კიდე
ზღავც არ კამკამებს ვითარც ბროლია,
ქარბუქი აქცევს ჭადართა რიგებს
სადღაც გამქრალა თეთრი თოლია,

მზე გადუფარავთ დაღვრემილ ღუბლებს
სეტყვით ქოლავენ მიწას გოლიათს,
მდინარეები ადიდნენ ისევ
კავკასიონზე ისევ თოვლია.

2015 წელი





კახა ბაციკაძე
(ჯგუფ „ზღვარის“ წევრი)

გეცისკონ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, -
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მნამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.

ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მნამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,

პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეითარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უნინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მნამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

ფსკოზ

მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, -
დავთმო კალამი, სხვა რამ ვაკეთო,
სხვაგვარ ცხოვრებას მივცე სალამი
და ჩემი სული გადავაკეთო.
მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, -
რომ საკუთარ თავს ვეღარ შევხედო...
არა აქვს ზღვარი, არა აქვს ბოლო
პოლიტიკოსთა ყალბ-მზრუნველ კრედოს...
ან რაღა გიჭირთ, პრაგმატულობას
ხომ მიაჯაჭვეთ მეფე-პოეტი,
მივემართები მატერიისკენ
და იდეალებს ვემშვიდობები.
ან შეგიძლიათ დროშაც ასწიოთ
და იზეიმოთ შედევრთა კვდომა,
უფრთებო სული ვეღარ არწივობს
და ქრება სულში სინათლის კრთომაც...
მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, -
დავთმო კალამი, სხვა რამ ვაკეთო,
სხვაგვარ ცხოვრებას მივცე სალამი
და ჩემი სული გადავაკეთო...

გრძნიალური შემსრულის ჭრანი

გრძნობის განცდაა არსი სულისა;
ვრჩები ცხოვრების უარმყოფელი;
ვიცი - არსებობს თეთრი სამყარო,
სადაც უსაზღვრო ტრფობით მომელი.
შენი თვალების ზეცას ატაძრებს
გრძნობის ფრინველთა ლამაზი ლოცვა;
მზერა-სიკვდილი სუნთქვას წარმტაცებს,
როგორც მუსიკა სულს - თავად მოცარტს.
თოვლის თვალები გულზე მათოვენ,
ფიფქები ჰგვანან ფერმერთალ აჩრდილებს,
ფიფქებიც ჩემთან ერთად დარდობენ,
რომ შენზე ფიქრი გამიადვილდეს.


მაგრამ ძონისფერ განცდის ბაგეა,
სულს რომ დააწვიმს წვეთებად სისხლის;
შენი თვალების მე მწვავს მაგია,
ვერ ავერიდე მზერათა მზის სხივს.
ასე მივყვები გრძნობის იალქნებს -
თუ დაღუპვაა, იყოს ლურჯ ზღვაში;
მე გავეცალე ადამიანებს,
და ვცოცხლობ შენი გულის ფერთქვაში!
გრძნობის განცდაა არსი სულისა;
ვრჩები ცხოვრების უარმყოფელი;
ვხვდები - თვითონ ხარ მთელი სამყარო,
მე კი - შენს სულზე ლექსით მლოცველი...

მარადიული მუმრბოლი

(გიორგი სააკაძეს)

წარსულის მტვერი, დაფენილი ფიქრების თაროს,
გამომწვევია მოგონების ტკბილ-მწარე შუქის,
ჩემი სამშობლოს ოქროსფერო, მზიანო დარო,
უგვიანდები ხშირად იმათ, ვინც თვის გულს გჩუქნის.
მე ახლაც მესმის გიორგ-გმირის ხმლის ლალი ჟღერა,
ხმალი მტკიცეა, უფრო მტკიცე: მზერა-ლითონი!
ბრძოლა ესმოდა, ვით გონაშვილს -ჰანგი, სიმღერა,
ედგათ ქართვლის მტრებს ბნელი დღენი, უამინდონი...
არ შეიძლება სააკაძეს ქება არ ვუთხრათ,
მარტყოფისათვის სტრიქონი არ ავახმიანოთ,
და ამ სტრიქონებს სინაულსაც მიტომ დავურთავთ, -
უღვთოდ განგდევნეთ, ჩვენო დიდო ადამიანო!
შენ ესწრაფვოდი საქართველოს ერთიანობას,
ქართული სულის ციურ სიღრმეს მუდამ ყვარობდი,
შენს უბედობას, ალბათ, თავად ღმერთიც ნანობდა,
თუმც ქარი იყავ და საკუთარ ბედზეც ქარობდი...
მარადიული მებრძოლების რიგს შეუერთდი,
თვით ნაპოლეონს, მაკედონელს, აქილევსს, ჰექტორს...
შენთვის სიცოცხლეც და სიკვდილიც არის სულერთი,
მხოლოდ ბრძოლის ჟინს, ვაჟკაცობას, სამშობლოს ვერ თმობ!..





თეიმურაზ ლანჩავა

ჭალებს ჩამოემხო ბინდი,
ჭენჭყო ფოთლების და ხეთა,
მე თავს ბედბიერად ვთვლიდი,
მთვარე სიყვითლეში მხვევდა.
ზამთრს შემოუძღვა სევდა,
დროის გაფხეკილი ქუდით,
ტუჩებს მდუმარება სდევდა,
ვგრძნობდი არ გიყვარდი, გძულდი.

მგონი ...

იყო შეჩერება წამის,
დროის მონატრება ფიქრით,
გამოფერმერთალება მწვანის,
შემოალერსება ლიქნით.
ბოლი ასდიოდა ბუხარს,
გულსაც ასდიოდა ბოლი,
გვიან გითანაგრძნეთ ვწუხვარ,
გვიან გაგიხსენეთ მგონი.... .

• • •

ცოტაც და ერთად ვიქნებით დედა...
გიამბობ დალლილს სევდიან ამბებს,
როგორ შემყარა ცხოვრებამ ბნედა,
როგორ მასმევდნენ საძილე აპებს.
მეყო უშენოდ და შენს გარეშე,
რაც ვინანნალე ტყეში და ლრეში,
და რომ ჩამაკვდა წუთისოფელი
მოწყალებისთვის გაშვერილ ხელში.
სული ვერაფრით მივყიდე ეშმაქს,
თუმცა შიში და კრძალვა დამჩემდა,
ვიცოდი ბოლოს ღვთის მოწყალება
და შენი ლოცვა გადამარჩენდა.
ვიყავ მსახური კაცის და ღმერთის,
ცრემლები ჩემი ტკივილებს რწყავდა
და ვაგროვებდი სურვილებს შენთვის,
ოდესმე ისევ გნახავდი, მწამდა.
შენი სამარე სახლია ჩემთვის
და გული შენი, თბილი ბუხარი,
მოუთმენლობის ამარა ვრჩები,
მოუთმენლობის გამო მწუხარი.
უშენოდ თითქოს კერა გაცივდა,
თითქოს ბავშვობაც უცებ დაბერდა,
რას ვიფიქრებდი დრო თუ გამცვლიდა
და უგულობას გადამადებდა.

რას ვიფიქრებდი თუ შენს სიყვარულს
და მონატრებას ვიმარხულებდი,
რას ვიპიქრებდი ჩაგივლიდი და,
ათასში ერთხელ გინახულებდი.
ვერ გამოვდექი შენს ჭირისუფლად,
და ერთგულების ერთგულ მსახურად,
ვერ ვუთანაგრძნე, ვინც გვერდით დგომა
და სიყვარული დაიმსახურა.
ძნელი ყოფილა კაცობის ტვირთი,
შეუცდომლად და უხმოდ ატარო,
ჩემს უნებლივ შეცდომებს ვითვლი .
იქნებ ოდესმე დროს გავატანო.
მე ისევ ბავშვად დავრჩი ბოლომდე,
ისევ ფრთებს ვნატრობ, თუმცა დავრწმუნდი
პოეტი ცაში უნდა ცხოვრობდეს,
თუმცა მიწასაც ვამჩნევ, არ ვძულდი
მოუქარგიათ საფლავი შენი
მაჩიტელებს და მწვანე ბალახებს,
გადაუფარავთ სიმწვანით მკერდი,
ჩემი ცრემლები არ დაგანახეს.
მოვალ ერთხელაც რომ შენთან დავრჩე,
მომყვება უხმოდ ჩემი ამალა,
დროს მდუმარებას და სიკვდილს ვაჩვევ
და ცრემლს „რომელიც დრომ გადამალა.

სამშობლო

სამშობლო ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს,
ნიშნავს სიცოცხლეს, ყველაზე მთავარს,
მთავარი არის რუსთველი იშვას,
არის მთავარი ვუხმობდეთ თამარს.

მთავარი არის აღმაშენებლის,
ზუზუნი ისრის ფხიზლობდეს ყურში,
არის მთავარი შენი სამშობლო
უპირველესად გტკიოდეს გულში.

ვცხოვრობთ წალკოტში და არ არსებობს,
ამ ცისქევეშ ჩვენი ქვეყნის სადარი,
ყველა ჩვენგანი ჯარისკაცია,
ყველა ჩვენგანი არის სარდალი.

მოთმენა ჰქვია ჩვენს არსებობას,
ჰქვია სამშობლო არსებულს, ყოფილს,
სიკვდილის მერეც, ქართველი რომ ხარ,
სამარადჟამო დიდებად გყოფნის.

მინდა ზამთარი დავხატო
დიდი თოვლით და ბუხარით
და სასურველი გავხადო
ბუხართან ჯდომა მწუხარი
სახით, რომელიც ვერ იტანს
ლია კარს, ყინვას, სიცივეს
და მიფიცხებულს ბუხართან
კატას ხელჯოხით იცილებს.

მინდა ზამთარი დავხატო
ღორის ღორით და „ხვანჭკარით“,
კარებთან აძიგძიგებულ
ძალის ყეფით და ჭაჭყანით.
დავხატო თბილი ღოგინი,
ბოლი რომ ასდის სარეცელს,
კაცი, რომელიც სიზმარში
დაკარგულ ზაფხულს დაეძებს.

თვითონ სიცივე დავხატო
და აბუზული სიცივით
თავჩაქინდრული ბავშვობა
ანითლებული სირცხვილით.
თუმც ბევრი რამე დავხატე,
კიდევ ბევრი რამ მწადია,
ზამთარში მოვკვდე ვოცნებობ,
რამდენი წელიწადია.

რამდენი წელიწადია
ჩემს თავს სარკეში ვუცინი,
იქედან მომჩერებია
კაცი თვალმარლი, გულცივი.
ვდგავარ სარკმელთან ფერმკვდარი,
ვუმზერ თოვლიან სამარხებს
და მეჩვენება შემკრთალი
შენს თბილ მზერაში დამმარხეს.

დროს სცოდნია

დროს სცოდნია დაგიკარგავს
ხასიათს და ნირს,
თოვლი თმებში, თოვლი მხრებზე,
თვალებიდან წვიმს.
გული უწუხს მოგონებებს,
ვერ შეეწყვნენ დროს,
თოვს ბატონო, უსაშველოდ,
ხასიათშიც თოვს.
თოვს სიზმარში,

თოვს ზაფხულზე,
ყველა დროში წლის,
არსად აღარ გეძახიან,
არ იმჩნევ და გწყინს.
მივაცილებთ იქით წამსვლელს,
ქუდი მოხდას გვთხოვს,
თოვს ბატონო, საფლავშიაც,
საფლავებზეც თოვს.

იყო თამით აღალვება

იყო წამით აღელვება,
მწუხარების დანახვის,
ნაადრევი დატირება,
მარტოობის დამარხვის.
ვარდთა ცვენამ
ცრემლიან გზას უცაბედად შეჰყარა,
უიმედოს, იმედებით
მისტიროდა ქვეყანა.
გადაფარა უკვდავება,
მივიწყების ბალახმა,

უცრემლებოდ, უპატრონოდ,
მოგონებაც გადახმა.
ალბათ, ვინმე გაიხსენებს,
დროის სევდით გამთბარი,
საფლავიდან სიცილით რომ
გადახვეტოს ზამთარი.
მინაშიაც შეაურულებს,
მოგონების ხალისი
და სიკვდილი – სევდიანი,
გაცოცხლდება თავისით.





ზეგული ტყეშელეშავილი

გაიც ვიტყვი

გულო დადექ საგულესა, მოისვენე შენთვის;
ტკბილიც, მწარეც ცხოვრებისგან უპრობლემოდ შესვი.
სან მოდუნდი, ზოგჯერ პირში ჩაიგუბე წყალი,
გაუფრთხილდი გულს და ნერვებს, ფაქიზია ქალი.
„მოვალე ხარ“ – არ მასვენებს ხმები იდუმალი,
თუ კიდევ გაქვს ენერგია – არ მოხუჭო თვალი.
თორემ იცი, ჩემზე უკეთ, რაა ჩვენი ბოლო,
სანამ სუნთქვა შეგიძლია, უნდა გაიბრძოლო!
ნურც დარდებში გაათენებ ზამთრის დამღლელ ღამეს,
ნუ იფიქრებ: რა დალევსო წუთისოფლის ნაღველს.
რაც ვარ, მხოლოდ ესა ვარ და, შანსი არ მაქვს შეცვლის,
წელს რაც ვერ ვთქვი, მომიტევეთ, მაინც ვიტყვი მერმის.

შემოდგომა ქართლში

მზე ისევ მწველად აცხუნებს,
ალმური ასდის, თაკარა,
შემოდგომაა, აქ, ქართლში,
სამფეხზე უდგათ თათარა.
მარანს ჯაგანი ამშვენებს:
თეთრი და შავი ფერის,
თვალწინ ჭალაა გაშლილი
მინდორი...ხობისფერი.
ვაშლს დაუზიქავს ტოტები,
ღობეში – წვრილი ხილი...
ქვევრებს სავსე აქვთ მუცლები,
დაკრეფილია თხილი.
ნეტავი ღმერთმა ინებოს,
სულით არ დავეცემოდეთ,
რომ მიტოვებულ თონეში
ქართული პური ცხვებოდეს.

2009 წელი

გამიტყდა ძილი

გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი,
მინდა იქ ვიყო, საცა მაქვს ძირი.
სანამ გიპოვნი, სულ მუდამ ვივლი,
გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი.
მინდა მესმოდეს ფრონის შხუილი...
არასდროს მითქამს ბოროტი ტყუილი.
გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი,
ორი წელია გნატრულობ...ვტირი!
გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი
სიზმარი მინდა...და არა ძილი.
სილაურას წყლის ჩქერო და მილი,
გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი.
მინდა დავლიო შენი წყლის ყლუპი,
შენამდე მოველ...ამ ზაფხულს, თუ კი.
გამიტყდა ძილი, ვით სველ დოქს ძირი,
მანდ დარჩა ჩემი ფესვი და ძირი!

2010 წელი

ავიც და კარგიც

თქმის წინ ბევრჯერ მაქვს ნაფიქრი,
ვზომავ, ვზომავ და მერე ვჭრი;
თუ უთქმელობა ჯობია –
ვდუმვარ და სათქმელს მერე ვცდი.

სიტყვას მოზომვა სჭირდება,
ვერ დაეწევი მას, ხომ?!
ღმერთო! იმდენი მაცოცხლე,
რამდენი წყენაც მახსოვს...

და მაინც, ვთვლი, რომ ცოდვილ ვარ,
უვიციც ცოდავს, მცოდნენიც,
ავიც და კარგიც სუყველა-
ანარეკლია ცხოვრების...!

2010 წელი

ახალი ცლის ნატვრა

ახალი წლის ღამეა და
გავათენ თეთრად.
მსურს შევავსოთ სასმისი და
გადდეგრძელოთ ერთად.
ახალი წლის ღამეა და
არ მასვენებს ფიქრი...
თეთრი ციდან ისევ ცვივა
თეთრზე თეთრი ფიფქი!

მაშ, მოფრინდი „ჩიტუნიავ“,
შენც, პატარა მტრედო“
მერე რა რომ „სხვაგან გძინავს,
ჩვენ, ჩვენი გვქვს კრედო!
მთელი ღამე ვლოცულობდი,
და სანთლები მენთო...
ახალი წლის ყველა ნატვრა,
ამიხდინე – ღმერთო!

2013-2014 წ. წ. მიჯნა

შევსვა მა წყალი

ლიახვთან ახლოს, მინდორში,
თივის ვაგროვე ბულული...
ნახირს ვმწყევსავდით, ვშრომობდით,
რძეც გვქონდა, ხაჭოც, სულგუნიც.
...მიყვარდა გარჯა-გართობა,
რა კარგად ვიყავ შენს ახლოს!
ნეტავი ახლაც შემეძლოს,
რომ ისევ...თვალი შეგავლო!
ისე გაფრინდა ბავშვობა,
როგორც ლაჟვარდში მერცხალი,
გულს დარდი შემომპარვია,
შენი მსურს შევსვა, მე, წყალი.

2010. 04. 02.

ორი ლიახვი

დიდი ლიახვი პატარას,
გადაგვარებას ამჩნევდა...
და როგორც მამა,, უძლებ შვილს“
სულ კეთილ რჩევას აძლევდა:

ჩრდილოეთისკენ სუსხია,
ნუ წახვალ, გაიყინები,
ნირსაც შეიცვლი ადათ-წესს,
„თეთრ დათვთან“ გაიგივდები.

...მაგას ჯობს ერთად ვიაროთ,
ისევ ერთმანეთს გავუგოთ,
ჭირიც და ლხინიც, ორივე
თხილის გულივით გავიყოთ.

2010 წ.

დაგივარავს

შვიდი დიდი იმპერია,
გულს გიკოდდა, სხეულს გჭრიდა;
რწმენით განვლე გოლგოთის გზა,
გიფარავდა სულინმინდა!..
ბიზანტია, არაბები,
თურქ-სელჯუქი, ოსმალეთი,
ირანი თუ მონდოლები...
მტრად გაგიხდა დღეს რუსეთი.
შვიდი დიდი იმპერია,
გულს გიკოდდა, სხეულს გჭრიდა;
რწმენა ისევ გადაგარჩენს,
დაგიფარავს სულინმინდა!

07. 09. 2011

დრო

დრო გარბის, წინ, წინ მიინევს,
ვერ შევაჩერე, ტიალი...
მაგას ჰერიტინია არა მწყინს,
წალმა-უკულმა ტრიალი.

უყვარსო, ასე ნავარდი,
უთქვამს ჭკვიან და მართალ ბრძენს,
ხან სიურპრიზებს მოგინყობს,
ხან ნეგატივით აგავსებს.

იყოს...ეგ არაფერია,
(ან რა გამოლევს მრუდს, სწორეს),
„ბამბა“ რომ აჩხრიალდება,
„კაკალს“ თვალს ვეღარ ვუსწორებ!. .

25. 12. 2011 წ.



უშანგი მოსიაშვილი

ერკლი მეფე

ერეკლეს მერე ჩვენს საქართველოს
ცოტა ჰყოლია კაცი მმართველი,
რომ ყოფილიყო სულით ძლიერი,
გული პეტროდა სუფთა ქართველის.
სპარსული ქუდი შირმად ატარა,
რომ მტერს ქართველი არ დაერთგუნა.
ომის თუ ლხინში უპატრონა
ქვეყანას თვისას,
მუდამ ჯაბნიდა უამრავ ჯარს
შემუსულ მტრისას.
მრავალ მომხდურ მტერს ის შეხვდა
რისხვით
და დაამარცხა უჩვეულო
სულ იყო მისთვის.
მას სიბერეშიც არ ჩაუგია
ქარქაშში ხმალი
მან ჩვენ ქვეყნისთვის ვაჟკაცურად
გაავლო კვალი.

2009წ

*

ქვეყანა დაპატარავდა
თითქმის დავკარგეთ რწმენაო,
ჩვენ ინგლისურის სწავლაში
გაგვიმრუდდება ენაო.

*

თუ ჩვენს თავს არ მივხედეთ
ვეღარ გვიშველის ზენაო,
არც აქეთ-იქით წანწალი,
არც ინგლისური ენაო.

2013წ.

*

სხვა ქვეყნად ვერსად ვერ ძლებდა
ქართველი ქალი ვერასდროს,
ქართველი კაცი ყმად ყოფნას
ამჯობინებდა მტერთან ომს.

*

ახლა ქალებმა იკისრეს
თავის ოჯახის რჩენაო,
იმათი ასეთი ქცევა
კარგს არ მოგვიტანს ჩვენაო.

დამილოცეთ საჭართველო

„დამილოცეთ საქართველო,
თავის მთებით, ველებით“
კვლავ დავხატოთ ეს ქვეყანა
ფიროსმანის ფერებით.
დამილოცეთ, კიდევ გაჩნდეს,
გორგასალის მაგვარი,
რომ ერთურთს არ ღალატობდეს
აქ ნაშობი ამქარი.
დამილოცეთ, კიდევ გაჩნდეს –
დავითი და თამარი
რომ ქართული მიწა იყოს
მტრისთვის შავი სამარა.
დამილოცეთ ჩემი მიწა,
რომ ვერავინ შელახოს,
მის ქვეყანა დაფერფლილი
ნაცარტუტად მენახოს.
დაიხსომეთ, ღმერთი გვფარავს,
ჩვენ არასდროს გავწყდებით,
წინაპართა ნაშენ კედლებს
თქვენ ტყუილად აწყდებით.

ტომ შევასრულო ჩანათიდტები

ორი სიცოცხლე მე არ მეყოფა,
რომ შევასრულო ჩანაფიქრები.
ვიცი განგება მე არ დამაცდის
და ალბათ მალე ალარ ვიქნები.

მრავალი რამ მაქვს საკეთებელი,
მაგრამ არა ჩანს გამკეთებელი,
ვერავინ იტყვის უქმად ვიჯექი,
საქვეყნო საქმეს არ ვაკეთებდი.

ეს ცხოვრების გზა ერთი პეშვია,
ჩვენი სიცოცხლე ღმერთის ხელშია,
რომ კარგად უნდა ვაკეთო მუდამ
სიკეთის ქმნა ხომ მხოლოდ ჩვენშია.

2009წ

შთაგონება


მინდა, იცოდეთ ამის სათქმელად,
რომ მე მოვედი თქვენთან,
ის აჯობებდა, რომ უფრო ადრე
მივსულიყავი ღმერთთან.
ცოდოც და მადლიც ნაკლები მქონდა,
სანამ ვიყავი ბალლი.
ახლა არ ვიცი სად რა შევცოდე,
ანდა რას იტყვის ხალხი.
უცოდველი ხომ მარტო ღმერთია,
ჩვენ კი ვაგროვებთ ცოდვას
და რაც დრო გადის, ასე გვგონია,
უფრო შევიძენთ ცოდნას.

ცოდნა, ხან ცოდვის საფუძველია
უფრო გრძელი აქვს ხელი.
და დიდი ცოდნის ნამოქმედარით
არვინ დარჩება მთელი.
ატომის რისხვა შეაზანზარებს,
შესძრავს ცასა და მიწას.
თურმე ის სჯობდა გამკეთებელი,
რომ გამქრალიყო იმწამს.
რაც უფრო მეტად ვამძიმებთ მიწას
ჩვენი ცოდვით და მადლით,
კარგს ვერ მოვუტანთ შთამომავლობას
ამ ქვეყანაზე გავლით.

2011წ.

გოდება

დღეს დაჭრილი ვარ მე სასიკვდილოდ,
განა სიკვდილის დარდი მანუხებს,
მე ჩემი ქვეყნის ტანჯვას ვერ ვიტან,
ავი სატანა მიჭერს მარწუხებს.
ხალხო, დავფიქრდეთ,
ვიგრძნოთ ტკივილი,
გავითავისოთ ხალხის ჩივილი.
ჩვენ დავდგეთ ერთად, მუშტად შევიკრათ,
რომ ეს ცხოვრება ჩვენით შევიქმნათ.
გვეყო მონობა გარეშე ძალის,
ჩვენთვის სიკეთე არსად არ არის,
ჩვენი სიკეთე ჩვენ თვითონ შევქმნათ,
რომ საამური ცხოვრება გვექმნას.
ასე მიდგომით სხვისი ყურებით,
მუდამ ვიქნებით ცუდი გუნებით,
სანამ სხვას ვეძებთ ჩვენთვის საშველად,
ვერავის ვხედავ ვერსად მაშველად.
დავანანევრეთ მამული მთელი
და კიდევ უფრო უარესს ველი,
თუ არ შევძელით, არ მოვიშორეთ
ქვეყნის მოძულე უძღები მგელი.
მიმოიხედეთ, რა დაგვრჩა ძველი
რად დაუძლურდა ქვეყანა ჩვენი,
თუ დიდხანს გასტანს ასეთი ყოფა
აღარ დარჩება ქართველი ერი.





კახა სამყურაშვილი

საცწაული

მივსტირით დარდით განვლილ ცხოვრებას,
და სადლეგრძელოც მისი ისხმება,
საით მივმართოთ ჩვენ ძალისხმევა,
რომ ჩვენს მომავალს თავი მოებას?!

ისმის ერთი ხმა ნატვრა-თხოვნების:
– დაწყება გვინდა ახლით ცხოვრების!“
ოცნება ხდება! გულს ნუ დაიწყვეტ,
ღმერთი შვილს გაძლევს, მიდი, დაიწყე!

ტიარების წინ

მთელ განცდას ლექსად გამოვთქვავ,
შემწეა ჩემი ხელობა,
წინასწარ ვწუხვარ და მოვთქვავ,
წამომცდეს თუ მკრეხელობა.
თუმც აზრთა მწყობრ დალაგებას
სჭირდება – ითქვას პირობა
და არსის წვდომა-გაგებას
– სილალე, პირდაპირობა...
დავუშვათ, აქვე სრულდება,
სიცოცხლე აღარ გრძელდება,
მით ფიქრი აღარ რთულდება,
ცხოვრება აღარ ძნელდება...
და ერთსა პფიქრობს ყოველი –
ამ ქვეყნად ლხენა მოასწროს,
ადროვებს ვიდრე სოფელი,
სიკვდილი სანამ მოასრობს.
მაშინაც ვერრა აჯობებს
სიხარულს რწმენით ცხოვრების,
დაჩრდილავს გრძნობებს ამოებს
იმედი სულის ცხონების...
მით უფრო, სინამდვილეში,
როს გვიცავს მადლი ციური,
და სულს არ ტოვებს დილეგში
ცხოვრება ეკლესიური.
დიდება ამ ნაღდ სიხარულს,
დაჯაბნა რამაც ვაება,
ახარებს მარად სულს და გულს
ეკლესია და ღვთაება!

იტყალური რული

ღრმად ჩაძირულსა ბნელში მთქნარებით
დაგეზმანება სამყარო სულ სხვა,
იქ, სად ვერ გპოვოს ხვატმა თუ სუსხმა,
ნაზ მელოდიით გიწვევს ქნარები.
ნაზ მელოდიით გიწვევს ქნარები,
სივრცე უმღვრევი, სივრცე უდროო,
იქ, სად სავანე არის მყუდროო,
მალი-მალ მიჰქრი, მიექანები.
უსასრულობა-იდუმალებას
სავალი გზების აქვს ეს ბუნება:
წარსულს ჩაყვინთვით იქ დაბრუნება,
ან მისკენ ხვალით სვლა-გამალება.
სურვილი სწრაფვის არ ითენთება,
და არის გზები: გზა-გუშინ, გზა-ხვალ,
იცოდე ოღონდ, საიდან გახვალ!
მაშ, მოემზადე, აენთე გზნებით,
ერთბაშად გასწი სხვადასხვა გზებით!
საწყისად დღეს გაქვს, უკვე თენდება!

მე და მეტლინი

ერთ დღეს ფეხი ვკარი ჩლატში,
ხოლო თავი – დოიჩლანდში“,
საჩუქრებით გაბერილნი
შევხვდით მე და ძმა ბერლინი;
მე – საჭირო პრაგმატიზმი,
მან მიიღო იდეები,
იყო ბევრი კარგი ხალხი,
კარგი იყო ის დღეები...

အနာဂတ် ဝဘ်ဆောင်

– ვერ დავუთმობ ვერავის
 შინაგან აკაკობას“
აკაკი
 – აკაკი არის ცეცხლი და წყალი
 და ამავე დროს, საქათველოს წინაშე
 ანთებული სანთელი, რომელიც
 არასოდეს დაიშრიტება!“
ილია||

თოით უღრმესი ძირი, ფსკერი
ანკარა წყალს თვალწინ მოაქვს,
ხარობს ერი მადლიერი,
სიღრმის ხედვა შენით რომ აქვს.
ჯოჯოხეთურ გნიასს ახშობს
შენი წრფელი ხმა ქართული,
ჩანგის ჟღერა სმენას ატყპობს
ხალხის ლხენად მომართული.
მზის სხივი ჰუცენს ნათელს გზა-კვალს
და ეცლება მას წყვდიადი,
გზის მნათობად ერს კვლავდაკვლავ
წინ მიუძღვის – განთიადი!“
ერს მიწის და ცის კავშირად
სურს, მარადის შენა ჰყავდე,
გამარჯვების ნიშანს ხშირად
ცისარტყელად გვისახავდე!
შენ აღავსებ ქართულ ჰაერს,
ყველა ქართულ გულს მოიცავ,
სულისჩამდგმელ მშობელ მხარეს
უკვდავებით, სულით იცავ!
ჩვენც ვზეიმობთ იუბილეს,
შენს მოვლენას, ქართველობას,
ენას ქართულს – იმ უტყპილესს,
დედა ღვთისას მფარველობას.
არ მოვაკლებთ წმინდა სახელს
თაყვანცემას და შემკობას,
და ვახარებთ – ქართვლის სახეს“
ჩვენს – შინაგან აკაკობას!“
სპეტაკლი – გამზრდელი“ გორში
მაუწყებელი თეთრი სცენების,
ზამთარის დარის: თოვლის, სიცივის,
წვიმით ნადლაბინი ფერები მკრთალი
ამ შემოდგომას გვამცნობს იგივეს.
გზა ნაცნობია, გზა მშობლიური,
ბევრჯერ გავლილი სხვადასხვა განცდ
უმატებს წვიმას და შემართებას,
ქართლს მივადექით, ჭერათხევს გავცდ
დაგვაქეს სათუთად გულით და გონით
აკაკის სიტყვა წრფელი, სპეტაკი;
მას მოუთმენლად მოელის გორიც,
მოგვაქეს სპეტაკლი, მოგვაქეს სპექტაკი

ଦ୍ୟାଗର୍ଭତ୍ୱଦ୍ୟା...

ისე როგორც ბნელი, აჩრდილთ ხროვა ჭრელი,
მკვლელი, სისხლისმსმელი, არტერიის მჭრელი,
როგორც ჭრელი გველი, ზიზღით თვალთმომჭრელი,
დაკლაკნულა მთელი დედამიწის გასწვრივ.
გულიც არ აქვს ოდნავ, სულიც არ აქვს ოდნავ,
აძლებს ერთის ცოდნა, რომ კაცთ აძევთ ცოდვა,
უდგენს კაცთა მოდგმას დოგმად თავის ბოდვას.
მხსნელო, ჩვენი ცოდვაც მასთან ერთად დასწვი!

კვლავ მკლავს ტკივილი ტრფობისა კვალით
და გულს სურს ისევ, რომ გარეთ გასკდეს,
თვალებს სურს ისევ – იფაროს ცვარით,
სხვას ვერ ხედავდეს და შენ ვერ გაგცდეს...
სისხლს გაშრობა სურს შენს დანახვაზე,
რომ დავისვენო ნეტარ ჭირისგან,
მსურს, დავიგმინო უმძაფრეს ხმაზე
და აღვიგავო მიწის პირისგან...
და მაინც!... ბეჭმა თუ გადაგვიკრა
კეთილი სიტყვა, მაშ, ყოველთვის მე
როგორც საუნჯეს გულში ჩაგიკრავ
და სიყვარულით ვძლევთ ყოველივეს...
კვლავ მკლავს ტკივილი ტრფობისა კვალით
და გულს სურს ისევ, რომ გარეთ გასკდეს,
თვალებს სურს ისევ – იფაროს ცვარით,
სხვას ვერ ხედავდეს და შენ ვერ გაგცდეს!

სამოყვარლი ხმა – აღზეაცხოვა

რა საამოა, რა დიადია,
თითქოს გავცოცხლდი და კვლავ ვიშვები,
წვიმის წვეთებით ჩადი-ადიან
ფოთოლ-ყვავილნი ვით კლავიშები.
მთების დუმილის გაისმის ბანი,
ჟღერს სურნელების ხმაც – გატაცება,
სულსაც იწვევენ ხმოვანებანი,
სამორერი ხმა აქვს მას – ალტაცება!...

წინაპრეზ

ყველა წინა თაობებმა
გაიარეს ჩვენში ერთად,
ამიტომაც დაობება
ვერას ხდება ასეთ ერთან.
სინამდვილედ ვაქცევთ ზღაპრებს,
მივსდევთ მამებს მომავლისკენ,
თაობებში ვდევთ წინაპრებს
მოვალე და მოხალისე!



ნინო ქველაძე

უ-უ ა-ა უ-ც-ლ-ა-ს- თ-ა-დ-ლ-ი- ღ-ვ-თ-ი-უ-რ-ი,
 მ-ა-ლ-ა-ლ- კ-ვ-ა-რ-ც-ხ-ლ-ბ-ე-კ-ზ-ე ვ-ე-რ-ვ-ი-ნ ვ-ე-რ ა-ვ-ა,
 ა-რ-ც ა-რ-ა-კ-ი დ-ა ა-რ-ც მ-ი-თ-ი-უ-რ-ი,
 ხ-ა-ლ-ხ-ი-ს გ-მ-ი-რ-ი ხ-ა-რ-თ ჯ-უ-მ-ბ-ე-რ ლ-ე-ჟ-ა-ვ-ა!
 ღ-მ-ე-რ-თ-მ-ა გ-ი-კ-უ-რ-თ-ხ-ა რ-კ-ი-ნ-ი-ს მ-ა-რ-ჯ-ვ-ე-ნ-ა,
 მ-კ-ე-რ-დ-შ-ი ჩ-ა-გ-ი-დ-გ-ა გ-უ-ლ-ი მ-გ-ზ-ნ-ე-ბ-ა-რ-ი,
 მ-ო-გ-მ-ა-დ-ლ-ა ნ-ი-ჭ-ი, ძ-ლ-ი-ე-რ-ი რ-წ-მ-ე-ნ-ა..
 დ-ა შ-ე-გ-ი-ს-რ-უ-ლ-ა დ-ა-ნ-ა-ფ-ი-ც-ა-რ-ი!
 წ-ი-ნ მ-ი-გ-ი-ძ-ლ-ო-დ-ა ო-რ-ი ხ-ა-ტ-ე-ბ-ა,
 ძ-ვ-ი-რ-ფ-ა-ს მ-ე-უ-ლ-ლ-ი-ს დ-ა მ-ე-გ-ო-ბ-რ-ი-ს-ა,
 ს-ი-ყ-ვ-ა-რ-უ-ლ-ი-ს-თ-ვ-ი-ს თ-ა-ვ-ი-ს დ-ა-დ-ე-ბ-ა,
 ს-ი-კ-ე-თ-ე-დ გ-ე-რ-გ-ო ზ-ე-ც-ი-ე-რ-ი-ს-გ-ა-ნ-!

ა-რ შ-ე-უ-შ-ი-ნ-დ-ი ჟ-ა-მ-ს-ა დ-ა ა-ვ-დ-ა-რ-ს,
 კ-ვ-ლ-ა-ვ ა-ს-ა-ხ-ე-ლ-ე ქ-ა-რ-თ-უ-ლ-ი გ-ე-ნ-ი,
 გ-ა-მ-ო-ა-ც-ო-ც-ხ-ლ-ე დ-ა გ-ა-ნ-ა-ც-ვ-ი-ფ-რ-ე
 დ-ი-დ-ი კ-ო-ლ-უ-მ-ბ-ი დ-ა მ-ა-გ-ე-ლ-ა-ნ-ი!
 თ-ა-ნ გ-დ-ე-ვ-დ-ა ს-ა-ხ-ე ს-უ-ლ-ხ-ა-ნ - ს-ა-ბ-ა-ს-ი,
 გ-ე-ლ-ა-ნ-დ-ე-ბ-ო-დ-ა მ-ე-ბ-რ-ძ-ო-ლ-ი ბ-უ-რ-ი

ქართული გ-ნ-ი-ს უ-ც-დ-ა-ზ-ე-მ-ა

ე-ძ-ლ-ვ-ნ-ე-ბ-ა თ-ა-ნ-ა-მ-ე-დ-რ-ო-ვ-ე მ-ს-ო-ფ-ლ-ი-ო-ს უ-დ-ი-დ-ე-ს-ი
 მ-ო-გ-ზ-ა-უ-რ-ი-ს პ-ი-ს ჯ-უ-მ-ბ-ე-რ ლ-ე-ჟ-ა-ვ-ა-ს ხ-ს-ო-ვ-ნ-ა-ს!

მ-კ-ე-რ-დ-შ-ი ჩ-ა-კ-რ-უ-ლ-ი ლ-ე-ქ-ს-ი შ-ო-თ-ა-ი-ს,
 „ნ-მ-ი-ნ-დ-ა მ-ი-ნ-ა-ზ-ე“ ა-ლ-ს-რ-უ-ლ-ე-ბ-უ-ლ-ი-ს!
 ვ-ე-რ დ-ა-გ-ა-მ-ა-რ-ც-ხ-ა უ-დ-ა-ბ-ნ-ო-მ გ-ო-ბ-ი-ს,
 პ-უ-რ-ი გ-ა-ტ-ე-ხ-ე პ-ა-პ-უ-ა-ს-ე-ბ-თ-ა-ნ,
 დ-ა გ-ი-ზ-გ-ი-ზ-ე-ბ-დ-ა კ-ო-ც-ო-ნ-ი ნ-დ-ო-ბ-ი-ს,
 ლ-ა-მ-ე ა-თ-ე-ნ-ე პ-ა-პ-ი-რ-უ-ს-ე-ბ-თ-ა-ნ.
 წ-ი-ნ მ-ი-ი-ნ-ე-ვ-დ-ი ე-უ-ლ-ი მ-გ-ზ-ა-ვ-რ-ი,
 გ-ა-თ-ე-ნ-დ-ე-ბ-ო-დ-ა თ-ა-ვ-ზ-ე ც-ი-ს-კ-ა-რ-ი,
 ა-პ-ა, ა-ლ-ს-რ-უ-ლ-დ-ა ნ-ა-ო-ც-ნ-ე-ბ-ა-რ-ი,
 მ-ს-ო-ფ-ლ-ი-ო-მ გ-ა-ხ-ს-ნ-ა დ-ი-დ-ი ჭ-ი-შ-კ-ა-რ-ი!
 ა-ბ-ა, ვ-ი-ს ა-ხ-ს-ო-ვ-ს ტ-ი-მ ს-ე-ვ-ე-რ-ი-ნ-ი?
 ა-ნ თ-უ-ნ-დ-ა-ც ძ-ვ-ე-ლ-ი ა-რ-გ-ო-ნ-ა-ვ-ტ-ი-კ-ა?
 ო, ვ-ი-ნ ა-ლ-წ-ე-რ-ო-ს ს-ა-ქ-მ-ე-ნ-ი შ-ე-ნ-ნ-ი?
 გ-ი-ნ-ე-ს-ი-ს წ-ი-გ-ნ-შ-ი-ც ვ-ე-რ დ-ა-ტ-ე-უ-ლ-ა!
 ო-რ-ი ძ-მ-ი-ს-ა დ-ა ო-რ-ი მ-ე-გ-ო-ბ-რ-ი-ს,
 ს-ა-ხ-ე-ლ-ი თ-ქ-ვ-ე-ნ-ი, შ-ო-რ-ი-თ გ-ა-დ-ა-ვ-ა
 მ-ა-რ-ა-დ ი-ქ-ნ-ე-ბ-ი-თ კ-ვ-ა-რ-ც-ხ-ლ-ბ-ე-კ-ზ-ე მ-დ-გ-ა-რ-ნ-ი,
 გ-მ-ი-რ-ი შ-ა-რ-ტ-ა-ვ-ა, გ-მ-ი-რ-ი ლ-ე-ჟ-ა-ვ-ა!

2002 წ-ე-ლ-ი, დ-ე-კ-ე-მ-ბ-ე-რ-ი.

მ-ო-ს-წ-ა-ვ-ლ-ე ა-ხ-ა-ლ-გ-ა-ზ-რ-დ-ო-ბ-ი-ს ე-რ-ო-ვ-ნ-უ-ლ-ი
 ს-ა-ს-ა-ხ-ლ-ე შ-ე-ხ-ვ-ე-დ-რ-ა ბ-ა-ტ-ო-ნ ჯ-უ-მ-ბ-ე-რ ლ-ე-ჟ-ა-ვ-ა-ს-თ-ა-ნ.

გ-ე-ლ-ვ-ე-ნ-ი ს-ა-ს-ტ-ა-ზ-ლ-ი

ე-ძ-ლ-ვ-ნ-ე-ბ-ა ხ-ა-ტ-მ-წ-ე-რ – ა-კ-ა-დ-ე-მ-ი-კ-ო-ს-ე-ბ-ს
 მ-ა-მ-ა მ-ე-რ-ა-ბ დ-ე-კ-ა-ნ-ო-ს-ი-ძ-ე-ს დ-ა
 ქ-ა-ლ-ბ-ა-ტ-ო-ნ მ-ა-ი-ა ჯ-ა-ნ-ვ-ე-რ-დ-ა-შ-ვ-ი-ლ-ს.

თ-ქ-ვ-ე-ნ-ი ს-ა-მ-ყ-ა-რ-ო ფ-ე-რ-თ-ა გ-ა-მ-ი-ს თ-ა-ი-გ-უ-ლ-ი-ა,
 უ-ფ-ა-ლ-ი გ-უ-ლ-შ-ი ჩ-ა-გ-ი-ს-ვ-ი-ა-თ წ-მ-ი-ნ-დ-ა ს-ა-ხ-ა-ტ-ე-ს
 დ-ა ე-ს ს-ა-უ-ნ-ჯ-ე-ც თ-ქ-ვ-ე-ნ-ი ს-უ-ლ-ი თ-ქ-ვ-ე-ნ-ი გ-უ-ლ-ი-ა
 ა-ს-ე წ-ა-რ-მ-ტ-ა-ც-ა-დ ე-ს ს-ა-მ-ო-თ-ხ-ე-ც მ-ი-ტ-ო-მ ჩ-ა-ხ-ა-ტ-ე-თ.
 ს-ა-ს-ხ-ა-ს-ე-ბ-ს მ-წ-ვ-ა-ნ-ე, ა-ქ ლ-უ-რ-ჯ-ი-ა, ი-ქ მ-ე-ნ-ა-მ-უ-ლ-ი
 თ-რ-თ-ი-ს დ-ა ჩ-ა-ხ-ჩ-ა-ხ-ე-ბ-ს მ-ო-ლ-ი-ვ-ლ-ი-ვ-ე ფ-ე-რ-თ-ა ც-ქ-რ-ი-ა-ლ-ი,
 თ-ი-თ-ქ-ო-ს გ-ა-ი-ს-მ-ი-ს მ-ო-ჟ-დ-უ-რ-ტ-უ-ლ-ე ხ-მ-ა ნ-ა-კ-ა-დ-უ-ლ-ი-ს,
 დ-ა ვ-ი-თ ს-ა-რ-კ-ე-შ-ი ი-კ-ვ-ე-თ-ე-ბ-ა ც-ი-ს-კ-რ-ი-ს ც-ი-ა-ლ-ი!
 – ღ-ვ-თ-ი-უ-რ-ი ც-ე-ც-ხ-ლ-ი-თ ა-ნ-თ-ე-ბ-უ-ლ-ა თ-ქ-ვ-ე-ნ-ი ს-ა-უ-ფ-ლ-ო,
 ზ-ე-შ-თ-ა-გ-ო-ნ-ე-ბ-ი-თ ა-გ-ვ-ს-ე-ბ-ი-ა-თ მ-თ-ე-ლ-ი ს-ხ-ე-უ-ლ-ი:

ეს გამოფენაც ზეციური სასწაულია,
მიტომ გვაჩუქეთ ხელოვნების დღესასწაული.
– მადლობა უფალს, ნათელი და მადლი თქვენს გამჩენს,
თქვენს საბრძანებელს ჩემიც მინდა იყოს სურათი.
ვინ იცის კიდევ თქვენი ფუნჯი ვის წარმოაჩენს
მამა მერაბის და მაიას ვითარც ქალლმერთის!
– ო, რა ფერების ზეიმია, ხმათა ვედრება,
მამული გულში გისვენიათ წმინდა სახატედ,
ამ მთებს და ველებს აპა ქვეყნად რა შეედრება
ასე წარმტაცად ეს სამოთხეც მიტომ დახატეთ.

სიუთისა და სითმოს მთავრებრი

ეძღვნება ბ-ნ ჯუმბერ ლეჭავას
სახ. მრავალპროფილიანი
აკადემიის პრეზიდენტს,
უმშვენიერეს და უკეთილშობილეს
ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

განთქმული არის ქართველი ქალის,
გენი, მშვენება, ნიჭიერება,
საოცრებაა, ვით ნატვრის თვალი,
მისი სინაზე და ერთგულება;
ერთჯერ შეხვედრაც კი გაგაოცებს,
რომ იგრძნო გული, თბილი და ნაზი,
ვის არ შესძრავს და არ განაცვიფრებს,
ხარაიშვილი, სათნო გულნაზი!
სიკეთის დილა იწყება წყნარი,
ისმის ხმა ტკბილი, ნათქვამი ბრძნული.
ვენაცვალები იმ თქვენს წინაპარს
ვინც დაგანათლათ ძლიერი სული.
ვისაც პატივს სცემ, მით გეძნელება
გეკრძალვის უთხრა გულის ნადები,
ო, იცით როგორ მეამაყება,
თქვენი გარემო ვითარც ედემი!
გამოგივლიათ ასე უმწიკვლოდ
თქვენი ცხოვრება დრო რთულზე რთული
ვით გაუძელით ამდენ გრიგალებს!?მტკიცე ნებით და უტეხი სულით...
და მე ხმამაღლა მინდა ვიყვირო,
ცას გამოვფინო თქვენი სახელი,
მადლობა უფალს, რომ ისევ თქვენც ხართ
სიყვარულის და სითბოს მთესველი!
თქვენი მანდილიც მოჰვენია შარავანდედად,
ქართული მოდგმის უკვდავებას, მარადისობას,
ქალი სწავლული, პატრიოტი, მშობელი დედა,
ნატიფ კელაპტრად დანთებიხარ ერის დიდებას.





ანზორ ფანჩულიძე

მუსიკის

(ჯარისკაცის წერილი მეუღლეს)

იქნებ ატყდეს ქარიშხალი,
შეზანზარდნენ მთები,
იქნებ ომმა შემიტრუსოს
სიჭაბუკის ფრთები.
შენ იცოცხლებ გენაცვალე,
გაივლიან წლები,
დაღვინდები, დაქალდები,
შეთეთრდება თმები,
და თუ არ გადამივიწყებ,
კიდევ გეხსომები, -
წაიკითხავ ამ წერილს და..
მაშინ დარწმუნდები,
რომ ამ ქვეყნად შენ ჩემსავით
არვის ეყვარები.



შვილისადმი

შენ გაგიმარჯოს ვაჟუაცო ჩემო,
ჩემის სიცოცხლის ყლორტო და აზრო,
უნდა მომასწრო ბედნიერ დღეებს,
შენს გამრავლებას უნდა მომასწრო.
ამ ქვეყნად მხოლოდ შენ შემოგყურებ,
ჩემი კაცობის შენ ხარ მიზანი.
ისწავლე დგომა საკუთარ ფეხზე,
არ გახდე შვილო სხვისი ხიზანი.
ჩემი ბავშვობა ობლობამ შთანთქნა.
შემდეგ შენ გიძღვენ მთელი ფიქრები
და არ მოგაკლებ მშობლიურ ამაგს
სანამ ვიცოცხლებ, სანამ ვიქნები.
მაგრამ ჩემთვისაც დადგება უამი,
განშორების და მარტოდ დარჩენის,
შენი მშველელი იქნება ძალა,
მამაშვილობის ქვეყნად გამჩენი.



* * *

შენი ჭირიმე სამშობლოვ,
გულში კანდელად მინთიხარ.
შენ ხომ დიდების ბილიკზე,
სულ აღმართ-აღმართ მიდიხარ.
შენი ნიალის ჭირიმე,
ჭირიმე შენი გულის
ყველა მცენარის ჭირიმე
შენს მკერდზე ამოსულის.
საამური ხარ სამშობლოვ
სუნთქვა ხარ გაზაფხულის.

ჩემი სამშობლოვ

ჩემი სამშობლოვ, ტკბილო სამშობლოვ!
 ომის ქარცეცხლში გმირად ნაშობო; –
 რა ლამაზია შენი ბაღნარი,
 შენი გულმკერდი რა ლამაზია,
 შენი დიდების სურვილის გარდა,
 გულში სხვა გრძნობა გადამრაზვია.
 თვალს ვერ ვაშორებ შენს მდელოებზე,
 მთის ნაკადულთა ლალად დინებას
 ლაშვარდ ცის თაღზე ნაავდრალს შემდეგ,
 თეთრი ღრუბლების წამოდინებას.
 გრძნობებს ვერ ვიჭერ გულიდან ნახეთქს,
 როცა შევცერი შენსა დიდებას,
 როცა შევცერი შენს გმირ ძარღვებში,
 მჩქეფარე სისხლის უწყვეტ დინებას.
 მითხარ სამშობლოვ, სიკეთე მიყავ
 გამაგებინე მშობელო მიწავ! –
 ეგრე უკვდავად რა გასულდგმულებს,
 სად ჰერეფ უშრეტად იმ სიბრძნის ღალას,
 რომ შენს ნანაში აღზრდილი გმირი,
 მტერთან ბრძოლაში ვერა გრძნობს დაღლას.
 თქვენით შვილებო, თქვენ მასულდგმულებთ,
 თქვენით მიდგია ეს მტკიცე სული.
 თქვენი გმირული ბრძოლით აღდგენილს,
 კვლავ სიხარულით მიფეთქავს გული.
 გულმკერდს მიყვავებთ, ფხიზლად მდარაჯობთ
 ჩემს მტერს გაჰყურებთ როგორც გავაზი,
 მიტომ ვარ შვილო ასე უდრეკი
 მიტომ ვარ შვილო ასე ლამაზი.
 – ჩვენით სამშობლოვ?! – ჩემით ჭირიმე???

მეც ძალას ვმატებ შენსა დიდებას?
 შენს ლამაზ მკერდზე ტურფა ცხოვრების
 შადრევანივით ამოდინებას? –
 მაშ!.. თუ ასეა გქონდეს იმედი,
 შენმა სიტურფემ მანამ იხაროს –
 სანამ შენს მკერდზე აღზრდილმა შვილმა
 შენთვის სიკვდილი არ დაიზაროს.

1947 წელი ჩხარი





გიორგი ლარიაშვილი

აღტენა

დილის ნისლში განაბულმა გაზაფხულმა
სული წმინდის მადლით გამოიღვიძა,
გულს საკინძე გაუხსნიათ მინდვრებს,
უფლის ნებით დაორსულდა მიწა.
სული ვერცხლზე გაუყიდავს მავანს,
დღის ნათელზე გაუცვლია ღამე,
ვის მიუტანს, სად წაიღებს თავანს?
ჰე, ანგელოზო მითხარი რამე.

ღვთისმშობელი დაიფარავს წილხვედრს,
თავის ნაქსოვს ჩვენთან ერთად იცავს,
და მის ნაშობს ველოდებით ისევ,
როს გააღებს აღმოსავლის ცისკარს.
ქრისტე აღსდგა! იგრიალებს ერი,
ქრისტე აღსდგა! ხმა გასწვდება ილორს!
ქრისტე აღსდგა! ჩვენთან არის ღმერთი,
ჭეშმარიტად – იყო, არს და იყოს!

ცოდნის სათავე

ათასი ბრიყვი, ცრუ და ავკაცი,
ქვეგამხედვარი, კერპი თავკაცი,
შაპი, ყაენი, იანიჩარი,
ხოჯა ასკერი თუ კეისარი.
ათასი ფაშა, მოლა, ნოინი
მეფე, მთავარი თუ სარკინო,
ათასი ბეგი, შლეგი ხონთქარი,
რამდენი კიდევ კარზე მომდგარნი,
რამდენი სისხლი, ცეცხლი, ღალატი,
რამდენი შვილი ნანინანატრი.
ათასი შარი, მეხი და ცოფი!
ამპარტავნება, შური ღვარცოფი!..
გამოიარე სამშობლოვ დღემდე...
კმარა! სიმართლეს ვიტყვი ბოლომდე!
-ჩვენშია ყველა ცოდვის სათავე,
თუ გინდ მომკალი და გაათვე!

ღმერთი, სამშობლო, ადამიანი

უწმინდესსა და უნეტარესს,
საქართველოს პატრიარქს იღია II-ს
დარიალის კარის გმირ მცველთა-
დიადო შთამომავალო!
მწუხარეთა ნუგეშისმცემელო,
უფლის გზით მავალო..
ობოლთა ქომაგო, გამამხნევებელო,
ავტოკეფალის აღმადგინებელო,
ახალ გალობათა მგალობელო,
ხატთა გამომჩინებელო.
ტაძარ –მონასტერთა

მკვიდრად ამგებელო.
ყრმათა ნათლისმცემელო,–
ჩვენთან მოვლენილო,
რწმენის ამომზევებელო,
ავ უამთა მორევში–
მესაჭეო შეუცდომელო.
ბეჭედო ჭეშმარიტებისაო,
ქვეყნის დამამშვენებელო,
უწმინდესო და უნეტარესო –
იღია II აღმაშენებელო!

24.12.2012

მინდა, ოომ გიძმო სიკვდილო

მინდა, ოომ გიძმო სიკვდილო!
მინდა დაგიდო ზავი
ორჯერ დამჭერი უსისხლოდ,
ორჯერ მარიდე თავი.
მინდა გიწვიო ჩემსას,
სუფრას დამიდე ფასი.
ფიცვერცხლს ჩაგიჭრი ღვინოს და
თიხის დავლენოთ თასი.
ღამე გავტეხოთ ტიალი,
ჯიხვის ავასხათ მწვადი,
ერთიც ჩამოვკრათ ფანდურს და
სოფლის გავუშვათ დარდი.

მეამბორები მხარზე
და დამაყრევინებ აბჯარს,
უმალ დავტოვებ სიცოცხლეს,
დაველოდები განსჯას.
ღელაგს კი წუთისოფლისას,
ცას შავეჭრები ნისლად,
მტლად დავედები სამშობლოს,
თუკი ის ჩმთვლის ლირსად.
ღმერთს შევავედრებ მამულს და
მოყვასს გადავწერ ჯვარს.
სულს მივაბარებ უფალს და...
მოვიხურავ კარს.

ზიდრე

ვიდრე წამიყვანს, მომყვანი
და ჩემს სულს გამყრის ხორცთან,
ვიდრე ჩამიქრობს სანთელს
და ამამალლებს ბორცვად,
მინდა მადროვო ცოტა,
დავრეკო ჩემი ზარი,
სული გავაძლო მზერით
ჩემი მთისა და ბარის.
არაგვთან მოვეფერო,
ვაჟას ღვიას და დეკას,
დიდგორს შევავლო ფიქრი,
თვალი ვუსწორო კლდეკარს.
მცხეთას დავდგები მუხლზე,
ლომისს ავისხავ ჯაჭვს,
ილორს ვავედრებ გამჩენს
და ქარჩოხსა ვავედრებ გამჩენს

ალაზნის ველზე ვაზებს-
კვლავ დაცუკოჭნო ფესვი,
ალავერდსა და გარეჯს
შევეხმიანო ლექსით,
მანამდე ვიცი, ჩემო,
ჩაივლის ბევრი წყალი...
მერე მოდი და...
მშვიდად
დამახუჭინე თვალი.

ბერი თევდორე
ერისთვის წამებულო,
კვერთა მკვეთელო!
მწყემსო წამებულო-
თევდორე კველთელო.





ԵԱՅԱ ՋԵՍԵՆ

19. 03. 15

СЕГОДНЯ

Сумрачно стало в городе,
В теплом и ныне родном,
Лица прохожих, улицы,
Лавки, мосты шепчат в стон.

Слышится в оправдание
Время другое сейчас
Лень и лукавство празднуют
Свой день рождения в нас.

03. 03. 15

ПРОСТИ

Посмотри в глаза мои
И увидишь ты,
Как проходит жизнь моя,
Как проходят дни,

Заглянувший в душу мне
Все поймет и так,
Как болят все раны,
В прошлое упав,

Не хочу и вспомнить,
Как небрежно вдруг,

Задевают боль мою,
Спрятавшую внутрь,
И седеют волосы,
У весков моих,
Все проходит в жизни
Как последний миг,

Иногда мне хочется,
Разрыдаться вслух
Ты прости мне вольность,
Ты пойми как друг.

Завистью люди движутся,
В них мало доброты.
Ссорятся парень с девушкой
Что ж нынче „эти“ дни.

Злость за обиды прячется,
Тлеет росток любви,
Так неужели надо нам,
Все укорачивать дни.

Господа нитью посланы
Счастья минуты нам,
Вот бы понять что вечностью
Правит любовь и знать

«То что ушло не воротится»
Только вперед идти
И посыпать бы в вечность нам
Добрых желаний ростки!

02. 03. 15

У ХРАМА

Стояла женщина с протянутой рукой
У храма Господа, просила подаяния
В глазах стояли слезы, по щекам
Струились родники лицо морщинами испещеряя

Стояла женщина а позади спины,
Все прошлое, прошедшее как шепот,
И проходили люди мимо и Попы,
Утратившие сострадание всем плотям

Стояла женщина и погрузив свой взор
На храм смотрела и молясь рыдала
И посыпала всем добро и сласть
Сошедшие из ее уст молитвами, псалмами

Кто знал ее никак бы не узнал
Года свой приговор с ней совершили,
Была она тогда прекрасна и стройна,
Стройна как Ясень, как Сосна, Осина

И бросив ей монетку и свой взгляд
Толпа людей устало проходила
Кто знал, что перед ними восставал
Лик Богородицы, лик Марии Магдалины.

9. 04. 15

ОТЦУ ДАНИИЛУ

Слушая сердцем проповедь вашу
Взор устрелив в небеса,
Мне посыпается мудрость, познанье,
Божьего слова Творца.

Смелостью, вызовом взор ваш пронизан.
Доброго сердца порыв,
Славя Евангелей, слово Господнее
Духом смиренным прозрив

Видя предчувствовав души пришедших
Дав благородный совет,
Ищите веру, любовь и надежду
И излучаете свет.

Молитесь господу Богу всевышнему
Руки подняв ввысь
Силой мольбы за грехи наши падшие
Благости выпросив, видя в том смысл.



მაია ხოფერია.

მოღლარის მოციუბზე

დავხატე სიკეთე, მაგრამ არ მახსოვს რა ფერის იყო,
დავხატე თმები, ქერა თმები, მხრებზე დაშლილი,
თვალების ხატვა ვერ შევძელი, ძვირფასო ჩემო,
რადგან ეს დამე ვარსკვლავებით იყო დაცლილი....
დავხატე სული, შენი სული, განცდით, ხალისით,
როგორც მთის წვერზე, თოვლში მორცხვად ედელვაისი,
მე დაგიხატე ამ ცხოვრების მცირე მანძილი
და შევაზავე სიყვარულის ფერი ნამდვილი....
შევწყვიტე ხატვა, ალბათ ახლა ხარ გადალლილი,
შენთან მოვედი, როგორც ტილო ხელით წაშლილი....

ჩემი სიყვარული

ჩემი სიყვარული,
შემოდგომის ფოთლებს,
შენი კარის ზღურბლზე,
დარჩენიათ....
ფეხი არ დაადგა,
ხელით მიმოფანტე,
მას ხომ ჩვენი,
ტრფობის კვალი,
ამჩნევია...
შენი სიყვარული,
ჩემს გულს,
ვხედავ ტკივილად
დამჩნევია,
დაგელოდები,
ბოლო სუნთქვამდე,
მეტი არაფერი,
დამრჩენია....

წვიმს და გავშალე მე ჭრელი ქოლგა,
ქოლგა და გული შენთვის მომქონდა,
არ დაგვასველოს ძვირფასო წვიმამ,
მინდოდა მეთქვა ეს სიტყვა ხშირად ..
ქოლგაც და წვიმაც სევდიანია,
მე ამ წვიმაში სულ სველი მოვალ,
შენი სხეულით სხეულს დავიწვავ
და გავიხსენებ იმ გიუურ ლტოლვას...
მინდა მოგთხოვო კოცნა, რომელსაც
ყვითელი ატმის სურნელი ასდის,
მოგეფერები და მალე წავალ,
ვიცი უშენოდ ცხოვრება დამღლის....
წვიმს და გავშალე მე ჭრელი ქოლგა,
ქოლგა და გული შენთვის მომქონდა,
არ დაგვასველოს ძვირფასო წვიმამ,
მინდოდა მეთქვა ეს სიტყვა ხშირად....

ჩამოსული ხარ სადღაც ზეციდან...

ჩამოსული ხარ სადღაც ზეციდან,
მე კი აქა ვარ ისევ მიწაზე,
შენი თვალების შემოფეთება,
შენს სიყვარულთან ერთად ვიწამე....
მინდოდა მოსვლა, არ მომცეს ნება,
შენსკენ სავალი გზა ვერ გავკაფე,
მე დავიკარგე შენს სახლთან ახლოს
და ჩემი პოვნა არ დაგაცადეს...

კარი ჩაკეტეს დიდი საკეტით
და გასაღებიც სადღაც დამალეს,
მაგრამ მე მაინც შევძელი მოსვლა,
იმ ღია სარქმლით, შენ რომ მასწავლე...
ჩვენ ჩაგვიკეტეს სახლის კარები,
მაგრამ სიცოცხლის გზა ვერ ჩარაზეს,
მე მოვიპარე ის სიყვარული,
რომლის გამოდაც ჯვარზე გამაკრეს....

11 ოქტომბერი...





ნონა ბერიძე

აგვისტოს სისხლიანი ღოღობი

ყვავილ-ბალები დაღონდა შავად.
რადგან წითელი შეცვალა შავმა!
შორი დუმილი ანგრევდა სწრაფად
და ღვთისმშობელი ტიროდა ალბათ!

სწრაფად იღვრება საქართველოში ჭაბუკთა სისხლი,
წითლად მიღელავს ნაკადული იმ მთების ჭრილში.
აქ, არე-მარე იმოსება ვაჟკაცთა სისხლით
და... დედა! კვნესის, კვნესის თავისთვის ძილში!

•

ამ უბედობას რა ვუთხარი წუთისოფლისას!
ირგვლივ ყოველი გაფანტულა, მიმოფანტულა,
ცაზე ღრუბელი ნაცრისფერად გადაბანულა
და ცისარტყელა იისფერად აჭრელებულა!

მიჰერის ნიავი. ქარი მახრჩობს უშველებელი,
აქეთ თოვლი დევს, იქით წვიმა ცრემლად ნაღვარი!
ამ კლდის ძირებში მოჩუხჩუხებს წყარო ანკარა
და მტის მწვერვალზე ყვავ-ყორანი ჩხვის საზარლად!

ესე ბუნებამ ამ ცხოვრებას პირი მიუღო
ვერ აიტანა საშინელი, ცივი მოპყრობა!
კეთილის სულებს დარდი იპყრობს უშველებელი
იქ...ბოროტება გმინავს, როგორც ცაზე ღრუბელი!

დიდი პოეტი ამბობს, რომ კაცი არსს-ცივი
და საშინელი ცივი გული არის ულღობი.
თვალი ავხილე დავინახე იქ...მომღიმარი
თუმცა, მაშინაც დადაგული ცრემლად ნაღვარი.
წუთისოფელი ცჰვენი, არის მოჩვენებითი
რათა, სამყარო „წყარო“არის სწრაფად მავალი!

•

აქ არ არსებობს ტკივილი,
ტირილი აღარც ცრემლია.
სახეს ვერ ვხედავ მაგრამ ხმა. .
ხმა ისმის, ნაირფერია
გული არ გეწვის აღარც მარტო ხარ
აღარც ათნებ ღამეს!

აქ მუდამ გაზაფხულია
მუდამ ანათებს მთვარეც!
ჩემს გულში ახლა აყვავდა
შროშანი, სახელად მზე!
სიკვდილს, რომ უთანაბრდები
ღირსი ხარ მოკვდე დღეს?!

•

თითქოს დაიღალა დედამიწა ამდენი ბრუნით.
 თითქოს გარდატეხაც მოხდა!
 თითქოს ჩაიწია ღრუბელი
 და იქ საქანელაც მოსჩანს!
 თითქოს გაყვითლდა ცაზე ლურჯი მზე.
 თითქოს მელანდება!ხდება!
 თითქოს ღამე ისხამს დიდი ფრთებს ცის მსგავსად
 და დედამიწას ფარავს!
 თითქოს წვიმის დარი სადლაც უნდა გაქრეს
 თითქოს ნაკვალევს ითვლის!
 თითქოს ანდერძს მიწერს მე ეს სამყარო
 თითქოს ამ ქვეყნიდან მიდის !

დაჩაგრულია ყველა გრძილება

ღამე იყო არნახული
 სიო იყო ჩამალული,
 მთვარის შუქზე შენი ნახვა...
 იყო ტკბილი საამური!
 გალაქტიონს მუზა ეწვა
 და სასმელში იხრჩობოდა
 მოძალული ვნება ეწვა
 მარტოობა კი სტანჯავდა!
 ასე იყო ფიროსმანიც!
 აწვებოდა მუზა, ნაზად
 და ტილოზე გადაჰქონდა
 თუკი სადმე, რას ნახავდა!
 კიდევ ბევრსაც ჩამოვთვლიდი
 თუმცა, არ მსურს მათი ნახვა.
 ისიც არის საკმარისი, რომ მახსოვდა მათი
 ტანჯვა!
 ბევრი ფილმი და კოლაჟი
 შეუთხზეს მას მოსაგონად!
 თუმცა, მაინც ვერ გადმოსცეს
 ვნებების და მუზის ფარდა!
 პოეტია არნახული,

მხატვარი კი საამური!
 მათგან ვიცი მუზის სწავლა
 როგორია სასაუბრი!
 ამას უნდა ერთი დაფა
 და პუნჯებიც ბევრი კარად!
 მათი ნახვის სურვილი მკლავს
 და მუზების პარვა, მართლად!
 სიცოცხლესი კი უარყვეს მათი ნიჭი, ტანუვა,
 მალვა.
 თუმცა მათი აღარ ყოფნის
 კი შეიტყვეს მართლად!
 კაცი, ვერ გრძნობს სიცოცხლისას
 როგორა სწყურს მუზა წამლად.
 ავადმყოფს, ხომ მოარჩენს თბილი ხელი,
 წამლის ყლაპვა!
 ასე არჩენს გაქვავებულს პოეტების, მუზის
 ტანჯვა!
 ასე არჩენს მოქანდაკეს ტალახების ზელვა
 სწარაფად!
 ასე მარჩენს მე უბედურს! ჩემი, ჩემი, მუზა
 მარად!!





თამარ გავაშელაშვილი

როცა სიყვარულს გამოცდი

შენ ვერ გაიგებ ვერასდროს
ეს გული როგორ ცემსაო,
შენც დაგანახებს უფალი,
ამ სიყვარულის წვენსაო.
შენც გეყვარება ვიღაცა,
შეგიცვლის გულის ფერსაო,
როცა სიყვარულს გამოცდი
მადლობას ეტყვი ღმერთსაო.

ვერ მოვაღიერო

შენი თვალები, წუხელ სიზმარში,
სულ კოცნა კოცნით გადავაქციე,
მონატრებას რომ ვერ გავუძელი
სითბო ცრემლებად გადავაქციე.
ეს სიყვარული ჯერ თოვლი იყო,
მერე კი წვიმად გადავაქციე,
შორს ნუ დადექი, ახლოს მოიწი.
ტუჩები ჩემსკენ ოდნავ მოწიე.
სადაც წახვედი ჩემი ფერება,
ჩემი ლოცვები ყველგან განიე,
გული საგულეს ამოვიღე და
მაგრამ ვერასდროს ვერ დაგანიე.
სანთლები მუდამ ხელში მიჭირავს,
რადგან მლოცველად გადამაქციე,
რამდენი კოცნაც გამოგიგზავნე
სულყველა იქით გვერდზე განიე.
ნუ დამიდექი ასე მაღალზე,
მოდი ტუჩები დაბლა დაწიე,
სადა ხარ ნეტავ, ასე შორს მაინც,
შენს გულამდე რომ ვერ მოვაღწიე.

სიყვარულის დღეა..

ეგ ღიმილი ისე მათბობს ისე,
თითქოს ციდან სხივბს მაფრქვევს მზეა..
რა იქნება მომიწყვიტე ვარდი,
ხომ იცი რომ სიყვარულის დღეა.
სიყვარულის, ერთგულების ფიცი
ვაჟყაცისთვის მხოლოდ მიწამდეა,
რა იქნება, ჩამიხუტე გულში,
ხომ იცი, რომ სიყვარულის დღეა..
მოიხადო, მინდა კაცის ვალი,
ერთი მაინც მომიწყვიტო ია..
გაიხედე, ცას შეხედე მალლა,
სიყვარულის ნაღდი ამინდია.
რა იქნება, წელიწადში ერთხელ
დამიტოვო გულის კარი ღია,
სიყვარულს რომ გაქცეოდეს კაცი
არა კარგო, ჯერ არ გამიგია,
მომიწყვიტო, იქნებ ნახო სადმე,
მინდორს მჭკნარი ლურჯთვალება ია..
მომილოცე, ბიჭო, ფოთლით მაინც
ხომ იცი, რომ სიყვარულის დღეა.

თიკანს მგელი შეუყვარდა

თიკანს მგელი შეუყვარდა,
ბედისწერამ დასაჯა,
მაგრამ იქით რა ელოდა
ეს კი ვეღარ განსაჯა.
მგელი თიკანს გულში ჰყავდა
მისი ნატვრით იწვოდა.
შეჭამდა თუ არ შეჭამდა
ეს კი აღარ იცოდა.
მგელი თიკანის სატრფო გახდა
თვალზე ცრემლით დნებოდა,
ეს ნამდვილი სასწაული

სამყაროში ხდებოდა.
აბოდებდა თიკანს ძილში
მგელზე ლოცვას ჰყვებოდა,
სანთელივით იღეოდა
და სურვილით კვდებოდა.
ერთხელ, შიშით გაიფიქრა
არვინ არ შემენილოს. .
ჩემი ფეხით მასთან მივალ
თავი უნდა შევწირო.
გზას გაუდგა ბეკეკუნა
ცოდვით ყველას ატირებს,

მგელი ნახოს, ჩაიხუტოს
ფეხებს ჩქარა აპიჯებს.
ბეკეკუნა ციცქანა გულში
მგლის სიყვარულს ინახავს
თავის ფეხით სამსხვერპლოზე
მისულიყვნენ გინახავთ?
მგელი თვალებს არ უჯერებს
მას სიზმარი ჰერნია,
ალბათ, მართლა ცუდად ვარო
არის ეს აგონია..
მას ბუნებამ შეაწუხა

კბილებს აკრაჭუნებდა,
ბეკეცუნა სიყვარულით
თვალებს უპაჭუნებდა.
გადირია როხონხელა
ნეტავ, ეს რა ხდებაო,
ამას ჰქვია გამართლება,
სასწაული ხდებაო.
– მე შემთხვევით აქ არ გავ-
ჩნდი.. .
შენ რომ მსხვერპლი მიწოდე.
სიყვარულმა მომიყვანა,
ხელი გამომიწოდე.. .
ჩაიხედე ჩემს თვალებში,
დაინახე ლანდები,
რა ვქნა, მგელო, შემიყვარდი,
ყველგან შენ მელანდები. .
ღმერთმა ცხვარი გააჩინა
მუდამ მსხვერპლად შესწირონ
მე კი მინდა სიყვარულით
თავი შენ შემოგწირო. .
– არა, ჩემთან არ გაგივა
ბეკეცუნა ხრიკები,
სულერთია, მაინც შეგფამ,

ჩემი ლუკმა იქნები.
– ჩემი აზრიც ასეთია,
ჩემი ტკბილი ფიქრები,
ოღონდ შენი კერძი გავხდე
ბედნიერი ვიქნები. .
თავს დაადგა თიკანს მგელი
მადიანად დაყნოსა,
ბეკეცუნა სიყვარულით
მიეხუტა ახლოსა.
მგელმა მგლურად დაუღრინა
თიკანს, თვალებ ბრიალას,
რა ქნას, მადამ შეაწუხა,
თვალი დაუბრიალა.
როხონხელა ჩაფიქრდა
რა ხდებაო ჩემს თავზე?
ბეკეცუნა შეეცოდა,
დადგა იმის ხელაზე,
გულთან ახლოს მიიზიდა. .
გარდაიქმნა როხონხა,
ბეკეკამ კი სიყვარულით
მინა მუხლით მოხოხა.
მოდი ახლოს, მოგეფერო. .
ჩემო ბეკეცუნაო,

ჩემი თავი გენაცვალოს,
მგელი გეხუტუნაო.
მგელს ბუნება შეეცვალა,
ცხვრის გრძნობები ეწვია. .
თურმე ერთი ბეწვია,
მგელი კარგად დაუფიქრდა
და თათბირი იწვია,
მოდგმას ამცნო ეს ამბავი
თუ რამ გამოიწვია.
მაგრამ კითხვა უპასუხო
დარჩა სხვისთვის უცნობად,
მხოლოდ მგელმა მომხდარ ამ-
ბავს
სიყვარული უწოდა.
ერთად დარჩა ორი გრძნობა
უფრო ძლიერ გამაგრდა,
სასწაული ეს ამბავი
ღმერთთან ზეცას ამაღლდა.
სიყვარული სადაცაა,
იქ ყოველთვის ვაკეა,
ეს ამბავი მათთვის ითქვას,
ვისაც გრძნობა აკლია.

31სპოლავად ცაზე ავტომატიზაცია

მე ისევ მოვალ შენთან იცოდე,
გადავიქცევი უჩინარ ქალად,
როდესაც ძლიერ მომენატრები,
გადმოვიქროლებ უეცრად ქარად.
გადავიქცევი შენს საალერსოდ,
ვეღარ მიხილავ ასე ჭკვიანად,
გაბრაზებული ვერსა დამაკლებ,
გელამუნები სახეს ნიავად.
გადავიქცევი მონატრებისას
სიცივისაგან წამოვალ თოვად,
შენ რომ გვინია გარდაიცვალა
ეს სიყვარული ისევე მოვა.
გადავიქცევი წვიმად და თქეშად,
სულს რომ აწვალებს, არის იარა,
თავს შეგახსენებ მე სიყვარულით,
შენ რომ ფიქრობ რომ გადაგიარა.
გრიგალად მოვალ, ჭექა-ქუხილად,
სიმარტოვისკენ რადგან იხრები,
შენ რომ გვინია, სიმშვიდე ჰპოვე
გულს გაელვებად მაინც ვიქნები.

ვარსკვლავად ცაზე ავტომატიზაცია,
გადავიქცევი ციურ სხეულად,
შორი ზეციდან მე გაგიღიმებ,
აღარ დავრჩები მარტო ეულად.
მე მთვარის შუქად დაგენათები,
არ იგრძნო თავი შეღამებულად,
როდესაც ღამე გარეთ გიხილავ
დაგენათები შეეცვარებულად.
მე მოვალ შენთან, დაგავიქცევი,
მზისგან ვიქნები სხივის კონები,
ვერაფერს იზამ, ვერსა დამაკლებ,
როდესაც გულში ჩაგეკონები.
მე ამოვძრები მკვდარი მიწიდან
გულზე მეყაროს თუნდაც ლოდები,
მწვერვალებს მარტო არწივი იპყრობს
და მეც იქ მთებში დაგელოდები.
დაგელოდები მე უსასრულოდ,
სადაც არ მელი იქაც ვიქნები,
ჩემს საოცნებოდ დაგტოვე მუდამ
და სიყვარულად გულში ვიქნები.





რუსულან ფაილოძე

სამაღლოშელი უთლისადმი!!!

ცისკენ მივაპყრობ მე მზერას შენ შემოგყურებ უფალო!
შენს მფარველობის ქვეშ არის მთელი ქრისტიან სამყარო!
შენა ხარ ჩვენი ნუგეში და ჩვენი რწმენა უფალო!
ტაძრად მოფენილ მაცხოვრის, ხატზე ვლოცულობთ უფალო!
სულ თვალწინ მიდგას სახება, შენი სულტკბილო იესო!
შენი იმედით ვცოცხლობ და შენი შენევნით ვსულდგმულობ,
ფეხით დავდივარ, ტაძრად ვარ, ან სადმე თუ ვმოგზაურობ,
მუდამ ჩემთან ხარ უფალო! შენთან ვსაუბრობ, ვლოცულობ.

შენ საუფლოში დავდივარ, შენს ხატს შევცერი უფალო!
კრძალვით და თრთოლვით ვივსები, რომ არ გამკიცხო უფალო!
ოდენ ღვთისმშობლის ხატს წმინდას მალულად თვალებს მივაპყრობ,
თუ რამე ცოდვა-ბრალი მაქვს, შეგთხოვთ, შემინდოთ! უფალო!
ოდენ განსაცდელს ჩავარდნილს, რამდენჯერ მიხსენ უფალო!
რამდენჯერ გაჭირვებიდან აღმომიყვანე უფალო!
რამდენჯერ ჩემი სიცოცხლე და ჩემი კუთხე უფალო!
ხიფათისაგან დაიხსენ და დაიფარე უფალო!
ნურც მოგვკლებოდეს მარადუამს უფლის წყალობა დიდიო!
ღვთისმშობლის კალთა გვთარავდეს, დიდი გვაქვს თქვენი რიდიო!
თქვენ! ჩვენო მხსნელნო! მფარველნო! თავს აგვარიდეთ ჭირიო!
გვიმრავლეთ ჩვენი ქვეყანა, ნათესავნ-მეგობარიო!

12. 03. 2012

ჯიღრება ღვთისმშობლისადმი!

მახათას მთაზე მე ვიხილე ნატიფად ნაგები,
ღვთისმშობლის სახელზე აღმართული ტაძარი წმინდა!
ოცდამეერთე საუკუნის მშვენიერება!
რა დიდებული ხელთქმნილი ქართველთა შვილთა!
შენ ღვთისმშობელო! დედაო ღვთისავ! წმინდა მარიამ!
შენ დაიფარე ქვეყნის მკვიდრი, ყველა ქართველი!
შემოგავედრებ პატრიარქის სიცოცხლეს და მის ჯანმრთელობას,
რომ დაიფარო ერის ხსნისათვის მუდამ მლოცველი!
შენ დაგვიბრუნე ქვეყნის გარეთ განბეულები!
შენ დაგვიბრუნე მინა-წყალი წართმეულები!
შენ აღგვიდგინე ჯანმრთელობა შერყეულები!
შენ შეგვაერთე ქართველები დაქსაქსულები!
შენ შეგავედრებ ქვეყნის ხსნას და მის გადარჩენას,
ქვეყანას ტურფას, მაგრამ უღმრთოდ ორად გახლეჩილს,
მჯერა, რომ შენით საქართველო ფეხზე დადგება,
რომ უფსკრულიდან აღმოიყვანე დიდხან ჩაჩენილს.
მოგვხედე დედოფალო! წმინდა მარიამ!
ჩვენ უღირსს შვილთა მოგვიტევე შეცოდებანი,
მალე დატოვე ათონის მთა, მთა უწმინდესი!
მალე დაიდე ბინა წილხვედრ იბერიაში!
რომ შენი მობრძანებით გავიხაროთ ყველა ქართველმა
და ვიზეიმოთ გაბრწყინება საქართველოსი.





ნინო ჯანქანიძე

* * *

ბოლო დროს რა ხშირად მინდება ტირილი..
ცრემლები უსწორებენ გრძნობის მოზღვავებას..
თითქოს და ჩემს თვალებს დიდი და უძირო
მთლად უკიდევანო და მლაშე ზღვა ებას..
მატირებს ჩემი ცის ლაუგარდი კამამა,
გაშლილი სარტყელი მთათა და ანურა
ციცციფი წყარო და წყარობე ხევსური..
კლდის ბილიკს რომ მოსდევს ამაყი, ხელ-სურით..
მატირებს ალუდას სტუმართმოყარება
და ზვიადაურის მტრის კაზე წვალება...
მე ქისტი დიაცის ცრემლები მაკვირვებს,
ხევსური ვაჟავაცი ჩუმად რომ ატირებს..
ალალი გუგუს სიმშეიდე მაკვირვებს,
დიაცის ღალატის თქმას რომ არ აპირებს..
მატირებს მთას ექო, დიდგულა.. ფშავერი..
კოშკები ზეცამდე აწვდილი სვანერი..
სისხლნალვარ მიწაზე ნამწიფი მტევნები,
შისტერი ქარვებით მაძლარი ქვევლები..
ნაჯაფი და მაინც კვლავ ლალი კახელი,
შუშუნა მაჭრული და მისი სახელი..

მთაზე გორის ჟარი, უფალთან ხმობილი..
გულთბილი ქართლელი, უტეხი ძმობილი..
მტერთაგან ნაგლეჯი მიწა და ზვარაკი,
ვისთვის სინამდვილე და ვისთვის არაკი..
შავი ზღვის ნაპირი და მისი თოლია,
ზღვის ტალღებს ზღვარს იქით რომ გადაჰყოლია..
მატირებს წარწერა.. ბოლოში ბრძანებით:
– „კეთილი გვყავითო თქვენი მობრძანებით!“..
მატირებს ნიკალას ღარიბი მეთევზე..
მე ვტირი ღვთაისმშობლის მირონის წვეთებზე..
მატირებს სიონი და სვეტიცხოველი,
ჭირნახულ ქართველთა ნაშენი ყოველი..
ვარძია, სამება.. ცის პირზე მიწიდან
იმდენად მხიბლავს და იმდენად მიზიდავს
მათი უკვდავება.. სრული სიდიადე..
მზად ვარ, რომ შევყურო დილიდან დილამდე..
ღმერთო.. რა მატირებს, მე თვითონ არ ვიცი
ცრემლებით ტკიფილს თუ სიხარულს განვიცდი..
რატომღაც ვერ ვიგებ, ნეტავ რად ვერ ვხვდები..
შენ უწყი უფალო, ცად როცა შეგხვდები..

12.10.2015

* * *

თუკი უფლის გწამს, შეძლებ შესწვდე ცას...
შეაჩერებ წამს, თუ ვინმესი გწამს...
სიყვარულს და სითბოს თუ ვერ იტევ გულში,
დაივიწყე წყენა, ის რაც იყო გუშინ...
შეეხები მზეს, თუ სიკეთე გდევს...
გასცემ, მაგრამ მას თუ არ მიუთვლი ვალში,
იცოდე რომ ჩემო.. ძლიერი ხარ მაშინ...
და შესწვდები ცას, თუკი უფლის გწამს...
თბილი სული იცი?.. თურმე არის ქვაშიც...

02.12.2014





ლამზირა შეყილაძე

ნეტავ, საით მიდიან ეს დაღლილი გზები,
ერთურთს თუ შეხვდებიან იდუმალი მთები?
როგორ სწრაფად მირბიან თავდაღმართში წლები,
მგონი მართლა ვპერდები, დარდებს გეფიცები.

როცა ცხოვრებას სიცრუით აგებ,
ფასი არა აქვს შემდეგ სინანულს...
თუკი ვერავის ვერაფერს არგებ,
ერთი ხე მაინც დაურგე მამულს!

მარადისობა გაითურთამალებს

მდაგავს დუმილი, შორეულ ბინდის,
უძილო ფიფქი სადარდელს მათოვს.
გონება ზეცის სიღრმეში მიდის,
დაჭრილი გული სიმართლეს ნატრობს.

მყის გამახსენდა იესოს ჯვარცმა,
ცრემლმა დაალტო გულის ბზარები.
როცა იუდამ იესო გასცა,
სევდით აევსო უფალს თვალები.

პილატე იყო გონარეული,
სცნო...და ვერა სცნო...იესო, მხსნელი.
სატანურ ჟინით გადარეული,
ღმერთკაცს დააცხრნენ, ვით სისხლის მსმელნი.

მზემ სირცხვილისგან დახუჭა თვალი,
ჩამოშავფერდა დღე უსამართლო.
მას აქეთ დავალთ სიცრუით მთვრალი,
უგზო-უკვალოდ, უმისამართოდ.

მას აქეთ მაკრთობს მამლის ყივილი,
მასევდიანებს ოქრო და ვერცხლი...

გულს მიწვავს მწარე სულის ტკივილი,
ჯიგარს მიდაგავს უქრობი ცეცხლი.

მას აქეთ გვტანჯავს უსამართლობა,
მით მოგვენიჭა სიტყვა ცოდვილი.
შემოერლვია თემს ერთგულება,
უმეცარობით ვართ შეპყრობილი.

ახლა კი, ველით მაცხოვრის მოსვლას,
ქვეყნის მკვიდრნი და მიწას შთენილნი,
მთელი სიცხადით უნდა ასრულდეს,
რასაც გვაუწყებს წმინდა წერილი.

ღვთიურ სასწორზე აიწონება,
ცოდვა, მადლი და სიკეთე მისხლივ,
ზეცას და მიწას ემახსოვრება,
სიმართლისათვის დაღვრილი სისხლი.

ლაზარეს სიბრძნე გაშლის კამარებს,
ქვეყნად გაქრება შური, ქაოსი.
მარადისობა გაიფრთამალებს,
უამი დადგება სანეტაროსი.

კაცზე თქვეს: – დარდით მოკვდა-ო,
საწყალმა ვერ გაიხარა...
დარდმა იმდენი იდარდა,
დარდისგან გარდაიცვალა.

ჩემს დავიწყებას როცა იწყებდი,
თავი გეგონა ყოვლისშემძლები...
ვიცოდი, რომ ვერ დამივიწყებდი,
ჩემს დავიწყებას რომ ვერ შეძლებდი.

კლდიდან კლდეზე შეძახილი,
უბრუნდება პატრონს ექო.
ეს გულწრფელი სიყვარული,
ნეტავ შენს გულს რად არ ეყო?!

ბედო, შენს ხელში ძლიერ ვწვალდები,
რადა ხარ ასე შლეგი და ურჩი?
სიკვდილო, ალბათ ალარ მოვკვდები,
შენს თვალთა მზერას თუ გადავურჩი.

ლოტეით შეგხვდები

საათს შევყურებ, ვითარცა ჯალათს,
საათის ისრებს ვადევნებ თვალებს.
მივაბილიკებ გოლგოთის აღმართს,
საათი მითვლის სიცოცხლის წამებს.

ჩაყუჩებულან მთებში ლოდები,
ანგელოზები საკმეველს აკმევს,
დაღლილ სიცოცხლეს ვემშვიდობები,
სიზმარში ვხედავ სამოთხის სარკმელს.

ახლა ღამეა, მთვარით მოსილი,
სხეულში ძალა არ მაქვს სრულებით.

ამქვეყანაზე სტუმრად მოსული,
კვლავ დედამიწას დავუბრუნდები.

ყველაფერს თავის საქმე აქვს დროში,
თავისი დარდი ჰქონია საათს...
ათიათასჯერ მოგიხდი ბოდიშს,
რომ გინოდებდი, საათო, ჯალათს.

სიკვდილო, შენში ვისიზმრებ ფერებს,
ვიცი, რომ შენში გარდავიცვლები.
როცა სიცოცხლე გამიშვებს ხელებს,
გლოვით კი არა, ლექსით შევხვდები.

ჩემი ოცნების სიგიჟე შენ ხარ

შენი ელვარა თვალები მდაგავს,
შენი ღიმილის ეშნითა ვთვრები.
მოუსვენარი ლოდინი მღალავს,
შენი წყურვილის ჟინითა ვკვდები.

ჩემი ოცნების სიგიჟე შენ ხარ,
შენზე ოცნებებს სხეულში ვადნობ.
ისე გნატრობ და ისე მიყვარხარ,
შენს გაღიმებას ვერავის ვანდობ.

ალბათ შენს ღიმილს მრავალი ჩემობს
და ოცნებები სრულდება ძნიად...

ხომ არ გგონია, ძვირფასო ჩემო,
შენი დაძლევა არ შემიძლია?!

არ ვიცი, შენს გულს ვინ ჰყავს რჩეული,
პირველი მე ვარ...თუ ვარ მესამე.
მე იმითა ვარ გამორჩეული,
მიყვარხარ ძლიერ, შენი კვნესამე.

ჩემი ტკივილის სათავე შენ ხარ,
სიზმარშიაც კი ვერ მოგიხელთე.
მე ისე გნატრობ, ისე მიყვარხარ,
„ამ ტკივილისთვის ვერ გაგიმეტე“.

სიკვდილსაც ფულით მოისყიდიან,
ასე ფიქრობენ ფულის ლაჩრები.
მაშ რად მჭირდება არსობა ქვეყნად,
ტკილ მოგონებად თუ არ დავრჩები?!

ხშირად ვისიზმრებ შორეულ მნათობს,
სულთა საუფლო განა შორია?
მზე დედამიწას ასე რომ ათბობს,
ჩემი სულმნათი დედა მგონია...

უცხო ტკივილი მტანჯავდა გულთან,
თურმე ჩემს სხეულს ელოდა მიწა.
წუხელ სიკვდილი გამიხდა ავად
და მთელი ღამე ჩემს მკლავზე იწვა.

ცხოვრება ისე უნდა გათვალო,
არც სხვას ავნო და არც შენ ინანო...
ამქვეყნად ისე უნდა იცხოვრო,
მტერს სიკვდილისთვის რომ დაენანო!





თამარ ჯაჭვაძე

ჩემთვალით გიცქერს გვირილა,
ნამებით განაპრწყინები...
ხუჭე-მალეა ცხოვრება,
მიპოვე, გეპოვნინები.

როგორც მალამო იარებს,
შენი ამბორი შემარგე...
ერთი მთა გადმოვიარე,
რვა ისევ დამრჩა შენამდე.

„თავთან დაკლული სიკვდილი ედო“

ბეჟან ხარაიშვილს

„პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან“ - ო
ეს რამ გათქმევინა ბიჭო,
ამ გადაჯიშებულ, უცხო ქვეყანაში
სიცოცხლეს სიკვდილი გვიჯობს.

„მირზა წავიდაო, „ – ბეჟანაც წასულა...
ხარებო, სად ჩაწყდა სვრელი?
რამდენი მშობლიური, რამდენი უცნობი
თვალი დაგვიტოვეთ სველი!

ის დაუწერელი ლექსი რაღა იქნა,
სატრფოც უალერსოდ დარჩა,
მირზას თუ ტყვიებმა სისხლი ამონოვეს
ბეჟანა რატომლა არ ჩანს?

ცოდონი არიან, ბიჭებო, ქალები
სიცოცხლე გლოვად რომ ექცათ...
თორემ პოეტები არასდროს კვდებიან,
პოეტები ცოცხლობენ ლექსად.

ციხის ნანგრევი

გაებზარება ბალავარი წაქცეულ ციხეს
და ქვათაცვენით იტირებენ ძველი კედლები...
ღრუბლისრაშება, დღეს, ქარები ომში მოიხმეს,
მზე, ფეხშიშველი, მიაცილებს ლოცვა-ვედრებით.

დუმილი მეფობს, უჩინარი მომდგარა მტერი...
და აურიალებს მეციხოვნედ შერჩენილ დრო-ჟამს...
მივიწყებული მუზეუმის ჩრდილში და მტვერში დევს,
წარსულივით დაძენდილი, თამარის დროშა.

ჰეი, ვინა ხართ! – შემოგვახის გრაალის მცველი,
ვინ მოუაროს უპატრონო წარსულს და ხვალეს?!.
ბექთარნალენი დგას კედელი ათასი წელი...
და წუხს რაინდი
მოჭრილ მკლავებს და დათხრილ თვალებს.

მოვიდეს ვინმე, შეუხვიოს ციხეს იარა...
მამულიშვილი ცხელი გულით გამოიცნობა...
გადაარჩინოს საქართველო, ციხე კი არა,
ძვლებზე დასული, გადაღლილი მარადისობა.

არ მომისაჯოთ პედიორება

სიცოცხლის წლები ოცნებებში ჩამოვატარე
ვერ გავიხარებ, სამოთხეშიც დარდად მექნები...
მე მქონდეს შენი სიყვარული, ჩუმად ვატარებ,
გენიოსებმა სიყვარულზე წერონ ლექსები.

გადაიკარგოს თუნდაც ჩემი ზამთრის ციდან მზე,
და წამეშალოს თოვლისთითა სამყაროს ზღვარი...
იგაზაფხულოს ყველა ქალმა დედამიწაზე,
მე მქონდეს შენი თბილი სუნთქვით სავსე სიზმარი.

მომენატრება სული ცოდვილ სხეულს გავყარო,
ყველა სიკეთეს უარვყოფ და გადავუდგები...
ყელს იღერებდეს, ალმასებით, მთელი სამყარო,
მე დამეყაროს შენი ცრემლი – ფასდაუდები.

უარყოფილი, ლურჯლიმილა მოდის ცისკარი,
ესალბუნება სულს გრიგალი როს ეფერება...
ცრემლის მარცვალზე ამოსული,
ვარ ცრემლის ქალი,
არ შეიძლება, არ მომისაჯოთ ბედნიერება!

პერიკაცი

მზეს რა ცეცხლი წაეკიდა?
ვარვარებდა ნასამხრები...
ბერიკაცი ყანას მკიდა,
გადახუნებოდა მხრები.

ბეჭებს წლები ედო ლოდად,
თმა-წვერს სიჭაბუკის ნავლი,
თვალი გზისკენ გაურბოდა,
ქალს ეძახდა უკვე ჩავლილს:

– უგულობამ ამატირა,
გულმა ცეცხლი გადამკიდა,
ვერა და ვერ გამოვდივარ
სიყვარულის ასაკიდან!

ლოდინი

პირგადაბანილი მინდვრები,
გზის პირას ლურჯთავალა კესანე...
გიყვარვარ? მეძახი? გჭირდები?..
მოვიდე? – თქვი, შენი კვნესამე!

თუ გიმძიმს სათქმელი სალხინო,
ვეღარ მოვერევი სადარდელს...
თუკი გული უნდა მატკინო,
ისევ გაისამდე გადადე.

ძახილი

- ჰე, ჰე, ჰე, ჰე!
- ჰაა!
- ჰო, ჰო, ჰო, ჰოოო!
- ოოოჰ!
- ეეეჰ!





თინათინ კაპანაძე

ბუტაფორიაა ახლა ეს ქალაქი,
ყალბი ამინდები დაიჩემა,
შენც კი საუკუნეს აყევი და
აღარ გიწერია გადარჩენა...
მოჩვენებითია განწყობები,
შენი ხასიათიც ამინდია
უცხო ქმედებების ტკივილები
სისხლში კიბოსავით დაგიდიან.
დგახარ ჩვენი ყოფის ნანგრევებთან,
როგორც უკანასკნელ მცველთაგანი,
მაგრამ აღარსად არ დაგეძებ და

ვდგავარ ვით ნაცნობი, ძველთაგანი...
თუმცა იქექები ჩემ ყოფაში,
ცდილობ გრძნობას მტვერი გადაწმინდო,
როგორ ვერ ავიტან უშენობას,
თუმცა მაინც მინდა დაგივიწყო,
რადგან სნობიზმია ეს ქალაქი,
ბუტაფორიაა ასე ყოფაც,
რადგან ძალიან გავს ეს ქცევები
ყალბი ამინდების არსაქბობას...

ვამბობ არ შეგვინდობს ღმერთი უარყოფას!!!
გულზე ამოტიფრულ ტკივილს,
რადგან ზურგშექცევის წარმოდგენა
სულში რექვიემად ყვირის...
დგარან დაღვრემილი ხეები
და ჩუმად დასტირიან ღმერთებს,
ჩემში ანგელოზის გადარჩენა
ვეღარ შეძლებია ვერცერთს,
ვამბობთ, ღვთიურია პატიება,
აქ კი ღვთიურობაც გაქრა,
რადგან, მიმატოვე მრავალჯერად,
ახლაც სხვა მხარეზე დგახარ. .
ზეცას არ უხდება მასკარადი
და შენც ჩამოგაცლის ფარდას,
ჩვენი არსებობის ტრაგედიას
საფლავს ჩაგაყოლებ დარდად...
რადგან მძიმე არის რეალობა,
კიდევ უფრო რთული
ახსნა,
და გთხოვ რომ ამ გრძნობის სიდედადე
არ დაალაქავო სხვასთან...

სულ დავიკარგეთ მეგობარო და რაღა გვიჭირს,
 ახლა საქმეა ყველაფერი, ყველა ჩვენ გარდა,
 წარსულის დღეებს გავუღიმეთ, დავემშვიდობეთ,
 ჩამოვაფარეთ არ მცალიას, სხვა საქმის ფარდა...
 სადღაც კი ვხვდებით ალაგ-ალაგ, დროგამოშვებით
 წესად ვიქციეთ უხერხული ღიმილის ფონი,
 რომ არაფერი აღარ მოჩანს, აღარც ვოცნებობთ
 და სანატრელად გადაგვეგცა წარსული დრონი.
 ხო მეგობარო, ახლა ჩვენ დროს ვუთმობთ დანარჩენს,
 აღარ ვსაუბრობთ, არ ვერთობით, არ ვრჩებით ერთად,
 არც თეატრისკენ მივუყვებით ვიწრო ბილიკებს
 და გართულება ავირჩიეთ ცხოვრების წესად,
 ის -რისაც ძალა ადრე გვქონდა რომ მოვრეოდით
 და ერთმანეთით გადაგვევსო ტკივილი როცა
 არ არსებობდა არცერთ მხარეს გამოსავალი,
 ჩვენ მაინც ერთად ვიდექით და ვითბენდით, ხოდა
 წავიდა ის დრო მეგობარო, ახლა კი უკვე
 ცარიელ ქუჩებს ცალ-ცალკე და ნაბიჯით უხმოდ
 მივყვებით რადგან გვერიდება ამ ქმედებისაც,
 ვფიქრობთ, ვაითუ ასე ვინმეს ძილი დავუფრთოს:
 ჩვენმა ფეხებმა, ჩვენმა სუნთქვამ და არსებობამ,
 ვაითუ ვინმეს გაუჩინოს ფიქრი ან დარდი,
 მახსენდებიან ლამეები განათენები,
 დღეები როცა სუნთქვასავით სულ გვერდით მყავდი.
 მაგრამ რას ვიძავთ მეგობარო გავიზარდეთ და
 ცხოვრებამ აღარ გვაპატია ბეჭნიერება,
 გაიყო გზები, აზრები და ჩვენც გავიყავით
 და მხოლოდ ჩვენი ბავშვობა გვაქვს მშვენიერებად....
 დავეხეტებით უგზოუკვლოდ, უმისამართოდ,
 გულის სიღრმეში მოგონების ლანდებს ვიმარხავთ,
 აბა რაგითხა მეგობარო, შევეშვათ გლოვას
 და გართულებას, გვეყო ახლა თავს ნუ ვიტანჯავთ....
 მაგრამ არასდროს გამართლდება ეს განშორება,
 არ მართლებიან ულმერთობით განწირულები,
 და როცა ქარი შენზე ძლიერ გაკივის ლექსებს
 როცა სამყაროს ავიწყდება სხვა ხილულები,
 ჩუმად გეძებენ ჯარად მდგარი ჭადრის ხეები,
 გულიც ეჩვევა სისხლიან და უმძაფრეს გლოვას
 და მეგობარო ნუ დაკარგავ ნურასდროს რწმენას,
 ვიდრე იმედად შენ სარკმელთან მზის სხივი მოვა...





იამზე ჭელიძე

ვიგრძნოთ ხალისთან ისევ მივეძით

მშვენიერება ისევ შემოდის,
გაცრეცილ სახით, ცრემლით ნაქარგი
ფრთამოტეხილი მოგავს შებოლილს
მე კი მივმართავ, ისევ რა კარგი
გაქვს სურნელება, მოდი და მოდი
შორს გადავაგდოთ, სუყველამ შფოთი,
სადგური შევმქნათ ისევ იმედის
ვიგრძნოთ ხალისთან ისევ მოვედით,
უშენოდ რაა ეს ჩვენი ყოფა
ხედავ ამინდმა იავადმყოფა,
ან მე ვიქნები მკურნალი შენი
შენი სიცოცხლის კვლავ დამაშვენი.

მოდი მომხვიე ხელები ფართედ
ჩვენ შენი ყოფა ნათელში გვმართებს,
მშვენებავ შენი ხალისი სხვაა
ის ჩვენი სულის მაღალი ხსნაა.
ისევ მშვენებავ მოგიქსოვთ სამოსა,
რომ ჩვენთან ყოფა ისევ ინამო.
მოდი ჩვენს ყოფას მიეც იერი
ყველამ შეგხედოს, თქვან ბედნიერი
დღე გაგვითენდა მშვენებავ დიდი
შეხედე, ყველა შენი გზით მიდის.

დე: სიხარული ღებავდეს პარებს

არ მსურს შეჩერდე მდუმარებასთან
ნუ ჩაფიქრდები შენ ასე დიდხანს,
არრა კავშირი მწუხარებასთან
არასდროს გქონდა, არც ახლა გინდა.
ეს, მხატვრის ტილომ მოგვარა სევდა
და სასაფლაოს ფერი დაგედო,
ყოფნა-არყოფნა ყოველთვის სდევდა
კაცობრიობას თუ გსურს გახედო.
კაენის შემდეგ იღვრება სისხლი,
ცოდვილი დარჩა ადამიანი,
შავი ფერები, ულმესი ნისლი
მაინც მომტანი არის ზიანის.
შენ გაიხსენე ედემის ბალი,
ამგვარ ნაბიჯით გაითბე გული
და სხივმოსილი ჰქმენ შენი სახლი
სადაც სიკეთე დიდი გეგულვის.

ყოველი მიდის და რჩება ხსოვნა
სიკეთე მარად კი ტოვებს ფესვებს
თუ წვიმდა შარშან, თუ ძლიერ თოვდა
დღეს შენ სიხარულს ხომ დაესესხე.
ასე იარე ყოველდღე კარგო
რომ სიყვარულის სიმღერა ქარგო,
რომ მზეს მოქონდეს შენთვის სამოსი
ყველას უხმობდე, ჩემთან წამოდით
და სიყვარულის ტალღით მავალი
შენ მიმდევარი გყავდეს მრავალი
და მზე გამკობდეს შინა თუ გარეთ
და სიხარული ღებავდეს კარებს
შენსას და გერქვას მშვიდობის დედა,
გაუადვილო სუყველას ხედვა.
ხელს ჩამოგართმევ მარად და მარად
ჩვენს რწმენას ღმერთი კვლავ დაიფარავს.

ნაპიჯი შენი არ გახუნდება

ო, წამოსწიე მხრები დაღლილი
არ შეგაშინოს დროის ხუნდებმა,
ვგრძნობ შორეული ისმის ძახილი
ნაბიჯი შენი არ გახუნდება.
მაინც სიცოცხლე მძიმეც, დამღლელიც
და ქარიშხალი ფერდდალენილიც,
კარგია მაინც და ნუ აღელდი
რას იზამ დროა ზოგჯერ მხეცივით.
ადამიანო ჭიდილი განწრთობს
შეჯიბრებებში ჰპოვებ მშვიდობას,
ნუ შეშინდები, დიდხანს მსურს გასძლო
შენ ხომ ყოველთვის მზისკენ გინდოდა.

შენი სიმშვიდე და მღელვარება
დროს მოაქვს ყოველს, მკაცრსა თუ კეთილს,
ფარ-ხმალიც ხშირად აელვარდება
რასაც სხვადასხვა გულისხმა ერთვის.
ერთნი გარბიან, მეორე ხარობს,
სადღაც ამღვრევით წუთნი სტირიან
და ასე ბრუნავს მთელი სამყარო
სადღაც ლხინი თუ გასაჭირია.
ო, წამოსწიე მხრები დაღლილი
არ შეგაშინოს დროის ხუნდებმა,
ვგრძნობ შორეული ისმის ძახილი
ნაბიჯი შენი, არ გახუნდება.

ერთა სუჟექტა ჩვენ ვიყოთ კარგად

ვარსკვლავთა ცეცხლით ვხატავ მე სურათს
ზოგჯერ მშვენიერს და დაისრულსაც,
რადგან იცვლება დროში მანძილი
და უფრო ხშირად ვრჩები დაღლილი,
ღამენათევი, მჭერმეტყველ ფიქრით
ეს დრო როგორც მსურს, ისე არ მიქრის.
ქარტეხილებით შემოპარულით
უამი ტკივილით არს დაფარული.
ნიღაბთ მიმოცვლაც დამლელი არის.
ნიავი გკოცნის თუ შლეგი ქარი.
გაიღიმეო გეტყვიან იმ წამს
როს ეკალი გწვავს, არავინ გიცავს
შენ მსახიობობა, ანგელოზური
ტალახნასროლი, ჩრდილში მოსული
უნდა თქვა, ახლა ვარ ბედნიერი
თუნდაც დაგედოს იმ წამს მკვდრის ფერი.

სადამდე ასე? სამსალას მასმევთ?
თუ რაც არ მინდა ყველაფერს მასმენთ.
ოხ, ოხ ეს ფიქრები მბოჭავენ ძლიერ
მაშინ ცრემლი სდის ირგვლივ მშვენიერს.
რადგან ჩემ მხარეს არის ყოველი
მეც სიკეთის და სითბოს მპოვნელი
მივდივარ ახლა უხიაგ გზაზე,
ნუღარ შემასმენთ ქარდაკრულთ აზრებს.
ისევ სიცივე, მე კი ობოლი.
ვფიქრობ ამ დროში რისთვის მოვრბოდი
თუ მე სეკეთე აღარ გამათბობს,
თუ ქველებურად ისევ დამათოვს.
მეუბნებიან ხედვაა ახლის
და განბრნყინდება კვლავ ჩვენი სახლი
და მეც შევჩერდი ლოდინის კართან
ნეტავ სუყველა ჩვენ ვიყოთ კარგად...

დროში მიღება შევცურდე, სულ ხალისი მივცე

მიფრინავენ მერცხლები,
ნეტავ საით, საით,
მე დროში ვივერცხლები
აისასა თუ დაისას.
მომღიმარი შევყურებ
ამ დიდებულ სივრცეს,
დროში მინდა შევცურდე
რწმენას შუქი მივცე,
იდილიას უწრფელესს
რომანტიკას სულის,

ღმერთო ყველას უშველე
გზა გაუხსენ სურვილს
რომელიც მწამს ბოლომდე
უღალატოდ დადის,
დრო არასდროს ბოლავდეს
არ იცოდეს დარდი.
მომღიმარი შევყურებ
ამ დიდებულ სივრცეს.
დროში მინდა შევცურდე
სულს ხალისით მივცე.

გახსოვს ცისფერი დარბაზი, ვალსი

გახსოვს ცისფერი დარბაზი, ვალსი
ტანგო, ფოქსტროტი და გადარევა,
შამპანიურით ავსილი თასი
ჯადოსნურ ნუტში დროს გატარება,
მუსიკის ცეცხლით დამთვრალი რიტმი
და ბრნყინვალების მაღალი სახე,
წარმოსახვაში ის ახლაც იცდის
ახლაგაზრდობა როს თვალებს ახელს.
და მოდის ისევ ჯადოსნურ ფერთა
და მაღალ კართა გამღები მაცნე,
ჩვენი გულები რომ შეაერთა
ახლა დედოფლის სამოსელს აცმევს.
ისევ ცისფერი დარბაზი, ვასლი,
ტანგო, ფოქსტროტი და გადარევა.

შამპანიურით ავსილი თასი
და ჯადოსნური დროს გატარება.
გიყვრდა მეტად, ბრნყინავდი მაშინ.
თითქოს მიქროდი შენ ოქროს რაშით,
ვერც გენეოდნენ რაინდნი მძლავრნი,
და გულის სწორი შენ ბოლოს სცანი.
და სიყვარულმა აგიგო კოშკი
მზიანი იყავ შენ ყველა დროში,
ხატება იყავ მხატვრის მწვერვალის
ჯადოსნურ სითბოს თითქოს ძერწავდი
და ახლა მინდა მოგიძლვნა ლექსი
და ჩავაქსოვო დიდი ალერსი,
სულის ყვავილი ხარ ახლაც, მარად,
დიდხანს იარე ჩვენს გასახარად.

29/IV-2015 წ.



გვანცა ხარაიშვილი

* * *

თქვენ ამბობთ,
რომ სიყვარულის სწავლა შეუძლებელია. .
...
სირბილის დაწყებამდე უნდა შეჩერდე,
ყური მიუგდო სხეულის სიჩუმეს
და მერე გაიქცე.
მოგზაურობის დაწყებამდე
უნდა ააშენო სახლი,
ნასვლამდე უნდა დარჩე.

როცა თენდება,
როცა ღრუბლებს ძარღვებს აცლიან
მარშრუტს აცდენილი თვითმფრინავები,
როცა დღე დაბადებისთანავე
სიკვდილისთვის იწყებს მზადებას –
უკვე მერამდენედ მიყვარდება არ ვიცი.

მიყვარდება მუშა იმის გამო,
რომ ძირგაცვეთილი „ჯეკსონები“ აცვია,
მიყვარდება გარემოვაჭრე იმის გამო,
რომ მსხალს სხვებზე იაფად ყიდის,
მიყვარდება ჩემი ქუჩის კუთხის მათხოვარი
იმიტომ,
რომ აღარსად ჩანს და იმედი მაქვს მოკვდა,
აორთქლდა,
ან ჯეკოტი მოიგო –
დაამშვიდა ხალხის სინდისი.
მიყვარდება ქალაქის საცობი,
სადაც ბევრი დრო მაქვს ვიფიქრო

და აღმოვაჩინო კვლავ ვერაფერი
საკუთარი თავის გარდა.

ქალაქებში დაღამებამდე ილევა
უანგბადის მარაგი.
ამიტომაც,
სკვერებში მოსეირნე წყვილები
ერთმანეთის ფილტვებით სუნთქავენ.

როდის იყო ბოლოს
ჩემმა თვალებმა რომ გადმოასხა
შენი ხელების ფიალაში
მოტკბო ღვინო?
ვერ ვიხსენებ..

შიშები კუბიკებივით სწრაფად
და პირამიდებზე უფრო გამძლენი იგებიან.
გადამადე შენი შიშები
გადამისხი შენი ტკივილები,
სანამ დროა.
სანამ დროა.
სანამ სიყვარულს ვისწავლი.

ქარი ანგრევს მარტოობის კედლებს
ამ ღამით.
გადავამრავლე ჩემი სახლის გასაღებები
რომ შემომეშვი.
რომ მომეთმინა კოშმარების
ჩუმი კივილი

შენი სახიდან,

მყარად მიმება უსახელო სურვილების
მთელი კასკადი
მაგ თეთრ მკლავებთან.

სახლებში ყველაფერი სწრაფად ირევა.
სანამ იპოვნი კარადაში მიმალულ კაშნეს,

შესაძლოა,
ყველაფერი თავდაყირა დადგეს.

თუ გასაღებს არასწორად მოარგებ კლიტეს,
კარის გატეხვა მოგიწევს.

არევა მოგიწევს
სახლის,
ნივთების,
ამბების.

მერე,

როცა ეს არეულობა
სიცოცხლესავით ბუნებრივი მომეჩვენება,
შენ მეტყვი რომ
არა!
და ყინულივით სახის ნაკვთები
აბზაცის დაწყებამდე დასვამენ წერტილს.
დასასრულია.

ვათენებ,

ლამეებს არა,
მოგონებებს,
რომლებსაც ჩემთან ყველა ძაფი დაუწყდათ.
დავდივარ ყველგან სადაც არ/ვერ ვიყავით.
გიკითხავ ლექსებს პოეზიის იმ საღამოზე,
სადაც არა ხარ
და როცა სიზმრებში მეცხადები
გიმეორებ,
რომ გავიგე შენი შიში,
გავიგე სადა ხარ.

ხელებს მხვევ მხრებზე.

ისევ გინდა აკოცო ეშმას
და გიმეორებ
რომ გავიგე შენი შიში,
თუმცა არ ვიცი სადა ხარ.

მსვავ ნავში

და გადაცურვას მპირდები ზღვისას.
მე გიმეორებ,
რომ დიდი ხანია
გავცდი ნაპირს,
უკვე შორსა ვარ.

პირველყოფილ ემოციებს

სულიდან მაცლის ის სიცივე,
მე რომ დამბადა.

დეკემბრის თვეში იფურჩქნება
მინდვრის გვირილა.

რასაც ვეძებდი თავთან მედო
დიდი ხანია,
გულთან მედო
დიდი ხანია.

ახლა,

როდესაც ხელებს იბან სისხლიანს,
პარაკლისს უხდი სიყვარულის
მომხრჩალ ემბრიონს,
უთავბოლოდ ებმები გარდაცვლილი
გრძნობების ქსელში,
ილუზიების სამყაროდან გამოაბიჯე –
უკვე დროა,
უკვე დროა,
სიყვარული ვისწავლე.





ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა
ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი მოენამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს გახელილს...
დედის აჩრდილივით აფრთხობდა წყურვილს

და
ტუჩებზე მიედო რძისფერი სახელო,
ღმერთმა დაგწყევლოს...
ღმერთმა დაგწყევლოს!
გათათრებული ქართველის სისხლზე
ხომ არ ამოდიხარ ძახველო?!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ლამაზი ვარ – ფიქრობ სარკის წინ,
– რა ლამაზი ხარ! – გილიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და –
შენი მწიფობა იწყება ასე.

ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
– რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევ,
– რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
– როგორ მიხდები! – დახედავ კაბას,
– შენ კი გამიქრი! – გპასუხობს დედა!

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და
– ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,

მე საკუთარი ბოლმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი...ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ლელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიგმარი

ბალი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოებს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან

ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბალო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბალში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!





გულნაზ ხარაიშვილი

წერბა

წვიმავ, გადამწვარი ბალახის მაცოცხლებელო, მანამ გეფერები, სანამ დედამიწის გულს არ შეენივთები. როგორ შეგიყვარო სხვისი ნაფერები, შენ, ყველა რჯულის ადამიანთა ლეიბი ხდები.

სულაც არ დარდობ ვინ ჩაგნიხლავს, ან სიფრთხილით ვინ გადაახტება შენგან დაგროვილ გუბებს, ისლა დამრჩნია, ხელი გავშალო შენი წვეთები თითთა მტევნებით შევაგროვო, ჩემი სხეულის სითბოთი გაგიშრო სახის ლოყები და ჩემში დაგტოვო.

ლორსობა

ლექსებო, სიმშვიდით გულს შემომლიმილეთ,
მოდი, ვაზს ვაუწყოთ ნაფიქრი სიფრთხილით.
აკეკლუცდებიან ია და ღილილო...
გულმკერდმა ჩატვირთა ძარღვების დუღილი.
დღეს მინდა შეგეხოთ ბწკარებო ხელებით
სათუთად ჩაგათბოთ, სიფრთხილით უბეში...
უთქვენოდ დამცივა თვალიდან ცრემლები...
უთქვენოდ ლექსებო, არა მაქვს ნუგეში.

აღარათებს არ ვჩინები (ხალხურ მოტივებზე)

ჩემს სუფრაზე მხრებგაშლილი,
ქარი არის დიდგულა.
წყენა არ მაქვს ჯერ წაშლილი...
გული ამომიგულა.
სანოვაგე რაც კი მქონდა,
სულ წაილო წამართვა...
გაქონდა და გამოქონდა,
არ იკითხა წებართვა.
გავეცალე... რადგან ბედი,
მქონდა ისეც ტანჯული,
სინდის-ნამუსს შევაბერდი,
თუმც დამჭირდა მსაჯული.
ითათბირეს მეგობრებმა
მლიქნელებიც ერია,
ისარგებლეს სულით ბრმებმა,
დამინგრიეს კერია...
ქარმა სხვა გზა აირჩია,
დადის ბოლმა მოჩრილი...
საქმე როცა გავარჩიე,
გავხდი უფლის მორჩილი.

ძარო

ხედავ მშვიდად ვარ, არ გეომები,
გულის გამლენო, ბოროტო ქარო...
თუმცა არასდროს დაგემონები...
ვცდილობ, რომ არსად გადაგეყარო.
სულის სიწმინდით მივაღწევ ვიცი,
მიზანს... რომელსაც გულში ვინახავ...
ისე წრფელი ვარ არ მიყვარს ფიცი,
შენ კი სიავით მუდამ წინასწარ.
ჩემში შენ ვიცი რომ ვერ შეაღწევ,
ჩემს სიახლოვეს ნულარ ჩერდები...
მაგ სიბოროტეს კალმით ავღწერ და...
მე შენ არასდროს არ დაგნებდები.

გიტჩი

შვილების დედას ცუდი არ კადრო,
ხალხში არასდროს არ დაამცირო...
მოეფაქიზე სიტყვით არ კაწრო,
მტერი არასდროს არ გააცინო.
იყავი კაცი, თუ კაცი გქვია,
და ნუ გახდები მაროს სამართი,
ნურც დაუჯერებ საყვარელ იას,
ასავლელი გაქვს დიდი აღმართი...
წინ შემოგხვდება შენი მესია,
ნაზამთრ ხესავით რჩები შიშველი,
ქარაფშუტები ტალახს გესვრიან
შვილების დედა?

მაინც გიშველის...

დავალ ფიქრთა ლამაზ ხეივანში

ბნელეთს უფლის რწმენა გაანათებს,
ყინულს გულის სითბო გამოალლობს...
ღმერთო, მადლის თესვა დამანათლე,
მზეთა ფანჯარა მსურს გამოვალო.
ჩემი, იმედების ბილიკებზე,
გულო, ჩუმი დარდით ნატყვიარობ...
ჰოდა, რწმენით უნდა გამოვკვებო,
ნისლში უიმედოთ არ ვიაროთ...
დავალ ფიქრთა ლამაზ ხეივანში,
ფიქრი ჩემი სულის ნანილია...

ია ამოსულა იანვარში,
მთაში თეთრი თოვლის ქორნილია.
მთვარეს ირგვლივ კრება გაუმართავს,
ლექსებს ღალანობენ ვარსკვლავები...
თასი ცის მნათობმა გამომართვა,
მგონი რუსთაველის დავალებით.
ცაო, იმედების მარგალიტო,
ლექსთა ღმერთი შენით დავინახე,
შენ მე არასოდეს არ მღალატობ,
შენ მე რუსთაველი დამანახე.

სიბრძნის მდინარე

(აკაკი წერეთელს)

საუკუნეებს სულს უბერავენ,
შენი ლექსები სიბრძნის მდინარევ...
გაზაფხულს სამოსს შეუკერავენ,
გააღვიძებენ, ზაფხულს მძინარეს...
და ვაფრთხიანებთ მტრედების ხუნდებს,
თუმცა სიმები დაფანტულია...
შენ ბრძნულ ნააზრებს რა გაახუნებს
„სულთშესაფარის“ საფლობელოა.

სიმშვიდის მაღი

ნუღარ ჩამაცმევთ სევდის სამოსელს,
ალარა ძალმიძს ცრემლის ატანა...
ეს ბედისწერა ჩემს სულს ჩამოსერს,
ნეტავ ცის იქით გადამატარა.
იქ მეგულება სიმშვიდის ბალი,
ჩემში წვიმები გადაიკარებს...
გულს დავასვნებ ნასეტყვს და დაღლილს,
ზენრად ცის საბანს გადავიფარებ.

შენ

შენ ქართან ყოფნა გიხდება ისე,
როგორც ბაძაძგნარს ყოჩივარდები...
ქარიშხალს ნასუსხს კვალდაკვალ მისდევ,
გაფრთხილდი... კლდიდან გადავარდები.

ნუთუ

ნუთუ არ ვარ ყურადღების ღირსი,
ნყვდიადში ვარ, მზეო რად ვერ მამჩნევ...
ლამაზ სხივებს სულ სხვა მხარეს ისვრი,
უკუნეთში მარტოდ როგორ დავრჩე.

ცაში

ჩემი რჩეული ცაში მეგულება,
ჯვარს იქ დავინერ და ვიქნები ბედნიერი...
ჰო!ამოგხსენი ფიქრთა დებულება,
დრო ახლოვდება, მრავალუამიერის.

ჭინჭარი

ო, ჭინჭარო, რა ძალიან მსუსხავ,
დაჭრილ ჩემს გულს, შენი ფოთლით მიხვევ...
ჩემი კანი არის ნაზი, სულსხვა,
რომ არ გითხრა, ამას უნდა მიხვდე...

ცის აივანი

როცა მზე თავის სხივებით ღრუბლებს
ცის აივანზე გადაფერთხავს...
ქარი ნისლებს ალოკავს და გული დაინყებს
გაზაფხულივით ფეთქვას.

გული

გული ბედისწერისგან ნატანჯ-ნაისრია,
სიხარულის წუთებს ვმარცვლი...
ჩემი დაბადების დღე ხუთი მაისია,
ქარი არაფერს მაცლის.

შეჩვეულ ვარდთან

შეჩვეულ ვარდთან რატომ თრთი გულო,
რად გეშინია შეხება ეკლის...
ვარდი არ არის თვითონ უგულო,
გაბუტულ ბულბულს ისევე ელის.
იქნებ აყვავდეს ლურჯი იები,
გაზაფხულებას უნდა მოვესწროთ,
უიმედობას ნუ ვეწირებით,
ვარდის ქორნილში უნდა დავესწროთ.

თირტის გუდა


ზოგჯერ ფიქრი ზღვის და ზეცის ტოლია,
დაქრის ყველგან, არ სჭირდება მაშველი...
ღრუბლები კი სიგარეტის ბოლია,
გავიჭვარტლე, აღარა მაქვს საშველი.
რეალობით? მზე ძალიან შორია,
სევდაშია ჩემი გულის სამყარო...
არ დავიწყებ უკვე არსად ბორიალს,
ფიქრის გუდა აქვე უნდა დავყარო.

ქართ

ჰმ! შენ არ იცი ვის შეერკინო,
ვის დაადინო ცრემლი თვალიდან...
ო, გულო ჩემო არ გაეტირო
ჩვენ ამოვედით დარდის ვალიდან,
მერცხლის ჭიკიკი შორიდან ისმის,
მზე ზენიტზეა, ახურავს ჩადრი...
აღარ მანუხებს ხმაური წვიმის,
რადგან მფარველობს ლვთაება არდი.

თაკარტაბა

თაკარებაა... ჩემთვის წვიმს და ქარიშხალია,
ირგვლივმყოფები მარაოთი, გულს იგრილებენ,
ო, ეს წარსულის მოგონება ანჩხლი ქარია...
ფიქრის ღრუბლები ქვა და ღორღში დამატარებენ.
ჰოდა, სჯობია ეს დარდები დავიმორჩილო,
თავშესაფარი ავაშენო მზეთა სადარი.
ჩემი ტკივილი, რაც მანუხებს, გულს არ შევჩივლო...
რადგან წლები მაქვს დიდი ავდრით ნაავადარი...



უსასრულობაში

უსასრულობაში საუკუნეებს მზის სხივებით ართავენ...
გარდაცვლილი პოეტები ვარსკვლავებია,
შოთას პოეზიის ღმერთად ნათლავენ,
ცისარტყელები მგოსანის მხარმკლავებია.





მაია მახარაშვილი

სად წახულ, ლექსო?!

(აკადემიის წევრებს)

ფუნჯს და საჭრეთელს, კალამს და მნათობს,
მხატვარს და პოეტს, სივრცეს და სიტყვას
მირქმა-ღიმილით ქალღმერთი ათბობს
და ძალისხმევას არ ლამობს რითმა...

მოვედი თქვენთან – ლექსი მწყურია,
ალალი, როგორც წინაპართ მზერა,
მე სალექსეთის ურჩი მდგმური ვარ,
თვალს ვერ ვუსწორებ პარნასის მწვერვალს!

მსურს შეგაგებოთ ლექსი მჩეულარე,
ნაპერნკლის დარად, ციმციმ-მზისფერი,
ლომგულ ზვირთივით მხნედ და მღელვარედ
შეგეხმიანოთ ჰანგით ძირძველით...

მაგრამ სად წახველ, ლექსო, მფრინავო?
ნატერფალს შენსას დავეძებ ცაზე!
მითხრეს: „ლაუვარდში ქრის და ხმიანობს“, –
პეშვს ვუშვერ მზეს და სტროფებით ვავსებ.

ზოგჯერ თვალთაგან გმალავს ცისკარი,
ხან ცისარტყელა დაგიგებს მახეს,
ზოგჯერ ლანდი ხარ, – ჩემი სიზმარი,
ხან ისრიმი ხარ, კუშტი და მკვახე!

შენ ფუტკარი ხარ, ნექტარ ნაგემი, –
მგოსანთ სინდისი, სისხლმომდინარე!
ზოგჯერ ეგ სული გტკივა ნაგვემი,
გული ხან მხნე გაქვს, ხანაც მგმინვარე...

თუ გამიბრაზდი, დამემალები –
მთების კალთებზე გეძებო უნდა,
თუ დაგენისლა სევდით თვალები,
არად ჩააგდებ ჩემს ცდას და ზრუნვას!

ნეტავ სად დაპქრის, სიტყვათ ფანტელი,
ლექსი ხალასი – მუზათა გზნება?!
ალბათ ცის თაღის უხმობს ნათელი
და ელვარება ვარსკვლავთ და მზეთა!

10.12.2015.





სერგი ლომაძე

ჩვენი არაფრობა

პოეტის სახე – გაბნეული წვიმის ფერებში,
შენი სახე კი – დაღალული, ობოლი ია;
და სიფერადე – წაქცეული იმ სიბნელეში,
რომელსაც ჩვენი მტვრად ქცეული სამშობლო ჰქვია.
ქუჩაა, და მე – მონატრული ვარდისფერ ედემს,
გიხსენებ ასე ხმაგაბზარულს, ცრემლების მმალავს;
თმები – ფერადი სიზმარები ოცნების შემდეგ,
თვალები – მათი სიტყვით შობა არ ძალუძს კალამს...
ქალაქი-გლოვა, და გლოვაში – მისტიკა წვიმის,
უცნობ ლანდებში მეც ლანდივით ხეტიალს ვიწყებ,
ზევით ზეცაა, იქ სამყაროს გუგუნი ისმის,
იქ ვარსკვლავების სითეთრეა – სულების სივრცე.
აქ რარიგ ტყვევე ვარ! რა შორსაა ახლა ის მხარე,
ფერადი წვიმით რომ მიგზავნის, მხოლოდ, ბარათებს!
ჩემში რომ ცოცხლობ, ვით სიგიურ, ისლა მახარებს,
და იაქეზე რომ აგორებს ბედი კამათელს,
უკვე ვიცინი; მერე მოდის ლურჯი სიზმარი:
შენ თრთი, ვით ბავშვი, ცრემლებისგან პეშვებს აივსებ,
და სიყვარულად გადიქცევა გრაალის წყალი,
და შენი სითბო მე გამიყვანს გრძნობის ნაპირზე...
ქალი, რომელიც დამიხატა მოლურჯო წვიმამ,
ქალაქის ყველა ფანჯარაზე და ყველა ჯვარზე,
ქალი, რომელიც სიყვარულზე მეტადაც მიყვარს,
ქალი, რომელიც ღვთისმშობელის არყოფნას ავსებს,
ცხოვრობს როგორაც არაფერი, და ისე კვდება,
მხოლოდ ეს ლექსი თუ ახსენებს სიკვდილის შემდეგ,
და ისიც მაშინ, თუ გასცდება ჩემი დიდება
ერთ დაობებულ და პატარა ოთახის კედლებს...
ქალაქი-გლოვა, და გლოვაში მისტიკა წვიმის,
უცნობ ლანდებში მეც ლანდივით ხეტიალს ვიწყებ,
ზევით ზეცაა, იქ სამყაროს გუგუნი ისმის,
მხოლოდ იქ არის უნამდვილეს პოეტთა სივრცე!..





**აბულ-მესხი
დავით აბულაძე**

წუთისოფლის სამღრავი

გულო რატომ დაღონდი? რატომ დაგიჩივლია?
ტიალ წუთისოფელში ჩვენ სულ ასე გვივლია,
რითლა უნდა მეტკინოს გული დაგლეჯილია?..
ბევრი მწარე მინახავს, ბევრიც გამომივლია.
მხოლოდ უფლის იმედით, მისი მადლით მივლია!
ხშირად კიდეც დავეცი, მიწა მუხლით მითლია.
თუმცა ღმერთის წყალობით წამოდგომაც მიცდია.
რადგან დავით მასწავლა: -„ყველა ცოდვის შვილია,
სათნოაო უფლისთვის გული შემუსვრილია!“

საქართველო

სანამ ვცოცხლობთ გავიტანოთ უნდა ლელო,
სანამა ვართ მოვიაროთ მთა-გორები.
არ შეშინდე, არ დანებდე საქართველო,
მტრის ჯინაზე ერთხელ კიდევ წამოდექი!
ქართულ სიტყვას დავენაფოთ მეგობრებო,
დაფარული სიბრძნე არის ნაგროვები.
არასოდეს დაგვავიწყდეს ბრძნული კითხვა,
– სამშობლოსთვის ოდესმე თუ გამოვდექი?!
რას გვასწავლის საქართველოს ისტორია,
ვინ ვიყავით ქართველები, როგორები?
თუ გვინდა რომ მაგალითი თვალწინ გვედოს,
გავიხსენოთ წინაპართა გმირობები.
ვერ ახშობდა მათ გმირულ სულს მტერთა რისხვა.
ვერც წამება და დუხტირი პირობები.
ერისათვის, ღმერთისათვის, ქვეყნისათვის, -
სისხლით მორწყეს საქართველოს ველ-მინდვრები.
ლაჟვარდი ცა რომ დაგვნათის, ესეც კმარა.
ამ ცაშია მათი სულთა სამყოფელი!
ოდესმე ხომ შევიყრებით ყველა ერთად
ნუ იქნება ცოდვა ჩვენი გამყოფელი!..

გიზანი

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ცაც კი არარის ერთფერა.
ვაჟამ, ილიამ, აკაკიძ
ბევრი შეცვალეს ჩემფერა.
რასაც რომ გუშინ ვნატრობდი,
დღეს ის არ მიღირს ჩალადა,
სულ სხვაა ჩემი მიზანი,
მასზედ ვიდგები მყარადა!
რა ვუყოთ, მსხვერპლს თუ მოითხოვს,
განა ეს დასაწუნია?!
ავისგან კარგი გარჩევით
ასე ვის დაუწუნია?
თვით ქრისტე ღმერთმა გვასწავლა
მსხვერპლად შეწირვა თავისა,
მაშ, ჩვენ რად უნდა დავბრკოლდეთ,
რად გვეშინოდეს ამისა?!

სულაც არ უნდა დავბრკოლდეთ,
არც გვეშინოდეს ამისა,-
ვინც თავს გასწირავს მოძმისთვის,
ის მოყვარეა თავისა!

დეკემბერი 2005წ.

თარგმანები

.....



მაყვალა გონაშვილი

...

გაირბინეს შრომაში
ნლებმა, როგორც წამებმა,
გაზაფხული შეცვალა
ზაფხულმა – მზის თვალებამ.
შემოდგომაც გავიდა,
გაილია ზამთარიც,
მთებში ქარი ღმუოდა,
ვით მშიერი აფთარი.
ხმა გავარდა ჩიირდი,
რომ ფეხმძიმედ არისო,
უაკიბ-ბაის იურტა
მოლოდინით აივსო.

...

მზესაც ახლავს ჩრდილები და
ზოგჯერ ლოცვას მოსდევს წყევლა,
ბაიბიჩის სიხარული
ტკივილებმა გაანელა.
დღე და ღამე ტირის, მოსთქვამს,
აღარა აქვს მოსვენება,
ცრემლი ერთვის ნაკადულებს,
მისი ოხვრა ზეცას წვდება,
არ აკარებს პირს არაფერს
არაფერი აღარ უნდა,
გუნებაობს, ჭირვეულობს
ხასიათი გაუცუდდა.
„მიშველე და მიაქიმე,
უაკიპ, ჩემო თვალის ჩინო,
ვაჟკაცი და უშიშარი,
თუ გსურს ვაჟი გაგიჩინო,
თუნდაც ცხრა მთა გადალახე,
თუნდაც უღრან ტყეში წადი,
ვეფხვის გული მომიტანე,

პოემა

მარ ბაჯიევი

მანასი

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3 ტომში

დავიამო ხვაშიადი.

თუ არა და, ხედავ კარგად,
გულს რომ მიღრღნის დარდის ჭია“.
ერთ დღეს უაკიპს უთხრა მწყეშსმა
მერგენჩის ვეფხვი დაუჭრია.
გაიხარა ბაიბიჩია,
აჲა, ბადალ, ოქროს ზოდი,
ვეფხვის გული მომიტანე,
გევედრები მალე მოდი.
და მოხარშეს წყაროს წყალში
გულმამაცი ვეფხვის გული,
და დამშვიდდა ჩიირიდი
უჭმელობით გათანგული.

...

დღე-დღეს მიჰყვა, გაირბინა
ცხრა თვემ, როგორც ერთმა წამმა
და ფეხმძიმე ბაიბიჩი
ტკივილებმა გააწამა.
კივილით და ვაი-ვიშით
გააყრუა არე-მარე,
მგონი ვკვდები, კინდივ-ენე,
მომხედე და მომეხმარე.
გადავყვები, ვხედავ, მუცელს,
ვერ მიშველის ახლა ღმერთიც,
ძუნნ უაკიპს კი რჩება მხოლოდ
ახალგაზრდა ბაკდოლეთი.

მდიდარია უაკიბ-ბაი,
მე კი ვნახე რა ხეირი,
მე აქ ტკივილს შევეჭამე,
თავად დადის არხეინი.
იქნებ გულში კიდეც ხარობს,
მე კი მერგო ტანჯვა წილად,
მოიყვანეთ შავრა ცხენი,

კოკ-თენგირის შესაწირად.

...

ლოცულობდა ჟაკიპ-ბაი,
აღაპყრობდა ხელებს ზეცად,
გულს გაჰქონდა ბაგა-ბუგი
ნამი საუკუნოდ ექცა.
დაუძახა მეზობლის ცოლს
ბერდიკ, ჩემს ქალს მიხედეო,
მოლოდინმა ლამის მომკლას
მთაში უნდა წავიდეო.
აღარ მერჩის უკვე მუხლი,
მიკანკალებს ხელებიო,
არ მსურს, ვინმემ დაინახოს
ბერიკაცის ცრემლებიო.
თუკი ქალი მეყოლება,
მთაში არვინ მომაკითხოს
ბებიაქალს ასე უთხარ,
სუიუნჩის¹ ნუ მოითხოვს.
ღმერთი თუკი ვაჟს მიბოძებს,
არ დავეძებ წლობით ნაშრომს,
მახარობელს მე ორმოცი
რაში უნდა ვუფეშქაშო.
...

მთვარის ბილიკს ცხენოსანი
მისდევს, როგორც მთვარეული,
თითქოს იყოს ხელი ვინმე,
ვინმე ჟამ-კარარეული.
როცა ცაზე მიილია
მთვარე, ზეცის ავგაროზი,
მთის ფერდობზე დაინახა
ბაიმ თავის ჟორგობოზი.
აი, ცხენი სანაქებო,
უთვალავი ჩემი ფარა,
თქვა ჟაკიპმა და აღმართი
ნელა, ჩორთით აათავა.
ეს ცხენებიც და ეს ცხვრებიც
შვილს ველი და მისთვის მინდა,
თქვა ჟაკიპმა, ამ დროს შავრა
ბალახებში აჭიხვინდა.
სავრასაი მაკედაა?
ყოჩაღ, ჩემი ჟორგობოზი,
მალე შვილი გეყოლებათ,
მალი კვიცი – აიმანბოზი
რა თქმა უნდა, ჯიშიანი,

რა თქმა უნდა სანაქებო,
თუ მემკვიდრე გამიჩნდება,
კვიცს ჩემს ვაჟუაცს ვაჩუქებო.
ვერსად ნახავთ ქვეყანაზე
ფაშატს სავრასაის ბადალს.
მოეფერა კაცი ცხენს და
ამ დროს კვიციც დაიბადა.

თავის ჯოგთან და ფარასთან
დაე, დარჩეს ბაი მთაში,
მივაკითხოთ ბაიბიჩეს
მშობიარეს იურტაში.
თვალი არც კი მოუხუჭავს,
კვნესის, შფოთავს მთელი კვირა,
ბაიბიჩეს ასე ტანჯვამ
ყველა ძლიერ გააკვირვა.
„რით ვერ გაჩნდა ნეტა ბავშვი
არ ასვენებთ კითხვა ქალებს,
ზოგი აწვება მუცელზე,
ზოგი თავთან დასტრიალებს.
როგორც იქნა, აწრიალდა
ლვთის წყალი და დაიღვარა,
მზე დაწვა და მთვარე შობა,
ყველამ გულით გაიხარა.
იურტაში დღე ნათელობს,
თუმცა გარეთ წვება ბინდი,
დასთამაშებს პირზე სხივი,
აღარ კივის ჩიირიდი.
ვაჟია თუ ქალიშვილი,
დამანახეთ, ვინ არიო,
მოდი ჩეარა სულაიკა,
გადაუჭერ ჭიპლარიო.
მადლსა გნირავ კოკე-თენგირ!
ჩიირდიმ შვილს გადახედა
ათ ქალს ძლივს ეჭირა ბალლი
ხუთი – თეთრ ზენარში ხვევდა.
და ქალები აჩურჩულდნენ,
ბალლია თუ დევიაო,
ბაკდოლეთმა ძვრაც ვერ უყო,
ათმა ვტაცეთ ხელიაო.
ბალლია თუ ბოკვერია,
ეს რა ხმა აქვს საზარიო,
ისე ძლიერ დაიყვირა,
მთებმა იწყეს ზანზარიო.
დაენაფა დედის ძუძუს,
თვალიც გაუნაბიაო,

¹სუიუნჩი – მახარობლის ჯილდო.

ბალლი არის თუ ვაჟკაცი,
ეს რა ჩიტი აბიაო.
ვერაფერი შეგვიტყვია,
ბალლია თუ აფთრის ძეო,
ძუძუს სისხლი დადინა,
როცა შესვა დედის რძეო.
„დედა ვარ და თანაც, ვაჟის,
გულით გავიხარე, დებო“ –
თქვა ჩიირდიმ და გოლიათს
პირში გამოავლო ერბო.

მოხუცი თუ ახალგაზრდა
ყველა ეძებს უაკიპ-ბაის,
მათ ფეშქაშად უნდათ ცხენი,
შეაჯერეს მთა და ბარი,
სულაიკაც მიდის სახლში: –
„შენს ხელთაა, კაცო, ბედი!
არაფერი გაგიგია?
აკბალტ, ნუთუ გამოშტერდი.
წადი ძმასთან მახარობლად,
განა გვაწყენს კარგი ძღვენი,
ყველა ეძებს მოხუც უაკიპს,
ადექ, კაცო, გაინძერი!“
„კარგი ერთი, სულაიკა,
გეშინოდეს ღმერთის რისხვის,
სად ვეძებო ძუნი უაკიპ,
სად წავიდე, ანდა რისთვის?
ნეტავ მე რა სარგებელი,
ბაი სიტყვით გავახარო.
იქნებ გზაზე დამხვდეს ქურდიც,
იქნებ ხიფათს შევეყარო.
მთელი კვირა გაწყდი წელში
მთელი კვირა არ გეძინა
რა გაჩიუქა ბაიბიჩმა,
როცა ვაჟი შეეძინა?“
„მომცა აი, ეს ჩაპანი²,
ბურდუკი³ და ხილაბანდი“.
უაკიპ-ბაი ცხენს გიბოძებს,
ბერიკაცო, ძმასთან წადი.
რაღა ექნა საწყალ აკბალტს,
აღარ ჰქონდა მეტი ჩარა,
კეკჩიოლოკს შოლტი გადაჰკრა
და ჯაგლაგი ააჩქარა.
სწორედ ამ დროს მთის ჩანჩქერთან

უაკიპ-ბაი კვიცსა ბანდა,
მიახარა მას აკბალტმა: –
„ძმაო, შვილი დაგებალა.
ბაიბიჩემ შობა ვაჟი,
მართლაც ლომის ბოკვერია!“
მოხუც უაკიპს სიხარულის
ცრემლი თვალზე მოერია.
აპა, ძმაო, მახარობელს
გიფეშქაშო ოქროს ზოდი,
წყალობისთვის, მადლი უფალს,
ამისრულდა, რასაც ვთხოვდი.
შენთვის არც რა მენანება,
შენი იყოს ცხენთა რემაც,
გავაჭენო უნდა რაში
ლომი მელის იურტაში.
...
გათენდა და მზემ ზეციდან
ჩამოუშვა სხივთა ფარდა,
ბაიბიჩე ვაჟით ხელში
იურტიდან გამობრძანდა.
სად იყო და სად არ იყო,
მხედარს ჰკიდა უცებ თვალი,
ლხენით სავსე უაკიპ-ბაი
მოჰქრის, როგორც ნიავქარი.
ძველი დარდი, ძველი სევდა,
დაავინყდა ყველაფერი,
აქვითინდა უაკიპ-ბაი
ამაყი და ბედნიერი.
დაიჩოქა ცოლის ფერხთით
როგორც ქალღმერთ მარიამთან,
უფალს სთხოვა: – ჩემი ვაჟი
გამიმრავლე ერთი ათად.
მე თუნდ მოვკვდე, აღარ ვდარდობ,
თუნდ გავთავდე სულ ერთ წუთში: –
თქვა მოხუცმა, ვაჟიშვილი
ჩაიხუტა თბილად გულში.
...
ვინ თქვა, უაკიპ ძუნწია და
ვინ თქვა, არის ქვაწვიაო,
რა ძეობა გადიხადა,
ეს რა ხარჯი გასწიაო.
საგვარეულო ალამი,
მაღლა ცისკენ ასწიაო.
მოიწვია მან სტუმრები
ლხინში ყველა აულიდან

²ჩაპანი – ყირგიზული ხალათი

³ბურდუკი – ტყავის ტომარა.

და კაზანებს⁴, ხორცით სავსეა,
ოხშივარი აუვიდა.
სამოცდაათ იურტასთან
გაიშალა ხის ლანგრები,
და ჩამოსხდნენ ყირგიზები
ჩინელები, ყალმუხები.
არა მყოფნის მე სიტყვები,
ის ძეობა როგორ ვაქო,
ქეიფი და დროსტარება
იყო მართლაც საარაკო.
გაილია დღე და ბინდი
შეეპარა როცა ზეცას,
როცა მამაც ფალავანებს
ჯილდოები გადაეცათ,
როცა მორჩა მარულა და
როცა ლხინის უინი დაცხრა,
როცა შვიდასი კოცონი
მიინავლა, ჩაინაცრა.
უაკიპმა იხმო სტუმრები,
სთხოვა: – ყური დამიგდეთო,
რა შევარქვა ჩემს ნანატრ ვაჟს,
გევედრებით, მირჩიეთო.
ვინც შეურჩევს ჩემს ძეს სახელს,
მას ერგება ჩემგან ძლვენი,
გამოჩნდება ახლა თქვენში
თუ ვინ არის ბრძენთა-ბრძენი.
იკამათეს, იმკითხავეს,
გაიხსენეს ყველაფერი,
სახელი ვერ შეარჩიეს
ვაჟკაცისთვის შესაფერი.
უცებ სტუმრებს გამოეყო
მანანწალა, ჯოხით ხელში,
გამხდარი და საცოდავი
გახვეული ძონძ-მანძებში.
მე შევარქმევ ვაჟკაცს სახელს,
მინდა, ყველა გაგახაროთ,
პირველ ასოდ „მანს“ შევარჩევ
მუჰამედის სათაყვანოდ.
როგორც უფლის მოციქული,
სულით, ხორცით იყოს წმინდა,
შემდეგ ასოდ „ენ-ის“ ვიტყვი,
ვაქებ ნოეს ბიბლიიდან.

ნოესავით იხსნას ერი,
უკვდავების შესვას თასი,
იყოს გულით უშიშარი,
რა შევარქვათ ვაჟს? – მანასი.
ჯილაგს უნდა გამრავლება,
გაფრთხილება უნდა სახელს,
უცებ გაქრა მანანწალა,
ეძებეს და ვერსად ნახეს.
და სტუმრებმაც მიაშურეს,
როცა ქვეყნის ოთხსავ მხარეს,
ბრძენთა ბრძენმა აკბალტბაიმ
მოახსენა ძმას მწუხარედ: –
„არ გეგონოს ეს თვალები
სიხარულით არის სველი,
უნდა გითხრა, რას აპირებს
ესენ-ხანი – სისხლის მსმელი.
ყირგიზების წინამძღოლი
დაიბადა, უთქვამს მისანს,
გმირთა-გმირი გოლიათი
მტერს შეუნგრევს გულის ფიცარს.
გაანადგურებს ბეიშინს,
გაილაშქრებს ჩინთა მხარეს,
შეკრიბავს ყირგიზებს ერთად
და მშობელ ხალხს გაახარებს.
თუკი ნახეთ სადმე ბავშვი,
ვისაც ჰქვია მანასიო,
გინდა იყოს ასი ყმა და
გინდა კიდევ ათასიო,
თქვენ, ერთგულო მეომრებო,
ანდერძივით გავალებთო,
ამოჟლიტეთ, არ დაინდოთ,
ყველას მუსრი გაავლეთო.
ჰოდა, უაკიპ, ჩემო ძმაო,
ვერაგია მტერი რაკი,
შენს შვილს მანასს ნუ უწოდებ,
მას შეარქვი აკარაკი⁵.
ჯერ ყრმაა და არასმცოდნე,
რა აზრი აქვს ნეტა სახელს?
გაიზრდება გმირთა-გმირი
და კვლავ მანასს დავუძახებთ.

(გაგრძელება იქნება)

⁴ კაზანები – ფლავის და ხორცის მოსახარში სპეციალური ქვაბები.

⁵ აკარაკი – სულელი (ქიზიყური დიალექტი).

საბაზო განცემის



„მეზღაპრე“ ლალი კახიძე



ჩამდინალი სანთალი

ზღაპარი

ზღაპარი იყო ზღაპარ იყო და არა იყო ერთი ძალიან ლამაზი ქოხი ტყეში. ქოხში ცხორიბდა ძალიან სასიამოვნო მოხუცი მარო ბებო. მარო ბებო ქალაქიდან წამოვიდა და ამ ტყეს შეაფარა თავი, სიწყნარე უნდოდა, ეს ქოხი კი მარო ბებოს ელოდა. ზაფხული იყო და ძალიან ცხელოდა ქალაქს. აქ კი ამ ტყეში ისეთი სიგრილე იყო სიცხეს ვერ იგრძნობდი თან სილამაზე ჩიტების ულურტული. ჰაერი არაჩვეულებრივი. რასაც ნატრობდა მარო ბებო. მარო ბებო ტყეში კრეფდა სოკოს, სოკოთი არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებდა, ტყის ლობიოსაც მიაგნო. იყო ბებო ერთ ამბავში გატაცებული კულინარიით. მეგობრებიც გაუჩნდნენ. აკითხავდა გაპრანჭული მელია თავის წითელი კუდით. ციყვი ანდრია, ხელცარიელი არასდროს მოდიოდა მარო ბებოსთან. მოჰქონდა ხილი, კენკრა, თხილი. ერთხელ არწივიც ესტუმრა. სადილის მიირთმევდნენ.

დაანთო ბებო სანთელი და სხიბს სიხარულით გაჰყვა.

შუადღე გადასული იყო მელიამ, რომ შეაღო მარო ბებოს ქოხის კარები.

– ბებო, აი მეც მოვედი?

შევიდა მელია ქოხში და რას ხედავს- სანთელი ჩამქრალა- ბებო კი არ ჩანდა. ყველაფერს მიხვდა. გამოიხურა ქოხის კარები დაგაუდგა ტყის გზას და იძახდა:

– ბებო ძალიან მოგვენატრები, მაგრამ ვიცი კარგად ხარ.

ასე დასრულდა ეს ზღაპარი.



ძირი ნებისა

ჩიცის მუდი

ზღაპარი

ზღაპარი იყო ზღაპარი იყო და ერთ-ერთ სოფელში, ერთ ოჯახში ღობეზე დალაგებულ კრამიტებს ქვეშ, ჩიტს ბუდე გაუკეთებია. ოჯახში ცხოვრობდნენ დედა, მამა და ორი ბიჭუნა. დედა თათია როდესაც ეზოს ალაგებდა შეუნიშნავს ეს ბუდე და გადაუგდია. ეს რომ უმცროსმა ბიჭუნამ გაიგო ძალიან განიცადა, შეეცოდა უმწეო ჩიტი, ტირილი დაიწყო. ამ დროს ეზოში შემოფრინდა ციცინათელა, საღამო ხანია.

— რა გატირებს რაზი?

რაზიმ მოუყვა რაც მოხდა. შეწუხდა ციცინათელა.

— წამოდი მე გზას გაგინათებ, ერთად მოვძებნოთ ჩიტი.

მართლაც ბევრი იარეს, შევიდნენ ტყეში, აგერ ჭრელი ჩიტი ისევ რაღაცებს აგროვებს ბუდის ასაშენებლად.

— ჭრელო ჩიტო ბოდიში მინდა მოგიხადო, დედაჩემმა შენი ბუდე დაანგრია, ორ დღეში მოდი და მე ჩემი ხელით ჩემს ეზოში წითელი ტყემლის ხეა და იქ დაგახვდრებ ძალიან ლამაზ ბუდეს. შენ არ იდარდო.

ჩიტი მიუახლოვდა ბიჭუნას და ნისკარტით მოეფერა, მადლობა ასე გამოხატა.

მეორე დღეს რაზიკომ სასწაული ბუდე გაუმზადა ჭრელ ჩიტუნას.



მისი საძინებლის წინ იყო წითელი ტყემლის ხე, ყველაფერი ჩანდა, ყოველ დილას აკვირდებოდა ბუდეს. გათენდა დილა და რას ხედავს რაზიბუდეში ბარტყებს ჭრელი გადაფარებია და ტკბება სიხარულით.

— რა კეთილი ხარ რაზი

მოეფერა დედა შვილს. ბავშვებო ყველამ სიკეთე უნდა ვაკეთოთ. მივბაძოთ რაზიკოს

ტკბილ ძილს გისურვებთ ჩიტის ბუდე უსაფრთხოდ არის.





ყამარ ტიკელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

სხვერი წეიმი

ავტორი:

საახალწლოდ აციმციმდა
ნაძვი მშვენიერია,
ბავშვების უივილ-ხივილმა
გაახარა ჭერია,
თოვლის პაპის მოლოდინში
ცეკვავენ და მღერიან.



ბავშვები:

- ახალი წლის ზეიმი გვაქვს,
გავაცილეთ ძველია,
სიზარმაცეც გავაყოლეთ,
აბა, დელი, დელია.
სიზარმაცეც გავაყოლეთ
აბა, დელი, დელი...

ელენე:

- ციდან ცვივა ფანტელი,
როგორც ბამბის ფთილა,
ფიფქებმაც მოგვილოცეს
ახალი წლის დილა.

მარიამი:

- ბავშვებო, ერთ წუთს შევჩერდეთ,
კარზე კაკუნი არისო...

სოფიო:

- ნამდვილად, კაკუნი ისმის
და მგონი პაპა არისო.

ბავშვები:

- მობრძანდით... მეკვლე ბრძანდებით
ჩვენი ფუძის და კარისო,
მასპინძლობაც კარგი ვიცით,

„სტუმარი ღვთისა არისო“.

თოვლის პაპა (კარებს ალებს):

- თოვლის პაპა ვარ, ბავშვებო
და თქვენკენ მომიხარია,
ძლივს მოვიტანე ხურჯინით
მრავალი საჩუქარია.

ბავშვები:

- მობრძანდით, ძვირფასო პაპავ,
ღია გვაქვს გულის კარები,
გელოდებით რა ხანია,
გზისკენ დაგვაწყდა თვალები.



თოვლის პაპა:

- ბავშვებო, ვიცი, მელოდით,
მაგრამ არც ჩემი ბრალია,
ქარბუქში, თოვლს და ყინვაში
არ ჩანდა გზა და კვალია.

ტვირთიც დამძიმდა ისე, რომ
გართულდა გზა სავალია,
ძლივს-ძლივს მოვძებნე ბილიკი
აქეთკენ მომავალია.

ბებომ ნუგბარით აგივსოთ

ხურჯინის ორივ თვალია,
არ დაივიწყა ჩურჩელა,
ჩამიჩი და კაკალია.

თანაც წერილი დაურთო,
მონატრებიხართ ძალიან.



ავტორი:

სტუმარს ჩამოხსნეს ხურჯინი
მძიმე, თოვლისგან სველია
და მიულოცეს გულწრფელად
ერთხმად ახალი წელია.

დავითი (ბებიას წერილს ხსნის და
კითხულობს):

– გილოცავთ დამდეგ ახალ წელს,
თქვენ გენაცვალოთ ბებია,
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე,
თქვენით მასხია ფრთებია.

ტკბილად დაბერდით, ჩემსავით
გაგთეთრებოდეთ თმებია,
შაქრად შეგერგოთ ნუგბარი,
ბებოს ნახელავებია.

ავად ვარ, ვერ წამოვედი,
სიბერე მომძალებია,
თქვენი ნახვა კი, ოპ, როგორ
მწყურია, მომნატრებია...

ავტორი:

ნაძვის ხის ირგვლივ ერთმანეთს
მჭიდროდ ჩასჭიდეს ხელია
და მხიარული ზეიმით
გაუშვეს ძველი წელია.

ანგი:

– ქრისტეშობა ვიზეიმეთ,
დღე წმინდა, ყოვლად ნათელი,
ტაძარში ღამე ვათიეთ,
ავაციმციმეთ სანთელი.

გვანცა:

– უფალსა ვთხოვეთ წყალობა,
ვადიდეთ მისი სახელი,
რომ ჭეშმარიტ გზით გვატაროს
ყველა პატარა ქართველი.

ლევანი:

– ახლა ახალ წელს ვზეიმობთ,
ციდან მოყრინავს ფანტელი,
ავაკაშკაშეთ ათასფრად
ნაძვი ლამაზი, ტანმრთელი.

ცოტნე:

– აქ თოვლის პაპაც გვესტუმრა
თეთრ ნაბდით, სპეტაკ თმა-წვერით,
გამოუვლია შორი გზა –
ყინვა, თოვლი და ნამქერი...

ავტორი:

ლექსებს მოჰყვა სიმღერები,
გათამამდნენ თანდათანა,
აცეკვდნენ და დაუარეს
აჭარული „განდაგანა“.

ბავშვები (მუსიკის თანხლებით):

– ახალი წლის დილა არის,
მეკვლე მღერის კარდაკარა,
ყველას ჭერი დაულოცა,
არვინ დარჩა განდაგანა.

ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,

არვინ დარჩა განდაგანა.

ძველი წელი გავისტუმრეთ,

გავიხსენებთ ხანდახანა,

ვაშა, ვაშა ამ ახალ წელს,

შარშანდელს კი განდაგანა.

ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,

შარშანდელს კი განდაგანა.

აციმციმდა ჩვენი ნაძვი,
ყველას მოსწონს თურმე, განა,
და თუ ვინმე დაიწუნებს,
ის ჩვენგან შორს – განდაგანა.
ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,

ის ჩვენგან შორს – განდაგანა.

სიმღერებით და ცეკვებით
გავხალისდით თანდათანა...
პირველობას არვის უთმობს
აჭარული „განდაგანა“.
ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,
აჭარული „განდაგანა“.

ავტორი:

აღტაცება ვერ დამალა
თოვლის პაპამ, ნანი-ნანა,
დაივიწყა დაღლილობა,
შედეგმაც არ დაახანა.

გახალისდა, მოილხინა,
ისიც ბავშვებს დაემგვანა,
ჩაუხტა და მათთან ერთად
დაუარა „განდაგანა“.
ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,
დაუარა განდაგანა.
სიმღერით და ცეკვა-ცეკვით
ხურჯინსა ხსნის, ნანი-ნანა,
ზარმაცი და მატყუარა
უსაჩუქროდ, განდაგანა.
ჰოი, ნანა, ნანინა-ნანა,
უსაჩუქროდ, განდაგანა.

თორნიკე:

– მეგობრებო, სამყოფად
ავისრულეთ წადილი,
ახლა პაპას მივხედოთ,
მშიერია, დაღლილი.

გიორგი:

– ყველა ერთად შემოვუსხდეთ
საახალწლო მაგიდას,
გვყავს ძვირფასი სტუმარი,
აბა, მეტი რა გვინდა?

ნინო:

– ტორტი, ხილი, გოზინაყი,
შოკოლადის ფილა,
ყველა გვიმზერს... გვილოცავს
ახალი წლის დილას.

ავტორი:

და შემოუსხდნენ მაგიდას

თოვლის პაპა და ბავშვები,
სუფრის სიუხვეს ამშვენებს
ადესის წვენი ნაქები.

ეკატერინე:

– ყველასა გთხოვთ, მეგობრებო,
კარგად მომისმინოთ, –
ახლა ერთხმად ტრაპეზის წინ
ლოცვა აღვავლინოთ...

ბავშვები:

მა70

მაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა
იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი,
იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა
ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც
ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი
ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებ-
თა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაც-
დელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან. ა
მინ!



თოვლის პაპა:

– ყოჩალ, ბავშვებო, რომ გიყვართ
უფალი – მაცხოვარი,
თქვენ ხალას გულში რომ ბუდობს
ჭეშმარიტება მყარი.

გულში გაღვივდა, ამენთო
იმედის ნაპერწკალი,
თქვენა ხართ ჩვენი სამშობლოს
ბრწყინვალე მომავალი.

მადლობა... რომ მომიძლვენით
დღე, ეგ ზომ სანუკვარი
და საახალწლოდ მივიღე
ძვირფასი საჩუქარი.
მირიანი (თასს აწვდის):

– თოვლის პაპავ, ძვირფასო,
ჩამომართვი თასი,
პატარებმა კარგად ვიცით
თქვენი ლოცვის ფასი.

თოვლის პაპა:

– ჩემო ბავშვებო, გილოცავთ
ახალ წელს, მრავალზამიერ,
სულ გამარჯვებით იარეთ
იმიერსა და ამიერს.

გიყვარდეთ წიგნი და სწავლა,
ენა, მამული ქებული,
იყავით ქრისტეს რწმენაში
განლმრთობილ-განმტკიცებული.

იყავით კეთილმოსურნე,
ჭკვიანი, განათლებული,
თქვენ სიბეჯითით მენახოს
სამშობლო გაბრწყინებული.

ბავშვები:

– პაპავ, თქვენმა სადლეგრძელომ
მოგვანიჭა ალმაფრენა,
სიტყვას გაძლევთ, შევიყვარებთ
ჩვენს სამშობლოს... დედა ენას...

მთელი გულით გვეყვარება
ჩვენი დედა – საქართველო,
გავიზრდებით და ვიქნებით
ერისათვის სასახელო...

თოვლის პაპა:


– მჯერა, ქვეყნისთვის იქნებით
მგზნებარე, გულანთებული...
უფლისგან გქონდეთ წყალობა,
ბავშვობა გაღალებული...
ჩემო ფრთამალო მერცხლებო,
თუმცა გულს დაგწყვეტი ძალიან...
დროებით უნდა დაგტოვოთ,
კიდევ მაქვს გზა სავალია...

სხვაგანაც მელოდებიან
თქვენებრ ჭიკიკა ჩიტები,
სიცოცხლით სავსე ბავშვები,
ხატულა გოგო-ბიჭები.

ავტორი:

დაღონებულმა ბავშვებმა
გააცილეს თოვლის პაპა,
შემდეგ ისევ შემოუსხდნენ
საახალწლო სუფრას სწრაფად...

საახალწლო ტრაპეზი და ზეიმი გრძელდება...



პროგრ



რევაზ მიშველაძე

გულის ფიცროზე ლასანერი

1987 წელს გაბროვოს სატირისა და იუმორის მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ოთხი მწერლი მიგვავლინეს: მიხეილ ჟვანეცკი, გრიგორ გორინი, არკადი არხანგელსკი და მე.

შერემეტოვოს აეროპორტში შევხვდით ერთმანეთს.

მწერალთა კავშირის უცხოეთის განყოფილების რეფერენტმა წარდგენისას გვარები რომ ჩამოაჭიკივა, გვითხრა სიმართლე, სამივენი ჩემთვის იმდენად ნაცნობები ხართ, რომ თავი ძველ ძმაკაცებში მეგონა.

ყოველ კვირა იბეჭდებოდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ჟვანეცკის, არხანგელსკის და გორინის ნაწერები მათი ფოტოსურათებითურთ.

მაშ ასე, ისინი – მსოფლიოში სახელგანთქმულები, მე უსახელო.

ათიოდე წლით ჩემზე უფროსები იყვნენ სამივენი და ვერ გავარკვიე, რა ნიშნით ჩამრთეს ამ დელეგაციაში.

იუმორისტად არ ვთვლიდი თავს.

მოთხოვებებს ვწერდი და იმ ნოველებში გაბნეული მცირეოდენი ირონია და იუმორი მოსკოვში საიდან უნდა სცოდნოდათ.

ალბათ წესი იყო ასეთი: დელეგაციის წევრად ერთი „მოძმე რესპუბლიკის“ წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ან სამ ებრაელში ნაცდემოკრატობის ხაზგასასმელად ერთი ქრისტიანი გამრიეს, ან იქნებ (ამის გაფიქრებაც კი მზარავს) სატირის სამ ლომს ჩემი სახით ერთი დამწყები მწერალი-კრავი მიუგდეს ასაბურთავებლად, გასაშაყირებლად და ვინ იცის, იქნებ, შესაჭმელა-დაც.

ერთი სიტყვით, ვარ თეთრი ყვავივით გარეული ამ ურია სატირიკოსებში, ყვავი კი არა, ქორებში – წიწილა.

თურმე ტყუილად მეშინოდა.

სამივენი დახვეწილი ინტელიგენტები და უბრალო, სამეგობრო ბიჭები აღმოჩდნენ.

ჩვენს შორის დათბობა საბაჟო დეკლარაციის შევსებიდანვე დაიწყო.

შორიდან შევატყვე ანკეტის შევსებისას შეკამათდნენ. მერე არხანგელსკი გამოეყო სამეულს და ჩემსკენ წამოვიდა:

- რეზო, ხომ ვერ მეტყვით, გრაფაში „ცელ პაეზდკი“, რა უნდა ჩავწეროთ?

ანკეტა გამოვართვი.

ფრჩხილებში წერია – „ტურისტ“, „ნაუჩნაია კამანდიროვკა“, „ვიზიტ კ როდსტვენიკამ“, სპორტინაია დელეგაცია“, „ს ლეჩებნო ცელიუ“, „დელოვაია“).

ჯერ ეჭვით გავხედე, მაგრამ გამახსენდა, რომ ებრაელებს იშვიათად უშვებენ საზღვარგარეთ და შესაძლებელი იყო, სამივენი პირველად მიემგზავრებოდნენ.

ანკეტის გრაფას თითო დავადე.

– რა არის აქ გაუგებარი? პირდაპირ ჩანერეთ „ცელ პაეზდკი – დელევაია!“ მერე თვითონ იმტვრიონ თავი. მე ყოველთვის ასე ვაკეთებ. ეგ უნივერსალური პასუხია.

არხანგელსკის სათვალე წარბებზე აეწია.

ჯერ გაკვირვებით შემომხედა.

მერე გორინთან და უვანეცკისთან მივიდა და რაღაც უთხრა.

სამივენი ათიხთიხ-აძიგძიგდნენ.

გენიოსი ხართ! – ცერა თითის აწევით იცინის უვანეცკი.

–სხვა პუნქტებმა არ დაგაბნიოთ, მომმართეთ, ნუ მოგერიდებათ, გრაფაში – „სქესი“ თამა-მად ჩანერეთ მამრობითი. მაინც არავინ ამოწმებს, – შევთამამდი, ცოტა არ იყოს.

ახლა ამაზე ახითხითდნენ.

სათვალის ქვემოდან ცრემლებს იწმენდა გორინი:

–ხომ გითხარით, ქართველია მეთქი.

ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენს შორის ძმობის და ნდობის უხილავი ძაფები გაბმულიყო.

„ცელ პაეზდკი – დელევაია“ ტერმინად გვექცა.

ათი დღის განმავლობაში თან გვდევდა.

რომ ჩამოვთვითმფრინავდით, საბაჟო კონტროლი გამოვიარეთ და მომხბვლელი გიდის თანხლებით მიკროვატობუსში ჩავსხედით, არხანგელსკიმ დაიძახა – „ცელ პადეზკი!“ „დელევაია!“ უპასუხა გორინმა და ოთხივემ გავიცინეთ.

გიდი გაოცებული გვიყურებდა.

მან იცოდა რომ იუმორისტებთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ვერაფრით გაეგო, რა იყო სასაცილო ისეთ უწყინარ კითხვაში, როგორიცაა „ცელ პაეზდკი?“ და, მითუმეტეს, რატომ უნდა გასცინებოდა ისეთ სერიოზულ პასუხზე, როგორიცაა „დელევაია“.

სასტუმროში რომ მოვთავსდით და ხუთ საათზე სუფრას მივუსხედით, ახლა გორინმა იკითხა „ცელ პაეზდკი?“, „დელევაია“ დაუყონებლივ მივუგე მე და ჩვენს ჰიმერულ სიცილზე რესტორნის ჭალი შეირხა. უვანეცკი ამაოდ ცდილობდა ხითხითი ფართო ყბებს შორის მოეგუდა, არხანგელსკი კი სათვალიანად იცინოდა.

შეიძლება მკითხველმა ისედაც იცის, მაგრამ ორიოდე შტრიხით უნდა გავაცნო საბჭოთა სატირის პოლკოვნიკები (გენერლები – ზოშენკო, ბულგაკოვი, ილფი და პეტროვი კარგა ხანია აღარ არიან ცოცხალთა შორის).

გორინი მაღალია. შავი წარბები და ბუდიდან თითქმის ამოვარდნილი, გადმოკარკლული თვალები აქვს. ცოტა ენას უკიდებს და, როგორც ებრაელების უმეტესობას, „რ“-ს გამოთქმა უჭირს.

უვანცკი დაბალია, ჩვენში ჩოფურას რომ ეტყიან, სწორედ ისეთი. მუდმივი ლიმილი ახატია სახეზე და როცა რამეს ყვება, თვითონვე გემრიელად ჩააწნავს ხოლმე თხრობაში სიცილს. სიამოვნებს, ალბათ, იმის გაფიქრება, რომ ამ ხუმრობით სიამოვნება უნდა მოგანიჭოს.

არხანგელსკი შავგვრემანი, სათვალიანი, სიმპათიური, საშუალო ტანის, გამხდარი კაცია. ხომ ზღვა იუმორის პატრონია, მაგრამ იშვიათად იცინის ხოლმე. რასაც იტყვის, მთელი სერიოზულობით ამბობს და როცა ჩვენ, სამივენი, სიცილის ნიჩბებს ძალუმად ვუსვამთ, როდის როდის აგვივება სიცილში. „რ“-ს გამოთქმა არხანგელსკისაც უჭირს.

სასტუმროს პოლში მსოფლიო იუმორისტული ლიტერატურის დიდი გამოფენა-გაყიდვაა. სხვათაშორის მდიდრულადა წარმოდგენილი რუსული ლიტერატურა.

უვანეცკის, გორინის, არხანგელსკის და ჩემი (მითუმეტეს ჩემი – ვის დაეკარგე, ვინ ოხერი ვარ) წიგნები არსად ჩანს. ბულგარელებს პატარ-პატარა კრებულებად გამოუციათ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაბეჭდილი თხზულებანი „თორმეტი სკამის“ რუპრიკით. ებრაული სამეულისთვის ეს დიდი შევბაა. კრებულებს მარჯნივ-მარცხნივ ავტოგრაფით არიგებენ.

ეს, სად მყავხართ დავით კლდიაშვილო და ნოდარ დუმბაძევ.

ამპარტავანი მამალივით კარგა ხანს ვიარე წიგნის ბაზრობაზე და ბოლოს ჯერომ ჯერომის „სამნი ერთ ნავში“ შევიძინე 10 დოლარად.

ხვალ საკონკურსო გამოსვლა გვაქვს ოთხივეს.

უიურის წინაშე თავი უნდა გამოვიჩინოთ. არც მეტი არც ნაკლები შვიდ წუთში უნდა ჩავეტიოთ.

ნავახშმევს მოსათათბირებელ-მოსათელად სასტუმროს ფოიეში ჩამოვსხედით.

რეზო, რაღაც ხასიათზე ვერა ხარო, უვანეცკიმ.

რა ძვირი ყოფილა ევროპაში წიგნი, ჯერომ კერომში 10 დოლარი გადამახდევინეს მეთქი.

ათ დოლარად ჩვენთან ტოლსტოის ხუთტომეულს იყიდიო, გორინმა და ზედ შოლოხოვის „გატეხილ ყამირსაც“ დაგიმატებენო, არხანგელსკიმ.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა და უნდა გიამბოთ მეთქი.

ყურებად იქცნებ.

მესამე კურსის სტუდენტმა იუმორისტული ნოველების პატარა წიგნი გამოვეცი.

ნარმოიდგინეთ, ჩემი სიხარული. ჯერ ოცი არ შემსრულებია და უკვე პირველი წიგნის ავტორი ვარ. ცა ქუდად არ მიმაჩინია და დედამინა ქალამნად. შემსვდა ქუთაისელი თანაკლასელი. დავაძრე წიგნი და ვაჩუქე წარწერით. ჯერ, რატომლაც ფასს დახედა. წიგნი 20 კაპიკი ღირდა. რეზოია, მეუბნება, საერთო რვეული, სუფთა, დოუნერავი, 40 კაპიკი ღირს და შენ რა დაწერე ამნაირი 20 კაპიკით რომ ჩამოუფასებიათო.

ამაზე ბევრი იცინეს.

მეორე დღეს ათი საათიდან დაიწყო საკონკურსო გამოსვლები.

ჯერ ბულგარელები წარუდგენეს უიურის და მერე ჩვენ გამოგვაცხადეს.

გორინმა თავისი ცნობილი „არის ერთი ანეკდოტი“ წაიკითხა

უვანეცკიმ დიდი, გაცვეთილი ჩანთა აიტანა სცენაზე, სათითაოდ იღებს თითო გვერდიან სატირულ ჩანახატებს და კითხულობს.

არხანგელსკი პაროდიებით წარუდგა მკითხველს.

იდეალური აუდიტორია.

ზეიმია, ფეიერვერკია, რომ იტყვიან, მისი უდიდებულესობა სიცილი ზეიმობს.

მოვიდა ჩემი რიგი.

გავედი სცენაზე. ხელთ მიჭირავს რუსულად თარგმნილი ჩემი ახალი ნოველა „ავი კვამლი“, მაგრამ რატომლაც მომეჩნა, რომ დიდია, მოსაწყენია, არ გაეცინებათ.

ავდექი და დავიწყე იმით, რაც წუხელ საღამოს ვუამბე ბიჭებს:

მოგეხსენებათ, ჩვენთან საბჭოთა კავშირში წიგნი ძალიან იაფი ღირს-მეთქი და მოვაყოლე ჩემი 20 კაპიკიანი პირველი წიგნის ისტორია.

...და მაინც გულს არ ვიტეხთ საბჭოთა მწერლები. იმედი გვაქვს, რომ მალე ჩვენთან წიგნის ფასი ერთი ჭიქა კეფირის ფასს გაუტოლდება-მეთქი, ამ სიტყვებით დავამთავრე.

დარბაზს სიცილის ტალღამ გადაუარა და ამან ძალა შემმატა.

მერე მოვყევი ჩემი მოსკოვური ხუმრობა; თუ როგორ შემეშალა სიჩქარეში ჩემი კერძი, როგორ მიუჯექი ზანგის სადილს, როგორ წავართვი კატლეტი და კომპოტი და როცა ზანგი ბუზლუნით გაიქცა, როგორ შევამჩნიე, რომ იქვე, მეორე მაგიდაზე ხელუხლებლად იდო ჩემი სადილი.

სიცილი! სიცილ!

კულისებისკენ გავიხედე. გორინი, უვანცკი და არხანგელსკი აღტაცებული სახეებით მიყურებენ.

მერე ნომინაციაში – „ეროვნული ანეკდოტი“ ასეთი რამ მოვყევი:

„შაქრო თელავში, ბაზარზე კაკალს ჰყიდის. იქვე ყიდულობს კაკალს კილოგრამს ათ ლარად და იქვე ჰყიდის კილოგრამს 10 ლარად.

ეკითხებიან: შაქრო, თავს რისთვინ იკლავ ამ სიცხეში, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე გამოდის. კაპიკ არ უგებ. კაკალს ათად ყიდულობ და ათადვე ჰყიდიო.

– მე შვილოსა, – ამბობს შაქრო – განა ფულის მოგებაი მაინტერესებს, მე უბრალოთა, კაკ-ლის ჩხრიალი მიყვარს“.

ტაში, ოვაციები. აღარ მახსოვს, სცენიდან როგორ ჩამოვედი.

მეორე დღეს ოთხივენი გაბროვოს სატირულ იუმორისტული ფესტივალის ლაურეატებად გამოგვაცხადეს და ჩაგვამედალდიპლომეს.

დამთავრდა ფესტივალი.

მოსკოვისკენ მოვფრინავთ.

გვერდით ცოტა დაღლილი, სიცილის ვულვანი ახრანგელსკი მიზის.

სადაცაა შერემეტოვოზე დავეშვებით.

ჩემსკენ გადმოიხარა.

– რავაა, რეზო საქმე?

ყურებს არ დავუჯერე.

– შენ ქართილი იცი არკადი? საიდან?

– მეტი რა ვიცი, საფიჩხიაზე გაზრდილმა კაცმა.

ისინკა იაკობაშვილი თუ გახსოვს, სასტუმროსთან რომ იჯდა, მესაათე.

– რავა არ მახსოვს, ხუთი წლის წინათ მოკვდა საწყალი.

– დეიდაშვილი იყო ჩემი, ისინკა. რავარც დაგინახე, მაშინვე გიცანი. მეგონა შენც მიცნობდი, მარა რაკილა ვერ მიცანი, აღარ გამოგეცნაურე.

გადარევას ცოტა მიკლია.

– რო ვუთხრა ვინმეს, არ დაიჯერებს. ამგენმა იციან?

– არა, არც უთხრა. ეს ჩვენ შორის იყოს. გითხრა სიმართლე, მე ახლა დარჩენა მინდოდა, მარა მითხრეს, ბულგარეთიდან ისრაელში გადასვლა ჭირსო. ჰოლანდიაში წავალ ოთხ თვეში და დავრჩები, აქანა არ ლირს, რეზო. ამ ქვეყანაში ჩვენ, იუმორისტები მნერლებად არ მივაჩნივართ. მწერალთა კავშირის წევრებადაც მიგვიღეს. არადა არ უნდა ვიყოთ უნიჭოები, რავა იტყვი შენ?

– დიდებული მნერლები ხართ.

– წყალწყალა რომანებს და ნარკვევებს ვინც წერს, ისინი მიაჩნია მოსკოვს მწერლებად დღეს.

თვითმფრინავმა შასები გრუხუნით ჩამოუშვა.

– გინდა გითხრა, რეზო, ყველაზე მაგარი ქუთაისური ანდაზა?

– ჰო

„ნაზიკიას ყველა ქორწილში პატარძლობა უნდოდაო“. ხო გადასარევია?

– რად უნდა ლაპარაკი – გულიანად ვიცინი.

– ამ ბოლო დროს ეს ანდაზა ამეკვიატა მოსვენებას არ მაძლევს. ხანდახან ჩემთვის მარტო გიშივით ვიცინი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქუთაისის სუნი ასდის. იგი მხოლოდ ქუთაისში შეიძლებოდა გაჩენილიყო და მეორეც, ეს ანდაზა ყველამ გულის ფიცარზე უნდა დაწეროს, რომ ნაზიკიას როლში არ აღმოჩნდეს.

...თვითმფრინავი ბეტონის ბილიკს რბილად შეეხო და სალონში ტაშის ხმა გაისმა.



ბეჭან ხარაიშვილი



ფილმი

ღარიბობა და ობლობა,
ორივე გამომიცდია,
სჯობს ღარიბობა ობლობას
ობლობა მეტად ძნელია...
(ალ. ყაზბეგი)

თურაშაული ვაშლის ძირში პატარა ბავშვები შეგროვილიყვნენ და ჩაშაქრებულ ვაშლებს მიირთმევდნენ. ყველაზე მოზრდილი, კურჩხლათმიანი ბიჭი გზის პირად ჩამომჯდარიყო და უდარდელად უსტვენდა. მოულოდნელად გზაზე ცხენოსანი გამოჩნდა, არ ჩქარობდა, ცხენი დინჯად მიაბიჯებდა, პატრონი კი დაბალი ხმით ღილინებდა. ბავშვი შედგა, ცხენოსანი ვერ იცნო, ცხენზე შეჯდომა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა სურვილის გამხელას. ცხენოსანმა ისე აუარა გვერდი პატარას, რომ იმისთვის არც შეუხედავს. ბავშვმა ვერ მოითმინა და შესძახა:

— ძია, ძია! შემაჯინე ცხენზე!

მხედარმა უკან მიიხედა, დააცქერდა ბავშვს და გზა განაგრძო, გაიარა ცოტა მანძილი და ისევ მოიხედა, ახლა კი ვეღარ გაუძლო ბავშვის ნალვლიან თვალებს და წყნარი ხმით გადმოსძახა:

— მოდი!

ბავშვს სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა, ადგილიდან მოსწყდა და უცნობი მხედრი-საკენ გაექანა. მხედარი ოდნავ გადმოიხარა ცხენიდან, დასტაცა ბავშვს ხელი და ცხენზე აიტაცა, ერთი თავისებურად დაჰკივილა და ულაყი ადგილიდან მოსწყდა. ის იყო ორლობეს უნდა მიჰფარებოდა, რომ ქალის მრისხანე მაგრამ ნაზი, წკიალა ხმა მოესმა:

— ხვიჩა! ხვიჩა! სად მიხვალ?!

მხედარმა დაუყოვნებლივ მოზიდა სადავე და ცხენი შემოაბრუნა, ხედავს გზის პირას ახა-გაზრდა ქალი დგას და იმისკენ იცქირება. რაც უფრო უახლოვდება მით უფრო ტკბება ქალის სინატიფით. როდესაც სულ ახლოს მივიდა დარწმუნდა რომ, მის წინ იდგა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ტანწერწეტა, შავ თვალ-წარბა გოგონა, რომელსაც სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და ყელი გედივით მოეღრა.

ყმაწვილი მხედარი მის წინ შედგა, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— ბავშვის გატაცება გინდოდა? — ღიმილით ჰკითხა გოგონამ.

ვაჟი დაიბნა, სახეზე წამონითლდა. ამ დროს სახლის კარი გაიღო და იქედან ქერა-თმიანი დაბალი გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერვინ შნეიშნა მხოლოდ ხვიჩას ტიკტიკი ეს-მოდა.

— ხვიჩა მოდი აქ შვილო, რას აკეთებ მანდ!

— ახლავე დედიკო, ახლავე.

პატარა გაიქცა, შესასვლელთან შეჩერდა, მოიხედა და ისევ იქვე მდგომი ცხენოსანი რომ დაინახა, ალერსიანად უთხრა:

— ჯერ ნუ წახვალ ძია, მე ახლავე მოვბრუნდები. ეხლა კი შენიშნა ქერა-თმიანმა ქალმა რომ ვაშლის ძირში ცხენოსანი იდგა და ქალიშვილს ემუსაიფებოდა. მხედარი ვერ იცნო, მაგრამ თავის დას მაინც გასძახა:

— სტუმარი შინ შემოიპატიუე ნონა!

ქალიშვილი დაიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მართალია მოხიბლა ვაჟის სილამაზემ მაგრამ სახლში შეპატიუება მისთვის ძალიან უხერხული იყო. ვაჟი ფიქრებიდან გამოერკვა ცხენს მაათრახი გადაჰკრა და ორლობეთში გაუჩინარდა.

ნონა ეზოში მწვანე მოლზე წამოჯდა. გვერდით პატარა დისშვილი მოისვა და ფიქრთა ბურანში გაეხვია. თითქოს ეს ბიჭი წინათაც უნახავს, უსაუბრია მასთან, მაგრამ ახლა კარგად აღარ

ახსოვს. დიდხანს ფიქრობდა ნონა ვაჟზე და ბოლოს შეშლილივით წამოძახა: „ბონდო! ბონდო! ალავიძე“, „ის იყო ის“. შეშინებული ხვიჩა ზეზე წამოვარდა, მივარდა დეიდას ყელზე შემოეხვა, აკოცა და ჰკითხა:

- ვინაა ბონდო ალავიძე?
- ის ძია, ხვიჩა, შენ რომ ცხენზე შეგსვა, არ გახსოვს?
- კიდევ მოიყვანს ცხენს? – არ ისვენებდა ხვიჩა. ნონამ ველარაფერი უპასუხა, მან თვითონაც არ იცოდა მოვიდოდა თუ არა იგი...

ბონდოს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იწვა გულაღმა და ფიქრობდა ლამაზ გოგონაზე. თვალწინ ეხატებოდა მისი შავი თვალები და მომღიმარი სახე. ვერ მოისვენა, წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, აიღო სანადირო თოფი, გაიყოლა თავისი ერთგული ძალლი და გზას გაუდგა მაღალი მთისაკენ.

ღამის წყვდიადი შთანთქმულიყო და განთიადი ნელ-ნელა შლიდა ფრთებს. გაიარა ცოტა მანძილი და ზღვიდან მონაბერმა. გრილმა, სულის დამტკბობა ნიავმა შემოუბერა ბონდო მკერდით მონაბერი ნიავისკენ მიბრუნდა, გადაიძრო გარსაცმი და საოცარი სიმშვიდე იგრძნო. უცებ მის წინ შავი ლანდი აღიმართა, იფიქრა მეჩვენებაო და ზურგი შეაქცია, აგერ! წინ რაღაც მხეცის მაგვარი ლანდი გადახტა, ბონდომ თოფის გადმოღება მოასწრო, ესროლა კიდეც მაგრამ ამაოდ, აჩრდილი კვლავ წინ გარბოდა, ოღონდ ყრუ წკმუტუნი შემოესმა, ბონდო გაცეცხლდა, კიდევ შეაყენა თოფი ფეხზე, მაგრამ მის წინ უფრო დიდი ლანდი აღიმართა, „ოხ ღმერთო, რა მემართება“ წამოიძახა ბონდომ და თოფი დაუმიზნა.

- რას ჩადი გიუო, არ მესროლო, არ მესროლო!
- ეხლავე მითხარ ვინა ხარ თორემ...
- თოფი დაუშვი, მონადირე ვარ.
- ტარიელ! დაიძახა ბონდომ და თოფი ხელიდან გაუვარდა. ხმა გამეცი ბიჭო, რამ დაგადუმა...

- სასიკვდილოდ რად მიმეტებ, რა დაგიშავე ასეთი. უპასუხა ტარიელმა და ბალახებში დაჯდა, ბონდომაც არ დააყოვნა და გვერდით მიუჯდა. დიდი ხნის საუბრობის დრო აღარ რჩებოდა მაგრამ ბონდომ მაინც მოახერხა გულის დარდები გაეზიარებინა მეგობრებისათვის. გამოწრთვნილი ძალლების წყალობით ორ-ორი ხოხობი მოჰკულეს და გაემართნენ იქით, საითკენაც გული მიუწევდა ბონდოს.

ხოხები ქამრებზე ჩამოიკიდეს და ტკბილი ბასით გაუდგნენ გზას. გზად ნონას ეზოზე უნდა გაევლოთ. სოფელს რომ მიატანეს ბონდომ შიმშილი იგრძნო. ჩაშაქრებული ვაშლების დასუნდლული ტოტები გზისაკენ გადმოეხარა და მნახველს შესაჭრელად მოუხმობდნენ. შეჩერდა ბონდო, შეჩერდა ტარიელიც.

- ვაშლი მინდა, მაგრამ ამხელა კაცი ვაშლზე როგორ ავიპარო?
- აპარვა რად გინდა, მე ვესვრი! მტკიცედ უპასუხა ბონდომ.
- რას ესვრი? შეეკითხა ტარიელი.
- ვაშლის ტოტს ვესვრი!
- ესვრი თორე ჩამოყრი სუყველას!
- აბა ვნახოთ!

ბონდო სნაიპერს ემსგავსებოდა თოფის სროლაში თოფი მოიმარჯვა, რომელილაც ტოტი წიშანში ამოიღო და... რამოდენიმე ვაშლმა მიწაზე გაიგორიალა. თოფის ხმაზე გამოვარდა მოხუცებული და გაკვირვებით იკითხა:

- რას მიშვებით ნენა, მიღუპავთ ოჯახს?
- არა დედი, ფრინველს ვესროლეთ. უპასუხა ბონდომ. ტარიელმა კი სასწრაფოთ აკრიფა ვაშლები და გზას გაუდგა.
- მომიცადე ტარიელ! მიაძახა ბონდომ.
- შენ არ იყავი ძალლს რომ მიკლავდი? – იხუმრა ტარიელმა. შემდეგ შეჩერდა, ხოხები ქამარზე შეისწორა და მეგობარს დაელოდა.
- თითო ხოხობი ხვიჩას უნდა ვაჩუქოთ გაიგე?
- ორ-ორი ვაჩუქოთ მე არ მენანება!

– მეც არ მენანაება მაგრამ ხვიჩა პატარაა, ოთხ ხოხობს სახლში ვერ მიიტანს.

ბონდომ პატარა დანა მოიმარვჯა, ამოიღო ჯიბიდან ერთი სრულიად ახალი, უვნებელი ვაშლი და ზედ წვრილი ასოებით დააწერა „ბონდო“. მას მიჰპაძა ტარიელმა იმავე დანით წარწერა გააკეთა, მაგრამ სახელის ბოლო ასო აღარ დაეტია, ვაშლი გულმოსულად შეათვალიერა, შემდეგ კი განზე ისროლა. ვიდრე მეორე წარწერას გააკეთებდა, ეზოდან ხვიჩა გადმოხტა ბონდოს მივარდა და სიტყვები სხაპასხუპით მიაყარა:

- ძია ცხენი არ მოიყვანე?
- მოვიყვან ძია, მოვიყვან, ეხლა კი ხოხობს გაჩუქებ, კარგი?
- არ მინდა! წამოიძახა ხვიჩამ და შეშინებული განზე გაეცალა.
- ნუ გეშინია ძია, არ გიკენს, დაამედა ტარიელმა.
- ვაშლებს გაჩუქებ არ გინდა?
- ვაშლები მინდა, მომეცი!
- ჯერ ხოხები წაიღე და შემდეგ ვაშლებს მოგცემ, თხოვნით უთხრა ბონდომ.

პატარა ბავშვი მოიხიბლა წითელგვერდა ვაშლების სილამაზით, თვალით ვაშლებს დააცერდა, სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა, შეტრიალდა ხოხებისკენ დასტაცა ხელი და სახლისაკენ გააქანა. შესასვლელთან ერთი ხოხობი დაუვარდა, მობრუნდა ისევ დასტაცა ხელი და როგორც იქნა ფორთხიალით ეზოს შიგნით შეათრია. შემდეგ ისევ სწრაფად გამობრუნდა. მივარდა ბონდოსთან და ორივე ხელით წინ გაწვდილმა შესძახა:

- მომეცი ვაშლები!
- ვაშლებს მოგცემ მაგრამ, აი ეს ვაშლი არ შეჭამო, კარგი?
- მომეცი, არ შევჭამ, უპასუხა ხვიჩამ. ბონდომ ვაშლები ძირს დაუწყო და კიდევ ერთხელ გააფრთხილა.

– ეს ვაშლი არ შეჭამო დეიდაშენს მიუტანე, დანარჩენი კი რმადენიც გინდა ჭამე, არ გიშლი.

როდესაც ხვიჩა დარწმუნდა, რომ მას არავინ უყურებდა წყნარად აიღო ორი ვაშლი. დანარჩენები ერთად დააგროვა და ეზოში შევიდა. . მწვანე მოლზე წამოჯდა. უნდოდა ვაშლი ჩაეკბიჩა მაგრამ შეჩერდა, ერთხელ კიდევ დახედა საეჭვო ვაშლი არ შევჭამო და მადიანად დაუწყო ჭამა. ხვიჩას მოვიანებით მოაგონდა ვაშლები გამოვარდა გარეთ მაგრამ ღორი უკვე უკანასკნელ ვაშლს შეექცეოდა. დალონებული ხვიჩა უკანვე გაბრუნდა და ტირილი დაიწყო სახლში არავინ იყო. მთელი ოჯახი, გარდა პატარა ხვიჩასი პლანტაციაში მუშაობდა.

ხვიჩას მწვანე მოლზე ჩაეძინა.

როდესაც ნონა დაბრუნდა ეზოში მყუდროება სუფევდა. შევიდა ეზოში და ალერსიანად ჩაილაპარაკა: „ენაცვალოს დეიდა, როგორ ტკბილად სძინავს“. – „მოიცა! ეს რა არის, ხოხები სად იყო? ეს უცხო ჯიშის ვაშლი სად იყო?“

თავით დაუჯდა, წყნარად აკოცა, მაგრამ ბავშვმა ვერ გაიღვიძა და არც ნონას უცდია მისი გაღვიძება. უფრო მეტად გაუკვირდა თუ რად ჰქონდა ბავშვს ნამტირალევი საზე ან პატარა დანა რისტვის დასჭირდა თავთით რომ ედო? როდესაც ხვიჩამ შეჭმული ვაშლები ნახა და გაახსენდა დანაპირები, დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა. ხოხები თავით იმიტომ დაიწყო რომ შეეშინდა ესეც არაფერმა შემიჭიმოსო. ის ერთადერთი ვაშლი რომელიც შეუჭმელი დარჩა, აიღო, შეათვალერა მოარბენინა პატარა დანა და ეცადა ისეთივე ფიგურა გაეკეთებინა როგორც მას „ძიამ“ ჩააბარა. მაგრამ საბრალომ წერა არ იცოდა, დანით უბრალოდ გასერა ვაშლი, ნალვლიანად დააცერდა, გული აუჩუყდა, ცრემლები წამოუვიდა და...ჩაეძინა...

...ნონა დიდხანს დასცექროდა პატარას, ბოლოს ველარ მოითმინა, ერთი მაგრად ჩაკოცნა და ბავშვსაც გამოეღვიძა. ნონა სულმოუთქმელად შეეკითხა:

- ვინ მოვიყვანა ხოხები?
- ვაშლები? ვაშლები არ მოუტანია. დაიბნა ბავშვი.
- სადაა ბიჭო ვაშლები, ხოხები ვინ მოგცათქო.
- ხოხები იმ ძიამ მომცა.

ნონა მიხვდა ვინ იყო ეს „ძია“ და გულიანად გადაიკისა.

- ვაშლიც იმან გაჩუქა?

– არა, არა! ვაშლი მეორე ძიამ მაჩუქა.

ნონა დაფიქრდა. „ნეტავ ვინ იყო მეორე „ძია“ დიდხანს ფიქრობდა ქალიშვილი მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოიცნო. ბოლოს ისევ ხვიჩას შეეკითხა:

– ხომ არა იცი რა ერქვა მეორე ძიას?

– არა, სახელი არ ვიცი. მხარზე კი თოფი ქონდა. გადაკიდებული. ტანად ზუსტად იმ „ძიას“ ხელა იყო მე რომ ცხენზე შემაჯინა.

– რომელი მხრიდან მოვიდნენ?

– აი იმ გზით! ხელი გაიშვირა.

(ძვირფასო თანამემამულევ)

ეს სიტყვები პოეტს 1974 წელს აქვს დაწერილი. იგი უძველად გრძნობდა 30 წლის შემდეგ რასაც გაივლიდა საქართველო.

საქართველო უმძიმეს გასაჭირშია, მაგრამ უფრო დიდი უბედურება მოგველის, თუ დროზე არ გამოვიწინებით და არ დავადგებით ჭეშმარიტ ღვთიურ გზას, რადგან ჩვენ ვართ უძველესი მართლმადიდებელი, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი და თავის წიაღში ქრისტეს კვართის შემნახველი ერი, რაც ბევრ რამეს გვავალებს ღვთის წინაშე. ხოლო დღეს რაც ჩვენ თავზე ხდება, ეს არის სასჯელი იმ ცოდვების გამო, რაც ჩვენ ხალხში დაგროვილა.

მოუსმინეთ წინასწარ. ეზრას სიტყვებს და ჩუაფიქრდით მათ: „აჲა, შემოვიტან, ამბობს უფალი, დედამიწაზე უბედურებებს: მახვილს, სიკვდილს, შიმშილს და განადგურებას, რადგან წაბილნა უკეთურებამ მთელი დედამინა და ზღვარს გადასცდა მისი მავნე საქმეები. ამიტომ ამბობს უფალი, არ გავჩუმდები მათ უღვთო საქმეებს, რასაც მკრეხელურად სჩადიან, აღარც მათ უკეთურებებს მოვითმენ. აჲა! უდანაშაულო და მართალი სისხლი მეძახის მე და მართალთა სულები მეძახიან გამუდმებით. შურს ვიძიებ მათზე და უდანაშაულოთა მთელ სისხლს მოვიკითხავ. ვაი წუთისოფელს და მისთა მკვიდრთა, რადგან მოახლოვდა მათი შემმუსვრელი მახვილი, სამტროდ აღდგება ტომი-ტომის წინააღმდეგ და ხმალი იქნება მათ ხელში...აღარ შეიბრალებს კაცი თავის ახლობელს, მახვილის საიერიშოდ შეიქნება.“



ნუნუ გოგოლაძე



პილიტიკა

/ვუძლვნი ჩემიძვირფასი მასწავლებლის –
ნატალია პაპიძის ნათელ ხსოვნას/

ამაყად მიაბიჯებდა. სიყვარულით სავსე თვალები გასაოცარ სითბოს გამოსცემდნენ. იყო მასში რაღაც განსაკუთრებული, რაც თავისთავად პატივისცემას მოითხოვდა...

ამაგდარმა პედაგოგმა შორიდანვე შენიშნა მოსწავლეები, რომლებიც ჩურჩულებდნენ, თან მასწავლებლისკენ იცქირებოდნენ, ეტყობოდათ, რაღაცის თქმა სურდათ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. ბოლოს

ამხანაგებს პატარა ნათია გამოეყო და სახეგაცისკროვნებულმა თაიგული მიართვა ძვირფას ადამიანს.

საოცრად ლამაზი დღე იდგა...

გაკვეთილიც ხალისით დაიწყო. ჩვეული სიდინჯე და დამაჯერებლობა ახლდა მასწავლებლის ხატოვან მეტყველებას. სიამაყის გრძნობით სახეანითლებული ბიჭები და გოგონები გულმოდგინედ, დიდი ყურადღებით უსმენდენენ მასწავლებელს და ასე ყოველდღიურად, რუდუნებით იზრდებოდა მომავალი თაობა სამშობლოს ენის, ერის სასიქადულოდ...

„რით ვერ გავაგებინე ჩემს ახლობლებს, რომ სკოლის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ. მეუბნებიან: გადაიღალუ, დასვენება გჭირდება, ხუმრობა ხომ არ არის, ნახევარი საუკუნე სკოლაში მუშაობ, რა გაჩერებს ამდენ ხანსო. . ეპ, რა იციან, როგორი სიყვარული შეუძლიათ პატარებს!

მაინც ეს კუდრაჭა მეხუთეკლასელები სულ თვალებში შემოგციცინებენ: „ჩვენს მასწავლებლს არაფერი ეწყინოსო, “ – ფიქრებში გართულმა ნატალია პაპიძემ ვერც კი გაიგო, როგორ მიუახლოვდა სახლს.

- შენი ნამოწაფარი ნიკო იყო, – უთხრა დამ, ნინომ, – წერილი და მოსალოცი დატოვა, დაიბარა ნატალია მასწავლებელს ვნახავ, მაგრამ ვნახავ მაშინ, როცა უფლება მექნება თქვას ჩემ შესახებ: „ეს, მართლაც, კარგად გამიზრდიაო“.

- ეპ, ნიკო, ნიკო... – გულში გაიფიქრა ამაგდარმა, რამდენი ნერვიულობის, რამდენი უძილო ღამის, რამდენი ტანჯვის ფასად დამიჯდა შენი გადარჩენა, ჩემო ბიჭო! მაგრამ არ ვნანობ, შენი იყავი კარგად და...

ახლაც საშინლად ააფორიაქებს ხოლმე ნიკოს ბავშვობის უმძიმესი დღეების გახსენება.

...იმ დღეს პატარა ნიკო დიდხანს ელოდა საბავშვო ბაღში მამიკოს, მაგრამ ამაოდ. მეზობებმა მიაკითხეს. ცრემლებს ძლივს მალავდნენ. ნიკოს დედა-მამა ავტოვარიის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. დაესვა წერტილი ბიჭუნას ლაღსა და უზრუნველ ბავშვობას.

ექვსი წლის ბიჭი დეიდამ საჩერებში წაიყვანა. გულჩათხრობილი გახდა, ღიმილს გადაეჩვია. იბლობაში გაზრდილი ცივი და მიუკარებელი იყო. თავისი მკვახე სიტყვებით გულს უკლავდა ადამიანებს. მუშტი-კრივსაც არ ერიდებოდა. მაგრა სასმელების სმასაც მიჰყო ხელი. სიგარეტს ეწეოდა, მთელი კლასი გადაიბირა, გაკვეთილებს აცდენდა. მერე იყო და საეჭვო ყოფაქცევის ხალხთან გააბა კავშირი. ყველა ხედავდა მოსალოდნელ საშიშროებას და დირექტორმა ნიკოს კლასი სადამრიგებლოდ ნატალია მასწავლებელს გადასცა.

ნატალიამ კარგად იცოდა, რომ ერთ-ორ თვეში ვერ გარდაქმნიდა ნიკოს დამახინჯებულ სულს. საჭირო იყო დიდი მოთმინება, პედაგოგიური ტაქტი, რათა გზასაცდენილი ობოლი ჭაობიდან ამოეყვანა.

...კლასში ფული მოიპარეს, მასწავლებელმა იცოდა, დამნაშავე ვინ იყო, მაგრამ ერთი წუთითაც არ აგრძნობინა, შესაფერის დროს ეძებდა, რათა ნიკოსათვის თვალი აეხილა.

მალე ისევ მოხდა დანაშაული – კლასში მინა ჩატყდა. ნატალია მასწავლებელმა ამჯერადაც აპატია. როცა გატეხილი მინა შენიშნა, ქარი იყო, ალბათ, იმან თუ ჩატეხაო, თქვა.

ნიკოს სახე აუფორეჯდა, აღარ იცოდა, სად დაემლა თვალები.

გეოგრაფიის მასწავლებელმა ნიკოს დეიდა დაიბარა სკოლაში.

- ქალბატონო, ტყუილად იკლავთ თავს, ნიკოსგან კაცი არ დადგება და სჯობს, დროზე მოაცილოთ ამ სკოლას, სპეციალურ სკოლაში წაიყვანეთ, აქ თუ დარჩა, თქვენც შერცხვებით და სკოლასაც თავს მოჭრის ეს ლანირაკი, – თქვა კოტე მასწავლებელმა და მრისხანე თვალები ნიკოს მიაპყრო.

- მე უარს ვამბობ ნიკოს კლასში ვასწავლო, – განაცხადა ფიზიკის მასწავლებელმა.

- დააწყვიტა მთელ პედაგოგიურ კოლექტივს ნერვები. სწავლა მაგას არ უნდა და რისთვის დადის სკოლაში, საინტერესოა! – ჩაერია სხვა მასწავლებელი.

დეიდამ აცრემლებული თვალებით დატოვა სამასწავლებლო. ლასლასით ჩაიარა კიბე და, ალბათ, იქვე ჩაიკეცებოდა, რომ არა ნატალია მასწავლებელი. ნიკოც იქვე ატუზულიყო, სახე აწითლებოდა. ჩანდა, აეღელვებინა დეიდა თინას მწუხარებას.

- ნიკო აღარ ზარმაცობს, საშინაო დავალებებსაც კარგად ასრულებს, უყვარს მშობლიური ენა, – წარმოთქვა მასწავლებელმა და სიყვარულით სავსე სახე ნიკოსკენ მიაპრუნა, ეს დეიდა თინასა და ნიკოსათვს ისე მოულოდნელი იყო, რომ ნიკო გახევდა, ათასი ციცინათელა აუციმ-

ციმდა თვალებში. დეიდამ კი ცრემლიანი, მაგრამ უკვე გახარებული თვალები ამდგარ პედაგოგს შეანათა და თითქოს სალოცავ ხატს შეჰდალადებსო, ისე ლაპარაკობდა: „შენი ჭირიმე, მიშველე, გადამირჩინე ბიჭი, თუ არა, რა ვქნა მე, მარტოხელა ქალმა, სად წავიყვანო, მიშველე, შენ გენაც-ვალე და მტლად დაგედები.“

- რა სჭირს ნიკოს გადასარჩენი: – ნიკოს ხელით ანიშნა კლასში შედიო და გაკვეთილიც და-იწყო. ამ ამბის შემდეგ ნიკო კვლავ გულჩახვეული იყო. ნატალია მასწავლებელს როგორც კი და-ინახავდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები ყელში ეჩხირებოდა და მუნჯდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ნატალია მასწავლებელმა ნიკოს კლასში თავისუფალი თემა – „წერი-ლი მეგობარს“ შეიტანა, ბავშვებს მიმართა, ყოველივე გულახდილად დაეწერათ, რა უჭირდათ, რაზე ფიქრობდნენ, რას მოითხოვდნენ მეგობრებისგან.

გაკვეთილის დამთავრებისთანავე სამასწავლებლოში ნიკოს თემა გადაშალა და ხმამაღლა წაიკითხა: „მე მეგობარი არა მყავს, ამიტომ არ ვიცი, ვის მივწერო. მასწავლებელო, მე კარგი ბი-ჭი არ ვარ, ძალიან, ძალიან ცუდი ბიჭი ვარ. ვიცი, ჩემთვის აკეთებთ ყველაფერს, ასე მგონია, ეს თემაც ჩემთვის მოიტანეთ, რომ გამოიცნოთ, რა მჭირს, რატომ ვარ ასეთი აუტანელი, ტყუილად წვალობთ...გახსოვთ, რა თქვა ჩემზე გეოგრაფიის მასწავლებელმა? შენგან კაცი არ დადგებაო. თქვენ კი სხვანაირად ფიქრობთ. რამდენჯერ მინდოდა მეთქვა ეს თქვენთვის, მაგრამ ვერ ვბე-დავდი. წერილში უფრო ადვილი ყოფილა...ბევრი მინდა გითხრათ...არა...ვერ დავამთავრე წერი-ლი, მაპატიე...ჩემო მასწავლებელო, ოდესმე უსათუოდ დავამთავრებ...ნიკო დუგლაძე“

და დაიწყო ბრძოლა...მასავლებელმა თვალი აუხილა ნიკოს. შეაგნებინა, რომ უპირველესად ადამიანი ღვთის ხატია, იგი პატიოსნებით, შრომისმოყვარებობით ფასდება, ხოლო ქურდობა და ავაზაკობა საშინელებაა.

ნიკომ მასწავლებლის დახმარებით სძლია უარყოფით ჩვევებს, ჩამოშორდა ყოფილ „მე-გობრებს“ და, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა, ნატალია მასწავლებელს აღარ ეშინოდა, რომ მისი აღზრდილი რაიმე უკადრისს ჩაიდენდა. ნიკო კაცად ივარგებს, – დაასკვნა მაშინ და ამის დასტური იყო ის წერილი, რომელსაც, ვინ იცის, უკვე მერამდენედ კითხულობდა:

„გახსოვთ, მასწავლებელო, წერილს უსათუოდ დავასრულებ- მეთქი, რომ დაგპირდით? მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი ისე მეცხოვრა, როგორც თქვენ გაგიხარდებოდათ და დღეს ვხვდები, რომ თქვენ ამიხილეთ თვალი, თქვენ გადამარჩინეთ, თქვენგან გავიგე, ადამიანობაა მთავარი, ცოდნა და რწმენა გქონდეთ დასახული მიზნის მისაღ-ნევად, ოცნების ყვავილი შრომის სიყვარულით თუ გაიშლება მხოლოდ, თქვენგან მაქვს მინიშ-ნებული, თქვენი ბრძნული დარიგებანი მინათებს გზას და ამ გზიდან გადახვევას არასდროს ვა-პირებ! პატიოსნად ვშრომობ, თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე. არ ვიცი, რით და როგორ გადაგი-ხადოთ მადლობა. სტუდენტი რომ გავხდები, აუცილებლად ჩამოვალ. მერე ჩემს მშობლიურ სკოლასაც მოვინახულებ- ჯოჯოხეთად რომ მეჩვენებოდა და სამოთხედ გადამიქციეთ. წერილი დავასრულებ, მადლობა ყველაფრისათვის. თქვენი ნიკო“.

ამაგდარი მოძღვრის თვალებში სიხარულის ცრემლი აციაგდა.

- მასწავლებლები არ უნდა კვდებოდნენ. ის საქმე, რომელსაც თქვენ აკეთებთ, ყველაფერ-ზე დიდია, ყველაზე ნათელი და ყველაზე ძვირად ფასობს. ამიტომაც უკვდავი იქნები, ჩემო დაი-კო, – დაასკვნა ნინომ და თავის სახელოვან 70 წლის დას, ამდარ პედაგოგს გადაეხვია.



ელენე ფუტკარაძე



ამონაკავნები.....მრავალწახნაგლეანთერი სალამიანდრა..... მავანისა და მავანისათვის „თეთრი მელა“.....

.....ძველი რომაელები ამბობენ – „მიცვალებულზე ან არაფერი, ან მხოლოდ კარგი...“ ალბათ ასეა.... . ძნელია, შეაფასო ადამიანი, დასვა პლუსი ან მინუსი, მისი მოღვაწეობის შესახებ.... თანაც, ამ ათ-მაგი სტანდარტების ეპოქაში.... ქრისტიანული მორალიდან სხვანაი-რად ჩანს.... პოლიტიკური გადასახედიდან შეიძლება მოვლენადაც იქცეს.... ილიასეული დოქტრინიდან „აბა, მე დღეს, ვის რა ვარ-გეო?“.... ადამიანში შუქიც არის და ჩრდილიც.... თავისი მეტნაკლე-ბობით.... მაგრამ მთავარი, მაინც დანატოვარი, შედეგი მგონია.... ანუ, „ხე ნაყოფით იცნობა...“ – მარადიული ჭეშმარიტება ამას დაღადებს.... არის უმთავრესი და მნიშვნელოვანი – უზნაესის ნე-ბა, რომელიც ერთი ხელის მოსმით ამაღლებს ან აცამტვერებს ჩვენს ნებას, ამბიციას, ჩაფიქრე-ბულ ნაფერებ სურვილს.... ყოველი ჩვენგანი გადის თავის სავალ გზას...ვიღაც ზუსტად აღმოჩ-ნდება საჭირო დროს, საჭირო ადგილზე და ადის საფრენ ბილიკზე.... ზურგის ქარი უბერავს მის ცხოვრებას.... . ვიღაცას აგვიანდება ან ვაი ჭკუისაგან, ან ამპარტავნებისა გამო, ან უბრალოდ სულელია, მეტი არ ესმის, ან უბრალოდ არც სურს...თავისი დროის ზოგიერთ წარმატებულ ადა-მიანს ათას თვისებას მიაწერენ, ისეთს, რაც საერთოდ არ ჰქონია არასოდეს...ის, ვინც ჩაიკარ-გება დროსა და სივრცეში, თავსაფრიანი დედაკაცივით უგზო უკვლოდ გაქრება.... ანუ უძეგ-ლოდ წავა. კარგია, თუ შთამომავალი მაინც შესვავს მის შესანდობარს.

ამჯერად, ღრმა ასაკში წავიდა ცნობილი ადამიანი – ედუარდ – გიორგი – ავგუსტინე!!!! (ვინც იცის, მიხვდება რას ნიშნავს, მესამე სახელი)...ერთ დროს მნიშვნელოვანი ფიგურა, ჭად-რაკის დაფაზე.... . ასეთ მოთამაშედ ბევრს არ ასახელებს ისტორია.... . მაინც მგონია, ჩემი სუბი-ექტური აზრით, რომ ედუ – გიორგი – ავგუსტინე ოსტატი იყო, საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნის.... ნათელი ინტელექტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ალღო, მიზანსწრაფულობა და სივ-რცეში ხედვა – გადაადგილება, შესანიშნავად იცოდა.... შეეძლო ფურთხებაც კი აეტანა...ტყვიის წვიმაში მდგარიყო (სალამანდრა – ცეცხლს გამოივლის და მაინც გამოვა ტყიდან ცოცხალი), მან სამი რეჟიმის დაწოლას გაუძლო.... ეს ცოტას არ ნიშნავს!!! ბოლოს და ბოლოს, „დრონი მე-ფობენ, არა მეფენი“ და ისიც გაუშვეს არენიდან, თუმცა იძულებით, მაგრამ მშვიდად.... . აი, მე-რე ატრიალდა და თავდაყირა დატრიალდა მორევი.... დათესილ ქარს ქარიშხალი მოჰყვა...წამ-ლეკავმა ენერგიამ ბევრი რამ შთანთქა.... ისევ ფორტუნამ შეცვალა ავანსცენა.... ბევრი რამის მომსწრეს ალბათ, ფიქრისა და განსჯისათვის ჰქონდა დრო.... სინანულისა და აღსარებისთვი-საც მოიცალაო – ამისთვის მისცაო, ღმერთმა დრო.... შეენანებინა „ჯინსების თაობის“ დახვრე-ტის...90 წლების თაობის ცოცხლად დამარხვის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.... უფრო ადრე ჩა-დენილი „გმირობების“ სისხლიანი შედეგი.... ღმერთის მოწყალება უსაზღვროა...ჩვენი მოსვლა და წასვლაც მისი ნებაა...დროვამს ის ადგენს, ჩვენ რა შეგვიძლია, უბრალოდ სინანული უნდა გვქონდეს განვლილი ცხოვრებისა და ჩადენილი ცოდვების გამო.... მესმის, რომ მძიმე იყო მისი ტვირთი..... ალბათ, ედუარდ – გიორგი – ავგუსტინემაც შეინანა, ბოლო უამს...უფალმა ინება, ასე.... დიდ არს, მარადმსუფევი.....მაინც, არ დამნანებია...ასეა, ტყუილს არ ვიტყვი!!!! ..

.. ელენეაია, 11.07.2014 წელი....

მკმრნარა, ვარდისთერი... სიცვარულის ყვავილი...

...შეხვედრა იყო მოულოდნელი, ხანძრის შემდეგ.... ცეცხლის ენებმა დაწვა სკოლის შენო-ბა...ორი მობრიალე გული შეხვდა ერთმანეთს...სათუთად ჩაკიდეს ხელი – მათ შორის სიყვარუ-ლის ყვავილი ამოიზარდა, პირველი იყო – ვარდისფერი, მკბენარა, მაინც სათუთი და მოალერ-სე...

ბიჭი – მაღალი, ტანადი, კეხიანი ცხვირითა და ცისფერი თვალებით; გოგო – ტანდაბალი, კოჭადა, თუმცა თბილი და სათუთი, ძალიან ქალური...გულში ჩაუვარდა ბიჭს, ვერავის და ვერა-ფერს ვერ ამჩნევდა გარშემო...ტკიოდა, ტიროდა მისი შეხების დროს...ორივენი ავსებდნენ ერთმანეთს და გარშემო სივრცეს, სხვები არც არსებობდნენ მათვის – მანო და აკო, უხდებოდნენ ერთმანეთს თითქოს...გადადიოდნენ მეათე კლასში, ნოლგავლილები. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯვრისწერას ფიქრობდნენ...მაგრამ ატრიალდა ჭორის მორევი, ასისინდნენ ჭორტანები – დედების დაქალები, მეზობლის ქალები, ნაცნობები და უცნობები – განსაკუთრებით მანოს ვერ იტანდნენ, შურდათ მისი, ასეთ კარგ ბიჭს რომ უყვარდა – ნარმოსადეგს, ოჯახისშვილს, ქალაქში ცნობილი ბიძების დისტულს...იმდენი ქნეს, რომ აკოს „აუხილეს“ თვალი, ერთმანეთზე უკეთესი გოგონები აჩვენეს – „პატარა ხარ“, „რა გესმის“, „ლამაზი შთამომავლობა უნდა დატოვო...“ ეგ მახინჯი კოჭადა შენი საფერი არ არისო...და ასე დაჭვნა მკბენარა, სათუთი, ვარდის-ფერი ყვავილი...საღამოსა თუ განთიადისას, ანოს თვალებზე ცრემლი ბრწყინავდა...

აკო აღარ რეკავდა...

აკო აღარ ხედავდა...

აკოს აღარც ახსოვდა თითქოს....

დარდობდა თაფლისფერთვალა, კოჭადა, ძალიან ქალური მანო, ბევრ ლამაზ გოგოს რომ სჯობდა სისათუთით.... მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა.... თვალებს ახსოვს, ძველი არბატის კუთხეში ჩახუტებული წყვილი, მათი ოთხი თვალი ერთმანეთს უყურებდა მხოლოდ – აკოს თვალებში მანო ჩანდა... მანოს თვალებში – აკო... მაშინაც კი, როცა ერთად არ იყვნენ... ამოშან-თეს ცეცხლის ენებმა ვარდისფერი, მკბენარა, სიყვარულის ყვავილი. მათი გაცნობა ცეცხლით დაიწყო და ცეცხლით დამთავრდა... მჯერა, რომ აკო – მანოს დღესაც ახსოვთ და ისევ უყვართ ერთმანეთი... თუმცა სხვაგან არიან...

P. S. მძულს, დედების ჭორტანა დაქალები, მეზობლის ქალები, დაბმული ძალების სიშმა-გით რომ უყეფდნენ ლამაზ სიყვარულს...

ელენებია... აგვისტო, 2008.

უძვირთახეს სულის ამობახილი....

...უწყვეტია ტკივილი სულში... მახსოვს სასახლეში მძინარე ლამაზი, ახალგაზრდა ქალი.... პატარა ბინული, ნაპირების გარეშე დარჩენილი.... უკვე თერთმეტი წლის პატარა გოგო, ძიაკოს მხრებს ჩახუტებული – ალბათ, მამას გეძახის...

მახსოვხარ სულ.... ჩემი სულის ნაწილი ხარ, შემიძლია შენთან ერთად ცხრა მთა გადავიარო... შენი მთებივით ამაყი ხარ... თუმცა ძალიან თბილი, სიკეთე რომ გადმოდის, ისეთი....

სიზმრად ვიცი, რომელ ქალაქში ხარ... ტელეფონის ნომრებსაც მკარნახობ ... შენს ძალასაც ვგრძნობ, შენი სუნთქვაც მესმის... გავიღვიძებ და აღარაფერი მახსოვს... მიუხედავად უკიდეგანო სიშორისა – დედამიწა პატარაა... ისიც მჯერა, რომ შეგხვდები, არ ვიცი სად, არ ვიცი როდის... შენა ხარ ის, ვისაც არ სჭირდება ახსნა – განმარტება, ვინ არის ეა – ასეთი თუ ისეთი... მინდა მხარზე თავი მოგაყრდნო, გულთან ახლოს და ვიტირო ჩემი და შენი ტკივილი ერთად, ყველა-ფერი გითხრა, რასაც ვფიქრობ და დავისვენო...

თუ ღმერთმა ინება და გზაჯვარედინზე შევხვდით ერთმანეთს, მართლა დედა ვიქენები ნაპირების გარეშე დარჩენილი ბინულისათვის, ისევე, როგორც შენა ხარ მართლა მამა... ეგ ბაია ტირილამდე მიყვარს... ყველა მისიანი გარშემო, შენიანი ვინც არის... მახსოვს წლების წინ ნათევამი – „ეა, იცი, რა კარგი დები მყავსო...“ ეჭვიც არ მეპარებოდა...

ვწერ გამთენისას, დილის ექვს საათზე... ვტირივარ ცხარე ცრემლით უაზროდ დაკარგულ წლებს... ჩემს და შენს ცხოვრებას, ბრინჯის მარცვლებივით დაფანტულს... მახსოვხარ... მენატ-რები... სული გეძახის კიდეც, ხანდახან... სადა ხარ! სადა ხარ!

P. S. მე მჯერა, რომ სიყვარული სულიერი კატეგორიაა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ხორცით განვიცდით მას... ის მაინც სულიდან მოდის... ამიტომ გხედავ სიზმარში, უკიდეგანო

სიშორიდან ვგრძნობ შენს არსებობას...სიყვარულისთვის დედამიწა პატარაა.... "შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი!!!"...არავინ იცის მისი ნება...მჯერა, რომ გნახავ...არ ვიცი სად, არ ვიცი როდის...მიყვარხარ შინაგანად....

ელევანა 03. 03. 2010



სოსო ლონდრიშვილი



სწორი ნასროლი ცეკვა

მოთხოვთ

კახეთი, რომ საქართველოს ულამაზესი, ღვთითეურთხეული მხარეა, ეს სადაო არ არის. ამ კუთხეში მშვენიერებითა და ბუნების იშვიათი სილამაზით გამოიჩინება პანკისის ხეობა, სადაც ქართულ სოფლებთან ერთად ქისტების სოფლებიც მდებარეობს. ამ ხეობის ნებისმიერ სოფელში სტუმრობისას, სოფლის თვალწარმტაცი ბუნების სიმშვენიერე, სუფთა, ანკარა, ალაზნის ხმაურიანი დინება, სიცოცხლის ხალის გმატებს და ქეიფის ხასიათზე მოგიყვანს კაცს.

გამრჯე და ამაყი ქისტები სახლობენ ხეობის სოფლებში, თითქმის საუკუნენახევრის ნინ, რუსეთის ცარისტული თვითმკურობელური პოლიტიკის შედეგად, ჩრდილო კავკასიის მთიელებს საკუთარი მინა-წყლიდან ჰყოლების და ზოგს თურქეთში და ზოგსაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ასახლებდნენ. მაშინ ქართველებმა დიდსულოვნება გამოიჩინეს და თავის მინა-წყლიდან აყრილი ჩეჩენი მოსახლეობის ნაწილი აქ, საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში, პანკისის ხეობაში შეიფარეს, დაასახლეს, არსებობის და ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნეს.

ჩეჩენებმა შეისწავლეს ქართული ენა და ქართულ გვარებზეც დაეწერნენ, შეითვისეს ქართული ადათ-ნესები და ტრადიციები, მათი ყოველდღიური ყოფა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რელიგიურ განსხვავებას, არაფრით განირჩეოდა ქართველების ყოფა-ცხოვრებისგან.

ქისტების ერთ-ერთ სოფელში, თავისი გონიერებითა, კეთილშობილებითა და კაცთმოყვარებით გამოირჩეოდა ზელიმხან ბალაკაშვილი. ზელიმხანს თავისი შვილებიდან განსაკუთრებით ეიმედებოდა უმცროსი ვაჟი ელიზბარი, რომელმაც გასულ წელს საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა, იმავე წელსვე გროზნოში წავიდა ბიძასთან სამუშაოდ, გარკვეული თანხა დააგროვა. ნაწილით ოჯახს შეენია, დანარჩენი კი უმაღლესში ჩასაბარებლად მომზადებისთვის გადაინახა.

შუაღამე გადასული იყო, როცა თავლიდან ცხენის შემანუხებელი ფრუტუნი მოესმა ზელიმხანს.

- ელიზბარ! გაიღვიძე შენ ცხენს მგონი მშობიარობა დაეწყო, ადექი მომეხმარე, ცუდად ფრუტუნებს ხომ არაფერი უჭირს რა.

- ელიზბარმა მამის დაძახილზე მაშინვე თვალები გაახილა, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და მამას გაჲყვა.

ზელიმხანმა ჭრაქი აანთო და თავლაში შევიდა, ცხენი მძიმე მშობიარობის გამო გამალებით ქშინავდა, მთელი სხეულით კრთოდა, ხაყოფი არასწორად მოდიოდა საშოდან.

- თავი დაუჭირე, მე როგორმე დავეხმარები, – უთხრა მამამ ელიზბარს და ცხენს მუცელზე ორივე ხელით დააწვა. ელიზბარმა ფაშატს ალერსიანად გადაუსვა ფაფარზე ხელი და ყურში ჩასჩურჩულა – ცოტა კიდევ მოითმინე და ყველაფერი მორჩება. ცხენმა იგრძნო პატრონის მზრუნველი ხელი. მიბნედილი თვალები გაახილა და ცრემლები გადმოსცვივდა. ზელიმხანმა

კვიცს წინა ფეხებში ჩაავლო ხელები და გამოსწია. პატარამ როგორც იქნა, წვალების შემდეგ დატოვა დედის საშო.

საოცრად ლამაზი სანახავი იყო ახალშობილი, როგორც მშვენიერ ქალს უხდება ძვირფასი სამკაული, ასევე სამკაულივით უხდებოდა კვიცს წაბლისფერ შუბლზე ჩამონადენი თეთრი ზოლი, ახალშობილი ნორჩ პატარა ნესტოებს ძალუმად ბერავდა და ჰაერს ღრმად ისუნთქავდა ჯერ ისევ ლორნოთი დაფარულ ტანზე ორთქლი ასდიოდა და ნორჩი პარანა ფეხებით ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ სისუსტისაგან მუხლები ეკვეთებოდა და ფეხზე დგომა უჭირდა.

ზელიმხანის მეუღლეს ქმარ-შვილის აფორიაქება ცუდად ენიშნა, თვითონაც ამდგარიყო საწოლიდან სპილენძის დიდ ქვაბში წყალი გაეთბო და თავლაში მიჰქონდა.

ზელიმხანმა კვიცი თბილი წყლით განბანა და ცხენს შეუტია, რომ ფეხზე ამდგარიყო, მაგრამ ცხენი გაუნძრევლად იწვა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა და ფეხზე დადგომის თავი აღარ ჰქონდა. მამა-შვილი მიხვდა, რომ ცხენი სააქაოს აღარ იყო. კვიცს კი დედის ლაჯებში თავი შეეყო და ძუძუს ეძებდა. ფაშატმა ღრმად დაიფრუტუნა, ორივე თვალი მიღულა. ელიზბარმა ცხენის თავი მერდზე მიიხუტა და ქვითინი დაიწყო. მამამ შეხედა ელიზბარს და გაამხნევა:

- რა გატირებს ვაჟკაცი არა ხარ. მეც გული მატკინა მისმა სიკვდილმა, მაგრამ რას ვიზამთ, მოსახდენი მოხდა, ამ პატარას ხომ პატრონობა და გაზრდა უნდა. – კარგი! გეყოფა! – კი-დევ ერთხელ ანუგეშა მამამ ელიზბარი და თავლიდან გამოვიდა.

ელიზბარს თვალნინ წარმოუდგა სოფლის დღეობებზე გამართულ დოლში, მისი ფაშატი ტოლს რომ არ უდებდა ულაყებს და ბევრჯერ გამარჯვებულ უზემია პატრონთან ერთად.

შარშანაც დოლში გამარჯვების ნიშნად მიღებულ ჯილდოებს შორის, ყველაზე ძვირფასი და სასურველი ჯილდო მისი შეყვარებულის ლეილას კოცნაც ხომ მისი ბედაურის დამსახურება იყო. იხსენებდა ამ და სხვა მრავალ მოსაგონარს ელიზბარი და უზომოდ განიცდიდა ცხენის სიკვდილს. თავლიდან გამოსული თვალცრემლიანი ელიზბარი დედამ შენიშნა. ვაჟკაცის თვალზე ცრემლი ეხამუშა ქისტის ქალს, თუმცა გულში უხაროდა კიდეც და დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი, რომელიც ასე განიცდიდა ცხოველის სიკვდილს ადამიანების მიმართ უფრო შემზადებულ და გულმონალე კაცად გაიზრდებოდა. მითუმეტეს რომ ელიზბარი მორწმუნე იყო და მეჩეთში ლოცვებს არ აცდენდა. ყურანის თითქმის ყველა სურა ზეპირად იცოდა და ამიტომაც ის ტოლ-მეგობრებში ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილზნეობითა და სამართლიანობით.

ერთ საღამოს სოფლის საბჭოს ეზოში სადაც ჩვეულებისამებრ შეკრებილიყვნენ სოფლის უხუცესები, ბჭობდნენ ქვეყანაში შექმნილა რთულ მდგომარეობაზე. ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფოს-ხალიფატის შექმნის თაობაზე მიუღებლად მიაჩნდათ და ჰკიცხავდნენ ენით აულნერელ მათ სისასტიკეს ტყვევებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

- ზალიმხან, უყურე გუშინ ტელევიზორს! - ჰკითხა მოხუცმა, თეთრ წვერზე ორივე ხელი ჩამოისვა და ხმადაბლა წარმოსათქვა:

- ეს რა ვაჟკაცობაა ხელბორკილ დადებულ კაცებს მუხლის ჩოქზე რომ დააყენებ დ ზვარა-კად შესანირი ბატკანივით, მთელი მსოფლიოს დასანახად უმოწყალოდ ყელებს რომ გამოსჭრი, ასეთ ცოდვას აღაპი არ გაპატივებს. რას ერჩინა მშვიდობიან უდანაშაულო მოსახლეობას. – დანანებით ამბობდა ჭარმაგი ქისტი და აღშფოთებული წარმოსთქვამდა – აღაპი შეგაჩვენებთ ცოდვის ჩამდენთ!

- მართალი ხარ – გამოელაპარაკა მის გვერდით მჯდარი უხუცესი ქისტი, აღარც ბავშვებს ინდობენ ამით ქვეყანა უნდა ააშენონ, ადამიანების სისხლში ყელამდე ცურავენ.

- წინა კვირას გროზნოდან ერთი მოლა ჩამოსულა ხეობაში, დადის ჩვენს სოფლებში და ახალგაზრდებს ტვინს უბურლავს, ახალი ისლამური სახელმწიფოს შექმნაში მონაწილეობის მიღება თქვენი ღვთიური ვალია, სამაგიეროდ არც ფული მოგაკლდებათ და სამომავლოდ არც კარგი ცხოვრებაო.

ასე რომ იცოდე – ზელიმხან! იმ ვაპაბიტმა აღაპის მოციქულმა შენს შვილს დაადგა თვალი, ფრთხილად იყავი, ბიჭი არ წაგართვას.

- მე კარგად ვიცნობ ჩემს შვილს, ის კაციჭამიებთან საქმეს არ დაიჭერს.

მართალია, ჭკვიანი ბიჭი გყავს, მაგრამ ახალგაზრდაა, მათი პროპაგანდის ანკესზე არ წამოეგოს. ხომ იცი, ეს ვაჲაბიტები რა დაქოქილები არიან, მაინც ყურადღებით იყავი, ნათქვა-მია: „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“. – გააფრთხილა მოხუცმა ზელიმხანი.

ერთ საღამოს ელიზბარი სახლში არ დაბრუნდა, მამას ტელეფონზე დაურეკა ახმეტაში მივდივარ და ამაღამ აქ მეგობრებთან დავრჩებიო. სინამდვილეში კი იმ მოლას მითითებით პას-პორტისთვის სურათები გადაიღო და სხვებთან ერთად მოლამ სირიაში გასაგზავნ პანკისელ ბიჭებს კონსპირაციულ ბინაზე მთელი ღამე ინსტრუქციებს უტარებდა, ღამაზ ზღაპრულ ფერებში აღნერდა ისლამისტების ყოველდღიურ ცხოვრებას და საქმიანობას. მაგალითად კი მოპყავდა მსოფლიოში უკვე ცნობილი, ხალიფატის ერთ-ერთი მთავარსარდლის პანკისელი ქავთარ ბათი-საშვილის იგივე ომარ ალაშიშანის „საგმირო საქმეები“. ბიჭები სულგანაბულნი უსმენდნენ ის-ლამური სახელმწიფოს „დესპანს“ პანკისის ხეობაში და აღტაცებულნი იყვნენ თავიანთი თანა-მოძმის მიერ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და ვაჲაცობის გამო. მათ ეამაყაებოდათ ასე-თი კაცის თანასოფლელობა და პირობას დებდნენ, რომ მისთვის მიებაძად.

მეორე დღეს ახმეტიდან სოფელში დაბრუნებულ ელიზბარს მამა სახლის ჭიშკართან დახ-ვდა.

- არ მომწონს შენი გასაიდუმლობული ვიზიტი იმ ვაჲაბიტ მოლასთან ახმეტაში, თუ რა-მეს აპირებ, თქვი! რას მიმაღავ? პატარა ხომ აღარ ხარ.

- დასამალი არც არაფერია მამაჩემო, სირიაში მინდა წასვლა, ჩემი სარწმუნოებრივი ვა-ლი მინდა მოვიხადო ალაპის წინაშე.

- აი თურმე რისთვის დაძვრებოდა ის მოლა ჩვენს მეჩეთში, რომ შენისთანები ჭკუიდან გადაეყვანა, რა ვალის მოხდაზე მელაპარაკები: ბავშვების, უდანაშაულო ქალებისა და კაცების ხეცვა-ულეტა – ამას ეძახი შენ ვალის მოხდას? ვერ გამიგია რა გზას ადგახარ, გონის მოდი სანამ გვიან არ არის.

- მე სილამის მტრებთან მივდივარ საბრძოლველად.

- იცოდე ჭკუას წიხლი დააჭირე და გონს მოეგე, რას ჩადიხარ, მაგრამ თუ შენს აზრზს არ შეიცვლი, ჩემი სახლის კარი დაიხურება შენთვის, მე ვფიქრობდი ჭკვიანი, გონიერი მემკვიდრე მეზრდება-მეთქი. შენ კი ვინ ყოფილხარ, ერთი ცერცეტა სხვის დაკრულ ზურნაზე მობუქნავე მუტრუკი.

მამის სიტყვებმა ელიზბარი მცირე ხნით ჩააფიქრა, მაგრამ მიცემული სიტყვის გატეხვა აღარ ისურვა და მამას მტკიცედ განუცხადა.

- გადაწყვეტილება მივიღე, უნდა წავიდე, დედას ჯერ ნუ ეტყვი, მერე მე თვითონ შეგატ-ყობინებთ ჩემს სამყოფელს.

- ალაპმა შეგაჩვენოს – მიაძახა კარში გამავალ შვილს ელიზბარმა და აკანკალებული ხე-ლით ყალიონში თუთნი ძლივს ჩატენა.

თბილისის აეროპორტში ელიზბართან ერთად კიდევ ხუთი ახალგაზრდა ელოდა სტამბულის რეისზე გასაფრენ თვითმფრინავს, დანარჩენებიც, ისე როგორც ელიზბრი, პანკისის ხეობი-დან წამოეყვანა მოლას.

მთელი კვირა ელოდა მეჩეთთან ვაჲაბიტ მოლას ზელიმხანი, რათა თავისი ხელით დაეხ-რჩო ეს ალაპის უჩვეულო მოციქული, მაგრამ ახმედი (ასე ერქვა მოლას) პანკისელ აალგაზ-რდებთან ერთად უკვე თურქეთში ისლამისტთა კონსპირაციულ ბინაზე იმყოფებოდა, სადაც სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებსაც მოეყარათ თავი და სირიაში გადასასვლელად ემ-ზადებოდნენ.

- ჩვენ კიდევ ერთი კვირა დაურჩებით თურქეთში, სხვებსაც ველოდებით, თანაც სირიაში გადასასვლელად საბუთებია მოსანესრიგებელი, ამას დრო სჭირდება, დღეს შეგიძლიათ ქალაქ-ში გაისეირნოთ, მე საქმეებს მივხედავ, ოღონდ დანთქმულ დროს არ გადააცილოთ, დროზე დაბ-რუნდით უკან – უთხრა ახმედმა ბიჭებს, შემდეგ ქალაქში სეირნობისთვის ჯიბის ფულად ყვე-ლას ასდოლარიანები დაურიგა და დროებით დაემშვიდობა. ბიჭები წამოიშალნენ და ღამის სტამბულის დასათვალიერებლად წავიდნენ. ელიზბარი იჯდა მარტო ოთახში, ფიქრს მისცემო-და. ჯერ ერთი კვირაა, რაც სახლიდან წამოვიდა და უკვე მოენატრა იქაურობა. იხსენებდა მამის აღმფოთებულ სახეს და მის გზაზე დადევნებულ სიტყვებს: „ალაპმა შეგაჩვენოს“. იმ წამს შეებ-

რალა მოხუცი, მაგრამ უკან ხომ არ გაბრუნდებოდა, ასეთ არაკაცურ საქციელს საომრად წამოსული ქისტი კაცი არ იკადრებდა.

განსაკუთრებით ებრალებოდა დედა, რომელიც ალბათ ვერასდროს შეეგუებოდა მის სახლიდან წასვლას, გული სწყდებოდა ელიზბარის იმაზედაც, რომ მის საყვარელ არსებას, რომელიც ბავშვობიდან უყვარდა ვერ გამოემშვიდობა, ლეილა იმ დრო თბილისში იყო და მისაღებ გამოცდებს აპარებდა უნივერსიტეტში.

ამ ფიქრებში იყო გართული ელიზბარი, როცა ერთ ახალგაზრდას ფული დავიწყნოდა და უკან მობრუნებულიყო.

- რა მარტო ზიხარ ბნელ ოთახში, წამოდი ქალაქში, ნახე რა ლამაზია სტამბული ღამით.

ელიზბარმა ბიჭს გაულიმა, წამოდგა, პერანგი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. ქალაქში უამრავი ხალხი ირეოდა, ელიზბარი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას, მულოდნელად წაცნობ საუბარს მოჰკურა ყური, წამით შეჩერდა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გაიხედა. რამდენიმე ახალგაზრდა ქართულად ხმამაღლა საუბრობდა. ელიზბარს მათი საუბრის კილო ეცნაურა, აშკარად ეტყობოდათ, რომ კახელები იყვნენ. ელიზბარს გულმა მათკენ გაუწია, გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს და ბიჭებს გამოელაპარაკა.

- საიდანა ხართ ბიჭებო?
- კახეთიდან.
- კახეთი დიდია, არ დააკმაყოფილა ელიზბარი მათმა პასუხმა.

- ახმეტელები ვართ, სამუშაოდ ვართ აյ ჩამოსულები. ერთ კვირაში ვრჩებით და უკან ვბრუნდებით. ელიზბარს ახმეტის ხსენებაზე ძართვებში სისხლი გაუჩერდა, წამით შეყოვნდა და გაიფიქრა: თქვენ კი დაბრუნდებით, მაგრამ მე როდისლა მეღირსება ჩემს ქვეყანაში დაბრუნება ან მეღირსება კი?!..

შემდეგ ფიქრებიდან გამოერკვა, ბიჭებს დაემშვიდობა და ათასფრად მოელვარე გირლიან-დებით განათებულ-გაბდლვრიალებულ ქუჩას გაუყვა.

ერთი კვირის თავზე სირიაში გადასაყვანი ახალგაზრდების რიცხვმა ოცდაათს მიაღწია. ახმედმა ისლამის მიმავალ მეომრების უკანასკნელად მცირე ინსტრუქტაჟი ჩაუტარა და ყველანი მის კოლეგა მუსას გადააბარა, რომელსაც ბიჭები სირიაში უნდა გადაეყვანა. თვითონ კი ახალი რეკრუტის მოსაგროვებლად უკან საქართველოში გამობრუნდა.

მუსამ ახალგაზრდების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი თითქმის უპრობლემოდ გადმოიყვანა თურქეთიდან სირიაში და ჯიპადისტთა ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე დააბინავა, ამ ახალ ჯგუფს მომზადების შემდეგ, გაივლიდნენ რა საბრძოლო წარმომადებულობას, სარდალ ალ-შიშანის შენართები უნდა შეევსო.

ისლამისტმა ინსტრუქტორებმა ახალგაზრდები გადაანაწილეს, იმათ ვისაც სათანადო განათლება არა ჰქონდათ და ფიზიკური აღნაგობითაც გამოირჩეოდნენ საბრძოლო ქვედანაყოფების შესავსებად დაუწყეს წვრთნა, ხოლო რომლებსაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული და სათანადო სპეციალობებს ფლობდნენ, ისინი სამოქალაქო სექტორში გაამწესეს, რადგან ისლამისტებს ახალი ქვეყნის, – ხალიფატის შესაქმნელად ინტელექტუალები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სჭირდებოდათ.

უკვე ექვსი თვე ინურებოდა, რაც ელიზბარი სახლიდან წამოვიდა და აქ სირიაში ისამისტთან ერთ-ერთ ცნობილ ბაზაზე წვრთნას და მომზადებას გადიოდა, თვის ბოლოს მას საბრძოლო მოქმედებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ის ადვილად ითვისებდა ინსტრუქტორების მიერ გადაცემულ ცოდნას, უფლებოდა საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკას, რის გამოც ხშირად ხელმძღვანელობის მადლობას იმსახურებდა. ანაზღაურებაც საკმაოდ სოლიდური ჰქონდა. ისლამისტები ფულს არ იმურებდნენ თავიანთი მეომრებისთვის.

ელიზბარს ბევრჯერ უფიქრია ფულის საქართველოში გამოგზავნა, მაგრამ მამის რიდი ჰქონდა, თანაც ეხლაც მეხის გავარდნასავით ჩაესმოდა ყურებში სახლიდან წამოსვლისას მამის სიტყვები: ალაჰმა შეგაჩვენოს. ამ სიტყვების შემდეგ როგორ გაბედავდა სახლში არამც თუ ფულის გაგზავნას, არამედ თავის თავზე რაიმე ინფორმაცია რომ მიეწოდებინა მშობლებისთვის.

- ელიზბარ გაიგე: ხვალ ჩვენი სარდალი ომარ ალ-შიშანი ჩამოდის ბაზაზე, უნდა შეა-მონმოს ბიჭების საბრძოლო მზადყოფნა. – უთხრა ერთმა ლიბანელმა, რომელიც ელიზბართან ერთად ცხოვრობდა ყაზარმაში.

- მგონი ჩვენი სარდალი შენი თანამემამულეა.
- ჰო ქართველია ჩვენი ხეობიდანაა, მისი ქართული სახელი და გვარი ქავთარ ბათირაშვილია.

მეორე დღეს ალ-შიშანი რიგში ჩამნკრივებულ ისლამის მებრძოლებს სათითაოდ ართმევდა ხელს და ალაპის საქმისადმი ერთგულებას უწონებდა. როცა სარდალი ელიზბარს მიუახლოვდა, მისმა აღნაგობამ და კავკასიურმა იერმა თავის ქვეყანა გაახსენა, მეთაურს ნოსტალგია მოეძალა, თუმცა არ შეიმჩნია.

- სადაური ხარ, – ჰეკითხა სარდალმა მეომარს არაბულად. ელიზბარმა თავისი ხეობის მკვიდრ ქავთარ ბათირაშვილს ქართულად უპასუხა.

- ქისტი ვარ, პანკისის ხეობიდან, ელიზბარი მქვია გვარად ბაღაკაშვილი.
- ზელიმხან ბაღაკაშვილი ვინ არის შენი.
- მამა – ამაყად უპასუხა ელიზბარმა.

- მე ვიცნობ ზელიმხანს. მისი გონიერება და ვაჟუაცობა მთელს ხეობაშია ცნობილი, მის სიტყვას დიდი ფსი აქვს. იმედია შენც სახელოვანი მამის ღირსეული შეილი ხარ. – უთხრა ქავთარმა ელიზბარს, ხელი ჩამოართვა, ახალი სამშობლოს სამსახურში ჩადგომა მიულოცა და წარმატები უსურვა.

- ისლამისტები ახალ მებრძოლებს საბრძოლო მომზადებასთან ერთად არაბულ ენასაც ასწავლიდნენ, რადგან ისლამური ხალიფატის სახელმწიფო ენა არაბული იყო და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მებრძოლები ვალდებული იყვნენ ერთმანეთთან არაბულ ენაზე ესაუბრათ. ალ-შიშანს გადაწყვეტილი ჰქონდა ბაზაზე კიდევ ორი კვირა დარჩენილიყო, რადგან მომზადებულ ჯგუფს, სადაც ელიზბარიც შედიოდა მომავალ კვირას საბრძოლო მოქმედებში უნდა მიეღო მონაწილეობა. კერძოდ, მათ ქრისტიანი ასირიელებით დასახლებული სოფელი უნდა გაეწმინდათ პარტიზანებისაგან, სარდალს აინტერესებდა თუ როგორ გაართმევდნენ პირველ საბრძოლო ნათლობას თავს ახლად გაწვრთნილი მეომრები.

- ისლამისტებმა საბრძოლო შენაერთი, მცირე ორკაციან ჯგუფებად დაპყვეს, თითოეულმა ჯგუფმა გადაინანილა ასირიელთა სახლები სოფლებში და დაიწყეს მათი ჩხრეკა. სრულ საბრძოლო ამუნიციით აღჭურვილი ელიზბარი თავს მეწყვილესთან ჰასანთან ერთად, რომელიც მასზე ჩინით უფროსი იყო და მეთაურად ითვლებოდა მიუახლოვდნენ გასაჩხრკე ობიექტს.

სახლი ალიზით იყო შელესილი და ორი ოთახისგან შედგებოდა, სახლი წინ პატარა, კრამიტით გადახურული ფანჩატური იდგა, რომელიც ორ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ჰასანმა გაიარა ფანჩატური, კარს ფეხი ჰქონდა და ავტომატმობარჯვებული სახლში შევიდა, მას ელიზბარი მიჰყვა. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს ვიწრო ფანჯრიდან შემოსული დღის სინათლე ძლივს ანათებდა. ოთახის კუთხეში ჩაცუცქულიყო ახალგაზრდა ქალი, ხუთიოდე წლის ბიჭუნა გულში ჩაეკრა და შიშისგან ცახცახებდა.

- ამის ქმარი მოუხელთებელი პარტიზანია, იარაღის საწყობი აგვიფეთქა და ხუთი მებრძოლი მოგვიკლა. – მიმართა მეთაურმა ელიზბარს, მერე ქალს მიუბრუნდა და დაუყვირა:

- შენი ქმარი სად არის? მოასწრო გაქცევა? მითხარი, თორემ სულს გაგაფრთხობინებდა შენს შვილსაც ზედ დაგაკლავ.

- არ ვიცი, ერთი კვირაა ჩემი ქმარი თვალით არ მინახავს.
- სტყუის ეს ურჯულო, ამას ჰგონია დავუჯერებ, – ბავშვმა ტირილი მორთო და დედის კაბის კალთას ჩაეჭიდა.

- ჰასანმა ქალს მაჯაზე ხელი სტაცა და ბავშვთან ერთად ფანჩატურში გამოათრია, ელიზბარს თვალები გაუფართოვდა, მას ვერ წარმოედგინა ქალის მიმართ ასეთი მოქცევა, ის უძრავად იდგა და მისჩერებოდა გავეშებულ მეწყვილეს.

- რა იდიოტივით მიყურებ, თოკი მომაწოდე!
- ელიზბარმა ქამარზე დამაგრებული თოკი მოიხსნა და ჰასანს მიაწოდა.

- რამ გამოგამტერა ბავშვი გამოართვი, – დაუყვირა ელიზბარს მეთაურმა და დედის კალთას აგლეჯილი ბავშვი ელიზბარს მიუგდო, ელიზბარი არ ელოდა ჰასანის ასეთ უხეშ მიმართვებს, თავი შეურაცხეყოფილად იგრძნო და მეთაურს შეუბლვირა. ჰასანმა აინუნშიც არ ჩააგდო ელიზბარის წყენა, ქალი ფანჩატურთან მიათრია და ხელებით ბოძზე მიაბა, თოკი მაჯებზე ისე მაგრად გაუჭირა, რომ ქალს თითებში სისხლი გაუჩერდა და ფრჩხილები მთლად გაუშავდა. ქალი საშინელი ტკივილისგან კიოდა და ცდილობდა თოკიდან აშვებას, მაგრამ რაც მეტს ამოძრავებდა მაჯებს, მით უფრო მეტად უჭერდა თოკი.

- მაშ არ იტყვი სად არის შენი ქმარი? – დაუყვირა ჰასანმა ქალს. შემდეგ ბავშვს ხელი მოჰკიდა, დედის წინ დააყენა და ელიზბარს მიმართა – თუ არ გვეტყვის ქმრის ადგილსამყოფელს, ბავშვს მოვკლავთ, მოემზადე. ქალი მიხვდა თუ რას აპირებდა ჯიპადისტი. მისი კივილის სმა ზეცას სწვდებოდა. შავი კულულებიანი თმა გაშლოდა, თვალებიდან ცრემლები პატარა ნაკადულების მსგავსად ღაწვებზე ჩამოსდიოდა და ტანჯვა-წამებისგან გაფირებულ სახეს უსველებდა, ზედა ტუჩი სიმწრის ოფლისაგან ჰქონდა დაცვარული და გმუდმებით უკრთოდა. ელიზბარი გაოგნებული უყურებდა ქალის უღმერთო წამებას და ხან მტირალ ბავშვს გადახედავდა. ხანაც თავისი მეთაურის შეშლილი სახე ებლანდებოდა თვალებში.

- ეს ძუკნა არაფრისმთქმელი არ არის, ესროლე ბავშვს რალას უყურებ! – უბრძანა ჰასანმა. ხალიფატის მტრები არ უნდა დავინდოთ, – დამოძღვრა მეთაურმა ელიზბარი. განა ეს უსუსური ბავშვი ან უმწეო დედაკაცი არის ხალიფატის მტერი – გაუელვა თავში ელიზბარს, ამ პატარა არსების მოკვლა რა ვაჟკაცობაა, ეს ხომ სიმხეცე და სიველურეა. განა ყურანი ბავშვებისა და ქალების ხოცვა-ულეტას ქადაგებს, გარინდული იდგა ელიზბარი და ეს აზრები მის გონებაში ელვასავით კრთოდა და ჰასანის მიმართ სიძულვილი ეძალებოდა.

- ესროლე, თორემ მე ვესვრი, – დაიღრიალა ჰასანმა. ქალი დარწმუნდა, რომ შვილს უეჭველი სიკვდილი ელოდა და უფრო შემზარავად მორთო კივილი, ტოკავდა ბოძზე მიბმული და ცდილობდა აშვებას, თუმცა მისი მცდელობა უშედეგო იყო. ბავშვმა შეშინებული თვალებით შეჰყურებდა უცნაურად ჩაცმულ, თავზე დოლბანდმოხვეულ იარაღასხმულ ძიებს და ვერ გაეგორა დააშავა, რატომ უბრაზდებოდნენ და უშვერდნენ იარაღს.

ელიზბარს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, რა აღაპის სამსახური იყო უმწეო დედა-შვილის დახოცვა, თვალები დაენისლა და წამით ვერაფერს ხედავდა, შემდეგ აშვარად დაინახა მამის აჩდრილი, რომელიც განრისხებული სახით მის წინ იდგა და ხმამაღლა ეკითხებოდა:

- ამისთვის ჩამოხვედი აქ? უსუსური ქალებისა და ბავშვების ხოცვა არის ვალის მოხდა ალაპის წინაშე?

ელიზბარმა გარკვევით დაინახა სიბრაზისაგან მამის შეშლილი სახე და მისი თითქმის ყვირილით წარმოთქმული სიტყვები: „ალაპმა შეგაჩვენოს“.

- ჰა, რას შვრები, ესვრი თუ მე ვესროლო. – მოისმა ჰასანის ხმა, რომელსაც ბავშვის-თვის ავტმატის ლულა მიებჯინა და სასხლეტის გამოკვრამდე ელიზბარის ჰასუხს ელოდა. ელიზბარი უცებ გამერკვა, მამის ლანდი ბურუსივით გაითანტა – მე თვითონ, მე თვითონ, – წარმოსტქვა ელიზბარმა და ავტომატის ლულაბავშვს მიუშვირა, ელიზბარის ქმედებამ მეთაური დაამშვიდა და პატარას იარაღი მოაშორა. ელიზბარმა უცებ იარაღი ბავშვის ნაცვლად ჰასანის-კენ მიმართა და სასხლეტს თითო გამოკერა, რამდენიმე წამში მთელი მჭიდი დააცალა მეთაურს. წელს ქვემოთ ტყვიებისგან გადაჭრილი ჰასანი უსიტყვიდ დაეცა მიწაზე. ქალმა ავტომატის ხმაზე შეჰყვლა და თვალთ დაუბნელდა, ეგონა მის პატარას ესროლეს... ელიზბარი მივიდა ქალთან, დანით თოკი გადაჭრა და ხელები გაუთავისუფლა.

- წადი, თავს უშველე! – დაუყვირა ქალს.

ქალი ერთ წამს შეყოვნდა, არ მოელოდა ვითარების ასე შეცვლას, შემდეგ მიწაზე დავარდნილი ბავშვი ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა, თავისი დიდრონი შავი ცრემლიანი თვალებით მადლიერად შეხედა ელიზბარს და ალიზით შელესილ სახლებს შორის გველივით დაკლაკნილ ვიწრო დერეფნის მტვრიან ლაბირინთში გაუჩინდა.

ელიზბარი ძირს დაგდებულ მეთაურს მიუახლოვდა, უნდოდა გაეგო, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მისი მსხვერპლი, უცებ ზურგს უკან ხმაური შემოესმა, მოტრიალება ვერ მოასწრო, კეფაში ავტომატის კონდახის ძლიერი დარტყმა იგრძნოდ ძირს დაეცა. ისლა-

მისტები, რომლებიც პარტიზანების შეპყრობით იყვნენ დაკავებულნი დაინახეს, თუ როგორ გამოესალმა სიცოცხლეს ელიზბარმა. თავისი მეთაური ისლამისტები ერთხანს დაიბნენ, ვერ გაეგოთ რა მოხდა, ადგილზე გაშეშებულნი შეჰყურებდნენ ზურგშექცეულ ელიზბარს. შემდეგ რაც მოხდა უკვე იცის მკითხველმა ისლამისტები რაციით გადასცემდნენ ბრძანებებს. არ გასულა დიდი ხანი და სამხედრო პიკაპი სწორედ იქ გაჩერდა, სადაც წელს ქვემოთ გადაჭრილი ჰასანი ეგდო მიწაზე, ხოლო მის გვერდით ხელ-ფეხ დაბორკილი ელიზბარი იწვა. ელიზბარი და ჰასანი ისლამისტებმა პიკაპის ძარაზე დააწვინეს და მათ გვერდით მიუწვინეს ხუთი ხელ-ფეხ შეკრული ასირიელი პარტიზანი, ამ ასირიელ პარტიზანებს შორის იყო ფანჩატურის ბოძე მბმული, ნანა-მები ქალის მეუღლეც, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქალმა არ გასცა ქმრის სამყოფელი, ჯიპადისტებმა მაინც მიაგნეს მას და შეიცყრეს.

ბაზაზე ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა, იმის შესახებ, თუ როგორ მოკლა ერთ-ერთმა მებრძოლმა თავისი მეთაური. ისლამისტები სიძულვილს არ ფარავდნენ ელიზბარის მიმართ და მის სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ. სარდალი ალ-შიშანი ბაზაზე იმყოფებოდა, რომელსაც ჩატარებული საბრძოლო ოპერაციის შედეგები უნდა შეეჯამებინა. სამი დღის მანძილზე ჰკითხავდნენ, სცემდნენ და ანამებდნენ ელიზბარს, უნდოდათ შეეტყოთ ისლამისტებს რა მიზეზის გამო მოკლა მან მეთაური, მაგრამ ელიზბარი მიუხედავად ცემისა და წამებისა სიმშვიდეს ინარჩუნებდა და დუმდა. ან კი რა ჰქონდა სათქმელი. მოკლა იმის გამო, რომ არ დაუშვა უსუსური ქალისა და მისი უმწეო, უცოდველი პატარას სიკვდილი. როგორც არ უნდა აეხსნა ეს ვითარება ელიზბარს, ისინი ისლამის იდეოლოგიით მოწამლულნი მაინც ვერ გაიგებდნენ მის ამგვარ ქმედებას.

დილეგი გაღებული კარიდან შემოსულმა სინათლის შუქმა გაანათა.

- სარდალი ალ შიშანი გიბარებს. შენთან გასაუბრება უნდა. – უბრძანა დილეგის კუთხეში მჯდარ ელიზბარს ბადროაგმა.

ელიზბარი წამოდგა და ღია კარისკენ გაემართა.

მთავარი შტაბის დიდ ოთახში წარმოსადეგი აღნაგობის მაღალი ჟღალი წვერით იარაღას-ხმული შუახნის მამაკაცი მაგიდის თავში იჯდა და კრიალოსანს მარცვლიდა.

- დაგვტოვე! – უბრძანა სარდალმა ბადრაგს და ელიზბარს ანიშნა ახლოს მისულიყო.
- ეს როგორ მოგივიდა, იქნებ შემთხვევით გაგივარდა ავტომატი და შენი სამიზნე ჰასანი არ იყო?!

- არა შემთხვევით არ გამვარდნია.
- მე კი მეგონა ბრმა შემთხვევასთო გვექონდა საქმე და მინდოდა ის ხვედრი ამეცილებინა შენთვის რაც მოგელის.
- ვიცი რაც მომელის. დიახ, მოვკალი არა შემთხვევით, არამედ პირდაპირ. სწორედ მას ვესროლე, საქციელს არა ვნანობ და მზად ვარ პასუხი ვაგო.
- ეს კარგია, რომ აცნობიერებ, რაც მოგელის, იმედია განაჩენსაც ღირსეულად შეხვდები.

ელიზბარმა თვალი გაუსწორა ქავთარს და თანხმობის ნიშნად თავი იღნავ ძირს დახარა.

- გაიყვანეთ! გასცა განკარგულება სარდალმა ოთახში შემოსულმა ბადრაგმა ელიზბარი დილეგის კარამდე მიაცილა.

მეორე დღეს შტაბის წინ, მცირე ზომის მოედაზე, სადაც ისლამისტები სიკვდილმისჯილების განაჩენს აღასრულებდნენ, ხუთი ხელფეხშეკრული ასირიელი და ელიზბარი მუხლზე დაჩოქილნი სიკვდილის განაჩენის აღსრულებას ელოდნენ. თითოეული მსჯავრდებულის ზურგს უკან ორლესილი დანებით ხელში ჯალათები იდგნენ და ელოდნენ როდის დაამთავრებდა ალაპის მოციქული განაჩენის გამოცხადებას. შტაბის შენობის იმ ოთახის ფანჯრიდან, სადაც ალ-შიშანი იმყოფებოდა პირდაპირ ჩანდნენ მოსაკვდინებელი ადამიანები. სარდალს შეუმჩნევლად ჰქონდა ფანჯრის ფარდა განეული და მოუთმენლად ელოდა ამ საზარელი სანახაობის დაწყებას.

სიკვდილმისჯილებს განაჩენი წაუკითხეს. ბრალმდებელი მცირე საუბრით შემოიფარგლა. იქ მყოფ სამხედრო მაღალჩინოსნებსა და რეპორტიორებს, რომლებიც ამ საშინელი სისასტიკის აღსრულება მთელი მსოფლიოსათვის უნდა ეჩვენებინათ, ეუწყათ, რომ ხალიფატის სახელმწიფო დაუნდობლად დასჯის არამარტო გარეშე მტერს, არამედ თავის რიგებში მებრძოლ მოღა-

ლატებსაც. ელიზბარი მშვიდად ისმენდა მის მიმართ გამოტანილ სიკვდილის განაჩენს. თუმცა იმ წუთს მისი აზრი და გონიერა პანკისის ხებას ელაციცებოდა და სამუდამოდ ემშვიდობებოდა. ელიზბარი მიხვდა და დარწმუნდა, რომ მისი აქ ჩამოსვლა გამოუსწორებელი შეცდომა იყო, რომელიც სიცოცხლის ფასად უჯდებოდა, მაგრამ ეხლა რა ექნა, იქნებ ეს მისი ბედისწერა იყო, თუმცა ბედისწერა რა შუაშია, კაცი თავის გაუაზრებელ და ზოგჯერ უგუნური ქმედებით თვითონ ქმნის თავის ბედისწერას, რაზედაც შემდგომ მყაცრად აგებს პასუხს.

დიახ! მისი სიკვდილის განაჩენი აქ გადმოხვენის საფასური იყო და ახლა ეს საფასური ღირსეულად უნდა გადაეხადა ელიზბარს, როგორც ეკადრებოდა ღირსეული მამის ღირსეულ შვილს, ის ამისთვის მზად იყო. ელიზბარის გვერდით დაჩოქილმა ასირიელმა როგორც შეძლო ახლოს მოიწია მასთან, უკან გაკრული ხელები აამოძრავა და ელიზბარს მარჯვენა ხელზე შეეხო, ისე როგორც მისალმების დროს იციან ხელის ჩამორთმევა, ასირიელმა მარჯვენა ხელი მაგრად მოუჭირა მის ხელს. ელიზბარმა უმაღ მისკენ შეატრიალა თავი, ასირიელი დამშვიდებული სახით უღიმოდა მას. ეს იყო მადლიერების უესტი ასირიელისა, ელიზბარისაგან გამოჩენილი ჰუმანურობის გამო, რის შედეგაც ამ კაცის ცოლ-შვილი სიკვდილს გადაურჩა, სამაგიეროდ ამ ჰუმანურობის ჩამდენი წუთი-წუთზე ელოდებოდა სიკვდილით დასჯას. ქრისტიანი ასირიელისა და პანკისელი მუსლამი ბიჭის ეს უცნაური სოლიდარობა დიდ ხანს არ გაგრძელდა, რადგან განაჩენის აღსრულების დრო დამდგარიყო. ჯალათებმა სიკვდილმისჯილების თმებში ჩავლეს ხელი, თავები გადაუწიეს და ბასრი დანებით ყელები გამოსჭრეს. ასირიელებმა თავები ჩამოჰქინდრეს და პირქვე წანვენე.

ელიზბარის გამოჭრილი ყელიდან სისხლმა ნიაღვარივით გადმოხეთქა, გულისპირზე ჩამოედინა და ხაკისფერი მაისური წითლად შეუდება. ის თავაწეული, ფართოდგახელილი თვალებით შეჰყურებდა ზეცას და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ტუჩების ნელი მოძრაობით ლოცულობდა. ბიჭი სიკვდილს არ ეპულებოდა, თავი მანამდე ეჭირა მაღლა, სანამ სისხლის უკანასკნელი ნაკადი არ ჩამოეღვარა წითლად შეღებილ გულისპირზე, შემდეგ სისხლისაგან დაცლილს მოკვდინებული ასირიელების მსგავსად მასაც თავი ჩამოუვარდა და ცხელ მიწაზე პირქვე დაეცა.

ისლამის მებრძოლები გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ელიზბარის ამგვარ ქმედებას და გაოცებულნი იყვნენ მისი ვაჟუაცობითა და გამძლეობით.

ბათირაშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე უყურა სიკვდილის განაჩენის ამაზრზენი სისასტიკით აღსრულებას, ისიც გაკვირვებული იყო ამ პატარა ბიჭის ესოდენ უდრეკი ქმედების გამო. მან განეული ფარდა გააფარა, ფანჯარას მოშორდა, შემდეგ მოკაცული საჩვენებელი თითოებით თვალის უპიდან გადმოგორებული ცრემლი, სანამ უღალ წვერს დაუსველებდა ღაწვთან შეაჩერა და მოიწმინდა.



სერგი ლომაძე



დიდი ქომაგი
დიდი მოურავისა

ნელ-ნელა სრულდება 2015 წელი. შემოდგომის ბოლო დღეები იყო, როცა ისევ შევიკრიბეთ აკადემიის ტრიუმვირატი (ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და ჯგუფ „ზღვარის“ ყველაზე აქტიური წევრები მე და კახა ბაციკაძე), რათა დაგვეგებმა ზამთრის პირველი დიდი ღონისძიება. დეკემბერი ხომ ბოლო თვეების შემდეგ მოკაცული საჩვენებელი თვე სითეთრისაზამთრისა. საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი კორპუსის ზედა სართულზე მდებარე დარბაზი დაგვითმეს – დიდი დარბაზი დიდი ბიბლიოთეკის. ეს რომ გავიგეთ მე და ჩემმა მეგობარმა, აკადემიის პრეზიდენტს ერთა-დერთი კანდიდატურა შევთავაზეთ-სახელოვანი მხატვარი და მწერალი, მეცნიერ-ფილოსოფოსი ნიკო ხერკელაძე! – დიახ, სწორედ მას უნდა მიძღვნოდა შემოქმედებითი საღამო. ქალბატონმა გულნაზიმ არჩევანი მოგვიწონა, უყოყმანოდ დაგვეთანხმა და ამით

ყველფერი გადაწყდა. საღამოს როგორც მთავარი ორგანიზატორობა, ასევე წამყვანობა მან თავის თავზე აიღო.

ასე დაიგეგმა სამი დეკემბრის ღონისძიება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა აკადემიისათვის. (წინა დღით, ორში, იუბილარი ვიყავი, სამში კი, ყველამ ერთად, ასეთი საჩუქარი მივიღეთ).

მაშ ასე: დარბაზი გაივსო. პრეზიდიუმში სხედან, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, ქალბატონი გულნაზი, მამა მერაბი, ბატონი ნიკო და ბატონი ვაჟა ეგრისელი. იქვე ვართ მე და კახაც, ვსხედვართ ქალბატონი გულნაზის გვერდით. ღონისძიებას ხსნიან ჩოხებში გამოწყობილი წევრები ანსამბლი „ლომისისა“ აშკარაა-ჩვენი შალვა ილურიძე და მისი მეგობრები თავისი საქმის პროფესიონალები არიან.

შემდეგ მამა მერაბმა დალოცა ჩვენი შეკრება.

ხოლო პირველი სიტყვა, ასე ვთქვათ, ოფიციალურად, მე და კახას დაგვეთმო.

საერთოდ, რთულია ბატონ ნიკოზე სუბარი, იმიტომ, რომ ის ძალიან მრავალმხრივი პიროვნებაა, ჭეშმარიტად დიდი ქართველია. აბა წარმოიდგინეთ, – ჯერ მხატვრობაში მიაღწია წარმატებას (მისი ნახატების კარგა მოზრდილი ნაწილი, დღეს, საზღვარგარეთ არის, სხვადასხვა ქვეყნებში), მერე გმირზე-გიორგი სააკადეზე დოკუმენტური (დოკუმენტურ-ისტორიული) რომანი დაწერა, მცნიერული რომანი, ხოლო ამ ნაშრომმა კიდევ უფრო განადიდა დიდი მოურავი, ფურორი მოახდინა, გამოიცა რა რამდენჯერმე და აალაპარაკა საზოგადოების ყველა ფენა. წიგნმა ბატონი ნიკო წარმოაჩინა, როგორც მწერალი-პროზაიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი... და რთული გახდა განსაზღვრა ნიკო ხერკელაძის მრავალმხრივი ფენომენისა. ასეთი მრავალმხრივი პიროვნება იტალიელებს ჰყავდათ საუკუნეების წინ, დიდი ლეონარდო – ასე უწოდებენ იმ ფილოსოფოს-მხატვარს, და სწორედ მრავალმხრივობისა გამოვუწოდე მე, ჩემს გამოსვლაში, ბატონ ნიკოს, „ქართველი ლეონარდო და ვინჩი“. საერთოდ, მიმაჩინია, რომ მშვენიერება თვით პოეტურობაა, (ხოლო პოეტურობა-თვით მშვენიერება). როცა რომელიმე ადამიანი ემსახურება მშვენიერებას (პოეტურობას) ყველგან, ყველაფერში, და არა მხოლოდ ერთ სივრცეში, იგი გენიალურთა სფეროში გადადის. თუმცა ბატონი ნიკოს შესახებ გენიალურობის კონტექსტში არ გავამკვეთრებ საუბარს, რამეთუ იგი ძალიან თავმდაბალი ადამიანია და შეიძლება ეს არ მომინონს.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ბრწყინვალე იყო კახას გამოსვლა, და მან ჩვეული ენერგიულობით აანთო დარბაზი, შემდეგ კი ქალბატონ გულნაზის ჩააბარა საღამოს წაყვანის სადავე-ები (საღამო, შემოქმედებითი საღამო, რაღა თქმა უნდა, ეს – ტერმინია, დამკვიდრებული ტერმინი, თორემ რეალურად, ბატონ ნიკოსთან დიდი შეხვედრა-ღონისძიება, დაახლოებით შუადღე-ზე დაინტენ-დღის თორმეტ საათზე, და სამი იყო დაწყებული, როდესაც დასრულდა). რაც შეეხება გულნას ხარაიშვილს, ღონისძიებათა გაძლოლა რომ მისი სტიქიაა, ყველამ ვიცით. მან არაერთი დამსწრე გამოიხმო სიტყვის სათქმელად თუ ლექსის წასაკითხად, „ლომისიც“ არაერთხელ ამღერა... მოკლედ, ღონისძიებას ფერ-ხორცი მისცა, ჩვენი შეკრება ზეიმად გადააქცია. აქვე არ შემიძლია არ ვახსენო ლამზირა შეყილაძე და მისი ლექსი დიდ მოურავზე. რაც დრო გადის, ქალბატონი ლამზირა უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიება აკადემიის მთავარ ოთხეულ-ხუთეულში, პირადა მე კი მიყვარს ამ ფაქტის დაფიქსირება.

ქალბატონმა მაყვალამ, როგორც მწერალთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერთაგანმა, ნიკო ხერკელაძეს გადასცა ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება, სხვა საჩუქრებთან ერთად. ხოლო ბატონმა რეზო ადამიამ, როგორც რჩეულმა მხატვარმა, ასევე რჩეულ მხატვარს მიუღოცა წარმატებანი.

პოეტი ვაჟა ეგრისელი რედაქტორი გახლავთ ნიკო ხერკელაძის წიგნისა – „ცრემლში ნა-ლესი ხმალი“. დიახ, ბატონ ვაჟას პოეზიაშიც იღბალი აღმოაჩნდა და რედაქტორობაშიც. კიდეც იყო, რომ ღონისძიებაზე ომახიანად დასჭირებული თავისი ცნობილი ლექსი „შავლეგო“. ეგ ლექსი ოდესლაც, დიდი მერაბ კოსტავასთვის მიუძღვნია და აშკარაა – ძალიან უყვარს, ყველაზე ხშირად სწორედ „შავლეგოს“ კითხეულობს. დღესდღეობით მაგ ქმნილებაში, პოეტი მგონი ყველა გმირს აერთიანებს, მათ შორის – გიორგი სააკადესაც. რაც შეეხება თავდაპირველ „შავლეგოს“ ეგაა ძველი სიმღერა, რომელიც სარდალ ჯალალ-ედ-დინის შემოსევისას დაღუპულ გმირს შალ-

ვას მიეძღვნა და ეს ისტორია ყველამ იცის. მერე კი შავლეგოს ეძახდნენ გაუტეხელ თეთრთმიან რაინდს – მერაბ კოსტავასაც.

გამომსვლელი საკმაოდ ბევრი იყო, ასე რომ ყველა იმათგანს ვერ ჩამოვთვლი. ხოლო ის, რომ ბატონები მერაბ ბალაშვილი და ტარიელ ზოზრაშვილი არ ვახსენო, არ შეიძლება, რამეთუ ისინი, ჩემთან და კახასთან ერთად, იმ ტელეგადაცემის მონაწილეები არიან, რომელიც ბატონი ნიკოსა და მისი ვეებერთელა წიგნის გარშემო შეიქმნა ობიექტივზე. სხვათა შორის, ხმები დადის, რომ ნიკო ხერკელაძე ახალ წიგნებზე მუშაობს. ეს კეთილი ხმები აუცილებლად უნდა გამართლდეს!..

ლონისძიების შემდეგ მამა მერაბმა პურობა გაგვიმართა დიდ დილომთან არსებულ რესტორან „ძველ დუქანში“. ეს სასულიერო პირიც ხელოვანი ყოფილა, ასე რომ, დაახლოებიან იგი და ნიკო ერთმანეთს, და აი, ყველანი ერთად მოვხვდით შესანიშნავ სუფრაზე, რომელსაც თვითონ მამა მერაბი გაუძღვა.

მეორე თამადა იყო მხატვართა გაერთიანების თავჯდომარე – გურამ ცერცვაძე. იქ, სუფრასთან გავიცანით მისი მოადგილეც და კიდევ არაერთი სხვა საინტერესო ადამიანიც, მათი კავშირ-გაერთიანებიდან თუ კიდევ სხვა სფეროებიდან.

როდესაც უშუალოდ შემოქმედებით საღამოზე ვწერდი, გამომრჩა ისეთი ეპიზოდები, რომელთა აღუნიშნავობაც არა ხამს: ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორი – მაკა (მარინა) დიდებულიძე ჩვენი აკადემიის წევრი გახდა, ასე ვთქვათ ჩვენი დიდი ოჯახის წევრი, ხოლო მოწმობა პირადად მე გადავეცი, ქალბატონ გულნაზის სურვილით. მაკა ბიბლიოთეკის ენერგიული ხელმძღვანელია, უამრავი საღამოს ორგანიზატორი, ხაშურის ბიბლიოთეკით გაითქვა სახელი და აი, თბილისის ბიბლიოთეკაში დიპლომი (მოწმობა) გადავეცით, – თითქოს სიმბოლურია ეს ამბავი. აღსანიშნავია ქალბატონ ბელა ალანიას მყოფობაც და სიტყვით გამოსვლაც ჩვენი ნიკოს საღამოზე. მოგეხსენებათ, მწერალი ბელა ალანია ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი სახეა. რიგ მიზეზთა გამო, ღონისძიებაზე არაერთი ადამიანი იყო მოსული პარტია „პატრიოტთა ალიანსი-დან“. (ზოგი სხვა პარტიის წარმომადგენელიც შევიცანი იქ). მოკლედ, კარგია იმას რომ მივხვდით ყველანი: დიდი მხატვარ ფილოსოფოსი ყველას საკუთრებაა. მას არა ერთი, არამედ ყველა დაჯგუფებიდან, ყველა სფეროდან მიაგეს პატივი. გამომრჩა, ვთქვათ გივი თოიძის გამოსვლაც, – ლეგენდარული თოიძების შთამომავლისა, რომელიც თვითონაც რჩეული ხელოვანია. ბევრი სხვა რამეც გამომრჩა ალბათ, რამეთუ არაა სრულყოფილი ადამიანის მეხსიერება. თუნდაც მარტო პატარა მარი ხევდელიძის საოცარი სიმღერები რად ღირს, რომელნიც საღამოს დამთავრების შემდეგ იქვე, ვრცელ დარბაზში უმღერა თავისი ტკბილ-ჭიკჭიკა ხმით, დიდ ხელოვანს.

ასეთ ამაღლებულ ნოტაზე მსურდა სტატიის დასრულება, მაგრამ... არ გამოდის... უნდა ვთქვა, რომ სწორედ იმ დღებში ტრაგიულად აღესრულა დიდებული პოეტი – ნუნუკა გურალია, და რომ არა ქალბატონ გულნაზის ძლიერი ბუნება, უფრო ადრე დაგეგმილი აკადემიური ღონისძიება ჩაიშლებოდა კიდეც. ქალბატონმა გულნაზიმ არა მარტო იხსნა დიდი მხატვრისა და მწერლის ღონისძიება, არამედ იმ საღამოსაგან ტრიუმფიც შექმნა, მაგრამ მაინც კი ეტყობოდა ფარული სევდა მთელს დღეს. ცუდია ის, რომ ბოლომდე თურმე ვერსად და ვერასოდეს იქნები ბედნიერი. აი, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი და დიდი დღეც კი, ფარული (თუ ვერდაფარული) სევდით იყო დაღდასმული. ხოლო მაღალა ქალბატონ გულნაზის, რომელმაც ყველას მაინც გვათქმევინა დიდი სიტყვა განსაცვიფრებელი ადამიანის – ნიკო ხერკელაძის შესახებ.

ჩემი წერილის ბოლოს ჩამოვნერ თითქმის ყველა იმ ადამიანის სიას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს დიდ მოურავზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნის შექმნაში:

ავტორი და რედაქტორი უკვე არაერთგზის მოვიხსენიე; ბატონ ნიკოს ეკუთვნის წიგნის მხატვრობაც, ხოლო მხატვრული რედაქტორია ქალბატონი ნათელა ფირანიშვილი; უნდა მოვიხსენიო ბატონები – სიმონ ზაქარაია და ალექსანდრე კუზანაშვილი, ერთი ტექნიკური რედაქტორია, ხოლო მეორემ საკუთარ თავზე აიღო წიგნის კომპიუტერული უზრუნველყოფა; კორექტორია ქალბატონი ნელი რაშოევა; წიგნის გამოცემა დააფინანსა ბატონმა უშანვა მოსიაშვილმა, რომელიც არაერთხელ მოიხსენიეს დიდი მაღლობით, ღონისძიებისა და იგი სიტყვითაც წარსდგა მსმენელთა წინაშე. წიგნის მეხუთე შევსებული გამოცემა ეკუთვნის „გლობალ – პრინტი –

პლუსს“, ხოლო წინა ოთხის გამომცემლობა ზუსტად არ ვიცი. არაერთი სხვა ადამიანიცა და გაერთიანებაც დაუდგა მხარში ბატონ ნიკოს, ხოლო ტელეობიექტივმა ერთ-ერთი გადამწყვეტი საქმე გააკეთა ამ გრანდიოზული ნაშრომის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

სულ ბოლოს იმასაც დავძენ, რომ ჩვენი ღონისძიება, კონკრეტულად ღონისძიება, ბატონ-მა ნიკომ შეაჯამა თავისი გამოსვლით, ბოლოს კი მე მივედი მიკროფონთან და საღამოს დასრულება ვაუნეყ დამსწრებს, რის შემდეგაც ფეხზე წამოშლილი კარგა ხანს უკრავდნენ ტაშს და მიაგებდნენ კუთვნილ პატივს, სიყვარულს, ღირსეულ საზოგადო მოღვაწეს, მხატვარს, მწერალს, ფილოსოფოსს – ბატონ ნიკო ხერკელაძეს.

2015წელი, დეკემბერი.

P. S. ღონისძიების მეორე დღეს ტელეობიექტივზე გადაცემა გვქონდა. ამჯერად წამყვანი მე ვიყავი, ხოლო ქალბატონი გულნაზიცა და კახაც მონაწილენი იყვნენ. ბევრ საინტერესო თემას შევეხეთ. სხვათა შორის გავაუღერეთ პოეტების ბეჭან და გულნაზ ხარაიშვილების, ანა ლაშელის (წამდვილი გვარი ონიანია) და ეკა ბაზერაშვილის ლექსებიც. იმ გადაცემაში კიდევ ერთხელ ვიმსჯელეთ ქართული ფეხომენის შესახებ, და ამ კონტექსტში, სხვადასხვა დროის დიდ ქართველთა სახელებთან ერთად, ისევ მოგვიწიგა ბატონი ნიკოს დასახელება, მის შესახებ მსჯელობა. ის გადაცემა, ისევე, როგორც აკადემიის ღონისძიება, დიდხანს გაჰყვება მეხსიერებას.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ლიგანიშვილის შეხვედრა მოსწავლის შოთან

იდეა ორ ქალბატონს – გულნაზ ხარაიშვილსა და ციური ხუჭუას ეკუთვნოდა, ხოლო მათ სწრაფად დაუჭირა მხარი ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა მაია კვინიკაძემ; ასე შედგა პროექტი – მონაფების შეხვედრა თანამედროვე ქართული ხელოვნების კორიფეულთან, – იგულისხმება პროზის რაინდი რეზო მიშველაძე და პოეზიის მშვენება მაყვალა გონაშვილი. პროექტი გრანდიოზულად ჩატარდა მწერალთა სახლის სარკებიან დარბაზში. ლიტერატურის ლიდერებს საკადრისი პატივი დასდეს, მიუხედავად არაერთი ხელისშემშლელი ფაქტორისა.

სირთულეები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგს, ქალბატონ ციურის, საკმაოდ ამბიციური გეგმა აქვს: მას სურდა საბავშვო და საყმანვილო – ახალგაზრდული წარმოდგენა დაეტვირთა დრამატურგიით, პროზით, პოეზიით, სიმღერით, ცეკვით... მოკლედ, ურთულესია მოზარდებისაგან ამგვარი წარმოდგენის შექმნა-ჩამოყალიბება. იყო საშიშროება რომ ამ სუპერ მასწავლებელსაც კი ვაითუ ვერ ესახელებინა თავი ორი უშუალო ხელმძღვანელის – გულნაზ ხარაიშვილისა და მაია კვინიკაძის წინაშე (ერთი ხელმძღვანელია აკადემიის ხაზით, მეორე კი სკოლის ხაზით), ხოლო ყველა ერთად ვათუ შერცხვენილიყო ხელოვნების ლიდერთა წინაშე!

მაშინ ქალბატონმა ციურიმ „ზღვარიდან“ და მთელი აკადემიიდან მე და კახა ბაციკაძე მიგვიწია



დამხმარებად (მიგვიწვია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) და თანარეზისორებად გვაქცია პროექტისა, რომლის ერთ-ერთი მთავარი რეჟისორიც თვითონ გახლდათ. ორ თვეზე მეტი ვიშრომეთ, თვით ქალბატონი გულნაზის მეთვალყურეობის ქვეშ. მე გამაოგნა ციური ხუჭუას ნებისყოფამ და სიბრძნემ. ამ მოკრძალებულ ადამიანში ფენომენალური გამძლეობა აღმოჩნდა: მან აგურ-აგურ ააშენა მთელი წარმოდგენა, აამაღლა მისი შენობა, როგორც ტაძარი, და ასე ჩაბარა ეს პროექტი როგორც დირექტორს, ასევე აკადემიის პრეზიდენტს. (ეს ორი ხელმძღვანელი ყოველწამიერად იყო საქმის კურსში).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავისებური ომის მოგებაში ქალბატონ ციურის ხელს უწყობდა ზოგი სხვა პედაგოგიც, მშობლებიც და რაც მთავარია – მოზარდების ნიჭიერება.

წარმოდგენა შეიქმნა და...

თურმე მთავარი ომი ჯერ კიდევ წინ იყო. ახლა უკვე მთლიანად უნდა აეღო თავის თავზე საქმის მოგვარება ჩვენს გულნაზს.

საქმე იმაშია, რომ მწერალთა კავშირის ლიდერთა და მწერალთა სახლის დღევანდელ ხელმძღვანელთა შორის დაპირისპირება.

სოროსელთა ერთმა ჯგუფმა, ძველი ხელისუფლების ხელშეწყობით, თუმცა შენობა ხელთ იგდო, მაინც ვერაფრით ეგუებიან სტაუიან, სახელოვან მწერალთა პოპულარობას, ამიტომაც ცდილობენ, რომ მათ საღამოებს ხელი შეუშალონ ამავე შენობაში. თუ მოინდომებს ადამიანი, მიზეზებს ყოველთვის იპოვის და... მოკლედ, პირდაპირ ითქვას, იყო შეხვედრა-საღამოს ჩაშლის რამდენიმე მცდელობა, თუმცა აქ უკვე ქალბატონმა გულნაზიმ და კახამ მოიგეს თავისებური ომი და თავიანთი ადგილი მიუჩინეს (დროებით მაინც) სოროსელ ვაიკოსმოპოლიტებს, რომელთათვისაც ქართული კულტურა წარმავალი, ეფემერული რამ არის.



ჩვენც მე და კახაც, ხოლო მამა მერაბის შემობრძანებამ კიდევ უფრო შეგვმატა გამარჯვების რწმენა. სხვათაშორის, იგი მეუღლესთან ერთად იყო მოსული.

საღამოზე ორი სხვადასხვა სკოლის მონაცემები იყვნენ წარმოდგენილნი. ჯერ თბილისის ოცდამეთექვსმეტე სკოლის აღსაზრდელებს ჩამოვთვლი: ლიკა დუშმანიშვილი, ნინი ფაშტიანი, შორენა ედილაშვილი, ნია ტანგიაშვილი, ნატა ფომენკო, თიკა აფრასიძე, გიორგი უგრეხელიძე, რამაზ თავაძე, გიორგი მაზანაშვილი, საბა სამუშაია, ანა ჩარგებიშვილი, ნინი ლეკაშვილი, სოფი თეთრუაშვილი, სანდრო გოგილაშვილი, ლიკა მინდიაშვილი, მარიამ უზნანაშვილი, ელენე უზნანაშვილი, მარი კაკიაშვილი, გვანცა სარალიძე, თორნიკე დოთიაშვილი, ილია ნებურიშვილი, ნიკა ზარდალიშვილი, ანი ნინიკაშვილი, დავით კალაჩიანი, ცოტნე ჩუბინიძე, ლუკა ლუარსაბოვი, ეთო გუჯაბიძე, ილია ძმანაშვილი, ანა ჩილაჩივა, ნინი აფხაძე, გიორგი მჭედლიშვილი..

განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო საღამოს წამყვანები – დიდებული გარეგნობის და ნიჭის მქონე ახალგაზრდები – შაკო აფხაძე და სოფო სოფორმაძე.

ჩვენთვის კი ყველაფერია ქართული კულტურა, ისაა სწორედ სული ერისა!

და საღამო შედგა, შედგა ბრწყინვალედ!

პირველივე რიგში ისხდნენ – ბატონი რეზო, ქალბატონი მაყვალა, ბატონი სოსო სიგუა, ჩვენი გულნაზი და ჩვენი რეზო ადამია, ზოგი სხვა მნიშვნელოვანი პირიც. იქვე ვისხედით

სხვათა შორის, შაკო ანსამბლ „თეთრონის“ მოცეკვავეც ღმოჩნდა და იმავე ანსამბლის წევრთან – ნინი ჯაჯანიძესთან ერთად, საოცარი საცეკვაო ნომრით დააგვირგვინა წარმოდგენა... თუმცა მე უნდა გავაგრძელო მონაფეების ჩამოთვლა:

მარიამ ნიკურაძე, კულიევი ბაკო, ედილაშვილი თეონა, ბოჭორიშვილი ნიკა, გელბახიანი დავითი, მინდიაშვილი დიანა, ანი დოთიაშვილი, დავით კაპანაძე, გიორგი დათუნაშვილი, ლევან კობაძე, ნიკა მახარობლიძე, მათე ხვიჩია, გივი როსტომაშვილი, იური ყიფშიძე.

ესენი სხვადასხვა ასაკის მონაფეები იყვნენ. მოზრდილებთან უფრო ადვილია მუშაობა, მაგრამ აქ სულ პატარებიც ერია, და არ ვიცი როგორ გაართვა თავი ამ ყველაფერს პედაგოგმა. ჩვენ თუმცა უშუალო მონაწილენი და ერთ-ერთი ხელმძღვანელიც კი ვიყავით ამ პროექტისა, მე და კახა მაინც ბოლომდე ვერ ვხსნით ციური ხუჭუას პედაგოგიური ხელოვნების საიდუმლოებებს.

თბილისური სკოლის წარმოდგენა ოთხ ეტაპად იყოფოდა: ბატონი რეზოს პიესის „ნუ შემიშინდები“ ბოლო თავების დადგმა; ქალბატონი მაყვალას ლექსები; ქალბატონი გულნაზის ლექსები და ბოლოს ის საოცარი ცეკვა ქართული, შაკოსა და ნინის შესრულებით. ყოველივე ამას მოზარდები წარმოადგენდნენ, რა თქმა უნდა, წარმოადგენდნენ კი ბრწყინვალედ. სულ პატარებმაც ისეთი ოსტატობით წარმოადგინეს თავი, გაგვაკვირვეს, ხოლო შაკო, სოფო და ნინი უფროსი მოსწავლეები არიან, ამიტომ მათი მაღალი დონე თავიდანვე ნათელი იყო, ისინი პროფესიონალებს არაფრით ჩამორჩებოდნენ.

რაც შეეხება პიესას. ის პანტომიმისათვის იყო დაწერილი და ამიტომაც ჯგუფ „ზღვარს“ მოგვიხდა, ასე ვთქვათ, მისი სიტყვებში გადატანა, გასიტყვება. ბატონმა რეზომ მოგვიწონა ნაშრომი, თუმცა ისიც თქვა, – ჩემთვის რომ გეთხოვათ დავწერდი ტექსტს. დიახ, იგი თურმე ამგვარ შეკვეთას დიდი სიამოვნებით შეასრულებდა, ჩვენ კი ვერ ვკადრეთ რათა არ გადაღლილიყო, ახალახალ წანარმოებებს არ მოწყვეტილიყო მისი გონება, არადა, რაღა თქმა უნდა, ბატონი რეზოს, კლასიკოსის პიესას „თანაავტორები“ რაში სჭირდებოდა, თუკი იმის საშვალება იყო, იმის დრო, რომ თვითონ ავტორს აემეტყველებინა ეს პანტომიმური დრამა! ჩვენ ვერ შევძლებდით, ვერ დავდგამდით პანტომიმურ, მუნჯ პიესას, და გავახმოვანეთ, არადა, თურმე ავტორი არ იყო უარზე, დიახ გავასიტყვებდიო, – მკვეთრად თქვა, მყარად. თუმცა ერთს ვიტყვი: ის, რაც ჩვენ გავასიტყვეთ, ბავშვებმა კარგად შეასრულეს. ჩვენი შრომისა რა გითხრათ და ბავშვებმა კი დიდებულად იშრომეს...

სულ თავიდან კი პიმნი იყო, ხოლო შემდეგ მამა მერაბმა დაგვლოცა ყველანი. აი, სწორედ მერე იყო პიესა, ხოლო შემდეგ იყო ქალბატონების – მაყვალასა და გულნაზის ლექსები, ბავშვების მიერ დიდი გატაცებით წაკითხულნი.

მაგრამ წარმოდგენაში, სადღაც შუაში, ჩაერთო თბილისის სკოლასთან დამეგობრებული მეთერთმეტე საჯარო სკოლა ქალაქ სამტრედიისა, და არც ჩამორჩა თბილისურ სასწავლებელს. ვალიარებ: თბილისელთა პროგრამა ბევრად უფრო მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ის, რაც სამტრედიელებმა წარმოადგინეს, არანაკლებ დიდებულად შესთავაზეს მაყურებელს. მათ წარმოადგინეს ბატონი რეზოს ნოველა „კოჭლი მტრედი“, წაკითხული რამდენიმე მონაფის მიერ. აი მა-



თი სია: ანანო ხუჭუა, ლუკა კანდელაკი, ზინა ქაჯაია, შოთა თადუმაძე, მარიამ კაჭახიძე, ლუკა ზელინსკი, ნინი ძიძიგური, შოთა ქანთარია. ამ ბავშვებმა უმაღლეს დონეზე წარმოადგინეს მოთხოვობა (ნოველა), ისე შეასრულეს, პიესა გეგონებოდათ. მათი პედაგოგი ქალბატონი ლალი პირტახია გახლავთ, ხოლო მეთერთმეტე სკოლის დირექტორი ქალბატონი ლენა ხაჟალიაა.

როგორც უკვე ვთქვი, წარმოდგენა თბილისელებმა დახურეს, თვალისმომჭრელად ბრწყინვალე საცეკვაო ნომრით.

დიახ, მე მიყვარს ქება ნიჭიერ ადამიანთა, და ბევრს, უშუალოდ გავცემ საქებარ სიტყვებს, მითუმეტეს, რომ ძაგება ყველასი და ყველაფრისა, ისედაც ბევრი გვესმის, ისედაც განაცრის-ფრდა ცხოვრება, ხოლო ქება, სიფერადე, სიხარული მოენატორა ხალხს. ჩვენი აკადემია აკეთებს ახლა ამ საქმეს. ამიტომ თუა რომ ქალბატონმა მაყვალამ მას „სიყვარულის აკადემია“ უწოდა, მე ვიტყოდი – სიბრძნისა და სიყვარულის აკადემია, ხელოვნება-მეცნიერების საკმაოდ რთული, ბევრისმომცველი ორგანიზაცია, ერთ-ერთი ლიდერი აკადემიებს შორის. იქნებ ვაჭარბებ? არა მგონია.

ღონისძიების ბოლოს რამდენიმე ადამიანი გამოვიდა სიტყვით. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი. ძალიან ემოციური იყო ჩემი გამოსვლა. ბატონი რეზოსა და ქალბატონი მაყვალას გამოს-ვლები უფრო დინჯი გახლდათ, ბრძნული, უფრო აწონილ-დაწონილი. მერე მათ მოწაფები დაასაჩუქრეს და სურათებიც გადაიღეს ყველასთან ერთად. ბატონმა გიამ კი ჩვენი აკადემიის დიპ-ლომები საზიმო ვითარებაში გადასცა როგორც მაია კვინიკაძეს, ასევე ციური ხუჭუას.

დარბაზში ხალხის ტევა არ იყო.

მთელი წარმოდგენის მანძილზე მრავალჯერ იფეთქა აპლოდისმენტებმა.

მოკლედ, გულნაზის აკადემიამ და ორივე სკოლამ, საერთოდ, ყველამ, ყველამ, კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იზეიმა.

კიდევ ერთხელ უნდა გამოვარჩიო სამი ქალბატონი – გულნაზი, მაია, ციური – აი ის ადამიანები (მთავარი ორგანიზატორები), რომელთაც ყველაფერი ჩადეს ჩემს მიერ აღწერილი ღონისძიების შექმნაში.

მერე იყო ცნობილი რესტორანი „ჭინჭილა“ და დიდებული (დამსახურებული) ქართული სუფრა.

მერე იყო ფიქრი. მახსენდებოდა, მაგალითად, თუ როგორ ღელავდა წარმოდგენის წინ ქალბატონი გულნაზი, როგორ ღელავდნენ ციური და მისი სიმპათიური ქალიშვილი... და სულ ბოლოს კი როგორი აღფრთოვანებული იყო ყველა;

მახსოვს გაბრწყინებული სახეები ბატონი რეზოსი, ქალბატონები – მაყვალასი, გულნაზისა, ასევე სხვათა და სხვათა;

და ვფიქრობდი: მართლაც დიდი ძალაა-მეთქი სიყვარული ადამიანთა შორის, რადგანაც იგი ღვთიური საწყისია, აქ, მინაზე ჩამოსული;


და რარიგ კარგია, რომ ადამიანებს ჯერაც ძალუბთ სიყვარული, ჯერაც ძალუბთ ღვან-ლმოსილ პიროვნებათა, დიდქართველთა დიდი დაფასება...

თბილისი, 2015 წელი, დეკემბერი.



თამარ თელიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



ეგზიპტი ნაზარე

ნოველის ისტორის განვითარება არაბულ სამყაროში ეგვიპტიდან იწყება, რაც მრავალმა ისტორიულ-კულტურულმა თუ გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა. პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა ნოველების თარგმნა და გადმოარაბულება, თუმცა ლიტერატორების უმეტესობა ნეგატიურად შეხვდა ამ ფაქტს. ვითარება ნანილობრივ განმუხტა მუსტაფა ლუტფი ალ-მანფალუტმა, რომელმაც ერთმანეთს შეუთავსა ტრადიციული და თანამედროვე წერის სტილი. არაბული ნოველის დამკვიდრების ეტაპი XX საუკუნის 20-იანიდან და 50-იან წლებამდე გრძელდება. პირველ ნოველად მიიჩნევა მუჰამედ თეიმურის „მატარებელში“, რომელიც დაიბეჭდა 1917 წელს. ნოველას თავდაპირველად რომანტიზმის სახე ჰქონდა, ხოლო მოვიანებით რომანტიზმი რეალიზმა ჩაანაცვლა. პირველ ეტაპზე შეინიშნება აშკარა იდეური პარალელები ისლამამდელ პოეზიასთან: სენტიმენტალიზმი, მიუწვდომელი სატრაფოს ძეგა და მონატრება.

პირველი ეტაპის მნიშვნელოვანი მწერლების მაგალითზე, როგორებიც არიან მაჰმუდ და მუჰამედ თეიმურები, ტაპირ ლაშინი, იაჰია ჰაკემი და სხვები. საინტერესოა, რომ მათი პერსონაჟები დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, ნინა პლანზე ინაცვლებს სოფელი და სოფლის ცხოვრება. ხოლო ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა დიალოგები, რომლებიც დიალექტზე იქმნებოდა. ამგვარი ჟესტი ამარტივებდა და უფრო სოციალურს ხდიდა მათ ნაშრომებს. აღსანიშნავია, რომ დღემდე პოპულარობით სარგებლობს მოპასანისეული კვანძის შეკვრის მანერა, რომელმაც ბევრ არაბ და განსაკუთრებით ეგვიპტელ მწერალზე იქონია გავლენა.

ნოველის განვითარების მეორე ეტაპი 1945 წლიდან 1977 წ-მდე გრძელდება. ამ ეტაპის მწერლები უფრო ჩამოყალიბებულები არიან იმ მხრივ, რომ რეალისტი თითქმის მთელი მოღვაწეობის მანძილზე რეალისტად რჩება, ხოლო რომანტიკოსი რომანტიკოსად. მნიშვნელოვანია, მწერალ იუსუფ იდრისის ღვანლი, რომელმაც ახალ ეტაპზე გადაიყვანა ნოველის ჟანრი, დახვეწა მისი სტრუქტურა და გაათავისუფლა ფუჭი სიტყვებისაგან. იგი ეხება იმ დროის აქტუალურ და მტკიცნეულ თემებს.

მესამე ეტაპი იწყება 1967 წლიდან დღემდე. ნასერის მოსვლასთან ერთად, გააქტიურდა პანარაბული ნაციონალიზმის იდეა, რაც ხელოვნებაზეც აისახა. ეს არის სრული ლიტერატურული გადატრიალების პერიოდი. გამოჩენები მემბოხე, მებრძოლი ნოვატორები ე.წ. „სამოციანელთა თაობა“, რომლებმაც დაამკვიდრეს „ახალი ხედვა“. მათი გატაცება სიურეალიზმითა და სხვა ავანგარდული მიმდინარეობებით იყო პროტესტი ყველასა და ყველაფრის მიმართ, მათ შორის შუა ხანებში დამკვიდრებული რეალიზმის წინააღმდეგაც.

ნოველის დაბასდებასა და განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები, რომელთა ნაშრომებიც, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციასაც კი უწევენ მამაკაცებს თავიანთი მაღალი მწერლური დონით.

პალესტინური ლიცერაცია

თანამედროვე პალესტინური ლიტერატურა 1948 წლიდან იწყება. იმ დროის სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა დაღი დაასვა პალესტინურ საზოგადოებას, რამაც გამოხმაურება ავტობიოგრაფიულ რომანში ჰპოვა და ადრესატამდე მიიტანა ისტორიის მეორე, ძალიან მტკიცნეული მხარე, უშუალო ადამიანური განცდებითა და ტკივილით. პალესტინური პრობლემა კარგად აისახა როგორც პროზაში, ისე ლიტერატურაში.

პროზაიკოსებიდან განსაკუთრებული აღიარება ღასან ქანაფანის ხვდა წილად, რომელ-მაც საკუთარ თავზე გამოსცადა დევნილობის სიმწარე, აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკაში, აქვეყნებდა სტატიებს, წერდა მოთხოვბებს, მცირე რომანებსა და პიესებს. ამ ტიპის სხვა მწერ-ლების მსგავსად მის შემოქმედებაშიც ერთმანეთს ერწყმის პატრიოტიზმისა და მიუსაფრობის განცდა. ქანაფანი არის იმ დაკარგული თაობის წევრი, რომელთა ცხოვრებაც რაღაცით 90-იანების საქართველოსაც შეიძლება მოგვაგონებდეს. მწერალმა მთელი თავისი ცხოვრება და ლი-ტერატურა პალესტინას მიუძღვნა. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „ჰაითა-დან დაბრუნება“ და „კაცები მზეში“, სადაც გადმოცემულია დიდი ტკივილი, გაჭირვება, გაუც-ხოება არსებულ რეალობასთან. როგორც ჰერაკლიტე ამბობს, „ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“. ღასან ქანაფანის შემოქმედებასთან მიყვავართ ედვარდ საიდის წინასიტყვაობას ალ ბალრუთის წიგნზე „მე ვნახე რამალა“. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მემუარულ-მხატ-ვრული ნაწარმოები პალესტინურ ლიტერატურაში, სადაც საუბარია პოლიტიკაზე, მაგრამ რაიმე იდეოლოგიური მინიშნებების გარეშე, ყოფით პრობლემებზე, ე.წ. „უადგილოს ტვირთზე“ ანუ „უცხოები საკუთარ მინაზე“ (ედუარდ საიდი), მატერიალურ გაჭირვებაზე და სხვა.

პალესტინურ ლიტერატურზე საუბრისას, უნდა შევეხოთ ედვად საიდს, რომელსაც ეკუთ-ხვნის მრავალი კრიტიკა და შრომა, მათ შორის „ორიენტალიზმი“ და „პალესტინის საკითხი“, რომლებიც მიუძღვნა ებრაულ-პალესტინურ პრობლემას.

XX საკუთარი 50-იანი წელი პალესტინური ლიტერატურის სულისკვეთება პოლიტიკური პათოსით ივსება და ლიტერატურულ ღირებულებებს ფარავს, რაც პოეზიაშიც ნათლად გამოვ-ლინდა. 1967 წლის ექვს დღიანმა ომმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ალ ბალრუთი აღნიშნავს: „1967 წლის ივნისის დამარცხების მერე რიცხვი 67 ჩემთვის მარცხის სიმბოლოა... ეს რიცხვი თა-ვის ჩარჩოში გაიყინა თითქოს. რიცხვი კი არა, მისი ქანდაკებაა ცვილის, გრანიტის, ტყვიის; ნა-უშლელი ცარცის წარწერაა დაფაზე შავ დარბაზში. არ იფიქროთ, რომ მე მას ცუდ ნიშნად მი-ვიჩნევ, უბრალოდ ვამჩნევ.“

პოსტ-კოლონიური პროზის უდიდეს პოეტად აღიარებენ მაჰმუდ დარვიშს, რომელმაც სა-ხელი მსოფლიო კულტურის მასშტაბით გაითქვა. მისი ცნობილი ლექსია „პირადობის მოწმობა“, სადაც კვლავ „უადგილოს ტვირთს“ ვუბრუნდებით. მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში ისევე, რო-გორც სხვა პალესტინელის ხელოვანების შემოქმედებაში ჩანს, მიუსაფრობის გრძნობა, სულიე-რი გაუცხოება, საკუთარი ადგილის ძიება, წარსულში დაბრუნების სურვილი და მრავალი ენით ამოუთქმელი ტკივილი.



ანა ჰაპუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

მსოფლიოს პირზელი ნოველა



მურასავი შიკიბუ იყო ცნობილი იაპონელი ქალი მწერალი ჰეიიანის პერიოდში. მას ეკუთვნის ნოველა „ამბავი პრინც გენჯის შესახებ“ (Genji monogatari), რომელიც მიჩნეულია იაპონიის ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშად და აგრეთვე მსოფლიოს პირველ ნოველად.

მურასავი შიკიბუ დაბადა ფუჯივარას საგვარეულოში, რომელიც ჰეიიანის პერიოდის იაპონიაში ერთ - ერთ გავლენიან ოჯახად ითვლებოდა. ის პატარაობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, უკეთ სწავლობდა ვიდრე მისი ძმა, ამიტომაც ხშირად მამამისი ამბობდა „ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი

შენ,რომ ბიჭი ყოფილიყავიო“. მურასაკი შიკიბუ თავის ძმასთან ერთად იღებდა განათლებას ,მა-მამისმა ჩინური ენის სწავლის ნებაც კი დართო ,რომელიც იმ პერიოდის იაპონიაში მხოლოდ კა-ცების პრეროგატივა იყო. მურასაკი გათხოვდა თავის შორეულ ბიძაშვილზე და მისგან ქალიშ-ვილი ეყოლა 999 წელს,თუმცა მისი ქმარი მალევე გარდაიცვალა, ქალის ცხოვრებაში კი ახალი ეტაპი დაიწყო. ქმრის გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე ის საიმპერატორო კარზე მიინვიეს, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა“ გენჯი მონოგატარი“ (1007-1010) ნაწარმოები შედგება 54 თავის-გან,რომელშიც იმპერატორის ვაჟის ჰიკარუ გენჯის მთელი ცხოვრებაა გადმოცემული: მისი ბავშვობა,სასიყვარულო თავგადასავლები,სამეფო კარის ინტრიგები,სხვადასხვა მხიარული და სევდიანი ამბები.ისტორია მოგვითხრობს აკრძალულ სიყვარულზე პრინც ჰიკარუსა და მის დე-დინაცვალ ფუჯიცუბოს შორის ,ამ სიყვარულით გამონვეულ მწუხარებასა და დარდზე .ხაზგა-სასმელია გრეთვე ის ფაქტი ,რომ ეს ყველაფერი რელისტურადაა ასახული,საინტერესოა ნა-წარმოებში ჩართული დისკუსიები ფილოსოფიურ საკითხებზე,პოეზიაზე,მუსიკაზე,მხატვრობა-ზე რაც ავტორის დახვეწილ გემოვნებასა და ერუდიციაზე მიუთითებს.

ჰეიანის პერიოდის იაპონიაში პრეროგატივა ენიჭებოდა ჩინურ ენასა და დამწერლობას,ის გამოიყენებოდა ოფიციალური და რელიგიური დოკუმენტების დასაწერად, ამიტომაც კაცები წერდნენ ჩინურად ,ხოლო ქალებს ამ ენის შესწავლა და მითუმეტეს ამ ენაზე ნაწარმოების შექ-მნა ეკრძალებოდათ.გენჯი მონოგატარი დაიწერა იაპონურ ენაზე, სწორედ ამ ნაწარმოებს მი-უძლვის დიდი წვლილი იაპონური დამწერლობის პოპულარიზაციისთვის. გამოსვლისთანავე „გენჯი მონოგატარიმ“ ქვეყანაში ლიტერატურასთან დაკავშირებული შეხედულებები შეცვა-ლა.ეს ნაწარმოები რომელიც საიმპერატორო კარის ყოველდღიურ ცხოვრებასა და ინტრიგებზე მოგვითხრობს დღეს ბევრი მეცნიერის კვლევის საგანია. უძველესი ხელნაწერი ნაწარმოებისა დაკარგულია,თუმცა საბედნიერო XII საუკუნის ხელნაწერი გადარჩა და დღეს ბევრი მკითხვე-ლის გაოცებას იწვევს .



გულნაზ ხარაიშვილი



მიყვარს გარდაცვლილებთან საუბარი

ეს რა გასაკვირია, ჩემს საყვარელ ადამიანებსაც ხომ აინტერე-სებთ მიწიერთა სამყაროს ამბები. ხოდა მეც მაინტერესებს ცაში რა ხდება.

დავინწყებ ბატონ ჯუმბერიდან: ბატონო ჯუმბერ, შენთვის ვიცი სამოთხის კარი ღია იქნებოდა, არ დაგჭირდებოდა ლოდინი, შენს მე-ულლეს პირნათლად შეხვდებოდი, ქალბატონ ღიანა ალიბეგაშვილს. შენი ულამაზესი შვილი მაიკო ალბათ თავის ქმარ-შვილის ლოცვაში ათენებს და ალამებს.

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) ალბათ უკანასკნელ ლუკმას გაჭირვებულებს ურიგებს, დარწმუნებული ვარ ჯოჯოხეთში მოხვედრილებსაც მიუტევებს და იზრუნვებს მათ საკეთილდღეოდ. მე და პოეტმა ქალბატონმა ლამზირა შწყილაძემ სრულიად უცნობი პიროვნება ვნახეთ მის საფლავზე, რომელმაც აგვიხსნა რომ რუსთავის ციხიდან ახალი გამოსული იყო და როდესაც გაუგია, რომ მეუფე ცოცხალი არ იყო, მის საფლავზე ფიცი დაუდია, რომ ყოველდღე მივიდოდა და პატიებას თხოვდა... რისას ის საიდუმლოა, უცოდველი არავინ არ ვართ. მან აგვიხსნა რომ მეუფემ შვილის მკვლელი ნახა ცი-სეში და აპატია ის ჩადენილი დიდი ცოდვა, რაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაა.

მინდა შეგეხმიანოთ აკადემიის წევრებო და მოგილოცოთ ახალი 2016 წლის შემობრძანება საქართველოში. არ შემიძლია არ გაგიხსენო, ჩემი სიკეთის დამფასებელო ბატონო კლიმენტი

შელია, ბატონ ანზორ შონია. ჯიბო ჯიმერის ვალი მართლაცდა მოვიხადეთ თერჯოლაში, რომ ჩავედით მე და ლამზირა, გამოსასალმებელი სიტყვებით გაუთბეთ გაყინული გული, სასწაული ის იყო, რომ უურნალ „ათინათს“ იმდენად სიყვარულით ელოდა თურმე (ლექსები და სტატია იყო დაბეჭდილი), მის ქალიშვილს გულზე დაედო და ჯიბო იწვა სამუდამო სახლში და გვერდით წმინდა ნინოს ხატით შექმნილი უურნალი მიყვებოდა.

ამის შემდეგ სხვა მოულოდნელობით ცუდი ბედისწერით დატვირთული გემი შემოცურდა რუსთავში. მის საჭეს შენ მართავდი დათო მელიქიძევ, რამხელა დარდი დატოვე აქ და რატომ დაჭირდი მანდეთ, შენს ახლობელბს არვიცი. კარგს ვერაფერს გეტყვი, დედაშენს შენს მეტი არავინ უნდა, მამაშენი, შენი ძმა ჯაბა, რძალი, განიცდიან შენ არყოფნას. ძმიშვილი შეგეძინა. პატარა ფერია გოგო. მეტი არაფერი ვიცი. ხშირად ვეღარ ვკონტაქტობ დედაშენთან, იცი რატომ? არ მიჯერებს... არ სწამს რომ არსებობს ცათა სოფელი, სადაც უკვდავებაა...

პოეტებს მოგიკითხავთ: ბეჟან ძმაო, მადლობა უთხარი უფალს იმისათვის, რომ იმხელა ნიჭი მოუცია შენთვის, რომ შენი ლექსები დღესაც ჩაუქრობელი ლამპარივით ანთია, ჩვეულებრივად ახსოვხარ ყველას ისევ ისე, თითქოს ახლახანს დადიოდი თბილისის ქუჩებში მაღალი, ახოვანი, მჭერმეტყველი, პოეტი. შენი ხუთი წლის ლაშა ორი ლამაზი ქალიშვილის მამაა, გვანცა და ბარბი შენი სახელის გამრგძელებლები არიან.

ნუნუკა გურალიას, ცის მსაჯული რა განაჩენს გამოგიტანს არვიცი, რადგან თავის თავს თვითონ მოუსწრაფა სიცოცხლე. ამას კი დაბეჯითებით ვეტყვი, რომ ჯუმბერ ლეჟავას აკადემია არ დაგივიწყებს.

გაზაფხულზე ღონისძიებას ჩავატარებთ, ლექსებს წაიკითავენ ბიჭები, სერგი და კახა. პანაშვიდზე რომ ვიყავით, დავდეთ არ დავიწყების ფიცი, შევასრულებთ. მეუფე თადეოზი ნახექალბატონო ნუნუკა და აღსარება აუცილებლად ჩაბარე.

ანზორ ფაჩულია, შენ მე აკადემიაში გელოდი შენ სიდურისთან ერთად, ახალი წიგნი გამოვუშვი „დარდის პირამიდები“, სადაც შენზე მოძღვნილი ლექსი შევიტანე. გამოგიგზავნითქო დაგირეკე, არაო, მითხარი, მე და რეზო ადამია მოვალთ და მერე წამოვიღებო. იმ წუთში მომიკითხავდი ბავშვები ხომ კარგად? მეც გიპასუხებდი – არაშუავთ, როგორც შეეფერებათ ობლებს-თქო. ჰო და მათი მამა ჩემი შვილი მად დაგხვდებოდა, ის იმდენად თბილი და გემრიელი ბიჭია ყველას მოგინახულებდათ. ჩემო გელა, ხომ სწორს ვამბობ შვილო, ჩემო ძლიერო და თან უკეთილშობილესო. რა გამახსენდა იცი? თბილისში ჩამოვედი შენს სანახავად, როცა სწავლობდი. ნაძალადევის მეტროდან ამოვედით გზა გავაგრძელეთ, შეჯგუფული ბიჭები დავინახე, რაღაცაზე კამათობდნენ, გთხოვე, რომ იქით არ გავიარ-თქო, შენ არ დამიჯერე და შუაგულში, ნელი ნაბიჯით გაიარე, მე საყვედური გითხარი, ჩემთან რას აკეთებ და მარტო რას იზამ-თქო და გულში შიშმა დაისადგურა, დედაო, მიპასუხე, ვინ იცის იმათვან რომელიმეს როგორ უჭირს, ამიტომ ვიღაცას ხომ იმედი მივეცი. მართალი იყავი შვილო ჩემო იმედიანო.

როგორ გამიფრინდით ეს ტებილი ქმარ-შვილი ხელიდან, მაგისთვის ვწვალობდი? მაგის-თვის ვიტანდი ყველაფერს? მინდოდა ერთ დიდ ჭერქვეშ სიყვარული და სიმშვიდე მქონდებოდა.

დგება ახალი წელი, ძალიან ჩქარა შემოაღებს კარებს. ძველი წელი დახვდება ძველებურად, სიახლე და საინტერესო ჯერ-ჯერობით არაფერია. მე „ზღვარის“ ბიჭები მყავს სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, შენს არ ყოფნას ცოტათი მაინც მივსებენ. ქალბატონებიდან ლუარა სორდიას და ლამზირა შეყილაძეს გამოვყოდი.

მწერალთა კავშირიდან მაყვალა გონაშვილია ჩემი სულის ნაწილი. და ასე შემდეგ, მე ყველასათვის სიკეთე მინდა, ვინც მტრობს, მე იმათი მტერი არ ვარ, რა სასაცილოა ამას რომ ვწერ, შესაშური დარდი მაქვს. ეს მაქვს ყველაზე დიდი, ამას როგორ გავიმეტებ სხვისთვის, ეს იმდენად დიდია, ვერ გაუძლებენ და დაიხოცებიან, რად მინდა, შვილო. იცოცხლონ, ჩემი კუთვნილი მინა მე მელოდება.

რითი ვცოცხლობ? მეკითხები დედი? პოეზიით შვილო, პოეზიაა ჩემი წამალი.

ფიქრით შენთან ვარ, მოფერება ხომ გაკლია,

ჩუმი ცრემლები, არის მართლაც დარდის სონეტა....

და თუ სიცოცხლე შენს გარეშე შვილო ნაკლია
მაშინ სჯობია ისევ – ისვე დავრჩე პოეტად.

გელა, შვილო სულიკო თავბერიძის ვაჟი, ექიმი ბიჭი, შენნაირად უეცრად ტრომბით გარდაიცვალა, დედამისი ჭკვიანი ქალბატონია, იცის, რომ შვილის სული არ უნდა დაამძიმოს. ბატონი იუზა რობაქიძეც ასე უყურებს ამ დიდ სასჯელს, შვილის გარდაცვალებას. ბოლოს ყველა ერთი ცის სოფელში დაბინავდება. აბა კარგად, გენაცვალე... ილოცეთ საქართველოსთვის...



მირანდა ხოდელიძე



მირანდა... ჩემი ღიღი იმედი.

ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ დიდო სიყვარულო, ძვირფასო და განუმეორებელო მირანდა. ჩემო სიხარულო და უსაზღვროდ დიდო ტკივილოებს! რამდენი დარდიანი ლამე გამითენებია. შენ ხომ ჩემი დიდი იმედი იყავი. ეს იმედია რომელიც დიდმა ტკივილმა დახრა და დაგლიჯა. ჩემო მირანდა მე სულ გელოდები, უშენობას ვერ ვეგუები. მე მაინც მჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენ ისევ მოხვალ, ისევ გაამხიარულებ ჩემს ტანჯულ სულს. ისევ ამღედები დუდუკზე, შენს ოცნებას აისრულებ და გააცოცხლებ ძველი ტბილისის კოლორიტებს. შენ ხომ ასე უზომოდ გიყვარდა შენი ელდარი მასწავლებელი და პატარა ქსოვრელები, რომლებიც ყოველთვის დიდი სიყვარულიტ გინევდნენ აკომპანიმენტს. მერე კი ჩამიკრავ გულში, მომკიდებ შენს ფუმფულა ხელს და ერთად წავალთ, გავუდგებით ერთ დიდ და გრძელ გზას, ზემოთ ცის სასუფევლისკენ.

მირანდა!.. შენ ერთი ობოლი ჭადრის ხის ფოთოლი იყავი, რომელიც ეს ესაა კვირტიდან გამოვიდა და გაფურჩქვნას აპირებდა. სწორედ მაშინ დატრიალდა ქარბორბალა, ამოვარდა ქარიშხალი და გრიგალმა უმოწყალოდ მოგლიჯა ლალი ფოთოლი და ზემოთ ზეცაში გააქროლა, შემდეგ კი დაწყნარდა, დამშვიდდა ბუნება და ჭადარმაც გააგრძელა კვლავინდებურად არსებობა.

შენ იმ დაჭრილ ჯარისკაცს გავხარ, რომელიც წლების მანძილზე ებრძვის შელახულ ჯამრთელობას და მოუშუშებელ ჭრილობებს ვერ იშუშებს. თითქოს ყველაფერი სიკეთისკენ მიდიოდა, მოშუშდა თითქოს ჭრილობები, შეხორცდა დაჭრილი გულიც და აი, სწორედ ამ დროს გიმტყუნა ბედმა და ერთი პატარა მიწუკი გაგიხდა მიზეზი, რომელმაც საბოლოოდ გააჩერა შენი გულიცემა.

ჩემო ლამაზო, ძვირფასო, შეუდარებელო და განუმეორებელო მირანდა აი ახლოვდება შობა-ახალი წელი. მე კი სულაც არ მიხარია, იმიტომ, რომ ყველა შენი მეგობარი და ახლობელი დიდი სიხარულით ემზადება მის შესახვედრად, შენ კი ჩვენს გვერდით აღარ ხარ და ჩვეული სიხარულით და ხალისით აღარ ხვდები ჩვენთანერთად შობა-ახალ წელს. შენს საყვარელ დედიკასთან აღარ შეხვდები შობის ღამეს ტაძარში. ჩვეული წრფელი გულით ვეღარ ილოცობ და იგალობებ ღვთის სადიდებელ ლოცვებს.

ჩემო ერთადერთო უდიდესო იმედო, გთხოვ შობის ღამეს მაინც მოდი ჩემთანსიზმრად. მოდი ჩამეხუტე ამ გატეხილ გულში, იქნებ ცოტათი მაინც გაათბო და გაალლო ეს მძიმე და გაყინული გარების გამო.



ლი გული.მინდა კვლავ შევიგრძნო შენი ფაქიზი სული,ვერ ვიჯერებ,რომ აღარასოდეს შემოა-ლებ შენი სახლის კარებს,ვეღარ გაგვიღიმებ შენი სევდიანი თვალებით.თურმე,ალბად დრძნობ-და შენი პატარა,მაგრამ უსაზღვროდ დიდი სიყვარულით სავსე გული,რომ სულ მალე გაჩერებუ-ლიყო მისი ძგერა და დანებებოდა შენს ავადმყოფობას.ის ხომ უკვე გადაღლილი იყო საშინელი ავადმყოფობისა და წამლებისაგან.ყველასაგან განსხვავებით უფალმა და მისმა დედიკომ-წმინ-და მარიამ ღვთისმშობელმა ვეგარ აიტანეს შენი ამდენი ტანჯვა და თავისთან წაგიყვანეს ზეცა-ში,იქ მოგიჩინეს მარადიული სასუფეველი და შენი ულამაზესი და ფაქიზი სული დაამკვიდრეს ზეცაში.

აი უკვე მესამე წელია რაც მანდ ლამაზ და სამართლიან სამყაროში ხვდები შობა-ახალ წელს შენი დარდიანი და ტკბილი სიმღერებით.მაგედან ლოცავ შენს საყვარელ დედიკოს,მამი-კოს და დაიკოს მარიამს და ნინოს.

ჩემო მირანდა მანდ გყავს გვერდით დიდი პოეტი-ბაბუა-ბეჟან ხარაიშვილი,რომელიც დი-დი სიყვარულით და ხალისით დაგინერს უამრავ ლამაზ ლექსს,შენ კი სიმღერად აქცევდა იმღე-რებ მანდ.ეხლა ალბად უკვე მხიარულ სიმღერებს იმღერებ,რადგან აქედან შორს ცის სასუფე-ველში ცუდი აღარაფერი მოგელის,დაგიცავ და დაგიფარავს უფალი ღმერთი და დედა ღვთის-მშობელი მარიამი.

„მომნატრებია ვარდის სურნელი,
მე ჩემს გაჩენას ულმერთოდ ვწყევლი,
მივდივარ წელა მივყვები ქუჩებს
გზები კი ყველა საფლავთან მიდის.
დაბნელდა მზე და მთვარეც გამიქრა
ირგვლივ დაბნელდა ყოველი მხარე
შენ დამეხმარე უფალო ღმერთო
მომკალი ბარემ,ვერ გავიხარე.“
ერთ დიდი დარდის ფუთა –

შენი ბებო
მირანდა ხოდელიძე.



მორილები



ლუარა სორდია



დახილი და გალაკტიონი – „მშვიდობის ნიგნის“ ტრუბალურები

„მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“, აცხადებდა ქართველი პოეტების მეფედ აღიარებული გალაკტიონი. მისი ქნარი „ყველა სიმზე“ უკრავდა, აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის თუ სამხრეთის განედებს, პოლუსებს მოიხილავდა, ტოლივით ეპაექრებოდა მსოფლიოს მხატვრული სიტყვის გიგანტებს, „ახალ მერიდიანებს“ ავლებდა პოეტურ გლობუს.

დეტალებით მთელზე მიანიშნებდა, ლოკალურიდან გლობალურს ჭვრეტდა, კოსმიურ მასშტაბებს ელტვოდა, „სხვისთვის უხილავ-ფარულს“ უღრმავდებოდა, ესმოდა „ერთადერთი, მძლავრი კოსმიური მუსიკა“, „საერთო და სათვისტომო ომში“ იყო ჩაბმული.

საკუთარ სულში ჰქონდა გამოტარებული პლანეტის პრობლემები, „ფანტასტიკურ ხიდს“ სდებდა წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის, „განახლების, გათენების, აღორძინების, „ალიონის, „რენესანსის მაცნე იყო მისი „პოეტური ინტეგრალები“ (ლ. სორდია, გალაკტიონ ტაბიძე და ქართული რენესანსის პრობლემა) (1, 229- 232).

რენესანსის საიდუმლოებების შემცნობი, აიდეალებდა დანტეს, მაგრამ იზიარებდა შალვა ნუცუბიძის თეორიას აღმოსავლური რენესანსის შესახებ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს დანტეს წინმსწრებად აღიარებდა.

„კოსმიური ორკესტრის“ ტიტანებში მოიხსენებდა დანტეს და მრავალნაირ ჭრილში, სავსებით ორიგინალურად სვამდა და წყვეტდა იმ მარადიულ პრობლემებს, რაც უცხოელს წინამორბედის შემოქმედებაში მოიძიება.

მრავალი რამით ენათესავება იტალიელ გენიოსს ქართველი გენია ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, რელიგიურობის, სახისმეტყველების ასპექტებით, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრები შემოქმედებითა და არა ეპიგონური. ეს ნათესაობა აიხსნება იმით, რომ ორივენი საერთო წყაროს – ბიბლიას, ღვთისმეტყველებას, რელიგიას, პლატონს, ნეოპლატონიზმს, დიონისე არეოპაგელს ემყარებოდნენ. თავიანთ უპირველეს მისიად რწმენის გადარჩენა–განმტკიცება, ხალხისთვის ტაძრისკენ საგალი გზის ჩვენება ესახებოდათ.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ამ ორი პოეტის სახისმეტყველების ერთი ასპექტი, კერძოდ, დანტეს „დიადი წიგნის, „სანუკველი წიგნის“ და გალაკტიონის მრავალგვარი ვარიაციით მოაზრებული რელიგიური შინაარსის წიგნის პარადიგმები.

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის მიხედვით, „დიადი წიგნი“ მარადიულია, „ნათლის წიალის“ მკვიდრი, ის გაუხუნარია, „ხანდაზმული წყურვილის“ მოსაკლავი წყაროა: „ნათლის წიალში, საიდანაც გესაუბრები, ეს შენ დამიცხრე ხანდაზმული წყურვილი, შვილო, ჩემში აღძრული იმ დიადი წიგნის კითხვისას, რომლის ფურცელზე არ ხუნდება ფერი მელნისა“ (2, 135).

სხვა კონტექსტში „დიად წიგნს“ ენაცვლება „სანუკველი წიგნი“. სამოთხეს მიხახლოებული დანტე მთელი ძალით შეიგრძნობს ამ „სანუკველი წიგნის“ „სიქველეს“, მისგან მონიჭებული სხვა-დასხვაგვარი სიყვარულის შეცნობის სიხარულს: „სიქველე იგი, რაც იფრქვევა ამ სფეროებში, გახლავს იმ წიგნის სანუკველის ანი და პოე, სად სიყვარული შევიცანი სხვადასხვაგვარი“(2, 380).

აშკარაა, დანტეს ამ ფრაზის წყაროა ახალი აღთქმა: „მე ვარ ანი და პოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 22, 13) (3, 520).

გალაკტიონმა შექმნა რელიგიური მნიშვნელობის წიგნის მთელი ციკლი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი პოემა „მშვიდობის წიგნი, რომელშიაც ჩრდილოელი მეზობლები–ქაჯები იპარავენ „მშვიდობის წიგნს“, რასაც მოჰყვება ტოტალური უბედურება:

უმზეობა, სიბნელე, წარდგნის მსგავსი სტიქიების მძვინვარება, საუკუნოვანი ბალის განადგურება, ადამიანთა მსხვერპლი, სატანის, ვეფხვის, ბუს, ჭოტი, ს ქვენარმავლების მოვლინება, ჩვენი მშობლიური მიწის და ცის მიტაცების სურვილი, მახის დაგება, შეთქმულება.

ეს ეროვნული ტრაგედია ახსნილია მშვიდობის წიგნის დაკარგვით.

ათი წლიოს თავგამოდებული ძიების შემდეგ პოემის პერსონაჟი ტარიელი პოულობს წიგნს და ამინდიც გამზიანდება, წყალდიდობა დაცხრება, „მზის სხვეტი“ გამოჩნდება, ბრუნდება განთიადი“. პოემაში მშვიდობის წიგნის ვარიაციებია: „წიგნი–სიცოცხლე, წიგნი–სინდისი.

წმინდა წიგნი, სიმართლის წიგნი, წიგნი საერთო ძველი წიგნი, წიგნი ახალი, წიგნი ნუგე-შისმცემელი, საწუთოსგან მხსნელი წიგნი, მშვიდობის მთველი წიგნი, წიგნისიცოცხლე, წიგნი ცის და დედამიწის“.

პოემა მთავრდება მოწოდებით, რომ წიგნი გაღავნიან კოშკში უნდა იქნეს შენახული, რათა უკეთურებმა ისევ არ ხელშეყონ ეს სიწმინდე, ანუ არ შეგვირყვნან რწმენა(4).

დანტესა და გალაკტიონის სიმბოლური წიგნის წყაროდ შეიძლება მივაჩნიოთ ბიბლია, კერძოდ ესაიას წინასწარმეტყველების ის ადგილი, სადაც ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანებაა (წიგნი–მამალმერთი, სიტყვა–იესო).

„იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები.

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29, 11, 18) (5, 94).

ნეტარი ავგუსტინეს „ალსარება“ ადასტურებს უფლისა და წიგნის იდენტურობას: „არას-დროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე (6, 217).

ასევე, ოთახ მოციქულის გამოცხადებაში ფიგურირებს შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც ხსნის კაცობრიობისთვის დაკლული კრავი–ერისტე“ (თ. 5, 1-14) (3, 496-497).

„წიგნი, რომელიც ხელში უჭირავს მამა ღმერთს, წარმოადგენს ქრისტიანული წელთააღ-რიცხვის ახალი აღთქმისეული ქვეყნიერების ბედის წიგნს, რომელშიც აღბეჭდილია საიდუმლო-ებანი ქვეყნისანი, ქრისტეს განკაცებამდე დაფარული. სხვა ვერავინ იქნა ამ წიგნის ხელში ამღები და ბეჭდის ამხსნელი, თუ არა თვით ქრისტე. მხოლოდ მას, კაცობრიობისთვის დაკლულ კრავს, ხელენიფება მართოს ქრისტიანული წელთაღრიცხვის მოვლენები კაცთა ღვაწლის შესაბამისად, რამეთუ ადამიანს თავისი საქმისებრ მიუზღავს“ (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (7, 408-409).

გამოცხადებაშივე გვხვდება „ცხოვრების წიგნი“: „გადაშლილი იყო სიცოცხლის წიგნი და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმებისამებრ“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 2012) (3, 517).

ანგელოზი იოანეს უჩვენებს მაღალ მთაზე დიდ ქალაქს, წმიდა იერუსალიმს, რომელშიც მხოლოდ კრავის (ქრისტეს) ცხოვრების წიგნში ჩაწერილ ადამიანებს აქვთ შესვლის უფლება: „ვინც არ იყო ჩაწერილი წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 20, 15) (3, 514).

გამოცხადებაში მოვლენილია ძლიერი ანგელოზი გადაშლილი წიგნით (10, 2) (3, 502).

ამ წიგნს შეაჭმევენ იოანეს და ავალებენ, იწინასწარმეტყველოს (გამოცხადება, 10, 3-11).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „არყოფნისა და ყოფნის წიგნები“, რომელთა წყაროა იოანეს გამოცხადება: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა) (8, 119-120).

ამასთან, ქართველი პოეტისთვის ქრისტე არის „წიგნი ცის და დედამიწის“: „და წიგნი კი ის „მიწისა და ცის, სადმე ბილიკის გზით არ გაცურდეს“ (მშვიდობის წიგნი) (4, 326).

დანტეს „წმინდა პოემას“ ამჩნევია „ცის და დედამიწის ხელი“, რაც მტერთა დაძლევის გზად ესახება: „ნეტავ ოდესმე თუ შევძლებ წმინდა პოემით, რომელსაც ცის და დედამიწის ზედ აწევს ხელი...დავძლიო მტერნი, ვინც ბოროტად დამიხშეს კარნი იმა ფარესის, სადაც ტკბილად მეძინა კრავსა“ (2, 376).

გალაკტიონი დარწმუნებული იყო „მშვიდობის გზისა“ და „მშვიდობის წიგნის“ სახეში მოაზრებული ღმერთის მარადიულობაში: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს...მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის (9, 335-336).

ქრისტიანული რწმენის შერყვნას პოეტმა „ძველი წიგნის გვერდების არევა“ უწოდა („ძველი წიგნების გვერდებს არეულს“) (10, 332).

გალაკტიონი „სანთლების, წიგნების წყევლას“ უწინასწარმეტყველებდა ჭეშმარიტი რწმენის „ორგულთ, ცრუ წინასწარმეტყველ-მისანთ (დომინო) (11, 203).

ხოლო რწმენის ერთგულებში „ძველი წიგნის“ კეთილ „დაღს“ ხედავდა: „ისევ კვლავ ძველი შრიალებს ბალი და ძველი დაღი წიგნების აზის“ (მშვიდობის წიგნი) (4).

ვენახი, ბალი ბიბლიაში ებრაელი ხალხის მეტაფორაა, გალაკტიონის ლექსში კი ქართველ ერს გულისხმობს.

გავიხსენოთ იერემია წინასწარმეტყველი: „მოვლენ და გაეშურებიან უფლის დოვლათისკენ, თავად „მორნყულ ბალს დაემსგავსებიან და არ დაჭკვნებიან არასოდეს“ (იერემია, 31-11) (5, 155).

გალაკტიონის „მოგონებებში“ (12, 467) წიგნთან ერთად, შეხვედრა გვინევს „მემარნეს-თან“. იქვე ნახსენებია „ძვირფასი და უკვდავი ღვინო“, „თასი“: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით: ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მე-მარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო, შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

ლექსის „მემარნე“ და „წიგნი“ მამალმერთის მეტაფორაა, „უკვდავი, ძვირფასი ღვინო“ – ქრისტესი, თასი-ღვთისმშობლისა.

ბიბლიაში ქრისტეს მოვლინება შედარებულია ნადიმთან, რომელსაც ამშვენებს „ძველ, დაწმენდილი“ ღვინო. ქრისტე ღმერთი: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნა-დიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 5, 25, 6) (5, 91).

გალაკტიონის „ვარდებში“ დემონს აკრობს „იმ მშვენიერი წიგნების ძალა“, ანუ უკეთურების, ბოროტების ძალის დამმარცხებელი ღმერთია (13, 537-538).

ამ მაცდური სოფლის ამაოებაზე პოეტი წიგნით, ღმერთის რწმენით მაღლდებოდა, სხვები კი სულის სამშობლოს გზებს ვერ იგნებდნენ: „სული სცდება ამ სოფელს სიჩუმით და წიგნითა, ვერ პოულობს სამშობლოს თუნდაც გადაწიგნვითა (აგერ შემოფგომობის) (9, 45).

ლექსში „ო, მამულო“ (9, 193) „შრომის დიდებული წიგნით“ („მშვიდობის წიგნში“ ღმერთის ერთ-ერთი სახელია „შრომის უფალი“) „სულის გულთან გადაწიგნვით“ ანუ გულში უზენაესის – „სულის“ (სული საღმრთო სიმბოლოა) ჩასახლებით აღწევს პოეტი მეოცე საუკუნის პოეზიის „დიდი კარის“ შეღება: „ჩვენ მეოცე საუკუნის შემოვალეთ დიდი კარი, სულის გულთან გადაწიგნვით ჩვენ მოვედით შრომის დიდებული წიგნით“.

„გადაწიგნვა“ ნეოლიგიზმია.

„ახალი მზე სურვილს გადეწიგნება“, ნათქვამია ლექსში „ახალი მზე“ (8, 30) სხვაგან „უმშვენიერესი კიბე“ (ღვთისმშობელი) და „წიგნია (ღმერთია) პოეტის ამაღლების საწინდარი (უმშვენიერესი კიბეზე) (8, 209-210).

„პორტრეტში“ (8, 79-80) ერთ მხარეზეა „წიგნი“ და მეორე მხრივ „ხმელი თავის ქალა“, ანუ მარადიულობა და სიკვდილი. დაუმთავრებელი „შავი წიგნიც“ სიკვდილის წიგნია (ხელოვნება) (რჩეული თბ., 1982, გვ. 8).

პოეტის „ქარვისფერი წიგნი“ დასახლებულია უამრავი ლანდებით, წარსულის ლანდებით, „მომავლის ჩრდილით“ („მომავლის ჩრდილი“ ქრისტე ღმერთია) (მოგონებათ ცა) (8, 284).

„უკანასკნელი მწუხრის წიგნის“ დახურვა მოასწავებს სიკვდილის წიგნის დახურვას, სიკვდილის დამარცხებას, უკვდავებას, რადგან ლექსის ლირიკული გმირი „ვარსკვლავის“ თანამგზავრია, „განათების წამით“ გაცისკროვნებული (არა ერთი და ორი) (8, 352).

გალაკტიონის აზრით, „გარეთ და შიგნით“ „მშვიდობის წიგნით“ უნდა ვიდოდეს ერი, ამაღლება მხოლოდ წიგნით“ არის შესაძლებელი, სულის და გულის წვდომის მომმადლებელი მხოლოდ „წიგნია“, მომავალში გაღწევის საწინდარიც მხოლოდ წიგნის სახეში მოაზრებული ღმერთია (სადაც არ უნდა ვიქნეთ) (9, 325).

პოეტების მეფეს სურდა ცის კაბადონზე, მსოფლიოს შესახედავად დაეწერა „პირველი სიყვარულის“ თაყვანისცემისკენ მომწოდებელი სიტყვა – „გიყვარდეთ!“ (ფანტაზია) (11, 154).

ათეიზმის ზეობის საუკუნეში „არტისტული ყვავილების“ ავტორის წიგნში „მთელი საუკუნის“ პრობლემებია დასმული და გადაჭრილი. პოეტი თავის უპირველეს მისიად მიიჩნევდა უძველესი და უახლესი წიგნის – ღმერთის თაყვანისცემას, რწმენის განმტკიცებას, საღვთო სიბრძნის მსახურებას (მშობლიურო ჩემო მიწავ!) (10, 462-463).

გალაკტიონი „სივრცეთა უნაზეს გრადაციებს“ ჭვრეტთა და თავისი წიგნების რელიგიურობას ასეთი ენიგმური სახეებით გამოხატავდა: „ამ საღამოში განისვენებს მშვიდი სინათლე სავსე უდიდეს მწუხარებით და სიყვარულით. ამ წიგნის ფურცლებში დაჰქრის მისი სასახლის ლანდი“ (ღრუბლები ოქროს ამურებით) (14, 275). „მწუხარებით და სიყვარულით სავსე სინათლე“, სიყვარული და სასახლე მიგვანიშნებს უზენაესზე, მის შემოქმედებაში რომ უპოვია უპირველი ადგილი.

ასე „შეხვდა“ მეოცე საუკუნის ქართული რენესანსეული პოეზის ჯადოქარი იტალიური რენესანსის გიგანტს. აშკარაა, ეს შეხვედრა იყო არა შეგირდის შეხვედრა ოსტატთან, არამედ სრულფასოვანი ოსტატის შეხმიანება გამორჩეულ წინაპართან.

„პოეტების მეფემ“ დაგვარწმუნა, რომ მას ხელენიფებოდა წინარე პოტური ტრადიციების არა უპრალოდ გამეორება, არამედ შემოქმედებითი გამრავალფეროვნება, უკვე ცნობილი სახეების ახალ-ახალ კონტექსტში მოაზრება.

დამოწმებანი

1. კრ. „აფხაზეთი“, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ. 2014
2. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11 თბ. 1973
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
6. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
7. ომანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
8. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. 2, თბ. 1993
9. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. 3, თბ. 1994
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 2014
11. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. 1, თბ. 1993
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
13. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

სახისხელის ზოგიერთი საკითხი გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში

გულნაზ ხარაიშვილის გზამკვლევია რწმენა, ბიბლიური სიბრძნე, იგივურ, სიმბოლურ-ალეგორიულ სახეებში, ქვეტექსტებში გაცხადებული.

მზით, ცეცხლით, შუქით არის პოეტის სული გაალებული: „მინდა ჩემში შევისახლო მზე, ცეცხლივით მოელვარე, ვცდილობ, შუქი დაგიბრუნო, მზის შუქს გაჩვევ“ (ველარ მამჩნევ), ასეა გამოხატული ღვთისნიერობა, რადგან ბიბლიის მიხედვით მზე, ცეცხლი, შუქი საღვთო სახელებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“, გვამცნობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 83,13).

„სახე უფლისა, ვითარცა ცეცხლი მოტყინარე“, ნათქვამია ბიბლიაში (გამოსვლათა, 180, 16).

„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი – ვის შევუშინდე?“ (ფს. 26,1).

გულნაზ ხარაიშვილი ენიგმური სახეებით გამოხატავს თავის კავშირს უზენაეს ძალებთან: „მზემ გამიშუქა სინორჩე სულის“, „მზემ ღრუბლებიდან გამოანათა, შემომეფეთა თასი სიკე-

თის“, „მზე პატრონობს თბილად სულის არეს“, „აქ გულს გრძნობები ძლიერ მოშივდა, მზე კი სხივების ხელებს მიწვდიდა“.

მზის, ცისარტყელის, საღვთო ნათლის, მთვარის შუქის თანმხლებია პოეტი: „მზის ქვაბში დუღს ჩემი სულის სიღრმე, ცისარტყელა მომესვევა ტანზე, ვიცი, ერთ დროს გამიტაცებს ცაში, დავისვენებ მთვარის შუქის მხარზე, ვიცი, ცრემლად დაილვრებით მაშინ“ (სულის სიღრმე).

ჩვენი დროის ძალზე საინტერესო მოაზროვნე, პოეტი და მნერალი სერგი ლომაძე „მზის წიგნს“ უწოდებს მის ერთ-ერთ რჩეულს, რომლის სახელწოდებაა „მზის მკლავებში“.

სასწაულის იმედით მთვარესთან აღნევაზე ფიქრობს გულნაზ ხარაიშვილი: „... სასწაულებს თუ ილბალი დამპირდება, აი, მაშინ მოვირთხმები მთვარის ფეხთით“ (სიტყვით ვერ ვთქვი).

მთვარე არის შთაგონების წარმართული ღვთაება.

რელიგიურ სიმბოლიკაში მთვარე მოიაზრება ღვთისმშობლის სახელად (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 124).

ამასთან, წმინდა სულები ზეცაში, მზეზე, მთვარეზე მკვიდრდებიან გარდაცვალების შემდეგ.

მთვარეში ხედავს გარდაცვლილ მეუღლეს პოეტი (ზღვაში გავცურე), ფიქრებით მთვარისკენ ისწრაფვის: „დამის ფიქრები მთვარეთან მიყავს, სხვის ნათელ ვარდებს არ ვეკარები“. მთავარი ორიენტირია მომავალში გაღნევა, არწივივით ცაში ნავარდი: „აფრებს გავშლი ისევ ცაში, აბა არწივს ისე როგორ დავეწევი?“ („ათინათი წმინდა ნინოს მადლითა შემოსილი“):

ცისარტყელით მოსილი ასევე ღმერთშემოსილია, რადგან ცისარტყელა საღვთო სახელია (ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, გვ. 12.21).

ორიგინალური სახეებია: „ხუთი მზის სხივი ჩამოკრიფე ცათა ჭერიდან, მზის სხივების ხელები, მზის მკლავები, მთვარის შუქის მხარი...“

მზით გასხივოსნებული უსამანო სული სიკეთის ღერძზე ტრიალებს, ტიტანურ შემართებას ავლენს, ახალ ნაპირებს, უცხო სამყაროს ეძებს: „სხვაზე არასდროს ცუდი არა ვთქვათ, სიკეთის ღერძი დავატრიალოთ, მოდი, ჩვენს სახელს გრძნობა შევარქვათ, დარდიც ვარდისფრად გავაღიავოთ... გავშალოთ მხრები ... ზღვას შევერკინოთ, გავცდეთ ზენიტს და ნაპირებს მივწვდეთ, უცხო სამყარო მიმოვირბინოთ, დავისვენოთ და მზის მკლავზე მივწვეთ“ (გულს ვესაუბრე).

შემთხვევით როდია შერჩეული მისი პოეტური კრებულების სახელწოდებები: „მზის ათინათი“, „მზის მკლავებში“, „სულის არეში“.


სული საღმრთო სახელია: „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (პავლე მოციქული II კარინთელთა, 4,17).

სულით ზეცაში მოგზაური პოეტი ტკივილების თავშესაფარია, რადგან ჯვარცმის, ტკივილის გარეშე არ ხდება განწმენდა, ინიციაციის მაღალ საფეხურამდე მიღწევა: „მიკვირს, ტკივილი რად შევიკედლე, ან ცად რად აველ, ვით განიმედი“ (რუსთავი). პოეტის ვედრებაში სიცოცხლის ხის, ანუ კვიპაროსის აყვავების სურვილი მჟღავნდება: „ამიყვავილოს, ამიკვირტოს კვლავ კვიპროსი“ (ო, როგორ მინდა).

გულნაზ ხარაიშვილი ცაში მაღლდება, სულში ვაზს, კვიპაროსს ახარებს, სიკეთის ხეს რგავს, ხოლო ცა, ვაზი, კვიპაროსი საღვთო სახელებია.

ვაზის ტირილი, ცის სიშავე, ღრუბელ-ნისლით გაშავებული მზე ამცნობს, რომ რწმენის გზით არ მიდის ხალხი და წუხებს: „ვაზი ტირის... ღრუბელს ხედავს თავაწეულს... ეს ლაქაა, თუ ცის კანის შავი ფერი. ვახ, მზის სხივი გადაფარა ნისლმა თქორით“ (სიტყვით ვერ ვთქვი).

პოეტს უყვარს ბალახის, გადამწვარი მდელოს მაცოცხლებელი წვიმა (წვიმა საღვთო სახელია) და არა გუბებში ჩამდგარი დამყავებული წვიმის წყალი. ამ ზეციური „ცათა ცის“ წვიმას იგროვებს სულში და განახლებასაც აღწევს („წვიმა“).



სერგი ლომაძე



გჩა მწვერულისკუნ (ლიტერატურული პორტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა)

... თითქოს სიმბოლურია, რომ ამ ადამიანს პირველად შევხვდი თვით წმინდა სამების ტაძრის კომპლექსში არსებულ ერთ-ერთ დარბაზში, იმ დარბაზში, რომელიც ხშირად ეთმობა ხელოვნების წარმომადგენლებს, მათ შემოქმედებით საღამოებს, და იქ ხელოვნება ჩასახლდა.

მოგეხსენებათ, რომ სამების საკათედრო ტაძარს მეორე სვეტიცხოველსაც უწოდებენ. ჩემში კი ეს ქმნილება, ეს ახალი საოცრება, ყველთვის იწვევს ქვაში ნაკვეთი „ვეფხისტყაოსნის“ ასო-ციაციას. რაღაცნაირი თბილი და პოეტური ქმნილებაა დალოცვილი, მისი გრანდიოზული კედლების ფერი მზეს ისრუტავს: სრულიად გაჯერდება ხოლმე აგუზგუზებული მზის სხივებით და შემდეგ თითქოს თვითონ ანათებს ტაძარი, თან ისე ანათებს, როგორც ყველა დროის უპირველესი ქართველის – შოთა რუსთაველის პოემა ავსებს სინათლით მთელს ჩვენს ლიტერატურას, – პოეზიის ნამდვილი მეფე ხომ, რომელიც როდის-როდის (მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში) ცხოვრობდა, დღემდე რჩება სალოცავ ხატად თითოეული ქართველი პოეტისათვის.

მაგრამ ახლა სხვა ამბავზე ვწერ. სხვა თემა უნდა გავშალო. ქართული კლასიკური პოეზია კი სამების ტაძარმა მომავონა, რომელიც თვითონ პოეზია-მეტქი, ქვაში ნაკვეთი პოეზია.

და ვიმეორებ: სიმბოლური მგონია, რომ სწორედ ამ ტაძრის ერთ-ერთ დარბაზში შევხვდი, პირველად, საზოგადო მოღვაწეს, პოეტსა და პროზაიკოსს გულნაზ ხარაიშვილს (სხირტლაძეს), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდებული პიროვნება აღმოჩნდა ყველა იმათვან, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ.

ქალბატონი გულნაზის შესახებ იმ დღემდეც მსმენოდა. მაგალითად: ვიცოდი, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა; რომ იყო იმ აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, რომელიც რჩეული მეცნიერ-ფილოსოფოსისა და მოგზაურის, სპორტსმენის, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენის – ჯუმბერ ლეუავას სახელს ატარებს; ვიცოდი ისიც, გულნაზ ხარაიშვილს ჟურნალი „ათინათიც“ რომ დაეარსებინა და თვითონვე რედაქტორობდა ამ საინტერესო წამონაცემებას.

მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასეთი ერთგული, ასეთი ფანატიკოსი პოეტი იმალებოდა მასში, როგორც, აგერ, ამ სტროფშია გადმოცემული:

„ლექსი მამშვიდებს... ლექსი მშია, ლექსი მწყურია...“

სიცოცხლე არის ზეციური ღმერთის წყალობა.

ჩემი ლექსები სიისავით საამურია;

მიაყურადეთ... გაიგონეთ სულის გალობა...“

ეს კუპლეტი (სტროფი) შეიძლება გულნაზ ხარაიშვილის სავიზიტო ბარათადაც კი ჩაითვალოს, იმდენად იტევს ამ ადამიანის ცხოვრების მრნამსას, საზრისს სიცოცხლისას. მაგრამ ესც კი არასრული სახე-ხატია მისი სულისა.

თუმცა იმ დღეს, ანუ ჩვენი გაცნობის დღეს, უნდა გამოვტყოდე, რომ მე კარგად არ ვიცნობდი მის პოეზიას, მის ლიტერატურას – საერთოდ.

ახლა კი ზეპირადაც შემიძლია მისივე წიგნების ჩამოთვლა: „ფიქრები,“ „შენ მენატრები“, „ღმერთკაცი და თოლია,“ „მდუღარე ცრემლი,“ „მკვლელობა საკუთარ სახლში“, „მზის ათინათი“, „სულის არეში,“ „მზის მკლავებში“. ხოლო მაშინ...

მაშინ ასე არ იყო, –

დიახ, მაშინ ნაკლებად ვიცნობდი გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებას. მაშასადამე, მისი პიროვნების შეცნობაც არ შემეძლო.

არ მახსოვს, თუ რა ღონისძიება ტარდებოდა, მაშინ, ხსენებულ დარბაზში, მაგრამ თვით იმ დღეს კი მაინც მკვეთრად ვიხსენებ. აგერა, მეხსიერებაში იკვეთება ვრცელი, ნათელი სივრცე. ესაა ქვე-სივრცე ტაძრისა, დარბაზად ქცეული. აქ ფუსფუსია. ხალხის მოძრაობაა ხშირი. ეს იგი, ჯერ არ დაწყებულა შემოქმედებითი სალამო. მე მარტო არა ვარ. თან მახლავს მეგობარი, – პო-ეტი კახა ბაციკაძე. ჩვენი პიროვნებანი ნარუდგინეს სოლიდურ ასაკში მყოფ დარბაისელ ქალბატონს. რაღა თქმა უნდა, არც იგია მარტო: ახლავს პოეტები – მანანა დანგაძე (კომპოზიტორ ვა-ჟუა აზარაშვილის მეუღლე), ნუნუკა გურალია და სხვები. მანანაც, ნუნუკაც, იმავწამს იწყებენ ჩემი და კახას ქებას, პირდაპირ ცაში აყვანას: აშკარად სურთ, რომ კარგი შთაბეჭდილება დავ-ტოვოთ ჩვენთვის ჯერაც უცნობ ქალბატონზე... სწორედ ეს ადამიანი აღმოჩნდა გულნაზ ხარა-იშვილი, – რჩეული საზოგადო მოღვაწე და პოეტი, რომლის სახელი როგორც უკვე ვთქვი, მანამ-დეც არაერთხელ მქონდა გაგონილი.

მოკლედ, ტაძარში გავიცანით ტაძარივით დიდი და თბილი გულის მქონე ადამიანი.

ქალბატონი გულნაზი ურთიერთობაში ძალიან უბრალო, უშუალო აღმოჩნდა. სულ გაიხა-რა, როცა გაიგო, რომ ჩვენც პოეტები ვიყავით, და იმავწამს შემოგვთავაზა თავის ჟურნალში („ათინათში“) თანამშრომლობა. იმავე – ორიათასთორმეტ წელს დაიწყო ჩვენი შემოქმედების გამოქვეყნება ამ ჟურნალში. თანაც, გულნაზ ხარაიშვილის მზრუნველობა ამით არ დასრულე-ბულა, – მან ჯერ საკუთარ აკადემიაში გაგვანევრიანა პოეტ-აკადემიკოსებად, ხოლო შემდეგ ფაზისის აკადემიის პრეზიდენტთან – ნუგზარ ნადარაიასთან გვიშუამდგომლა და იქაც ნარმა-ტებით დასრულდა ჩვენი არჩევა. ცოტა არ იყოს, დაგვაპნია კიდეც გულნაზის ინიციატივამ და ენერგიულობამ. ჩვენი დღევანდელი ლიტერატორები (არა მარტო ლიტერატორები) ხომ, სამწუ-საროდ, ერთმანეთისადმი შურითა და ფარული თუ აშკარა მტრობით უფრო არიან ცნობილნი, ვიდრე ასეთი უანგარო თანადგომით. გულნაზ ხარაიშვილი კი იმგვარი ადამიანი აღმოჩნდა, რომლის ირგვლივაც ყველა და ყველაფერი უკეთესობისაკენ იცვლება.

მას აქვს ერთი ძალზედ დასაფასებელი თვისება, რომელსაც სხვათა სიხარულით გახარება ჰქვია.

შეიძლება ამიტომაც აწყობს, მაგალითად, იმ გასაოცარ ლიტერატურულ – მუსიკალურ-მეცნიერულ საღამოებს, თუ ზეიმებს, რომელთაგან ზოგი მათგანი სამუდამოდ აღმებეჭდა მეხ-სიერებაში. ამ საღამოების ჩატარების ადგილი სხვადასხვაა (უფრო ხშირად, მაინც, ხელოვნების აკადემია და სამების ტაძარი); სხვადასხვაა ის ქალაქებიც, სადაც ეს ღონისძიებები ტარდება (რაღა თქმა უნდა, უპირატესობა მაინც დედაქალაქს ენიჭება – თბილის, თუმცა მე დამამახ-სოვრდა, ვთქვათ, ის შეხვედრაც ქალაქ რუსთავში რომ მოუწყო აკადემიამ ერთ-ერთ ურჩეულეს სასულიერო პოეტსა და მოღვაწეს – მამა თადეოზს, მიტრობოლიტს. იმ დღეს დაემთხვა ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის ფილიალის გახსნაც რუსთავში).

გამაოგნებელია ენერგიულობა და მასშტაბურობა გულნაზ ხარაიშვილისა. ერთის მხრივ, მართლა არ მინდა, რომ ეს წიგნი ერთი კონკრეტული პიროვნების იდეალიზაციად ჩამომართვან, მაგრამ, მეორეს მხრივ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ; სიმართლე კი ის არის, რომ ქალბატონ გულნაზს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ძნელად რომ დღევანდელ საქართველოში რომელიმე ქალი შეედაროს. სხვათა შორის, ეს არაერთხელ მითქვამს. და აქ არაფერ შუაშია პი-როვნების კულტივირება. მაგალითად, დასავლური ცივილიზაცია, რომლისკენაც ჩვენ ასე მი-ვისწრაფით, (აკი ევროპელობაზე ასე ვდებთ თავს და პირველ ევროპელთა არქეოლოგიური ნაშთებიც სწორედ რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა; სწორედაც საქართველო და საბერძნეთი (ძველი საბერძნეთი) დაგვისახავს თანამედროვე ევროპის მამებად თუ მესაძირ-კვლებად), დიდი ხანია ქადაგებს რჩეულ ადამიანთა მათს სიცოცხლეშივე დაფასება-აღიარე-ბას, თანაც როგორ აღიარებას! .. ჩვენ კი... ჩვენ ამ მხრივ ყოველთვის მოვიკოჭლებდით და მო-ვიკოჭლებთ. არ შეიძლება დიდ პიროვნებათა დაუნახავობა. მე ამ ცოდვაში ვერ ჩავდგები... და ის, რომ ქალბატონ გულნაზს ზოგადად ქართული კულტურის წინაშე აქვს თავისი მკვეთრი დამ-სახურება, ღვანლი, არ უნდა დაიმალოს. არც დაიმალა. აკი იმიტომაც არის რამდენიმე აკადემი-ის აკადემიკოსი, ხოლო ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რო-გორც უკვე აღვნიშნე, სულაც რომ გულნაზ ხარაიშვილის იდეითა და დიდის ძალისხმევით შეიქ-მნა. ეს მოხდა ორიათასათ წელს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ აკადემია „ქალბატონის ერთ-

ერთი ინიციატორიც სწორედ გულნაზი გახლდათ. (მოგეხსენებათ, „ქალდეას“ პრეზიდენტი პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელია).

გულნაზ ხარაიშვილი, რომელიც უკვე გადასცილდა სამოც წელიწადს, ოცდარვა-ოცდაათი წლის ადამიანის ენერგიულობით უძლვება საქმეებს თავისი ღვანწლის სრულყოფისას, და სანამ კონკრეტულად გადავიდოდე მის პოეზიაზე, ანუ მისი პოეზიის გარკვეულ ანალიზზე, მანამდე არ შემეტოდი ამ თემას არ შევხებოდი. დიახ, ზოგ ადამიანში მრავალმხრივობა მეტისმეტად იყვე-თება. ამგვარ ადამიანზეა, ახლა, საუბარი. ასეთია გულნაზი. და თუმცადა იგი დიდებული პოე-ტია, თუმცადა პოეზიაა სული და გული მისი, სიცოცხლე მისი, მაინც არ გამოვიდოდა მკაფიო პორტრეტი ამ ქალბატონისა, მე თუ მხოლოდ მის პოეზიაზე ვიღაპარაკებდი.

მაგალითისათვის:

განა ლეგენდარული ილია ჭავჭავაძე, უპირველესად ყოვლისა, პოეტი არ იყო, ხელოვანი არ იყო?

დიახ, ასეა!

მაგრამ განა ილიას პორტრეტს, მის საასპარეზო არეალს ექნებოდა სისრულე, თუკი მხო-ლოდ მისი ხელოვნებით შემოვიფარგლებოდით და ღვანწლზე კი თვალს დავხუჭავდით, სიტყვას არ დავაცდენდით?

არა, რა თქმა უნდა!

ილია სწორედ ხელოვნებისა და ღვანწლის ერთობლიობამ შეიყვანა ყველა დროის ათი უდი-დესი ქართველის ნებისმიერ ჩამონათვალში, ერის მამაც ამ ორი გრანდიოზული სამყაროს (მი-სივე ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ღვანწლის) გაერთიანებისა გამო უწოდეს მას.

არა, გულნაზ ხარაიშვილისადმი რაგინდ თბილი დამოკიდებულებაც უნდა მაკავშირებდეს, რაღა თქმა უნდა, ვერც კი გავბედავ, რომ იგი წმინდა ილია მართალს, ან, ვთქვათ, წმინდა ექ-ვთიმე ღვთისკაცს შევადარო, – ასეთ რამეზე ხომ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ გულნაზი გამ-კიცხავს: ნამდვილად არ მომინონებს ამგვარ კადნიერებას. მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ ილია ჭავჭავაძეა, სწორედ, ის კაცი, ის ადამიანი, ვინც იდეალურად შეძლო საზოგადოებრივი ღვანწლისა და ხელოვნების ერთმანეთთან შეთანაბრება, ამათი ერთობის შექმნა. აი ექვთიმე თა-ყაიშვილი კი, უფრო, საზოგადოებრივ ღვანწლსა (გმირობამდე ატანილ-ამაღლებულს) და მეცნი-ერებას აერთიანებდა, – იგი იყო დიდი მეჭურჭლეთუხუცესი სრულის საქართველოსი, თავდა-დებული დამცველი ქართული განძისა, და დიდებული მეცნიერ-მწიგნობარი...

გულნაზ ხარაიშვილიც ცდილობს ორი გზა გააერთიანოს, ორი ნათელი სფერო ერთსრულ-ჰყოს, – ხელოვნება (ხელოვნება-მეცნიერება) და საზოგადოებრივი ღვანწლი განუხრელად გადა-აქდოს ერთმანეთს. ამ საქმეს, იგი, ჩუმად, უანგაროდ ემსახურება, ისე, რომ გენიოსებთან თავის შედარება ფიქრადაც არ მოსდის. თუმცადა, რასაც აკეთებს, რასაც ჰქმნის მისი დალოცვილი გონება და ხელები, ყველაფერი არის კარგი, დიდებული, რამეთუ გულნაზი გახლავთ თავდადე-ბული იდეალისტი, სწორედ რომ ფანატიკოსი-იდეალისტი თავისი საქმისა.

და ამიტომაც, სანამ მის ხელოვნებაზე დავიწყებდი ლაპარაკს, მისსავ ღვანწლზედაც უცი-ლობლოდ უნდა მელაპარაკა.

გარდა ხელოვანობისა (პოეტი და პროზაიკოსი), იგი არის ასევე მეცნიერიც (თავისებური ფილოსოფიოსი), ბიბლიოგრაფიც და უურნალისტიც. კულტურის დამსახურებული მუშაკია, წლე-ბის განმავლობაში იყო კულტურის ცენტრის დირექტორი თბილისში. მასში, როგორც უკვე აღ-ვნიშნე, არის დიდი ენერგია, შეზავებული ლიდერ-ორგანიზატორის თვისებებთან. თვითონვეა იდეოლოგი, ინიციატორი საქმეთა, ხოლო დიდ წამოწყებათა ხორცებს სმას სწრაფად იწყებს. მას არა სჩვევია საქმის გაჯანჯლება. ჩვენს ქვეყანაში ოთხი-ხუთი აკადემია მაინც არის ისეთი, რო-მელსაც ქალბატონმა გულნაზმა თავისი ხელი დაატყო. ამას გარდა, ის არის იდეის ავტორი ზვი-ად გამსახურდიას სახელობის კერძო სკოლის („ლამპრის“) დაარსების თბილისში. ითვლება ამა-ვე სასწავლებლის პროექტორად...

ესაა არასრული ჩამონათვალი გულნაზ ხარაიშვილის საქმეებისა.

იგი, როგორც ლიდერი, როგორც მმართველი, აბსოლუტურად თავისებური თუ თავისთა-ვადი ფენომენია. მისი გაძლიერა აკადემიაში, მისი ურთიერთობა ადამიანებთან, ასე ვთქვათ, მი-სივე პოლიტიკა ურთიერთობებისა, ეს ცალკე დაკვირვება-გაკვირვება-განხილვის საგანია. ურ-

თიერთობაში თბილი პიროვნებაა—მეთქი, ვთქვი, ხანდახან მშობლიურად (მშობლურად) თბილიც კი, მაგრამ ამავე დროს ძლიერი პიროვნებაც არის, ასევეა ამაყიცა და თავმდაბალიც – ერთდროულად. დარბაისლობა და უბრალოება მასში ერთად ცხოვრობს. თავის სულიერ სიძლიერეს იშვიათად აჩენს. ურჩევნია იყოს რბილი და უკონფლიქტო, სხვათა პატივისმცემელი უფრო, ვიდრე – დაფასებული (სხვათა ქებას იგი არასოდეს გაურბის, პირიქით, აღმატებულადაც კი წარმოსახავს სხვა ადამიანთა პიროვნებებსა თუ ღვაწლს)... მაგრამ როდესაც თავისი საისტორიო საქმეების სრულყოფისაკენ მიდის, მაშინ კი წინ არ უნდა გადაუდგე, თორემ ხარაიშვილთა ცნობილი გვარის ამ დიდებული წარმომადგენლის პიროვნულ ძალას მყის იგრძნობ. იმავნამს მიხვდები, რომ არა ხამს ხელშეშლა დიდთა საქმეთა დირიჟორისა. იგი თითქოს თავადის ქალად არის დაბადებულ-აღზრდილი, რომელსაც უნდა ეკრძალო, თუკი რაღაც დიდი ჩანაფიქრი აქვს, ხოლო შენ ამ ჩანაფიქრის ასრულებაში დახმარება არ ძალგიძს, ან, უბრალოდ, არა გსურს, – თუკი გული, გრძნობა შენი, ვერ შეეწონადება დიდ იდეას...

მას უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს: წარმატებათა გვერდით იმდენი შხამ-სამსალა უნახავს ამ ცხოვრებაში, იმდენი სიმწარე, რომ გაკლდევებულია პიროვნულად, აღარ უტყვდება არა მარტო პატარა იმედგაცრუებას, არამედ დიდ ტრაგედიასაც კი.

მაგრამ ასეთი ძლიერი, თითქმის სრულყოფილებამდის მისული ინდივიდიც კი, არ არის „ჯიუტი“ – არაა თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული. მისი ამბიცია არაა თვალში საცემი, პირიქით, ყოველთვის მჭიდროდაა შემოსაზღვრულ – გაკონტროლებული. მან უკან დახევაც იცის, როცა ამის საჭიროება აუცილებელია, და – სხვათა მოსმენაც, სხვათა აზრის თუ რჩევის გათვალისწინებაც, როცა ხედავს ჭეშმარიტებას ამა თუ იმ ნააზრევისა თუ ნარჩევის.

სწორედ ამგვარ ნიუანსებზეა აგებული პოლიტიკა ადამიანებთან ურთიერთობისა, ანუ – პოლიტიკათაგან უმთავრესი ამ ცხოვრებაში.

გულნაზ ხარაიშვილს აქვს ლიდერის თვისებები და არის მკვეთრად მიზანდასახული ადამიანი, მაგრამ იგი სრულიადაც არ გახლავთ დიქტატორული ბუნებისა. ესეც მისი პლუსია. ქალი, საერთოდ, არც უნდა იყოს ზედმეტად ძალაუფლებისმოყვარე. გავიხსენოთ, რომ წარსულში, ისტორიაში, თვით მატრიარქატებიც კი, უმეტესწილ, რამოდენიმე მამაკაცის ფრთხილი ზედამ-ხედველობით მიმდინარეობდა. გულნაზისაც ჰყავს გვერდით ისეთი ადამიანები, რომელთა რჩევას ეყრდნობა იგი. ასეთებია, მაგალითად, ნუგზარ ნადარაია და ჯუმბერ ლეუზავა, ამათთან ერთად, შეიძლება, რეზო ადამია და კიდევ ერთი-ორი სხვაც დავასახელო, თუნდაც – მიტროპოლიტი თადეოზი, რომელსაც უამრავი ქართველი აღიარებს თავის სულიერ მამად.

ქალბატონი გულნაზი თავის აკადემიაში მმართველობის დემოკრატიული პრინციპით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ იქ სითბოა, შინაურული გარემო, და წარმატებულია როგორც აკადემიაში არსებული უურნალი „ათინათი“, ასევე ის ღონისძიებები, რომელნიც ამ აკადემიის და მისივე უურნალის ეგიდით იმართება. მეტიც: გულნაზ ხარაიშვილმა იმდენს მიაღწია, რომ ჯუმბერ ლეუზავას სახელობის აკადემია უფრო და უფრო ხშირად იხსენიება პირველი (მთავარი) აკადემიისა და ფაზისის აკადემიის გვერდით. ეს სამი ორგანიზაცია, ისევე, როგორც, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ანუ – თეთრი ტაძარი თუ ცოდნის ტაძარი – როგორც არაიშვიათად უწოდებენ მას), თავის მკვეთრ ნიშანს ამჩნევს დედაქალაქის ცხოვრებას.

გულნაზ ხარაიშვილის შესახებ, ამ წიგნამდე, ერთადერთი სტატია მაქეს დაწერილი. წერილობითი სახით პირველად სწორედ მაშინ ვალიარე მისი ღვაწლი, ასევე, მისი მზისფერი პოეზია. იმ სტატიაში იგი შევადარე ჩემი ერთ-ერთი პოემის გმირს (პოეტ ფარტაზს), რომელიც აზვირთებულ ოკეანეს შეემტოქა. და მართლაც, განა ასე არ არის? – ოკეანესავით გრანდიოზულად მასშტაბურია იგი საქმენი, რომელთაც შესჭიდებია და ხანდახან პირისპირ მარტოდაც კი შერჩენია ეს უტეხი ქალბატონი, მეოცნებე და იდეალისტი.

არ შემიძლია არ გავიხსენო ის შემოქმედებითი საღამოები, რომელნიც გამართულა ლეუზავას აკადემიის ნიშან-ტვიფარის ქვეშ, გულნაზ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, მისი წამყვანობით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, დიდ პოეტურ ზეიმებად გადაქცეულან. ორ ამათგანზე მაინც განსაკუთრებით უნდა შევაჩერო ჩემი და მკითხველის ყურადღება.

წელს (ორიათასცამეტ წელს), იანვარში, ხელოვნების აკადემიის შენობაში ჩატარდა ერთ-ერთი ღონისძიება... აღნიშნული აკადემია-სასწავლებლის შენობაში გულნაზს აღებული აქვს ერთი ოთახი, თუმცა მას პატივს სცემენ და ხელს უწყობენ იმ მხრივ, რომ ხშირად უთმობენ სხვა ოთახებსაც (თუ – აუდიტორიებს) და დარბაზსაც. ამიტომ გულნაზ ხარაიშვილს აქ საშუალება აქვს თავისი კულტურული მუშაობის გასამლელად. მან სწრაფად შემოიკრიბა გვერდით ლიტერატორები, მუსიკოსები, მხატვრები, მეცნიერები... ასე დაარსა თავისი პატარა კულტურული იმპერია. თავისი სადედოფლო.

სხვათა შორის, ხელოვნების ეს აკადემია-კოლეჯი (თუ – ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელთაგანი), სულმნათი ლეგენდის – აკაკი წერეთლის ძეგლის გვერდით მდებარეობს, იქვე, ახლოს, და აკაკის პოეტური აურა თითქოს გადადის ამ შენობაზედაც. თითქოს არაა შემთხვევითი, რომ სწორედ ამ სასწავლებლის რექტორმა დაასახლა თავისი დაწესებულების შენობაში ისეთი უბადლო მოღვაწე, როგორიც არის ქალბატონი გულნაზი.

და აი, სწორედ ამ შენობის ერთ-ერთ დარბაზში, იანვრის თეთრ თვეს (ზამთრის სამივე თვეს, დეკემბერ-იანვარ-თებერვალს თეთრ თვეს ვუწოდებ), ჩატარდა ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ვინ არ ესწრებოდა მას, – დიდები თუ პატარები (აი, „ნორჩ ათინათელებს“ რომ უწოდებს გულნაზი), პოეტები თუ პროზაიკოსები, მუსიკოსები, მეცნიერები... შევნიშნე რამოდენიმე პედაგოგიც და სკოლის დირექტორიც, ასევე – გარკვეული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. მაგალითად – პოეტი თამაზ ცაბუტაშვილი „ქართუ – ჯგუფს“ წარმოადგენდა; ვიცანი ერთი-ორი ბიზნესმენიც...

შემოქმედებითი საღამო თავიდანვე ამაღლებული განწყობილებით დაიწყო და ბოლომდე ასე წარიმართა (რამოდენიმე საათს გასტანა). გულნაზიმ პოეტებს კარგი საშუალება მისცა თავის წარმოჩენისა, ამიტომაც თამაზ ცაბუტაშვილი და კახა ბაციკაძე გამორჩეულად გაბრწყინდნენ თავიანთი ლექსებით. კახამ წაიკითხა ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში დაწერილი მისი ლექსი-შედევრი „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ და სრულიად გააოგნა დარბაზი. იგი საუკეთესო პოეტად სცნეს, მრავალთაგან რჩეულად. კახას ძმურად გადაეხვია თამაზ ცაბუტაშვილი და თავის პოეზიის საღამოზე მიიწვია პერსონალურად. რომ არა ქალბატონი გულნაზი, არც ის ღონისძიება შედგებოდა და არც ორი შესანიშნავი პოეტის შეხვედრა. კახას იმდღევანდელი აღიარების მსგავსი ცოტა მახსენდება, სულაც – თითებზე ჩამოსათვლელი. ვთქვათ: ჩემს შემთხვევაში ეს იყო გასული საუკუნე ოთხმოცდათექვსმეტი წელი, უნივერსიტეტში ჩატარებული ერთ-ერთი სკანდალური პოეზიის საღამოს ამბავი. იმავე საღამოზე იყვნენ იგივე კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაა (ზუხბა), რომელთაც ერთი წლის შემდეგ ხვდათ წილად ასეთივე აღიარება. მერე იყო, ვთქვათ, ორიათასასამი წელი, როცა მე და ჩემმა ძმამ – ვასო ლომაძემ დავხურეთ პოეტების ერთ-ერთი შეკრება-საღამო. ასევე აუცილებლად უნდა გავიხსენო ორიათასხუთი წელიც, როცა გამოვაქვეყნეთ ჩემი ჯგუფის – „ზღვარის“ წიგნი „თეთრი სიზმარი“ (წიგნს ჩვენივე მუსიკალური სიმღერა-კლიპის სათაური ვუწოდეთ), და ზუხბა განსაკუთრებულად წარმოჩინდა იმ წიგნით, იმწლევანდელი პოეტური საღამოებით...

და აპა, ორიათასცამეტი წელი, როდესაც ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა ასეთი ზეიმი მოგვიწყო მეც, კახასაც, თამაზ ცაბუტაშვილსაც და სხვებსაც!

(გაგრძელება იქნება)



Lali Ratiani

Professor Doctor an der Staatlichen Universität Suchumi



Satzgefüge mit dem Attributsatz

(Teilgiedsatz / Beifügesatz)

Die Besonderheiten der Satzgefüge die, die Realisierung der syntaktischen Funktionen des Attributs durch die Nebensätze bedingen, können als zahlreiche strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

Ziel der vorliegenden Arbeit ist die charakteristischen Züge der Attribut- oder Teilglied-, Beifügesätze sichtbar zu machen, ihre Spezifik festzustellen, durch die Beschreibung eigentümlicher charakteristischen Merkmale die Sätze dieser Art zu ergänzen, die Besonderheiten der Satzmodelle und -Strukturen, ihre bestimmte syntaktische Funktionen darzustellen, durch die den bekannten deutschen Schriftstellern entnommene Attributsätze gefestigte Übungen kennenzulernen und die Notwendigkeit ihrer Erfüllung hervorzuheben, beim Erlernen der deutschen Sprache die für das georgische Auditorium geeignete Fehler zu berücksichtigen, Ausnahmsfälle an den Tag zu legen

Der Attributsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion eines Attributs, bezieht sich auf ein beliebiges Satzglied, das durch ein Substantiv, eine substantivierte Wortart oder ein Pronomen ausgedrückt wird und erläutert es. Der Attributsatz antwortet auf die Fragen: welcher? was für ein? z. B.

Der Ort, an dem er in den alten Hof hinaustrat, war entgegengesetzt dem vorigen Schauplatz. (H. Mann). – Welcher Hof war dem vorigen Schauplatz entgegengesetzt?

Nach seiner Stellung im Satzgefüge ist der Attributsatz ein Zwischen – oder ein Nachsatz und folgt unmittelbar dem Wort, auf das er sich bezieht. z. B.

An der **Stelle**, wo sie ihre jungen Jahre verbracht hatten, wollten sie eine Stadt gründen.
(R. Carstensen).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz unterscheidet man relative, konjunktionale und konjunktionslose Attributsätze.

Die relativen Attributsätze werden meistens durch das Relativpronomen „der/die/das“ mit oder ohne Präposition eingeleitet. z. B.

Der Fluch, der dem Brudermord gefolgt war, wich von der jungen Stadt. . (R. Carstensen).

Seltener leitet den Attributsatz das Relativpronomen „welcher“ ein, das stilistisch schon veraltet ist. Doch gibt es heutzutage Fälle, in denen der Gebrauch von „welcher“ vorgezogen wird – „**welcher**“ wird **gebraucht, wenn** das Bezugswort im Hauptsatz in seiner lautlichen Gestaltung mit dem Relativpronomen „der/die/das“ zusammenfällt. z. B:

Von zwölf Schwänen siehst du nur **die, welche** dort am Himmel entlanggleiten. (R. Carstensen)

Wenn aber das Demonstrativ- und Relativpronomen unterschiedliche Kasusformen haben, so wird statt „welcher“ das Relativpronomen „der“ gebraucht. z. B.

Der, den sie bestimmte, wäre gestürzt und zerbrochen. (H. Mann).

In Bezug auf die Personalpronomen wird nur das Relativpronomen „der/die/das“ gebraucht. z. B.

Er trug sie hinüber mit all seiner Kraft, denn sie war schwerer als **er, der** nur ein kleiner, magerer Junge war. (H. Mann).

Wenn das Bezugswort das Personalpronomen der ersten oder zweiten Person – „ich“, „du“, „wir“ oder die Höflichkeitsform „Sie“ ist, so wird es im Nebensatz wiederholt. In solchen Fällen enthält der Nebensatz zwei syntaktisch gleichwertige Satzglieder – das den Nebensatz einleitende Relativpronomen und das wiederholt gebrauchte Personalpronomen. Das finite Verb im Nebensatz stimmt mit dem Personalpronomen überein. z. B.

Ich, der/die **ich** nie gelogen habe, bin gezwungen den wahren Sachverhalt zu verschweigen.

Das wiederholte Personalpronomen kann im Satz auch weggelassen werden. z. B.

Du, der/die deinen Baider seit Jahren nicht gesehen hast, willst ihn vom Bahnhof nicht abholen!?!?

Eine Ausnahme bildet die Höflichkeitsform **Sie**, die im Nebensatz wiederholt wird. z. B>

Sie, die **Sie** einen verfeinerten Geschmack haben, dürfen sich nicht für diese Pseudokunst begeistern.

Wenn sich der Attributsatz auf das unbestimmte Pronomen: **etwas, manches, vieles, nichts, alles**, auf Ordnungszahlwörter oder substantivierte Adjektive im Superlativ bezieht, so wird er ins Satzgefüge durch das Relativpronomen **was** oder ein Pronominaladverb eingefügt. z. B.

Oder war der Punkt **etwas, was** gar nicht draußen, außerhalb von ihm lag, sondern in ihm. (H. Fallada)

Ausnahmsweise kann der Nebensatz nach „**etwas**“ mit dem Relativpronomen „**das**“ eingeleitet werden:

Das ehrbare Paris enthielt an einigen Stellen etwas, was seinen Bürgern nicht ähnlich sah. (H. Mann).

Der Attributsatz kann auch durch ein relatives Fragewort ins Satzgefüge eingeordnet werden. z. B.

Die Frage, **warum** er nicht mitkommen darf, lässt ihn nicht in Ruhe.

Eine besondere Art der durch Fragewörter eingeleiteten Attributsätze ist der „**wie**“ -- Nebensatz, in dem das Bezugswort in Form des entsprechenden Personalpronomens wiederholt wird. z. B.

Der Plan, **wie ihn** der junge Architekt vorgestellt hat, wird preisgekrönt.

Das Relativpronomen tritt im Nebensatz mit einer syntaktischen Funktion und steht dieser Funktion entsprechend in einem bestimmten Kasus. Wenn das Relativpronomen als Subjekt fungiert, so steht es im Nominativ. z. B.

Sie bekommt einen einfachen jungen Mann, **der** uns bedient. (H. Mann).

Mit der Funktion des direkten bzw. indirekten Objekts stellt das Relativpronomen im **Akkusativ, Dativ oder Genitiv**. z. B.

Dies sprach sie in einem gewissen Ton, **den** er von jeher kannte. (H. Mann).

Das Relativpronomen im Genitiv kann im Nebensatz in der attributiven Funktion gebraucht und mit einem Substantiv als ein Bestimmungswort verbunden werden. z. B.

Die Tochter weihte er dem Dienste der Vesta, **in deren Tempel** das ewige Feuer bewart wird. (R. Carstensen).

Das Relativpronomen in Verbindung mit einer Präposition fungiert im Nebensatz als präpositionales Objekt, wenn das Bezugswort im Hauptsatz eine Person bezeichnet. z. B.

Dagegen fiel ihr sogar die kleine Schwester ihres Verlobten ein, das unbedeutende Kind, **an das** sie sonst niemals dachte. (H. Mann).

Weist das Bezugswort auf einen leblosen Gegenstand hin, so kann der Nebensatz entweder durch die Verbindung „Präposition+Relativpronomen“ oder durch ein Relativadverb eingeleitet werden. z. B.

Das Glück **nach dem**/wonach jeder von uns strebt, ist blind.

Das Geschlecht und die Zahl des Relativpronomens richten sich nach dem Bezugswort im Hauptsatz. Die Kasusform und der Gebrauch der Präposition aber werden durch die Rektion des Verbs im Nebensatz bedingt. z. B.

Die alte Hexe, **von der** er schon als Kind geträumt hat, hockt noch immer in ihrem Spinnennest. (H. Mann).

Statt der präpositionalen Verbindung werden oft die Relativpronomene: **wo, wohin, woher, womit, wofür, worüber** u. a. gebraucht. Die Relativpronomene: **wo, wohin, woher** leiten den Nebensatz ein, wenn das Bezugswort eine lokale Bedeutung hat. Diese Bedeutung kann auch durch das Relativpronomen mit einer Präposition realisiert werden. z. B.

In eine Stadt, **wo/in der** der Hof sich grad aufhielt, zog sie ein. (H. Mann).

In solchen Sätzen ist das Bezugswort oft ein geographischer Name. z. B.

Unsere liebe Mutter reist jetzt bald mit dem ganzen Hof nach **Paris**, **wo** wir viele Feinde haben. (H. Mann).

Das Relativadverb **wo** kann auch als Synonym von den Relativpronomen: „der, die, das“ dienen. z. B.

Ein junger Mann hat sich für eine Witwe, **wo/die** sogar schon nicht mehr ganz jung war, am Scheuenbalken aufgehängt. (R. Klappenbach).

Die konjunktionalen Attributsätze werden durch die Konjunktionen: **dass, als, das, als ob, als wenn, wie wenn, inwieweit** eingeleitet. z. B.

Die Tatsache, **dass** er hier war, zeugt von seinem Interesse. (Duden).

Die dass und ob – Attributsätze beziehen sich oft auf ein vom Verb abgeleitetes Substantiv. Als Bezugswort im Hauptsatz treten meistens die Substantive der **Gewissheit**: Sicherheit, Bestätigung, Behauptung, Überzeugung, Beschlossenheit, Anerkennung, Bezeugung, Auffassung u. a. ; der **Ungewissheit**: Zweifel, Vermutung, Ahnung, Frage, Ungewissen, Unsicherheit, Problem, Bedenken, u. a. ; der **Empfindungen**: Freude, Befriedigung, Genugtuung, Eindruck, Interesse, Reue, Stolz, Furcht, Angst u. a. ; der **Mitteilungen**: Nachricht, Meldung, Information, Benachrichtigung, Auskunft, Erklärung, Anzeige u. a. z. B.

Ihm kamen neue Bedenken, **ob** diese Information wahrheitsgemäß war.

Nicht selten werden die Attributsätze durch die Konjunktion **da** eingeleitet. Die da – Attributsätze beziehen sich meist auf das Wort mit der temporalen oder lokalen Bedeutung. z. B.

Es gab die Zeiten, **da** viele nichts zu essen haben. (Duden).

Die konjunktionslosen Nebensätze kommen sehr selten vor. Sie enthalten gewöhnlich eine indirekte Rede. z. B.

Die Echtheit der Meldung, er bewerbe sich um einen hohen Posten, ist zu überprüfen.

Von dem Inhalt der Aussage ausgehend wird in den Attributsätzen sowohl der Indikativ als auch der Konjunktiv verwendet. Der Konjunktiv wird gebraucht:

— Wenn der Attributsatz eine indirekte Rede enthält. z. B.

Die Zeitung veröffentlicht die Nachricht, die Regierung werde die Bevölkerung durch ausreichende Geldmittel unterstützen.

— Wenn im Attributsatz eine falsche Annahme, ein irrealer Vergleich ausgedrückt wird. z. B.

Der Alte hat das Gefühl, als ob sich jemand in sein Zimmer einschleiche.

— Wenn sich der Attributsatz auf eine Negation oder ein unbestimmtes Pronomen im Hauptsatz bezieht. z. B.

Gibt es etwas, was dich interessieren könnte? (R. Klappenbach).

Die Attributsätze, die sich auf ein Substantiv im Hauptsatz beziehen, können durch einige synonymische Strukturen ersetzt werden. Als solche gelten: – das adjektivische Attribut statt des nominalen Prädikats – **sein + Adjektiv** im Nebensatz. z. B.

Er benahm sich auch wie der andere Herr, der vornehm und elegant war. = Er benahm sich wie **der andere vornehme und elegante Herr**. Beim Klang ihrer Stimme, die dunkel und ein wenig langsam war, zuckte der Mann zusammen. = Beim Klang **ihrer dunklen und ein wenig langsamen Stimme** zuckte der Mann zusammen.

das erweiterte Attribut. z. B.

Wochen liefen herbei aus dem Torbogen, der zu der Brücke führte. = Wochen liefen herbei aus dein **zu der Brücke führenden Torbogen**.

— das präpositionale Objekt, wenn im Nebensatz die Semantik des „Habens“, „Tragens“, „Besitzens~ realisiert wird. z. B.

Auf dem Thron saß majestatisch die junge Königin, die ein von Brillanten funkeln des Diadem im Haar trug. = Auf dem Thron saß majestatisch die junge Königin **mit einem von Brillanten funkeln dem Diadem im Haar**.

— das Infinitivattribut. z. B.

Die Hoffnung, dass ich mein Geld zurückgewinne, ist irreal. = Die Hoffnung, **mein**

Geld zurückzugewinnen, ist irreal.

Die Umformung dieser Art beschränkt sich nur auf Substantive, die in den Infinitivkonstruktionen vorkommen: Lust, Wunsch, Zeit, Absicht, Traum, Gelegenheit u. a.

— das Genitivattribut. z. B.

Alle interessieren sich für das Grundstück, das dieser Großbauer besitzt. Alle interessieren sich für das Grundstück dieses Großbauern.

Diese Transformationsart ist nur im Falle durchführbar, wenn im Satz das Zugehörigkeitsverhältnis ausgedrückt wird.

Die strukturell-semantischen Besonderheiten, die im Satzgefüge die Realisierung der syntaktischen Funktion von Attributsätzen bedingen, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

I. HS-(Subjekt *Subst. Pron. -Person, Ding, Erscheinung*) + Prädikat(*Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes*)+(Objekt)(*Präposit. -Subst. Pron. -Person, Ding, Erscheinung*) + der, die, das-NS.

zB. Er berichtete von den Qualen des Hungers und Durstes, die sie erledigen müssen (R. Carstensen).

II- HS-Subjekt(*Subst. Pron. -Person, Ding, Erscheinung*) + der, die, das+NS HS- Prädikat(*Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes*) + Objekt *Subst. Pron. -Person, Ding, Erscheinung*)

z. B. Der junge Ascanus, der bisher nur ein jagdbares Wild angelegt hatte, zeigte das erste Beispiel seines Heldenums. (R. Carstensen).

III- HS-SubjektPersonal-pronomens+ der, die, das-Bezugswort-NS+Prädikat (*Verb-Vorgang, Handlung*)+ Objekt (*Substant. Pron. -Person, Ding, Erscheinung*)

z. B. Wir, die wir unzählige Ausstellungen und Museen besucht haben, haben so etwas Schönes noch nicht gesehen. (R. Klappenbach)

IV- HS-Subjekt (*Subst. Pron. -Person, Ding, Erscheinung*) + Prädikat(*Verb-Vorgang, Zustand*)+(Objekt)(*Subst. PronomenPerson, Ding, Erscheinung*)+Pronominaladverb+ +NS

z. B. Man hat uns den wichtigsten Auftrag erteilt, womit wir uns unverzüglich beschäftigen müssen. Man schenkt mir das beste Journal für Kunst, wofür jeder von uns lebhaftes Interesse hat. (R. Klappenbach).

V- HS-Subjek t(*Dem. Pron. der, die das*) + *welcher-NS+ HS +Prädikat(Verb-Vorgang, Zustand)* + Objekt (*Substant. Pron. -Person, Ding, Erscheinung*)

z. B. Der Alte, welcher mich herbeigerufen hatte, bedürfte sicher meiner Hilfe

VI- HS-Subjekt (*Subst. -Gewissheit, Ungewissheit, Mitteilung, Empfindung*) + dass, ob, als ob, als wenn, wie wenn, inwieweit, inviefern+ wenn-NS+ (Objekt) *Subst. Pron. Person, Ding, rscheinung*)

z. B. Die Tatsache, dass er bereits auf Urlaub gefahren ist, ändert die ganze Lage. (R. Klappenbach).

Fragen zur Selbstkontrolle

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Attributsatz im Satzgefüge?
2. Auf welche Fragen antworten die Attributsätze?
3. Wie sind die Attributsätze ihrer Stellung nach im Satzgefüge?
4. Durch welche Relativpronomen werden die Attributsätze eingeleitet?
5. In welchem Fall wird das Relativpronomen „**welcher**“ gebraucht?
6. Welche Relativpronomen werden im Bezug auf die Personalpronomen gebraucht?
7. Worin besteht die Besonderheit der Struktur des Nebensatzes, wenn das Bezugswort durch die Personalpronomen der I und II Person dargestellt wird? u. a.

Übungen

1. Stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen.

1. Feh hab so große Furcht, dass dem König etwas Übles zustößt. (H. Mann).
2. Man fällt nach der Seite, nach der man neigt. (Sprichwort).
3. Sie hatten in der Welle, die ihnen ihr Opfer entriss, den Flussgott erkannt? (R. Carstensen).
4. Man sah über einen Wassergraben auf den großen Gutshof, der zum Schloss gehört. (Cl. Back).

2. Finden Sie die Attributsätze in den folgenden Satzgefügen.

1. Er spricht so, als ob er eine fremde Sprache spräche.
2. Er spricht seine Muttersprache mit dem Akzent, als ob er eine fremde Sprache spräche.
3. Es ist wünschenswert, dass sich alle politischen Kräfte vereinigen.
4. Mein einziger Trost, dass ich ihn wieder sehe, gibt mir jugendliche Kräfte.

. 3. Bestimmen Sie die Attributsätze nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz und ihrer Stellung im Satzgefüge.

- I. Da führte der tatkräftige König einen Entschluss aus, der ihn schon lange bewegte. (R. Carstensen).
2. Auf der Welt konnte es nichts geben, was selbstverständlich ist. (Br. Apitz); 3. Wo war Turnus, zu dem sie stets aufgeblickt hatte. (Br. Apitz). 4. Zuerst gab sie den beiden Männern ein Zeichen, worauf sie sich verbeugten. (H. Mann).

4. Setzen Sie die Relativpronomen in die Lücken ein; beachten Sie dabei den richtigen Kasus.

1. Das Feuer, ...eben noch brannte, ist erloschen; 2. Wir können doch nicht ein so wertvolles Tier, ...uns nicht gehört, einfach übernehmen; 3. Es war einer der Sprüche, ...sein Erzieher ihn lehrte; 4. Von dem Balkon übersah er ein tiefes Tal voll von Wein, Öl, Wäldern, ...das Auge erfrischten;

5. Verbinden Sie die angegebenen Sätze zu dem Satzgefüge mit einem Attributsatz. Leiten Sie den Nebensatz durch das Relativpronomen ein.

1. Er schreibt eine kurzgefasste Geschichte unserer Stadt. Die Stadt zählt schon mehr als 1500 Jahre.

2. Morgen dampfen wir in den Urlaub ab. Wir wollen den Urlaub am Mittelmeer verbringen.
3. Der Chef beauftragte einen jungen Architekten mit der Anlage des Parks: Der Park soll in einem Vorort liegen.

4. Wie ist das Befinden des Patienten? Der Arzt verordnete ihm strenge Bettruhe.

6. Durch welches Relativpronomen – „der“ oder „welcher“ wird der Nebensatz eingeleitet? Warum?

1. Sein Hass, ...schon in Unordnung geraten war, kehrte gesammelt zurück.
2. Von allen Zeitungsartikeln lese ich die, ...besonders interessant sind.
3. Die, ...etwas traurig aussah, war die schönste unter ihren Schwestern.
4. Der Chef hat eine strenge Anweisung dem gegeben, ...sich seiner Pflichten nicht bewusst ist.

7. Leiten Sie den Nebensatz durch das passende Relativpronomen ein.

1. Sie sich immer modisch kleiden, wollen nicht etwas almodisches kaufen.
2. Sie,so viele junge Künstler gefördert haben, wollen uns nicht unterstützen?
3. Wir,nicht mehr jung sind, brauchen Ruhe, Schlaf, Erholung und auch Bewegung in gewissem Maße.

4. Duso mager und schwach bist, darf kein Diät halten.

8. Ergänzen Sie die unvollständigen Hauptsätze durch das passende Bezugswort. (s. unten)

I....., was gefährlich ist, muss man vermeiden. 2. Sie hat ihren persönlichen ..., was die Männer bezaubert. 3....., was wir von ihm erfahren haben, überrascht uns. 4. In meiner Bibliothek habe ich,, was ieh gern lesen wurde.. .

manches, vieles, alles, etwas, alles, nichts, etwas, nichts, alles, der Charme

9. Bestimmen Sie die syntaktische Funktion des Relativpronomens im Nebensatz.

I. Die Geliebte, in deren Armen der Junge gestorben war, war bald verschwunden; 2. Es war der Boden Italiens, auf dem er mit seinen Gefährten gelandet war; 3. Vielleicht war es im Gegenteil ein Stolz, und Hochsinn, der nichts Tückisches kennen will; 4 Längst bedauerte sie die Heftigkeit, mit der sie den Geliebten behandelt hatte; .

10. Leiten Sie die Nebensätze durch passende relative Fragewörter ein.

I. Ihn quält die Ungewissheit,sie für ihn ein Buch mit sieben Siegeln bleibt; 2. Sein offenkundiges Interesse, ...sich seine Kollegen so verhalten haben, lässt nach; 3. Die peinliche Frage, ...die Polizei den Verbrecher auf frischer Tat ertappt hatte, stieg in ihm auf; 4. Die Unsicherheit, ...er diesmal gesandt wird, liegt wie ein Schatten über ihm;

11. Ergänzen Sie den Nebensatz durch die Verbindung – Präposition + Relativpronomen.

1. Der einzige Menschich mich verlassen kann, ist mein Vater; 2. Der junge Mann,ich sympathisch finde, ist der Leiter eines großen Werkes; 3. Unsere namhaften Gelehrten,das ganze I. and stolz ist. haben an dieser Universität studiert; 4. Der böse Nachbardie Eltern ihre Kinder warnen, will nichts mit den anderen gemein haben; 5. Mein Cousin,ich so oft denke, genießt eine gründliche Ausbildung im Ausland; delt.

12. Fügen Sie die Lückensätze dem Hauptsatz an. Gebrauchen Sie dabei parallel die Relativadverbien und die Verbindung: Präposition + Relativpronomen.

Muster: Der Bau einer Autobahn, .../...er beschäftigt ist, schreitet rüstig voran.

Der Bau einer Autobahn, womit/mit dem er beschäftigt ist, schreitet rüstig voran.

1. Das Denkmal, /...ich erstaunt bin, ist das Werk von einem Bildhauer aus dem 17. Jahrhundert; 2. Das Gesetz über die Bescheidung, .../...man heute nicht einverstanden ist, stammt aus dem hohen Mittelalter; 3. Die Reise, .../...ich mich nicht entscheiden konnte dauerte zwei Wochen; 4. Das gute Arbeitsklima,wir uns ständig bemühen, wird verdorben;

13. Vervollständigen Sie das Satzgefüge durch einen passenden Nebensatz.

1. Der Gast wird zuerst in ein Zimmer geführt, wo; 2. Er wusste einen wenig bekannten Weg, auf dem ; 3. Er versuchte die Dicke der rechten Jackentasche, in derrichtig abzuschätzen. 4. Wir haben eine genaue Information, woher

14. Ergänzen Sie die nachstehenden relativen Attributsätze durch passende Hauptsätze.

I..... , der ihm seinen Bruder zum ärgsten Feind gemacht hat. 2.... , die zum Bahnhof führt,; 3..... , derer Stimme zart und melodisch klingt,; 4..... , worauf er nicht geantwortet hat, 5..... , wo deine Schwester als Kellnerin arbeitet,

15. Setzen Sie in die Lücken die richtigen Konjunktionen ein.

I. Die Mitarbeiter machen den Eindnick,sie über das lange Ausbleiben des Direktors sehr besorgt wären; 2. Meine Warnung,man in der prallen Sonne nicht lange liegen darf, beachten die Kinder nicht; 3. Wir sind an dem Ort,er gestorben ist und möchten seiner gedenken; 4. Die kranke Frau hat das Gefühl,sie mutterseelenallein auf dieser Welt sei. n war.

16. Ergänzen Sie den Hauptsatz, durch einen konjunktionalen Attributsatz.

Muster: Seine Äußerung, dasswundert mich.

Seine Äußerung, dass er von unseren Nachbarn einen ungünstigen Eindruck hat, wundert mich.

I. Der Büroangestellte äußerte die Meinung, dass; 2. Immer wieder stieg in mir eine bange Frage auf, ob; 3. Dein Glaube, als obist nicht berechtigt; 4. Der heftige Zweifel, obnagte ihn; 5. Es war an dem Tag, da

17. Ergänzen Sie den konjunktionalen Nebensatz sinngetreu durch einen Hauptsatz.

Muster: , ob dieser Verbesserungsvorschlag nutzbringend ist.

Niemand konnte die Frage beantworten, ob dieser Verbesserungsvorschlag nutzbringend sei.

I....., dass er eine Reise ins Ausland machen darf; 2....., ob er sich um dieses hohe Amt bewerben wird; 3....., als ob die Wirtschaft des Landes von Krisen erschüttert werde,; 4....., da es glücklich und sorglos lebte;

18. Formen Sie die „dass~-Nebensätze in die konjunktionslosen Attributsätze um. Beachten Sie dabei den Gebrauch des Modus.

Muster: Ihre Mitteilung, dass sie nie wieder zurückkommt, erweist sich als falsch.

Ihre Mitteilung, sie komme nie wieder zurück, erweist sieh als falsch.

1. Der Prüfling verspürt eine innere Befriedigung, dass er auf alle Fragen richtig geantwortet hat. 2. Die Entschuldigung, dass er seine kranke Eltern nicht besuchen kann, bringt mich in Wut; 3. Der naive Kinderglaube, dass der Onkel Nikolaus zu Weihnachten allen Geschenke bringt, berührt mich angenehm; 4. Die Furcht, dass beim Unglück viele Menschen umgekommen sind, packt uns;.

19. Ersetzen Sie die Attributsätze durch ein adjektivisches oder ein erweitertes Attribut.

Muster: Seine Aussprache, die undeutlich und fehlerhaft ist, verriet den Ausländer.

Seine undeutliche und fehlerhafte Aussprache verriet den Ausländer.

Die Zimmer des Hotels, das im Stadtzentrum errichtet ist, sind mit allen Bequemlichkeiten ausgestattet.

Die Zimmer des im Stadtzentrum errichteten Hotels sind mit allen Bequemlichkeiten ausgestattet.

1. Das Fest, das rauschend und glanzvoll ist, nähert sich zu seinem Höhepunkt; 2. Staunend blickten die Gäste auf das glänzende Schauspiel, das die Römer ihnen boten; 3. An der nächsten Kreuzung, die eng und gefährlich ist, müssen wir rechts abbiegen; 4. Die Fahrgäste, die mit uns reisen, waren junge Assistenzärzte;

20. Transformieren Sie die in den nachstehenden Sätzen angegebenen adjektivischen und erweiterten Attribute in entsprechende Nebensätze.

Muster: Er kann seine entfesselte Leidenschaft des Spieles nicht mehr zügeln.

Er kann seine Leidenschaft des Spieles, die entfesselt worden ist, nicht mehr zügeln.

Die von ihm längst vergessenen Empfindungen quollen in ihr erneut hoch.

Die Empfindungen, die von ihm längst vergessen waren, quollen in ihr erneut hoch.

1. Die ganze für den Bau der Straße ausgegebene Summe habe ich vom Konto abgehoben; 2. Er geht an die neue Arbeit mit zusammengenommenen Kräften; 3. Ein großer Haufen vor Nässe faulender Kartoffeln liegt im Keller; 4. Die Mutter drückte dem Sohn einen zarten und herzlichen Kuss auf die Stirn;

21. Wandeln Sie den Nebensatz in das Präpositional- oder Infinitivattribut um.

Muster: Da steht das Gebäude, das fünf Eingänge hat.

Da steht das Gebäude mit fünf Eingängen.

Der Wunsch, dass er sich einmal ein neues Auto kauft, seheint ihm ganz real.

Der Wunsch, sich einmal ein neues Auto zu kaufen, scheint ihm ganz real.

1. Kaufen Sie den Koffer, der einen doppelten Boden hat; 2. Ich halte das Versprechen, dass ich dir helfe; 3. Ins Zimmer trat eine junge Frau, die kräftig geschminkte Lippen hatte; 4. Er hat feste Absicht, dass er diese Frau heiratet; 5. Dieser Student, der eine außergewöhnliche Gabe der Rede besitzt, ist der beste in der Gruppe;

22. Transformieren Sie die in den nachstehenden Sätzen angegebenen Präpositional- und Infinitivattribute in passende Nebensätze.

Muster: Sie litt unter dem Zwang, drei Monate lang nicht zu rauchen.

Sie litt unter dem Zwang, dass sie drei Monate lang nicht rauchen soll.

Der Mann mit einem strengen Gesichtsausdruck ist der berühmte Dresseur N.

Der Mann, der einen strengen Gesichtsausdruck hat, ist der berühmte Dresseur N.

1. Das Interhotel steht an der Straße mit den beiderseits bepflanzten Bäumen. 2. Für mich ist die härteste Strafe, den ganzen Sommer in der Stadt zu bleiben; 3. Es war sein Wunsch in aller Stille begraben zu werden; 4. Ins Lazarett wurde vor einer Stunde ein Verletzter mit der heftig blutenden Rechte eingeliefert. Straßen liegt am großen Fluss des Landes.

23. Übersetzen Sie die nachstehenden Sätze ins Deutsche.

1. ხალხი, რომელიც რატუშის წინ მოგროვილიყო, აღელვებული რაღაც განცხადებას კითხულობდა. 2. ყველა, ვინც კი ეს გაუგონარი ამბავი შეიტყო, მოედნისაკენ გარბოდა. 3. მოხუცი პოეტი ხშირად იხსენებს იმ უმნიშვნელოვანეს დღეს, როდესაც მან თავისი პირველი ლექსი დაწერა. 4. მე, რომელსაც ხილი ასე მიყვარს, ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც არცერთი ხილის ხე არ ხარობს.

48. Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze.

1. Auf der ganzen Welt konnte es nichts geben, was selbstverständlicher war. (Br. Apitz); 2. Sie sah aus ihren leeren Augen in eine Landschaft, wo alles auf sie allein blickte. (H. Mann); 3. Die Familienangehörigen wissen alles, was diese Angelegenheit angeht; 4. Hier hausten Menschen aus allen europäischen Nationen, von denen niemand wusste, wo einstmals ihr Zuhause gewesen war. (Br. Apitz);

ლალი რატიანი

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები განსაზღვრებით
დამოკიდებულ წინადადებებში
რეზიუმე მე**

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებების საშუალებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალ-რიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რომელი ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებების დაწერილებით დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღნერა, ცნობილი გერმანელი მწერლების წარმოებებიდან ამოკრეფილი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სინელების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა.

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

Lali Ratiani
Structural – semantic Models in the Attributive Clause
Summary

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural – semantic models.


The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a Attributive clause, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on Attributive clause taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

ქეთევან ხვედელიძე საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის I საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეა. მას გამორჩეულად უყვარს ქართული პოეზია, დარწმუნებულია, რომ აკაკის კალამი გადაარჩინა საქართველო.

მგოსნის დიდმა სიყვარულმა ქეთის არაერთი მშვენიერი წაწარმოები შეაქმნევინა, ახლახან აკაკის იუბილესადმი მიძღვნილ გრანდიოზულ დღესასწაულზე ქეთევან ხვედელიძე იმერეთის რეგიონში გამოცხადებული კონკურსის / „აკაკის კალამი“ / I პრიზის მფლობელი გახდა.

ვულოცავთ ქეთის და მის დაუღალავ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს-საჩხერის საპატიო მოქალაქეს-ქალბატონ ნუნუ გოგოლიძეს ამ ღირსეულ გამარჯვებას და აქვე გთავაზობთ ქეთევანის შემოქმედებით ნიმუშებს.



ქართული პოეზიის რაინდი



ვინ არის „თანამედროვეობის უღიძესი პოეტი?“

„გულცივად შეხვდი ყველა ქებას, ყველა ძაგე-ბას!“
ალ. პუშკინი

ახლახან, გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო გვერდზე დაიბეჭდა რეპლიკა – „ვინ არის „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი?“ გოგი დოლიძის ხელმოწერით. რეპლიკის ავტორი წერს: „ერთმა ნიტიერმა მხატვარმა, ნამდვილმა პატრიოტმა და პუბლიცისტმა, რომელსაც ერთადერთი უბედურება სჭირს, რომ ვერ იქნა და ველარ ელირსა ნორმალურ რედაქტორს (რედაქტორია ვაჟა ეგრისელი, რ.ჯ.) ახლახან გამომიგზავნა თავისი წიგნის ახალი, ბარე 900 გვერდიანი გამოცემა (ნ. ხერკელაძე – „ცრემლში ნალესი სმალი“, ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევი გიორგი სააკაძეზე, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“ – 2014). ამის შემდეგ იწყება რეპლიკის ავტორის თავდავიწყება. წიგნის პოლიგრაფიული დონე და ყდა მოწონებია და... „სულო ცოდვილო“ – განაგრძობს ავტორი – „ვეღარ მოვითმონე და იქვე „მარშრუტკაში“ დავიწყე თვალიერება“ და... წიგნს თურმე ორი რეცენზია უძლვის და თანაც ორივე რეცენზიას მეცნიერების დოქტორები, პროფესორები ანერენ ხელს. მაგრამ რეცენზიების ავტორების სახელს არ ამხელს, „უფრთხილდება“!!!

...და რას ხედავს მისი „ვაჟა ეგრისელის ცოდვით სავსე“ თვალები! – „პირველი რეცენზი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი და ა.შ. წერს, რომ თურმე „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი“ ყოფილა... ვაჟა ეგრისელი (გვ. 17), თუმცა არ დაუზუსტების ამ ფრაზაში რა მასშტაბი იგულისხმება – ვაჟა ეგრისელი მთელი თანამედროვე მსოფლიოშია უდიდესი პოეტი, თუ ჩვენს პატარა საქართველოში?! – აი, რა ტანჯავს და ანუხებს რეპლიკის ავტორს. აქ ვწყვეტო რეპლიკის ავტორის ციტატებს და იმ ორი რეცენზიის ავტორის გარდა, უკომენტაროდ მოვიტანთ 1999 წელს, „წიგნის მოყვარულთა კავშირის“ მიერ, ლევან სანიკიძის რედაქტორობით გამოცემულ „ბარე“, 200-ზე მეტ გვერდიან წიგნს – „ქართველი და უცხოელი ავტორები ვაჟა ეგრისელზე“, სადაც ანოტაციაში ნათქვამია: „ამ უჩვეულო კრებულში მოტანილია და თავმოყრილია მინიატურული ნაწყვეტები ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სხვადასხვა დროს დაწერილი წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან, რაც ნათელ ნარმოდგენას გვაძლევს ამ უაღრესად საინტერესო პოეტის თავისთავადობაზე.“

მოვიტანთ რამდენიმე ამონარიდს ამ წიგნიდან:

,საქართველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო სავსეა „სემი პოეტებით“ მაინც – „სემი პოეტა“ – „ნახევარ პოეტი“ დიდმა პოეტმა პორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის წინათ. ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი“.

ლევან სანიკიძე

მწერალი, პროფესორი, 1993 წ.

„... ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყივილია... მისი მეტაფორული აზროვნება მიუწვდომელი და განუსაზღვრელია...“

... ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების სახელწოდებებიც დაგვერწმუნება: „სიცოცხლე“, „ამაღლება“, „ნათელზილვა“, „საგალობელი“, „იქმენ ნათელი“, და სხვა. დავითის ფსალმუნები და ბიბლია, მარტო საკულტო ძეგლები როდია, ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

... ვაჟა ეგრისელის შემოქმედება ნაკლებად, ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში.

... ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია XXI საუკუნის რიურაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.

აკაკი განერელია

მწერალი, პროფესორი, 1993წ.

„ვაჟა ეგრისელის, როგორც ნიჭიერი მგოსნის სახელს მალე მთელი საქართველო გაიგებს...“

ოსებ ნონეშვილი

1961წ.

„...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...“

სოკრატ არშაბა

პროფესორი

„...ყველა პოეტი ღვთის შვილია, მაგრამ ისაკავა ტაკუბოკუ, ფედერიკო გარსია ლორკა, ვაჟა ეგრისელი, – ჩემი სულის ნაწილია...“

არავირა აკაპიტო

პოეტი (იაპონია)

„შურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ 1983წლის მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილი ვაჟა ეგრისელის ლექსების ერთმა მეტაფორამ: „ელვა – უფლის ღიმილი“-ს წაკითხვამ, ფედერიკო გარსია ლორკას – „ხვლიკი – ნიანგის წვეთი“ გამახსენა და ვიგრძენი ამ პოეტებს შორის ერთნაირი ვიზუალური ხედვა, რაც ჩემთვის აღმოჩენა იყო... და რამაც შემაყვარა ვაჟა ეგრისელის პოეზიაც და პიროვნებაც...“

ანტონიო ალვარესი

პოეტი (ესპანეთი), 1981წ.

„...ჩემი მეგობარი ქართველი პოეტი – ვაჟა ეგრისელი, ფრანგი ან ინგლისელი რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ნობელის პრემიას მიიღებდა...“

ბორის ჩულკოვი

რუსეთი, 1983წ.

„ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია, ამაზე მეტყველებს ბოლო წლებში გამოცემული მისი ლექსების კრებულები...“

გრიგოლ აბაშიძე

პოეტი-აკადემიკოსი, 1991წ.

„...გაუზიადებლად შეიძლება შევნიშნოთ, რომ რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ, საქართველოს არ ჰყოლია უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელი. უფრო გასაკვირი ის არის, რომ მის პოეზიაში არსად შეიმჩნევა შოთას და ვაჟას მეტაფორიკის კვალი, იმდენად წავიდა იგი დამოუკიდებელი გზით...“

ტიტე მოსია

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

„...პოეტური სიტყვის დიდოსტატმა ვაჟა ეგრისელმა, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის გენით შექმნილი პოეტური წალკოტი, საკუთარი ნიჭით გამოყვანილი სურნელოვანი ყვავილებით დამშვენა და თავისი უბადლო ლირიკაში, როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის არსებითად ყველა ძირითად სატკივარს და საზრუნავს უპოვა ადგილი...“

შოთა მისაბიშვილი

აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი. 2003წ.

„...საერთოდ, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ყველა პოლუსის, ყველა განედის მომხილველი ვაჟა ეგრისელი ნაზიარებია მსოფლიოს გონის საუკეთესო მიღწევებს – პრეისტორიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფიქტოლოგიის, რელიგიის, მითოლოგიის, ბიბლიის, ესთეტიკის ასპექტებით. იგი არის პოეტი – მითოლოგი. ისტორიკოსი, ალქიმიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, ეზოთერიკულ სიბრძნეს, მისტიურ სიბრძნეს ნაზიარები, რომელსაც თვით აპოლონი უსინჯავდა მაჯას”...

ლუარა სორდია

ფოლოლოგის დოქტორი, პროფესორი

„...რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას

და გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, ჩვენ ვაჟა ეგრისელი მოგვივლინა არსთა გამრიგემ...”

რომული ჯაფარიძე

გენერალი, აკადემიკოსი.

„...აღმოსავლეთ საქართველოს ჰყავდა ვაჟა-ფშაველა, დასავლეთ საქართველოს ჰყავს ვაჟა ეგრისელი... ერთიანი, მთლიანი საქართველო ბუნების მომღერალი, ორი დიდი მგოსნის მშობელია...“

თეიმურაზ მიბჩუანი

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„როგორც სვეტიცხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელმა უმშვენიერესი ქართული პოეზია...”

ემირ ბურჯანაძე

მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

„...გალაკტიონ ტაბიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ვაჟა ეგრისელმა, თითეულმა ცალ-ცალკე თავისებური რევოლუცია მოახდინეს პოეზიაში – მხატვრული გამომსახველობის მოდელის თუ სტილის, ხერხის თუ ხმის შემოტანითა და დამკვიდრებით...”

კოტე მელაშვილი

მწერალი, პროფესორი.

„როგორც ასომთავრულის, - შუმერთა უძველესი ანბანის, ასეთივე აღმოჩენა იყო ჩვენთვის ვაჟა ეგრისელის უდიდესი პოეზია.”

ზურაბ ქაფიანიძე

საქართველოს სახალხო არტისტი.

„ვაჟა ეგრისელის პოეზია – მეტაფორული აზროვნების აბსოლუტური ნოვაციაა.”

გურამ შარაძე

პროფესორი, აკადემიკოსი.

„...ეგრისელის უდიდესმა შემოქმედებამ დამარწმუნა იმაში, რომ იგი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია...”

ოთარ ჩახუნაშვილი

ექიმი, პროფესორი, აკადემიკოსი.

„სანამ საქართველო იქნება, ვაჟა ეგრისელის პოეზიაც იცოცხლებს...”

გაურ ბოლქვაძე

პოეტი, 1993წ.

„რასაც ვაჟა ეგრისელზე წერენ, ყველაფერი სწორია და სიმართლე, რადგან იგი ჭეშმარითად დიდი შემოქმედია...”

ელგუჯა მაღრაძე

პროფესორი, მწერალი, მთარგმნელი

„ფიქრმიუნდომელია ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური პოეზია...”

შოთა ბადრიძე

დოქტორი, პროფესორი.

„ეგრისელის პოეზია არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო ტიტანების შემოქმედებას...”

იოსებ კაპანაძე

დოქტორი, პროფესორი.

„რაც და რამდენიც ვაჟა ეგრისელზე იწერება, იმდენი დიდ მხედართმთავრებზეც არ დაწერილა ალბათ...“

გივი ინწკირველი

პროფესორი, აკადემიკოსი.

„...დადგება უამი, ვაჟა ეგრისელი არა მარტო რუსთაველის, არამედ ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდება...”

ივერი ტაბიძე

უურნალისტი, პოეტი, 1983წ.

„ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა თავისი პოეტური ხელწერა. მისი ლექსი ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტევადი. იქ ვერ აღმოაჩენთ სიცარიელეს. მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამეტივით აღიქმება...”

შოთა ნიშნიანიძე

პოეტი, 1991წ.

„შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელი აპოსტილი პირი საუკუნის პოეზიის პლანეტარიუმში...”

შოთა მამარდაშვილი

პროფესორი, 1995წ.

„ვაჟა ეგრისელი, თავისი ყველასაგან გამორჩეული, საკუთარი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა ხედვის მასშტაბურობით და იდუმალი ხილვების უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული...”

შოთა ლომიშვილი

პოეტი, პროფესორი, 1991წ.

„...ჩემი ხანგრძლივი არქეოლოგიური მუშაობის პერიოდში აღმოჩენილი მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის, ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო...“

ანდრია აფაქიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

„...ვაჟა ეგრისელის ლირიკული ქმნილებები ეფუძნება კაცობრიობის სულიერ მონაპოვარს და სრულიად ახალი სიტყვაა მეტაფორულ აზროვნებაში, არა მარტო რუსულ და ევროპულ, არა-მედ, საეროდ მსოფლიო პოეზიაში...”

ედვარდ ბალაშვილი

(ამონარიდი ეგრისელის რუსულ ენაზე გამოცემული

ნიგნის ანოტაციიდან, 1985წ.) (რუსეთი) პოეტი.

„...ახლახან ამერიკის შეერთებული შტატებიდან – რადიოთი დიდი გადმოცემა იყო ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეგრისელი დიდი პიროვნება და საქვეყნოდ აღიარებული პოეტია...”

ცოტნე მირცხულავა

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

„...დღეს, ვიცით, რომ მწვერვალთა შორის არის ერთი თვალშეუდგამი, სრულიად გამორჩეული პოეზიის მწვერვალი, რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია...”

ჯემალ ჯინჯიხაძე

პროფესორი, პოეტი.

„...მხატვრული აზროვნების მარგალიტები, ვაჟა ეგრისელის პოეზიას რომ ამშვენებენ, რამდენიმე თანამედროვე პოეტის შემოქმედება ეყოფოდა...“

ოთარ მიქიაშვილი

დოქტორი, პროფესორი, 2001წ.

„ვაჟა ეგრისელის პოეზია მიმაჩნია მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის შენაძენად...“

ილია კავკაზაგი

პოეტი, 1983წ.

...და ა.შ. და ა.შ. შეიძლება ასობით ამონარიდის მოტანა ამ წიგნიდან... მაგრამ ესეც საკმარისია, მხოლოდ გვინდა ზოგიერთის სახელები ვახსენოთ, ვინაც ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას წიგნები, სტატიები, წერილები მიუძღვნეს: ელგუჯა ამაშუკელი, გიზო ჭელიძე, სოკრატ სალუქვაძე, ოთარ შალამბერიძე, სიმონ შამფრიანი, ერეკლე საღლიანი, რევაზ მარგიანი, რევაზ ჯაფარიძე, რევაზ ჩხარტიშვილი, მორის ფოცხიშვილი, გიორგი ციციშვილი, მურმან გელენიძე, ციალა მესხია, ვახტანგ გაჩეჩილაძე, ნათელა გოხელაშვილი, ნანი ჭირაქაძე, ხუტა ბერულავა, ნიკა აგიაშვილი, თამაზ წივწივაძე, რეზო ადამია, ირაკლი არაბული, რამინ ამონაშვილი, ალიო მირცხულავა – მაშაშვილი, ნიკო ხერკელაძე, იაკობ ახუაშვილი, რევაზ მიშველაძე, სერგო წურწუმია, ვახტანგ ბალავაძე, მერი ბადრიაშვილი, სერგო ჯორბენაძე, ვახტანგ გოლაძე, ევგენი ბარათაშვილი, ვლადიმერ გულუა, ვახტანგ დავითაია, აკაკი გელოვანი, გიორგი ვაშაკიძე, ნათელა ვასაძე, ნარგიზა გოგია, თენგიზ ზაალიშვილი, ალექსანდრე კრავეიშვილი, ბორის ვიქტოროვი, ალექსანდრ მეურიოვი, იური უვაროვი, ვლადიმერი შლიონსკი, ევგენი აქუბარდია, სიმონ ზაქარაია, იოანე სიურკანსი, ცონდო თუნგუთინი (მონგოლეთი), ვაჟა აზარაშვილი, შალვა დავითაშვილი, მამა დიმიტრი, გულიკო გოგიტიძე, გულნაზ ხარაიშვილი, გულნაზ ხუსუა, ნინო თოდუა, თეიმურაზ გუგუშვილი, ჯემალ მდივანი, გიორგი ლარიაშვილი, ანდრე კრიუანოვსკი, იგორ სიჩოვიკი (უკრაინა), ივან არაბეკიო (ბელორუსია), ვალერი აუშევი, ალექსანდრე ბროდსკი (მოლდავეთი), მადპუშუდუნ ბაჟაბანი (ინდოეთი), შარაბ ხოჭოლავა, წევენა ნიკოლოვა, ატილა სადუკოვი (თურქეთი), ფრანსის მინდესი (საფრანგეთი), ნოდარ ხუნდაძე, გიორგი წერეთელი, სოსო სიგუა, ნაპოლეონ ლემონჯავა, აკაკი თოფურია, ჯუმბერ ჯიშკარიანი, რეზო ფაჩულია, გიორგი შათირიშვილი, ალექსანდრე კუჭუხიძე, ოთარ უორდანია, ოთარ ჭურლულია, ამირან ცამციშვილი, გივი ძელაძე, ნათელა იანქოშვილი, ლია ელიავა, ოთარ კობერიძე, ალექსი ჭინჭარაული, იორამ ქემერტელიძე, სილვია ფჩელაკი, ნუგზარ ნადარაია, ნიკოლაი გორბაჩოვი, ნინა მალიუკოვა (რუსეთი), ალექსი რაზიკაშვილი და ა.შ. და ა.შ.

...და ბოლოს მოვიტანთ ახლახან გამოცემულ, უურნალ „ათინათში“ დასტამბულ ვაჟა ეგრისელის ლექსებისთვის წამდლვარებულ პატარა წინასიტყვაობას:

„ვაჟა ეგრისელი – საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, ქართული პოეზიის რაინდი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული კულტურის დესპანის მედლის, „დიოსკურია – 2005“-ის მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა, „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრი, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქე, ათას-ათასხუთასზე მეტ გვერდიანი ტომეულების – „კოლხური ფსალმუნების“ (ოციათასზე მეტი ლექსი) ავტორი...“

„ვინ არის „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი?..“


რომული ჯაფარიძე

გენერალი, აკადემიკოსი

30. 03. 2015.



ისფორია



ნიკო ხერკელაძე



ზაზა ციციშვილი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ № 2(16), №3(17)-ში)

ციციშვილების გვართად დაკავშირებით, ისევ ტაშისკარის ომის მოვლენებს უნდა შევეხოთ. მაშასადამე, ლუარსაბ II- ცხირეთში იდგა, მის გვერდით გ. სააკაძე და ზაზა ციციშვილია, მეფისათვის ორივე ახლობელი და საიმედო. რომ არა ღალატი გამცემისაგან, მტრის სარდლობა ცხირეთის გზის მოძებნას ასე საგულდაგულოდ არ შეეცდებოდა, და ბერი თევდორეს, რომელმაც მტერს გზა აუბნია, ასე სასტიკად არ გაუსწორდებოდნენ. ბერს უფლის ნიშანი ჰქონდა, მისი სიცოცხლის განწირვის ხარჯზე დამპყრობლებს თავიანთი მიზანი აუსრულებელი დარჩათ, მაგრამ ამით არ დამთავრებულა მათი გეგმები, ამოდენა რაოდენობის მტრის ჯარი უომრად უკან არ გაბრუნდებოდა.

გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, ლუარსაბ მეფეს-თან შეთანხმებით, ახლო მდებარე სოფლებიდან მეომართა შეკრება, და ფაიქთა, მალემსრბოლთა დაგზავნა ქართლის სათავადოებში ძირითადი ჯარის შესაკრებად.

სწრაფად იკრიბებოდნენ მეომრები, მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, ზოგი ცულით, ნამგლებით, ცელებით, ვის როგორც შეეძლო.

გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა საჭიროდ ჩათვალეს მტერზე ზემოქმედების მოხდენა და შეუტიეს ოსმალოთა ჯარს. პირველი ბრძოლა სხერტის ჭალაში მოხდა.

ზაზა ციციშვილმა ერთ-ერთ ორთა ბრძოლაში, ოსმალოთა ფაშას ხმლით თავი ისე მოჰკვეთა, რომ მისი ტანი ისევ უნაგირზე მდგარა, თავი კი მიწაზე გორავდა. ზაზა ციციშვილმა აიტაცა ფაშას მოკვეთილი თავი, მისი თმები კბილებით დაიჭირა, და ასეთი პოზიციით გააგრძელა ბრძოლა. ეს იყო საომარი ტაქტიკის შეუდარებელი მაგალითი, მტრის ფსიქოლოგიაზე დამთრგუნავი გავლენის მოსახდენად.

როცა მაცნეთა საშუალებით, ქართლის სათავადოებიდან, ძირითადმა ჯარებმა თავი მოიყარეს ტაშისკარის ველებზე, დიდი ომისათვის სათათბირო კრებაც გაიმართა. მეფე ლუარსაბ II-ის ბრძანებით, სარდლობა გ. სააკაძეს დაევალა.

სააკაძემ თავისი საომარი გეგმა წამოაყენა და განმარტა, მტერი უნდა დავაშიმშილოთ, ღონე გამოელიოთ, საკვებს ვერა მხრიდან ვერ მიიღებენ, მათოვის ყველა გზა გადაკეტილია. მტრის თვალის ასახვევად, ქართველთა ჯარმა ნელა, მშვიდად უნდა დატოვოს საომარი ველი. ჩვენ შორიდან უნდა ვუთვალთვალოთ, დრო უნდა გავიყვანოთ, როგორც კი მტრის ბანაკს ორასი, სამასი კაცი გამოეყოფა და ქართველი მოსახლეობისაკენ გაემართებიან, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მტერი განსაცდელშია, საკვების უქონლობის გამო, და მოსახლეობისაგან უნდა მიიღონ საკვები დარბევის საშუალებით. აი, მაშინ უნდა ვიმარჯვოთ, ჩვენი ჯარები უხმაუროდ უნდა მივიყვანოთ ოსმალოთა თხრილებამდის, და ოთხი მხრიდან უნდა მივიტანოთ მტერზე იერიში (პეტრე ხიზამბარელი).

სააკაძის ამ საომარ გეგმას პირველი ზაზა ციციშვილმა დაუჭირა მხარი და ერთბაშად მიიღეს ეს აზრი... არავითარი წინააღმდეგობა იქ არ გაჩენილა. „ტაშისკარის ომი“ ქართველი ხალხის გაერთიანებული ძალებით და ერთსულოვნებით ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. უნდა ითქვას ობიექტური აღიარებით, როგორც 1625 წელს მარტყოფის ომში სააკაძის შემდეგ უდიდესი როლი ზ. ერისთავმა შეასრულა, ისე 1609 წელს, ტაშისკარის ომის ბრწყინვალედ დამთავრებაში, სააკაძის შემდეგ ზაზა ციციშვილმა შეასრულა.

ბაადურ ციციშვილი

სააკაძის თანამოაზრე იყო მეორე პიროვნება, ბაადურ ციციშვილი, რომლის სიტყვები ქართულ სიფრთხილეს ლამაზად შემორჩა, და მარაბდის წინარე სათათბირო კრებაზე ბევრთა გასაგონად რომ ითქვა: „თუ ამონტყდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო!“

რადგან დიდებულთა ნაწილმა და თვით თემურაზ I-მა ზერელე ანგარიში გაუწიეს მარტყოფის გამარჯვებას, ამ საფუძველზე სააკაძის საომარი გეგმაც არ გაიზიარეს. ეს გააკეთეს იმის გამო, რომ მარაბდის ომში სააკაძე სარდლობიდან ჩამოეცილებინათ. ასეთმა ვითარებებმა, ქართველთა შორის ორმხარეობა გამოიწვია. ვინაც ამ ომში, თემურაზ I-ის სარდლობის მომხრე გახდა, იმის გამო კი არა, რომ დილაუთენიაზე დაბლა, მარაბდის ვაკეზე ჩასვლა და მტრის წინააღმდეგ ომის გამართვა მოგებიანი პოზიცია იყო? მათ ყველამ იცოდა, რომ სარისკო გზა იყო, მაგრამ მაინც მეფის მხარეზე დადგნენ. სწორედ მათ გულგრილობამ და ბედლოვლათობამ განაპირობა დამარცხების მიზეზიც.

ისმება კითხვა, ვეკითხებით ქართველ საზოგადოებას, რატომ ბაადურ ციციშვილიც არ გადავიდა სააკაძის საომარი გეგმის საწინააღმდეგო მხარეზე? თუ კი მეფის გვერდით დგომა უპირატესობა იყო და უმეტესმა დიდებულებმა ირჩიეს, რატომ ბაადურ ციციშვილმაც არ ირჩია მის გვერდით დგომა და მეფის პოზიციის გათვალისწინება?

აი, სად არის ბაადურ ციციშვილის გულშემატკივრობა თავის სამშობლოზე სამართლიანი და სწორი. მართალია, ბაადური სააკაძის თანამოაზრე იყო, მაგრამ, რახან თანამოაზრე იყო ამ საფუძველით კი არ იზიარებდა სააკაძის საომარი გეგმის სისწორეს.

აქაა ბაადურ ციციშვილის ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი ლირსება, მისთვის უმთავრესი სამშობლოს გადარჩნის წესი სწორად ესმის, კომპრომისზე არ წავა, უშედავათოა; შედავათზე რომ წავიდეს, უმთავრესი გაფუჭდება, სამშობლო დაზარალდება. მთავარია, ქვეყნის გადარჩნის და ქართველ მეომართა სიცოცხლის დაზოგვის საომარი გეგმა სწორედ იყოს შერჩეული. მისი ავტორი გინდა დიდებულთა წრიდან იყოს და თუნდაც საშუალო აზნაურთა წრიდან. ლირსეულ საომარი გეგმის ავტორს უკომპრომისოდ დაუჭქრს მხარს.

ასეთ მოვლენებში, თავისი კეთილგონივრული თვისებებით, განსჯის ობიექტური მიდგომით და პატრიოტული სულისკვეთებით, ბაადურ ციციშვილი ბააკა ხერხეულიძის თანამსგავსი პიროვნებაა.

წავკისში, სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, გადამრჩნი რომ არ ყოფილი ყო ხერხეულიძე და მის მაგივრად ყოფილი ბაადურ ციციშვილი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სრულად დამაჯერებელია, როგორც მოიქცა ბააკა ხერხეულიძე, ისევე მოიქცეოდა ბაადურ ციციშვილიც და სააკაძეს გადაარჩნდა.

ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები

ჯავახიშვილთა გვარიდან, სააკაძის პირად მტრებად, ბერუკა და ქაიხოსრო ჩამოყალიბდნენ, ისინი თავდაპირველად სააკაძის თანამოაზრენი იყვნენ. შემდეგ შეთქმულთა ბანაკმა გავლენის ქვეშ მოაქცია და თავიანთ თანამზრახველებად გაიხადეს.

გარდა ამ ორი კაცისა, ხომ იყვნენ სხვა ჯავახიშვილებიც, იგივე ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები. იმ დროის კანონმდებლობის თანახმად, რაც ითვალისწინებდა ორი ან მეტი ფეოდალური სახლის გაერთიანებას. 1624 წელს, ამ ორ პიროვნებას, (შესაძლოა ისინი ძმებიც იყვნენ), გამოუხატავთ თავიანთი ნება და სააკაძის სახლს, ზაქარია და ივანე ჯავახიშვილების ფეოდალური სახლი შეერთებია, რაც საბუთადაც დაუდასტურებიათ, სადაც ნათქვამია „მთელი ჩერენის სარჩო საბადებელი, მამულებით ყმა გლეხებით, და აზნაურებით, თქვენ მოგართვით და დაგანებეთ, იმისათვის რომე ერთმანეთისათვის პასუხი და მოვალეობა შეგვეძლო, ამისთვისა გავერთიანდით, რომე მისთა დღეში ერთიანი ვყოფილიყავით...“

რადგან სააკაძე 1615 წელს ქართლში დაბრუნდა, შემრიგებლური ხელი გაუწიოდა ოპოზიციურ მხარეს, გამოხატა თანამოძმეთა მიმართ ლმობიერება, მისგან ასეთი დიპლომატია, პირველ რიგში, აჯანყებისათვის, ქართველთა ერთსულოვნებისათვის იყო საჭირო. ეს საბუთი 1624 წელსაა შედგენილი. სააკაძის ქართლში დაბრუნებიდან 1615 წლიდან 1624 წლიდან საბუთი შედგენილი. სააკაძის ქართლში დაბრუნებიდან 1615 წლიდან 1624 წლამდის საკმაო დრო ცხრა წელია გასული. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ სააკაძის ქართლში ყოფნამ კარგი სასურველი შედეგი გამოი-

ღო. შეიქმნა სამშვიდობო ატმოსფერო, განახლდა გზები, შეკეთდა სტრატეგიული ციხედარბაზები. ცხრა წელი ცოტა დრო არ არის, რომ ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო, ეკონომიურად მოძლიერებულიყო. ამ ცხრა წლის მანძილზე ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველოში ფეხი არ შემოუდგამს, არც შაპ-აბასს გამოუჩენია სიანჩხლე, იმ კონკრეტულ დროში კახეთი და ქართლი მშვიდი ცხოვრებით იყო დაკავებული.

რადგან ზაქარია და ივანე ჯავახიშვილებს 1624 წელს სააკაძის სახლთან შეერთების სურვილი გამოუხატავთ, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ცხრა წლის მანძილზე სააკაძე დიპლომატიურად, ეკონომიურად და პოლიტიკურად წარმატებული იყო. როცა მტრის ან მტრების თავდასხმის მოლოდინი არ აქვს ქვეყანას და მათთან დიპლომატიის ხერხებით გაწონასწორებული მდგომარეობა უკავია, ცხადია, აღმშენებლობას გააჩაღებს. ასეთი მიზანი უნდა ყოფილიყო სააკაძის მთელი დიპლომატიის მონაპოვარი, რომ შაპ-აბასთან აჯანყების შემთხვევაში არ დასუსტებულიყო ქვეყანა და გაეძლო ყოველგვარი განსაცდელისათვის.

სააკაძისაგან თავის თანამოძმეთა პირად მტერთა მიმართ, გამოხატული შემრიგებლური პოზიცია, ქართველთა ფსიქოლოგიის ერთსულოვნებას და სიმტკიცეს ემსახურებოდა. რახან ეს ასე იყო, ცხადია, შიგნით სიღრმეში, კონსპირაციული დიდი მზადება ხდებოდა გადამწყვეტი დანიშნულებისათვის, რასაც აჯანყებისათვის ფარული სამზადისი ერქვა და რაც მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა.

პეტრე ხიზამბარელი იგონებდა თავის წინაპართაგან გაგონილ გადმოცემას. იმ ხანად, ე. ი. 1615 წ.-იდან 1625 წლამდის, ქართლში მჭედლები მხოლოდ სასოფლო სამეურნეო იარაღებს ამზადებდნენო, სინამდვილეში აჯანყებისათვის საჭირო საომარი იარაღი სააკაძისა და იმერეთის მეფის გიორგი III-ისაგან შეთანხმებით იმერეთის მიუვალ მღვიმეებში გაიჭედაო.

„გაძლება გვმართებს, ბუნება
რასაც დაგვადებს ხარკადა,
ბოლოს კი ვიხდით მის წინ ქედს,
ვინც მოვიცილეთ ძალადა“.
ვაჟა-ფშაველა

ქართველმა ერმა ჯეროვნად იცის შეფასება სამშობლოსათვის ჩვენი წინაპრების მიერ განეული უანგარო სამსახურისა და თავდადებისა.

განა რომელიმე მათგანის შეფასებაში შეცდა?! ვერ შეაფასა ობიექტური ნიშნით და ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა დავით IV აღმაშენებელი,

გიორგი ბრწყინვალე

ცოტნე დადიანი დიდი, ბაგრატ V-დიდი, ალექსანდრე-I დიდი, ლუარსაბ-I-დიდი, სიმონ I-დიდი.

„ასევე ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, – ამ ნიშნით დადებული ეპითეტი „დიდი მოურავი“.

გიორგი სააკაძეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუნია საქართველოში შაპ-აბასის გავლენით შექმნილ პოლიტიკურად და იდეურად რთულ პერიოდში.

ამ წიგნში აღნერილია XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის პირველ მესამედში მომხდარი მოვლენები.

ტაშისკარის დიდი ომი

1609 წლის ზაფხული. 60 ათასი იარაღალესილი მგლისფერი თურქმანი მეომრისაგან შემდგარი ურდო მესხეთის მხრიდან შემოვიდა ქართლში. სარწმუნო ცნობა აქვთ, რომ ლუარსაბ II საზაფხულოდ ცხირეთში იმყოფება. მისი შეპყრობა უნდათ, მერე – საქართველოს აოხრება.

სოფელ კველთაში ბერი თევდორე მოიხელთეს და მეგზურობა უბრძანეს.

„სამშობლო!“ – აღმოხდა თევდორეს – „ცხირეთამდე საკმაო მანძილია, იქნება შეიტყოს მეფემ, დროა ამისათვის საჭირო, ჩემი თავი კი ქვეყნისა და მეფის სანაცვლო იყოს.

მადლობას გიძლვნი, მაღალო ღმერთო, რომ მომეცი საშუალება, ჯეროვანი სამსახური გა-ვუნიო ჩემს ქვეყანას!"

თურქი გვიან მიხვდნენ ბერი თევდორეს გულისწადილს, მტერი დიდი მანძილით ასცდა ცხირეთს.

ერთანმიდიდან საგანგაშო ზარების ხმა მოეფინა ახლომდებარე სოფლებს.

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ელვის სისწრაფით გაჩნდა მეფე ლუარსაბ მეორესთან ცხირეთში. მათთან არის სარდალი ზაზა ციციშვილიც. გაიმართა საგანგებო ბჭობა-თათბირი.

მალემსრბოლის ცნობით, დამპყრობლების ჯარს აუღია სამცხე, დაურბევია ახალციხე. ერთად შეყრილან ოსმალონი და თათარხანის „მგლისტყაოსანნი“ გურჯისტანის ასაოხრებლად. ახლო სოფლებიდან სასწრაფოდ შეგროვდა მცირე რაზმი. გ. სააკაძის რჩევით მტრის ბანაკის ირგვლივ გორებზე კოცონები დაანთეს იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს ქართული ჯარი მათ გარშემო შემოიკრიბა, რკალში მოაქცია და შეტევის თადარიგს იჭერსო. აქ იჩინა თავი გ. სააკაძის საბრძოლო მოხერხებულობამ – მას დრო სჭირდებოდა და გამალებითაც მიმოქროდნენ ავის მაუწყებელი მაცნეები ქართვეხა ცხენებით საჭირო რაოდენობის მეომრების შესაგროვებლად; ცხადი იყო, ბრძოლა იქნებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო, რომ მტერს ძვირად დასჯდომოდა და ძმრად და სინანულად წასკდომოდა ქართლის მიწაზე მაოხარი ფეხის დადგმა.

პირველი ბრძოლა სხერტის ჭალაში მოხდა, ქართველთა ჯარი მძლავრი შემართებით ეკვეთა ოსმალთა რიგებს. ნაწვიმარი იყო, მაგრამ ეს აღარ ახსოვდათ არც თავდამსხმელებს, აღარც ოსმალებს.

ისევ იქუხა და იელვა, დგანდგარებდა სხერტის ველები, დაგეშილი ავაზებივით ეფეთნენ ქაიხოსრო სააკაძე და თამაზ მაჩაბელი მტერთა რიგებს, შხუილით აპობდნენ ქართული ხმლები ნაავდრალ ოსმალთა ჩავებს. როგორც კი ფარად-ფაშამ ზურგი აქცია ბრძოლას, ქართველმა მშვიდლდოსნებმა ისრის სეტყვაში მოაქციეს დამპყრობინი.

აქ სიცოცხლედაუზოგველი დიდი შემართებით იბრძოდნენ ზაქარია და იარალი, მათთვის შვების მომტანი იყო ომის ზღვაში ტრიალი.

ორივემ თავი განირა და სხერტის ჭალაში გმირულმა სიკვდილმა დაუხუჭა თვალები.

სააკაძის ფოლადის ხმაზე ანთებულმა ქართულმა მტრის შუაგული გაარღვია, ოსმალები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მთლიანი ქართული ჯარის მოსვლამდე სააკაძემ უშედეგოდ ჩათვალა მათი დევნა.

ოსმალთა წითლად შეღებილი მოკვეთილი თავები დახვავდა ლუარსაბ II-ის ფეხებთან.

ქართველთა ერთსულოვანმა მტკიცე დახვედრამ დაზაფრა მტრის ჯარი, მათ პირი იბრუნეს და აღმა აპყვნენ მდინარე მტკვრის დინებას.

პირველი გამარჯვების საზეიმო ნაბიჯები გადადგმული იყო.

პირველი გამარჯვების სიხარულის სასმისები უკვე შეესვათ გიორგი სააკაძესა და ზაზა ციციშვილს.

სხერტის ბრძოლას გადარჩენილი ოსმალონი ფარად ფაშას ბრძანებით ყარაღაჯის გავლით გორისკენ გაემართნენ ქართველთა ჯარისაგან ნაგრიგალარნი, ნამეხარნი. მათი მიზანი გორის ციხეში შესვლა და იქ გამაგრება იყო.

გორის მოსახლეობამ ჯერ არაფერი იცოდა ესოდენ რიცხვმრავალი მტრის შუაგულ ქართლში შემოჭრისა და ცხადია, არც თავდაცვისათვის ემზადებოდნენ.

ერთი სამაგალითო მოვლენა კი თვალსაჩინო გახდა: გორელ სომეს მდვდელს, რომელიც სოფელ დოესში მიდიოდა, შეუნიშნავს მტერი. მოუსაზრებია და სასწრაფოდ ხიდი ჩაუშლია. მალევე გორელებიც გამოჩენილან და ისართა ზუზუნში არ მიუციათ მტრისთვის ხიდის აღდგენის საშუალება.

მშვენიერი საქციელი სომები კაცისა, – არა ხმლით, არა თოფით, – შეაჩერა დამპყრობთა ხიდზე გადასვლა, რაც ამ ვითარებაში შეიძლებოდა გაკეთებულიყო ღმერთის შენევნით პირველმა გააკეთა; რბევა და იავარქმნა ასცდა გორის მოსახლეობას ერთი კეთილგონიერი კაცის მეოხებით. ოსმალებმა შიდა ქართლში შეჭრა და გამაგრება ვერ მოახერხეს. მათ ახლა უკვე ერთადერთი საშველი დარჩათ – როგორმე გაეღნიათ ქართველთა რისხისაგან და ახალციხეში

გამაგრებულიყვნენ, გიორგი სააკაძისა და მის თანამდგომთა მიზანი კი მტრის სრული განადგურება იყო.

ოსმალნი უკვე წელათრეულნი მიიზლაზნებოდნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირით.

სააკაძისა და ლუარსაბის ჯარს შემოუერთდნენ საბარათიანოსა და საციციანოს ჯარები. ასევე თავი მოიყარეს ქსნისა და არაგვის საერისთავოს, მუხრანბატონის, ამილახვრისა და თბილისის ციხის სპარსული გარნიზონის ჯარებმაც 700 სპარსელით. სააკაძის რჩევით, ისინი სურამთან უნდა დალოდებოდნენ ლუარსაბისა და სააკაძის შეერთებულ ქართულ ჯარს.

თათარხანთა გარშემო შეკრული ქართველ მებრძოლთა რკალი საშუალებას აღარ აძლევდა მტერს გზა გაეკვლია მესხეთისკენ. ჩაკეტეს ყველა გზა და ბილიკი. მტერს ან ბრძოლა უნდა მიეღო, ან ტყვედ დანებებოდა.

ქართულ მხედრობას რიცხობრივად ისევ ბევრად აღემატებოდა ოსმალთა და თათარხანის ჯარი, სხერტისა და ნიაბის ველებზე მარცხნაგემები.

მეფე ლუარსაბმა საბრძოლო თათბირი მოიწვია. ესწრებოდნენ გიორგი სააკაძე, ქაიხოსრო სააკაძე, ზაზა ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, მუხრანბატონი, ამილახვარი და თბილისის ციხის გარნიზონის მეთაური დელუ-მუჭამედ-ხანი.

კრებამ მოისმინა ყველა დამსწრის საომარი პოზიცია და ერთხმად მხარი დაუჭირა სააკაძის გეგმას:

– ოსმალოთა მიერ გაფრილ თხრილებს მეთოფენი შემოვახვიოთ, დილა სისხამზე, დენთისაგან წარმოქმნილ ნისლში, ცხენოსანი ჯარით ელვის სისწრაფით მივესიოთ, გაოგნებული მტერი მსწრაფლ ვერ იმოქმედებს, თან, ჩვენგან ძლეულნიც არიან, სხერტის ბრძოლით გამონვეული შიშის თრთოლვა ჯერ არ განელებიათო (ბერი ეგნატაშვილი).

ლუარსაბ მეორის თანხმობით, ქართული ჯარის სარდლობაც გიორგი სააკაძეს დაევალა.

სააკაძის განკარგულებით, ქართულმა ჯარმა დიდი მანძილით დაიხია ოსმალთა სადგომებიდან ისეთი აზრის შესაქმნელად, ვითომც საომარი მდგომარეობისათვის ვერ არიან ჯეროვნად მზად, მოუმზადებლად კი ქართველები ომის თადარიგს ვერ შესძლებენ.

მტრის თვალის ასახვევად ყველა ქართველმა მეომარმა თავის სადროშოსთან მოიყარა თავი და თავის წინამძღოლთან ერთად ყველა სადროშომ, მისთვის განკუთვნილ დროში, დატოვა ოსმალთა სიახლოვის ადგილი. ეს იყო იდეალური, მრავალ ბრძოლაში და დროში გამოცდილი ხერხი, განხორციელებული სააკაძის მიერ. თათარხანისა და ოსმალთა ჯარი კარგად ხედავდა ქართველთა სიმკირეს. მათ იოლად დაიჯერეს, რომ ქართველებისათვის ბრძოლის მიღება, მათი სიმცირის გამო, ნაკლებ-შედეგიანი იქნება და ამ ეტაპზე პოზიციიდან გასვლას და გარიდებას ამჯობინებენ. განა თვითონ ვერ გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას – 55 ათასი კაცი ზღვასავით ღელავდა ქართლის მინდვრებში; რომ არა გონიერი ხერხი, განა რა მკლავს ან იარაღს უნდა დაემარცხებინა მტრის ასეთი სიმრავლე. მართალია, იწვიეს ქართული ჯარის კლდედ დგომა სხერტის ბრძოლაში, მაგრამ განა რამდენის განადგურებალა შეეძლო ჯერ კიდევ ბოლომდე თავმოუყრელ ქართულ მხედრობას.

სააკაძის განმარტებით, ოსმალოთა სარდლობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქართული რაზმები გადიოდნენ საბრძოლო ტერიტორიებიდან. იქ განსაზღვრული იყო, ვინ დარჩებოდა და ვინ გავიდოდა, მთავარი, მტერს უნდა დაენახა, თუ როგორ მცირდებოდა ქართული რიგები, დროის გასვლა იყო საჭირო მათი დაშიმშილებისათვის. ასეთი სტრატეგიულად გამიზნული მოქმედებით, სააკაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა მტრის საომარი შემართების მოდუნება, „გულთა დამშვიდება, არ მოლოდინი ომისა“ (დათა ხიზამბარელი).

მართალია, ოსმალთა და თათარხანის ჯარმა, თხრილებით გაამაგრეს პოზიციები და მოემზადნენ საბრძოლველად, ყველაზე მთავარი მტერი მაინც სხვისი მინა იყო, სადაც ქვაცა და ხეც კი წინააღმდეგობას გინევს. საიდან, რა მხრიდან, რა ამინდში მოვარდებოდნენ შლეგიანად ქართველები, მათ არ უწყოდნენ.

(გაგრძელება იქნება)



ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი



მედეა ჭელიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ-ს პროფესორი,
ფაკულტეტის დეკანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესის მართვის ასოცირებული პროფესორი

საბიუჯეტო ფინანსურის ფორმირების პრიციპები საქართველოში

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს განვიხილავის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაშვებული იყო შეცდომები, თუმცა მიუხედავად ამისა ეკონომიკა მაინც იზრდებოდა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, როდესაც გატარდა რადიკალური ლიბერალური რეფორმები. გადასახადების რაოდენობის და განაკვეთის შემცირებამ გაზარდა როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობა. ყოველივე ამან განაპირობა როგორც ცენტრალური ბიუჯეტის ისე ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები წლიდან წლამდე იზრდება, რაც რა თქმა უნდა განხორციელებული საბიუჯეტო და საგადასახადო რეფორმების დამსახურებაცაა, უნდა აღინიშნოს, რომ აქმად არსებული ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ფორმირების წესი გულისხმობს მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც და იგი გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი თვითმართველობები ნაკლებად მოტივირებულნი არიან იმისათვის რომ ეძებონ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის აღტერნატიული გზები.

ამასთან, ადგილობრივი თვითმართველობები თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ გრანტებზე, რაც მათი დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს. თანამედროვე პირობებში, საქართველოში არსებული ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ფორმირების წესი ძალზე შორსაა საბიუჯეტო ფედერალიზმისაგან. მსოფლიოში საბიუჯეტო ფედერალიზმის ყველაზე გავრცელებული ორი ფორმა არსებობს – კონკურენტული და კონპერატიული. პირველი მათგანი გვხვდება ზოგიერთ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და გამოიჩინა მმართველობის დეცენტრალიზაციის, რეგიონული ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობის მაღალი დონით. ამასთან აშკარაა, რომ კონკურენტული მოდელი უფრო პრესპექტიულია მცირე ზომის ჩვეუნებისთვის, სადაც, როგორც წესი არსებობს დიდი დისპროპორციები რეგიონების განვითარების დონეებში. მოცემული მოდელის უპირატესობაა ცენტრისაგან რეგიონების შედარებით დამოუკიდებლობა და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში გადანაწილებითი პროცესების მინიმიზაცია.

მსოფლიოში უფრო გავრცელებულია საბიუჯეტო ფედერალიზმის კონპერატიული ტიპი, რომელიც ხასიათდება ცენტრალური მთავრობის მეტად ან ნაკლებად გამოხატული მონაწილეობით რეგიონთაშორისო დისპროპორციების გათანაბრების პოლიტიკაში, ცენტრის პასუხისმგებლობით რეგიონში სახემწიფო ფინანსების მოზიდვაზე და საერთოდ ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობით. მისი ნაკლოვანებები გარკვეულწილად კომპენსირდება ისეთი უპირატესობით, როგორცაა ცენტრალიზებულად გადასა-

ხადების აკრეფის ეკონომიურობა და ა.შ.

თუმცა მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს საბიუჯეტო ფედერალიზმის იდეალური მოდელი. ყოველი მათგანის ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზე. ამასთან უნდა ითქვას, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის ფუძემდებლური პრინციპია ტერიტორიული სამართლიანობა, რომელიც გულისხმობს შეზღუდული რესურსების განაწილებას არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდუალურისა, არამედ მთელი რეგიონებისათვის თანაბრად⁶.

საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის ფუნქციონირების ძირითადი პოზიციებია: სახელმწიფოს ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნება; საბაზრო მეურნეობის ფინანსური საფუძვლებისა და განვითარების პირობების შექმნა; საბიუჯეტო რეგულირების მექანიზმის გამოყენება ცალკეული ტერიტორიების ჩამორჩენილობის დასაძლევად და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძვლების განსამტკიცებლად (ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების ფინანსური პოტენციალის ეფექტიანად გამოსაყენებლად).

საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში საბიუჯეტო ურთიერთობათა ყველაზე ეფექტიანი მოდელის შერჩევაში. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მკაფიოდ გადანაწილდეს ხარჯვის ფუნქციები ხელისუფლების დონეებს შორის, განმტკიცდეს მათი დაფინანსების შესაბამისი წყაროები, შეიქმნას ფინანსურად სუსტი რეგიონებისთვის ფინანსური დახმარების სისტემა.

ამის გათვალისწინებით ბიუჯეტთშორისი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება საშემოსავლო-ხარჯვით უფლებამოსილებათა დანაწილებას და რომელიც წარმოიშვება საბიუჯეტო პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციებს, მის სუბიექტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის. ჩვეულებრივ, ისინი წარმოიშვება საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების დროს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც იწვევს ხარჯების ზრდას საბიუჯეტო რეგულირებისა და დანახარჯების ანაზღაურების, დოტაციების, სუბვენციების, სუბსიდიების, ურთიერთანგარიშსწორების და საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების სახით სხვადასხვა ტერიტორიების დაფინანსების მიზნით.

ბიუჯეტთა ურთიერთქმედების მიზნები და ამოცანები შეიძლება განხორციელდეს ეფექტიანი საბიუჯეტო მექანიზმებისა და მათი შესაბამისი ფინანსური ნაკადების მეშვეობით. რიგი წყაროების მიხედვით, ასეთ მექანიზმებში შედის: ხარჯვის უფლებამოსილებათა განაწილების მექანიზმი; საგადასახადო უფლებამოსილებებისა და საგადასახადო ბაზის განაწილების მექანიზმი; ბიუჯეტთშორისი ტრანსფერტების მექანიზმი⁷.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ სირთულეებზე, რაც ტრანსფერტის მოცულობის განსაზღვრას ახასიათებს. ტრანსფერტის მექანიზმის სრულყოფაზე მრავალი აზრი გამოითქვა. მეცნიერები მისი განაწილების სხვადასხვა ფორმულას გვთავაზობენ.

მაგალითად, პროფ. ი. მესხია გვთავაზობს ტრანსფერტის მოცულობის განსაზღვრის მარტივ წესს შემდეგი ფორმულის გამოყენებით⁸:

$$T = S - H1 + H2 + H3$$

სადაც:

T – არის ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონზე გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობა;

S – ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გასაწევი აუცილებელი ხარჯების მოცულობა;

H1 – ადგილობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი;

H2 – ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავლები;

⁶ გ. სვირავა, მ. ჭანია. საქართველის რეგიონების ბიუჯეტებისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის ფორმირების ძირითადი პრინციპები. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, 2009, N 8 გვ.: 64-65.

⁷ ხანთაძე გ., ცავავა გ., საჯარო ფინანსები, თბ., 2014. გვ.: 90

⁸ <http://mof.ge/show-law.aspx?id=711>

H3 – გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით მიღებული შემოსავალი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერტის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$T_i = (E - R) * K,$$

სადაც:

T_i – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გამოთანაბრებითი ტრანსფერი;

E – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

R – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომლებიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით;

K – არის მხარდაჭერის კოეფიციენტის ქვედა ზღვარი, შეადგენს 60%-ს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი გამოითვლება ფორმულით:

$$E = \sum C_n * P_n ; \text{ანუ}$$

$$E = C_1 * P_1 + C_2 * P_2 + C_3 * P_3 + C_4 * P_4 + C_5 * P_5 + C_6 * P_6,$$

სადაც:

E – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა;

$C_n(C_1, C_2, C_3, C_4, C_5, C_6)$ – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური მაჩვენებლები (მოსახლეობა, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, ფართობი, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, დედაქალაქის სტატუსი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები);

$P_n(P_1, P_2, P_3, P_4, P_5, P_6)$ – არის გამოთანაბრებითი კოეფიციენტები, რომლებიც წარმოადგენ ურთიერთკავშირს გადასახდელის თითოეულ კატეგორიასა და სტატისტიკურ მაჩვენებლებს შორის. გამოთანაბრებითი კოეფიციენტების ოდენობები გაიანგარიშება რეგრესიული ანალიზის მეშვეობით და ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის უცვლელია.

საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის შესაბამისი შემოსავლებისა და ხარჯვის ფორმირების სისტემის ფარგლებში სრულდება საბიუჯეტო მექანიზმის ფუნქციები: ფორმირდება ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და მათ დასაკმაყოფილებლად არსებული სახსრების მიხედვით. აგრეთვე ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთობის პრინციპების გათვალისწინებით; ხორციელდება ხელისუფლების ყველა შტოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტური განაწილებისა და რაციონალურობის ფინანსურული კონტროლი.

ურთიერთობათა იმ სისტემაში, რომელშიც ერთნაირად არის გათვალისწინებული ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების ბიუჯეტთა წონასწორობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხორციელდება შემდეგი ფუნქციები: მოქალაქეებისა და ორგანიზაციების თანასწორი საბიუჯეტო მომსახურება; ადგილობრივი თვითმმართველობისათვის წარმოების ორგანიზაციის და ადგილობრივი დოკუმენტის განაწილების ფინანსური საფუძველისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების, როგორც ბიუჯეტთშორისი გათანაბრების, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისას ხდება ისეთი ფუნქციების რეალიზება, როგორიცაა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების თანასწორობა.

საბიუჯეტო სისტემის შესაბამისი დონეების შემოსავლების და ხარჯების ფორმირების მე-

ქანიზმები რეგულირდება საბიუჯეტო-საგადასახადო დაგეგმვის ხარჯზე, რომელიც ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას ასახავს. მათი მიზანია ყველა დონის ბიუჯეტების ფორმირება, ეკონომიკური დასაბუთება და შემოსავლების და ხარჯების მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერება. შესაბამისად, საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვა სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

სისტემაში რეგიონული და ადგილობრივი დონის საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებობა ასახავს ცალკეული ტერიტორიების მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის რეგულირების საჭიროებას. რეგიონული და მუნიციპალური ფინანსების ცენტრალურ რგოლებს, რომლებიც უზრუნველყოფს ტერიტორიულ ხელისუფლებათა ფუნქციების შესრულებას, წარმოადგენს ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების ბიუჯეტები. ეს ბიუჯეტები უზრუნველყოფს ტერიტორიული ხელისუფლების საქმიანობას. მათი როლი და მნიშვნელობა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა და აისახება ტერიტორიების განვითარებაში, მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაში, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში. რეგიონული ბიუჯეტები ერთდროულად გვევლინება ცენტრის წარმომადგენლადაც და განსაკუთრებული სახის განკერძოებულ მეურნე სუბიექტადაც. ამასთან, მათი ძალისხმევა მიმართულია ტერიტორიული ერთეულების ფინანსური მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ. ადგილობრივი ბიუჯეტების ეკონომიკური არსი მომდინარეობს უშუალოდ მათი დანიშნულებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებიდან, მეურნეობის დარგებს შორის ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენებიდან, სოციალური ინფრასტრუქტურის შენახვიდან და დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის კონტროლიდან.

სახელმწიფოს საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა არის საბიუჯეტო პროცესის მართვისა და ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების სფეროში ფინანსური პოლიტიკის შემადგებელი ნაწილი და სახელისუფლებო ორგანოების ღონისძიებებისა და ქმედებების ორგანიზაციის ფორმა. როგორც წესი, საგადასახადო ან ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტებს განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპების თავისებურებები და მათი რეალიზება ხდება მოქმედი საგადასახადო სისტემის პირობებში.

კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“, რომელმაც საბიუჯეტო სისტემაში ცენტრალიზმის პრინციპი გააუქმა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა ცენტრალური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის განხილვის, დამტკიცებისა და საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები, მიღებული იქნა 1993 წლის 30 მარტში. ამ კანონის მთავარი ხარვეზი იყო უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა, რაც თავისთავად იმას მოწმობდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული ჩვეული მიდგომები საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობაში და ვერ ხდებოდა საბაზრო მოთხოვნების სრულფასოვნად გათავისება. ასევე არ იყო გათვალისწინებული ხარჯების კლასიფიკაციის ოპტიმალობა, კონტროლის ხასიათი და ამ საქმიანობაში პასუხისმგებელ მუშაქთა სამართლებრივი ვალდებულებები. ეს ნაკლოვანებები აისახებოდა საბიუჯეტო რეგულირებაზეც, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდებოდა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლის წყაროების განაწილებით.

სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების განსაზღვრული წესის თანახმად ცენტრალურ ბიუჯეტში თითქმის მთლიანად ირიცხებოდა გადასახდები, რომლებზეც მოდიოდა შემოსავლების სოლიდური ნაწილი (დღგ, აქციზი, საბაჟო) და არასაგადასახადო შემოსავლების „ეფექტიანი“ სახეები, ასევე ადვილად აკუმულირებადი გადასახდელები (მოსაკრებლები ნებართვების, ლიცენზიების გაცემიდან და სხვა სახელმწიფო მომსახურეობის განევიდან). რეგიონების ბიუჯეტებისათვის განსაზღვრული იყო შედარებით ძნელად ამოსაღები და ნაკლებშემოსავლიანი გადასახადების სახეები. ასეთი ვითარების შედეგად მართვის ადგილობრივი ორგანოები არასახარბიერო სიტუაციაში აღმოჩნდნენ.


რეგიონული და მუნიციპალური სახსრების მართვის ძირითად ამოცანად ახლო მომავალში

გვესახება: რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის სტიმულის უზრუნველყოფა; ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების ბიუჯეტ-თშორისი ტრანსფერტების გადაცემის მექანიზმების სრულყოფა; ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესება საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე⁹.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად ტერიტორიული ერთეულების სახელისუფლებო ორგანოების უფლებამოსილებები უნდა შეიცვალოს, მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილებების საკუთარ უფლებამოსილებებად გადაცემის ხარჯზეც. ამასთან, სუბიექტებს უნდა გააჩნდეს მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომლებსაც ამ დონის ხელისუფლება ყველაზე ეფექტურად განახორციელებს. რეგიონებში უნდა შეიქმნას ფინანსური რეზერვების ფონდები, საიდანაც სახსრების გამოყენება მოხდება საბაზრო კონიუნქტურის ისეთი არასახარბიელო ცვლილებების შემთხვევაშიც, როცა ისინი უარყოფითად აისახება ბიუჯეტების მდგომარეობაზე.

მიზანშენონილია ტერიტორიული ერთეულებს მიეცეთ უფლება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადიდან კანონით დადგენილ ფარგლებში დააწესონ დასახლებებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხების განსხვავებული ნორმატივები. ასევე აქტუალურია ვიწრო დანიშნულებისა და დაქსაქსული ფინანსური დახმარებების – დოტაციების, სუბსიდიების და სხვათა კონსოლიდაცია. ტერიტორიების რეიტინგების მიხედვით იგეგმება ტერიტორიების საბიუჯეტო უფლებამოსილებების გაზრდა. შემუშავებული საბიუჯეტო სტრატეგიის თანახმად, ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებზე გასაცემი ტრანსფერტები თანდათან შემცირდება მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-მდე წელიწადში და ეს თანხები მოხმარდება ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ რეგიონებს.

ფინანსურ სფეროში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პროცესში პროგრამულ-მიზნობრივი პრინციპის დანერგვას, ფასიანი ქაღალდების ოპერაციების დაბეგვრის სრულყოფას, სადაზღვევო შენატანების ამოღების საერთო წესზე გადასვლას სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ფარგლებში.



სულხან მახათაძე



განვითარების და გადახდის უარის შემთხვევაში და გადახდის უარის შემთხვევაში დირიქტორი მართვის განვითარების სამინისტრო

ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლებს და კრიტერიუმებს მიეკუთვნება: ბანკების ვალდებულებების შეზღუდვის კოეფიციენტი (K₁), მოსახლეობის შენატანის შეზღუდვის კოეფიციენტი (K₂), ბანკის ბალანსის მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (K₄), ბანკის ბალანსის საშუალოვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი (K₅). განვიხილოთ თითოეული ეს მაჩვენებელი და მათი კრიტერიარული დონე დაწვრილებით.

ბანკის ვალდებულებების შეზღუდვა. თავისი ეკონომიკური შინაარსით ბანკის საკუთარი კაპიტალის და მისი ვალდებულებების შეფასება (K₁) ნიშნავს ბანკის მიერ აღებული ვალდებულებების სიდედესა და მის საკუთარ კაპიტალს შორის დამოკიდებულებათა დადგენას. რაც უფრო მეტია საკუთარი კაპიტალის სიდიდე ით უფრო დიდია ვალდებულებები. ცენტრალურ ბანკს ყოველ კონკრეტულ პერიოდში, მის ნინაშე მდგარი ამოცანებიდან და ბაზრის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია შცვალოს მათი თანაფარდობები და ამით გააფართოვოს ან შეზღუდოს ბანკის საკრედიტო, სხვა აქტიური და საკასო ოპერაციები.

⁹ <http://mof.ge/show-law.aspx?id=711>

მაჩვენებელი (K₁) განისაზღვრება, როგორც პანკის საკუთარი სახსრების ვალდებულებების თანხებთან დამოკიდებულება. ამასთან საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება საწესდებო ფონდი, სარეზერვო ფონდი, ამორტიზაციის ფონდი, განაწილებული მოვების სახსრებს მინუს მოვებისა და ზარალის ხარჯზე მიმართული სახსრები, შენობა-ნაგებობების ღირებულება, დებიტორული დავალიანების (სადებულო საღიზო), პანკის სხვა საწარმოებში მონაწილეობა, პანკის ანგარიშსწორება, პანკის კაპიტალური დაბანდების ხაზი.

პანკის ვალდებულება ძირითადად შედგება¹⁰:

1. სახელმწიფო და კომპერატიულ საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ანგარიშსწორების ხარჯზე, ასევე საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების თანხებისგან;
2. კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად საწარმოების და ორგანიზაციების საკუთარ სახსრებს მინუს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლი თანხებისაგან;
3. ორგანიზაციებისა და კომპერატივების ანაბრებისა და დეპოზიტებისაგან;
4. მოსახლეობის ანაბრებისაგან, ანგარიშსწორების სახსრებისაგან;
5. სხვა პანკების სესხებისაგან (პანკის მიერ ორმოცდაათ პროცენტზე გაცემული თავდებობის გარანტიები);

კომერციული პანკებისთვის (K₁) არ უნდა იყოს 1/20 ნაკლები, ხოლო მათმა ვალდებულებებმა 20-ჯერ მეტად არ უნდა გადაამეტოს მათ საკუთარ სახსრებს.

თუ პირველი მაჩვენებელი (K₁) პანკის ვალდებულებების საერთო საზღვრებს აწესებს სუბიექტთან შედარების გარეშე, მაშინ მეორე მაჩვენებელი (K₂) შემოღებულია რათა შეზღუდოს მოსახლეობის შენატანები. სწორედ ამ მიზნით იქნა შემოღებული სახელმწიფო პანკის მიერ (K₂) მაჩვენებელი, რომელიც გამოიანგარიშება მოსახლეობის ანაბრების ნაშთის პანკის საკუთარ სახსრებთან შეფარდებით. (K₂) მაჩვენებელი არ უნდა იყოს 1-ზე მეტი, ანუ კომერციულ პანკებს შეუძლიათ მიიღონ მოსახლეობისაგან ანაბრები საკუთარი რესურსების ფარგლებში და არა განუსაზღვრელად.

ლიკვიდობის კოეფიციენტი. პანკის ბალანსის ყველა ლიკვიდური აქტივების მოთხოვნამდე შდარება ანუ ბალანსის მიმდინარე ლიკვიდურობის (K₄) მაჩვენებელი განსაზღვრავს, თუ მოთხოვნამდე ვალდებულებების რა ნაწილი უნდა იქნას პანკის მიერ ერთდროულად დაფარული. პანკის ბალანსის ლიკვიდურობის აქტივები შემდეგ ძირითად მუხლებს შეიცავს:

1. ფულადი სახსრები პანკის საღარიში და ფულადი სახსრები გზაში;
 2. სახსრების ნაშთი ანგარიშებზე ქვეყნის საკრედიტო დაწესებულებებთან ანგარიშსწორებისათვის;
 3. პანკის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო სესხის ობლიგაციები;
 4. კრედიტი და სხვა სახის გადასახადები, რომელთა დაფარვამდე ერთი თვე დარჩა;
- პანკის ვალდებულებები მოთხოვნამდე ანგარიშებზე შედგება:
1. სახელმწიფო, კომპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებზე ნაშთისგან;
 2. საბიუჯეტო, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების მიმდინარე ანგარშებზე არსებული სახსრების ნაშთებისგან;
 3. მოსახლეობის ანაბრების;
 4. დეპოზიტების ნაშთებისაგან 1 თვემდე დაფარვის ვადით;
 5. გარანტიებისა და თავდებობებისაგან, რომლებიც გაცემულია პანკის მიერ 1 თვემდე შესრულების ვადით და სხვ.¹¹

¹⁰ ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბილისი 2010. გვ.: 741.

¹¹ ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბილისი 2010. გვ.: 788.

ნოდარ ხარაიშვილი



განკის ვალდებულებების შეზღუდვა

სახელმწიფო ბანკის მიერ დაწესებულია, რომ (K₄) მაჩვენებლის მნიშვნელობა 0,3-ზე დაბალი არ უნდა იყოს. ამრიგად, ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკებისგან მოითხოვს აქტივების და პასივების ისეთ დაბალანსებას, რომ ბანკის მოთხოვნამდე ვალდებულებების არანაკლებ 30% მისი ლიკვიდური აქტივებით დაიფაროს. განსაკუთრებით მნიშვნლოვანია ამ მოთხოვნების შესრულება ბანკის კლიენტებისთვის ნალდი ფულის დაუბრკოლებრივ გაცემ-სათვის, თუ მათ ამ თანხის მიღების უფლება აქვთ. იმ კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც თავისი კლიენტების საანგარიშსწორებლო-საკასო ოპერაციებს არ ანარმობენ (K₄)-ის კრიტერიარული დონე 0,15-ზე დაბალი არ უნდა იყოს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ასეთი ბანკების ლიკვიდური აქტივების აბსოლუტური თანხა სხვა თანაბარ პირობებში მცირეა.

(K₄) მაჩვენებლის დაცვა ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია მიმდინარე ოპერაციებზე დროულად მოახდინოს გადახდა (უახლოეს თვეებში). ამასთამ, რესურსების განთავსებისას აუცილებელია დაცული იქნას სახსრების მოზიდვასა და მათ განთავსების ვადებს შორის შესაბამისობა. ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების და მოსახლეობის ინტერესების დასაცავად თავისი პოლიტიკა ბანკმა ისე უნდა ააწყოს, რომ არა მარტო უახლოეს დროში, არამედ პერსპექტივიც შეუფერხებლად შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდობის დარღვევის ნათელი მაგალითია ის, რომ თუ საკრედიტო დანესებულებების მიერ მოკლევადიანი რესურსები გრძელვადიანი დაკრედიტების მიზნით გამოიყენება, ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების გადახდის დროს, მაშინ კრედიტები იქნება უკან დაპრუნებული. ამის გამო ბანკს ექნება საგადასახადო სიძნელები. ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად საპანკო სისტემაში დამკვიდრდა აქტივების და პასივების მიხედვით შესაბამისობის და დაბალანსების მკაცრი მოთხოვნა.

ამ იზანს ასახავს ლიკვიდობის საშუალო ვადიანი მაჩვენებელი (K₅), რომელიც იძლევა ერთ წელზე მეტი ვადის ბანკის აქტივების თანაფარდობას ბანკის საკუთარი სახსრების დეპოზიტურ ანგარშებსა და ერთ წელზე მეტი ვადის კრედიტებზე გაცემულ ვალდებულებათა თანხების ჯამთან. (K₅) მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს 0,1-ზე მეტი, ე.ი. გრძელვადიანი კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს საკუთარი სახსრების თანხებს და ბანკის მიერ მოზიდულ სხვა გრძელვადიან სახსრებს.

ბანკის ვალდებულებების შეზღუდვა – (H₃) გამოიანგარიშება ბანკის კაპიტალის ფარდობით ბანკის ვალდებულებებთან: H=K:O₃. სადაც O – ბანკის ვალდებულებია; K – ბანკის კაპიტალი.

(H₃) და (K₁) მაჩვენებლების განსხვავება მდგომარეობს ბანკების ტიპების კრიტერიარული მაჩვენებლების დიფერენციაციაში. დადგენილია მთელი რიგი შემფასებელი მაჩვენებლები, რომელთა გამოთვლა ბალანსის ლიკვიდურობის აუცილებელი დონის შესანარჩუნებლად, ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციების რეგულირების საშუალებას იძლევა. მათ შორის:

1. კრედიტის ანაბრით უზრუნველყოფა (H₄). ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება ყველა კრედიტის ჯამის (K₉) შეფარდებით საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების, დეპოზიტების ჯამთან (C), H K C₉. კრედიტების ანაბართან თანაფარდობა გვიჩვენებს თუ რამდენად შემოსავლიანია კრედიტი და რისკიანი აქტივები იფარება თუ არა ანაბრებით. ამერიკულ საბანკო პრაქტიკაში სასესხო პოლიტიკის აქტივობას ანაბრების ლიკვიდური აქტივებით უზრუნველყოფა (H₅) განსაზღვრავს. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ლიკვიდური აქტივების თანხების შეფარდებით საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების და დეპოზიტების თანხებთან.

2. ლიკვიდური აქტივების წილი აქტივების (H_e) საერთო თანხაში. ეს წილი განისაზღვრება ლიკვიდური აქტივების შეფარდებით, აქტივების საერთო თანხასთან მინუს კრედიტები და სხვა გადასახდელები შესრულების 30 დღემდე ვადით. გამოყენება ასევე მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტები.

კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის სატანადო დონეზე შენარჩუნებისთვის და მათი მუშაობის ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის შემოღებულია კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი. იგი განისაზღვრება ბანკის საწესდებო კაპიტალის მინიმალურად დასაშვები ოდენობის დადგენის გზით და მისი მთელი კაპიტალის (აქტივების თანხებთან ერთად) შეფარდებით. ამასთან აქტივების ცალკეულ კატეგორიებს და ჯგუფებს ერიჭებათ შესაბამისი გამანონასწორებელი კოეფიციენტები, რომლებიც მათი დანაკარგის რისკის ხარისხს ასახავენ. აქტივების თანხის ასეთი დაჯგუფების და კორექტირების საფუძველზე გაიანგარიშება ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი. მათ შორის ძირითად ადგილი უჭირავს მაღალი რისკის კაპიტალდაბანდების უზრუნველყოფის მაჩვენებელს, რომელიც გამოიანგარიშება, როგორც ბანკის კაპიტალის შეფარდება აქტივების თანხების ჯამთან, საშუალო რისკის გათვალისწინებით.

გარდა მოცემული დირექტიული მაჩვენებლისა კომერციული ბანკის კაპიტალის საკმარისობის შესაფასებლად ორი შეფასებითი მაჩვენებლის გამოყენებაა გათვალისწინებული, რომლებიც კაპიტალის მაღალრისკიან აქტივებთან შეფარდებას ასახავენ. მათი საბალანსო თანხის ჯამი კორექტირებულია რისკის პროცენტით მათ შორის.

ბანკების გადახდისუნარიანობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები. ბანკის ლიკვიდურობის მაჩვენებლების განხილული მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა სხვა მეთოდებით და საშუალებებითაც შეიძლება, რომლებსაც ქვეყნის ცენტრალური და კომერციული ბანკები იყენებენ. ეს უნინარეს ყოვლისა, ერთი მსესხებლის დავალიანების სახსრების ოდენობის შეზღუდვის სარეზერვო სისტემა, რომელიც კომერციულ და სხვა ბანკებს ავალდებულებს მათი ანაბრების საერთო თანხის განსაზღვრული ნაწილი ცენტრალურ ბანკში შეინახონ. დაწვრილებით განვიხილოთ სახელმწიფო ბანკის მიერ ბანკების გადახდისუნარიანობის შემცირების ცალკეული მეთოდები.

ერთ მსესხებლზე რისკის მაქსიმალური სიდიდე – ბანკის უნარი, შესძლებლობა დროულად და სრულად მოახდინოს მისი ვალდებულებების ანაზღაურება, დამოკიდებულია არა მარტო საკრედიტო დანესხებულების მუშაობაზე, არამედ მათი მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე. კრედიტის განთავსებისას ბანკები უნდა გამოდიოდნენ საწარმოების და ორგანიზაციების გადახდისუნარიანობიდან, მაგრამ ამასთან, მათ არ უნდა გამორიცხონ ერთი ან რამდენიმე მსესხებლის მხრიდან გადაუხდელობის შემთხვევათა შესაძლებლობაც. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ერთ მსესხებლს ბანკის სასესხო დავალიანების დაფარვა დროულად არ შეუძლია დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გადაუხდელობამ ბანკის საკუთარი ვალდებულებების შესრულების გართულება არ გამოიწვიოს. როგორც ბანკის გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი შედეგების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა ერთ მსესხებლზე კრედიტის შზღუდული გაცემა. მხოლოდ ერთი კლიენტის დიდი კრედიტის ვადაგადაცილებამ შეიძლება ბანკის ლიკვიდობა სწრაფად მოშალოს¹².


კრედიტის მაქსიმალური სიდიდე ცენტრალური ბანკის მიერ არის დადგენილი, როგორც ერთ მსესხებლზე ევრობლივი სასესხო დავალიანების (სადებეტო სალდო სესხის ანგარიშის მიედვით პლუს 50% ბალანსგარეშე ვალდებულებისა, რომლებიც ამ მსესხებლებზე არის გაცემული) შეფარდება ბანკის საკუთარ სახსრებთან.

ბანკის გადახდისუნარიანობის დაცვის მიზნით შემოღებულია ცნება – მსხვილი კრედიტი" და მის საერთო თანხაზე განსაკუთრებული კონტროლის სისტემა, მსხვილი კრედიტის ქვეშ იგულისხმება მსესხებლის ერთობლივი დავალიანების სიდიდეს პლუს ამ მსესხებლზე გაცემული გარანტიების და ვალდებულებების 50%. მსხვილი კრედიტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ კო-

¹² ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბილისი 2010. გვ.: 793.

მერციული ბანკის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. მსხვილი კრედიტების საერთო თანხა საანგარიშსწორებო თვის ბოლოს ბანკის საკუთარი სახსრების თანხას 8-ჯერ და მეტჯერ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ხუთი უმსხვილესი კრედიტის თანხა, ბალანს გარეშე ოპერაციების გათვალისწინებით, ბანკის საკუთარ სახსრებს 3-ჯერ მეტად არ უნდა აღემატებოდეს.

საბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდი – კომერციული ბანკების საკურედიტო საქმიანობის რეგულირების მიზნით და მათი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, ბანკების მოზიდული რესურსებისა და დეპოზიტების ხარჯზე იქმნება საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდი. კომერციულმა ბანკმა ცენტრალურ ბანკში სარეზერვო ანგარიშზე, მოზიდული სახსრების 13%-ის დეპონირება უნდა მოახდინონ. ამ ანგარიშზე შემოსავალი არ ირიცხება.



ჯუმბერ ხარაიშვილი



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლება-მოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

1. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი. მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯე-

ტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს არა უგვიანეს ყოველი წლის 15 სექტემბრისა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 25%-ს.

საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკისა) მიხედვით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკის მიხედვით;

ე) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას (მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობას);

ვ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ი) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;


გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირი-

თადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები.

საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე.

საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.



ვანო შუშტაკაშვილი



სახელმწიფო პიუჯეტის პრეზიდენტი

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობას ეგზავნება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის დათხოვნისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებას და მართვას. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;

გ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისტვის;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა იმ ფონდებისა, რომლებსაც წლიური საბიუჯეტო კანონი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით;

ვ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების თაობაზე);

თ) მხარჯავი დაწესებულებების¹³ მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას;

ი) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 15 ივნისისა იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს 1 თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

¹³ მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაცია.

ონერ ძაძუა



**უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სალშეაცყობი
გარემოს შექმნა და პარაგვების საკართველოში**

განვითარების საწყის ეტაპზე განვითარებადი ქვეყანა იძულებულია კაპიტალის იმპორტი მოახდინოს მხოლოდ უცხოურ მთავრობათა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და კრედიტების სახით. დახმარების ქვეშ იგულისხმება აგრეთვე ის უცხოური კრედიტები, რომელთა საპროცენტო განაკვეთზე ეროვნული სახელმწიფო ბანკის სადისკურსობრივი განაკვეთზე დაბალია, ანუ მათი აბსულუტური უმრავლესობა. მოთხოვნილება უცხოურ კაპიტალზე განისაზღვრება როგორც სხვაობა აუცილებელ ინვესტიციებსა და არსებულ დანაზოგთა თანხებს შორის, ხოლო უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილება იზომება როგორც სხვაობა აუცილებელ იმპორტსა და ფაქტობრივ ექსპორტს შორის.

განასხვავებენ მსესხებელი ქვეყნის მიერ საგარეო დავალიანების გასავლელ სამ სტადიას. პირველ სტადიაზე განვითარებადი ქვეყანა იძულებულია აიღოს უცხოური კრედიტები სამამულო ინვესტიციების დასაფინანსებლად და ვალის ნაწილისა და პროცენტის გადასახდელად. ამ ეტაპზე საგარეო დავალიანების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს, ხოლო დანაზოგთა დონე უმნიშვნელოა. მეორესტადიაზე სამამულო ინვესტიციების დაფინანსება უკვე გაზრდილი შიდა დანაზოგების ხარჯზე ხდება, ხოლო უცხოური კაპიტალი ვალისა და პროცენტის დასაფარად გამოიყენება. ამასთან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი საგარეო დავალიანების ზრდის ტემპს აღემატება. მესამესტადიაზე ინვესტირება, ვალისა და პროცენტის დაფარვა ხდება უკვე გაზრდილი დანაზოგების ხარჯზე, საგარეო დავალიანება კი შემცირებას იწყებს. აღნიშნული ნარმოადგენს დაბალგანვითარებადი ქვეყნის მიერ მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევის პლასტიკურ სცენარს.

ამჟამად, უცხოელ ინვესტორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობები სულ უფრო ერთგვარი კომპრომისის ხასიათს იძენენ. ინვესტორის ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია და გასაღების ბაზრის გაფართოება წარმოების შედარებით იაფი კომპონენტების, აგრეთვე ქვეყნის თავისებურებების გამოყენების ხარჯზე. ეროვნული მთავრობის მიზანს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნა წარმოადგენს. სწორედ ამ ინტერესთა შესამება გვევლინება უცხოური კაპიტალის წარმატებული მოზიდვისა და გამოყენების საფუძვლად. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები:

1. კაპიტალის იმპორტი წარმოებს ძირითადად უცხოური კრედიტებისა და დახმარების სახით. საგარეო დავალიანების მოცულობა იზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელოა. პირდაპირი რეალური დაბანდებანი იშვიათია და უმეტესად შემთხვევით, უსისტემო ხასიათს ატარებენ. საფინანსო ბაზრის განვითარებლობის გამო საპორტფელო ინვესტიციების მოზიდვა არ ხდება;

2. გარკვეული ფინანსური სტაბილიზაციის მიუხედავად საინვესტიციო გარემო მაინც არახელსაყრელია;

3. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და ხშირ ცვლილებას განიცდის უცხოელი ინვესტორების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა;

4. არ მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დარგობრივ ჭრილში, ისე ცალკეული საწარმოებისა და პროექტების დონეზე შემუშავებულია საინტერესო ბიზნეს-გეგმები, ჯერ-ჯერობით ვერ მოიძებნა უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის ეფექტური მექანიზმები;

5. ჩამოყალიბების სტადიაშია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის ადმინისტრაციული რეჟიმი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალშიც საქართველოში უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ისევ კრედიტები დარჩება.

საქართველოში უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლის ერთადერთ ფორმად, დღეისათვის, პირდაპირი რეალური ინვესტიციები გვევლინება. ამასთან, საწყის ეტაპზე აღნიშნული და-

ბანდების ზრდა აღინიშნება პირველ რიგში იმ დარგებში, სადაც საქართველოს შედარებით უპირატესობები გააჩნია. დანარჩენ დარგებში კი, მათ შორის სარეკრეაციო სფეროში ინვესტიციების მოდინება საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებამდე უმნიშვნელო იქნება.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზე დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა:

მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა.

თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა მოტივი ამოძრავებთ უცხოელი ინვესტიონებს, როდესაც ახდენენ პირდაპირ ინვესტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია, პირობითად, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ. პირველი ჯგუფი აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყნაში (რესურსების მაძიებელი).

მეორე ჯგუფს წარმოადგენენ სანარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყნაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონების) ბაზრებზე (ბაზრის მაძიებლები).


მესამე ჯგუფს, პირობითად, შეიძლება ეფექტურანობის მაძიებელი ვუწოდოთ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწვევა. ინვესტიონთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად ახორციელებს ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწვევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას (სტრატეგიული აქტივების მაძიებლები).


უცხოური ინვესტიონების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათზე, საპაზრო მექანიზმის განვითარების ხარისხზე. საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა პარამეტრებზე. მეორეს მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინვესტორის თავისებურებებს, ინვესტიციების განხორციელების ფორმებს და სფეროებს.

მიმღებ ქვეყნაში ინვესტიციების გავლენა ვლინდება შემდეგში: ეკონომიკის ზრდის ტემპზე პოზიტიური გავლენა; ქვეყნაში საერთოდ ინვესტიციურ აქტიურობის გაძლიერება; მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიურ პროცესები და ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაში; მიმღები ქვეყნის მეურნეობის პროგრესულ ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურიზაციას ხელის შეწყობა; და ბოლოს უცხოური ინვესტიციები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადამზდელო ბალანსზე.

ქვეყნის შიდა ინვესტიციური რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში მისი შევსების წყარო ხდება კაპიტალის იმპორტი, ამასთან, ინვესტირების დეფიციტი არის ფარდობითი, რადგან ინვესტიციებზე მოთხოვნებს განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემა და მისი განვითარების დონე. ინვესტიონები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვა-დასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ეროვნული კაპიტალი უკანასკნელთან მიმართებაში, წარმოადგენ "დამატებითს". დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადალახავენ რომელიმე დარგში შეღწევის ბარიერს. "დამატებითი" უცხოური ინვესტიციების ეფექტი მიმღები ქვეყნისათვის დადებითია, რადგან ისინი ავსებენ ინვესტიციურ რესურსებს, ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას.



სამართლი



ლაშა ხარებავა



ქართული სახელმწიფო პრივატიზაციას და სამართალს უძველესი ისტორია აჯვს

ტრადიციებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ნორმები თავიდან ზეპირი ფორმით, შემდეგ კი წერილობით წყაროებში ფიქსირდება და სახელმწიფოებრივად სანქციონირებულ, მკაცრად ჩამოყალიბებულ უფლება-მოსილებებს, ვალდებულებებს შეზღუდვებსა და აკრძალვებს შეიცავს. სამართლის ძეგლად ღიარებულია „მოსეს სამართალი”, რომელიც წარმოადგენს გამონაკრებს „მეორე სჯულიდან”. ეს კანონები ჩვენი ეროვნული სამართლის ერთერთი უძველესი წყაროა, ისინი ძველთაგანვე მოქმედებდნენ საქართველოში (ქართული სამართლის წერილობით წყაროებზე ცოტა ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

ისტორიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის თაობაზე. ნანილი თვლის, რომ სამი ათასი წლის წინათ ქართველი ხალხის შორეულ ნინაპრებს უკვე ჰქონდათ სახელმწიფო.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი პოლიტიკური გაერთიანების სახით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა დიაოხი, რომლის ტერიტორია დღევანდელ ქალაქ არზრუმის მისადგომებამდე ვრცელდებოდა. დიაოხმა თავის პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია ქრისტესშობამდე მეთორმეტე საუკუნის ბოლოს და მესობოტამიის ძლიერ სახელმწიფოს, ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქონდა მოგვევლინა.

ქრისტესშობამდე მეექვსე საუკუნეში ვანის ტბის მიდამოებში არსებული ძლიერი ურარტუს სახელმწიფო განადგურდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულიყო ახალი პოლიტიკური გაერთიანებანი, რადგანაც მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის თვის საჭირო ნიადაგი უკვე არსებობდა. ძველ ბერძნულ წყაროებში აღნერილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კოლხეთის სამეფო, რომელიც ვრცელდებოდა აფხაზეთიდან სამხრეთისაკენ შავი ზღვის გასწვრივი მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქები ტრაპიზონი და კერასუნტი, ჩრდილოეთით მდებარე ქალაქები ფასიდი, დიოსკურია და პიტიუნტი. კოლხეთის დედაქალაქი იყი აია, რომელიც მდინარე ფაზისზე იყო გაშენებული.

ბერძნული წყაროები დასავლეთ საქართველოს კოლხეთად მოიხსენებს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მას ეგრესს უწოდებდა, კოლხეთის სამეფო კულტურულად და პოლიტიკურად დაწინაურებული ქვეყანაა. ამას ადასტურებს ვანსა და საქართველოს სხვა ადგილებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალები.

კოლხეთის სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობაზე, მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს ბერძნული ახალშენების არსებობა შავი ზღვის სანაპიროზე. ჩვ. წელთაღრიცხვის მე-ექვსე საუკუნიდან ამ ახალშენთა დაარსების ძირითადი მიზანი სავაჭრო ურთიერთობა იყო, როთაც ორივე მხარე დიდ სარგებლობას იღებდა. სიმდიდრის დაგროვება ხელს უწყობდა საირიგაციო სისტემის განვითარებას, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო. მაშინდელი ქალაქები პიტიუნტი (ბიჭვინთა- გაგრის ტერიტორიაზე), დიოსკურია (სოხუმის მახლობლად), ფაზისი (ფოთის მახლობლად), ტრაპიზონი, გინეოსი (ოჩამჩირე) კარგად გამაგრებული და მარმალილოსაგან ნაშენი შენობებით აღინიშნება. ქვეყნის სიძლიერეზე ლაპარაკობს საკუთარი ფულის, „კოლხური თეთრის“ არსებობა, ხარისა და ქალღმერთის გამოსახულებით, რომელიც სხვადასხვა ზომისა იყო. ზემოთ დასახელებული ქალაქი- პოლისების გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ასევე ადგილობრივი ქალაქური ტიპის დასახლებები (პოლიტიკური ერთეულები). მაგალითად, ვანი და დაბლაგომი, კუტაისა ანუ ქუთაისი.

იმ დროის ამსახველი წყაროების ანალიზი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ სოციალურად, ქონებრივად კოლხეთის საზოგადოება უთანასწორო იყო. მაშინდელ სამარხებში ვხვდებით ძალიან მდიდრდბს, საშუალო და ღარიბ საფლავებს.

ამ პერიოდში ძალას იკრებს აქემენიდების (სპარსელების) სახელმწიფო, რომელმაც თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიმორჩილა, დაპყრობილი ტერიტორიები ოლქებად იყო დანაწილებული. მეცხრამეტე ოლქში შედიოდნენ მათ მიერ დაპყრობილი შავის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები მესხები, ტიპარენები, მოსინიკური და სხვა ტომები, რაც შეეხება კოლხებს, მათ სხვა დაპყრობილ ხალხთან ერთად ხარკი იკისრეს სპარსელების სასარგებლოდ და ხუთ წელიწადში ერთხელ ტყვეებსაც უგზავნიდნენ. პერიოდოტეს მონაცემებით, სპარსელები დაპყრობილ ქვეყნებს ხარკს ართმევდნენ, ძირითადად ოქრო-ვერცხლს, კოლხები დამპყრობლებთან ურთიერთობას ახალგაზრდების გაგზავნით ანესრიგებდნენ (ას გოგოს და ას ბიჭს). მკვლევარები სამართლიანად აყენებენ ეჭვის ქვეშ კოლხების ამ მოქმედებას, რადგანაც ოქროთი მდიდარ ისეთ ქვეყანაში, როგორიც კოლხეთი იყო, რატომ მიმართავდნენ ხარკის ამ განსაკუთრებულ სახეს? რამდენიმე არგუმენტთან ერთად, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ერთიც:

კოლხებს ახასიათებენ ძალიან მამაც, ახოვან და ფიზიკურად სრულებრივ ხალხად და არ არის გამორიცხული, რომ ამის მიზეზი ესცე იყოს, ე.ი. “სხვათა ჯიშის გასაკეთილშობილებლად”. ძვ წელთაღრიცხვით 400 წელს ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ თავისი თვალით ნახა და აღნერა სამხრეთ-ქართული თემების, ხალიბების, მოსინიკების, ტაოხებისა და სხვათა ყოფაცხოვრება. მიუხედავად ავბედობისა, მისი აღნერიდან კარგად ჩანს სურსათ- სანოვაგის, საქონლის, სასოფლო-სამეურნეო და საპრძოლო იარაღების სიმრავლე.

ამ ქვეყნებში ქონებრივი უთანასწორობა აშკარა იყო. მდიდარი მშობლების შვილები ძალიან გამოირჩეოდნენ დარიბებისაგან. ამ თემებს ჰყავდათ თავიანთი მთავრები, რომლებიც კოშკებში ცხოვრობდნენ და მათ შეიარაღებული ადამიანები იცავდნენ. ქსენოფონტეს ცნობით, კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი გულადი მეომრები არიან, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი ადამიანები, ქალი და კაცი ერთად იცავენ საკუთარ მინას.

შეგავსად კოლხეთისა, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაშიც მოხდა ქონებრივი და სოციალრი უთანასწორობის გაღრმავების პროცესი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია უამრავი სარწმუნო მასალა, რომლებიც მიუთითებენ ღრმა ქონებრივ უთანასწორობაზე. სამარხებში ნაპოვნი ნივთები მეტყველებენ დანინაურებულ კულტურასა და ხელოვნებაზე. ამ დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევენ ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან აღმოჩენილი სამარხები. ანალოგიური სამარხები აღმოჩენილია ყაზბეგში და სოფ. წინწყაროსთან, უკანასკნელ პერიოდში ბოლნისა და დმანისში.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მინაწყალზე არსებული დიდი ტომობრივი გაერთიანებები. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც ერთმანეთს, ისე მეზობლად მცხოვრებ ტომებსაც. შესაძლებელია, ადგილობრივი გაერთიანებების(პოლიტიკური) ურთიერთქიშპობით ისარგებლა სამხრეთ-დასავლეთის ქართულმა გაერთიანებამ, რომელმაც დაიმორჩილა ისინი და ცენტრალიზებული ხელისუფლების ცენტრად აქცია ბუნებრივად, სტრატეგიულად და ეკონომიკურად ერთ-ერთი ძალზე მოსახერხებელი პუნქტი მცხეთა, – აღნიშნულია ქართლის ცხოვრებაში. სტრაბონის “გეოგრაფიიდან” ცნობილია, რომ ქ.შ.მდე 1 საუკუნეში მცხეთაში მოდიოდა გზები სომხეთიდან და ალვანეთიდან, ხოლო მცხეთიდან გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიასა (არავისა და დარიალის ხეობების გავლით) და დასავლეთ კოლხეთისაკენ. ამ გაერთიანებებში წამყვან როლს თამაშობდა მცხეთა, რომელიც თავისი სტრატეგიული მდებარეობით ბუნებრივი ციხე- სიმაგრე იყო.

ქართლის სამეფოს დამაარსებლად, გადმოცემით მოიაზრება ფარნავაზი, რმელსაც ქართლის მინიდან განუდევნია უცხოელი დამპყრობლები ქუჯი ეგრისელის აქტიური დახმარებითა და თანადგომით. “ქართლის ცხოვრაბის” ერთ-ერთი პირველი ავტორის ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ ქუჯის წერილში ფარნავაზისადმი (ქ.შ.მდე მეოთხე საუკუნე) ჩანს ქართულეროვნული ცნობიერების მაღალი დონე და პოლიტიკური სიმწიფე, რაც დღესაც მისაბაძია.

უცხო დამპყრობლებმა გააუქმეს მცხეთის მამასახლისობა, ამოხოცეს მთელი საგვარეულო. ფარნავაზს მცხეთის მამასახლისის შემთხვევით გადარჩენილ მემკვიდრეს, მიეცა საშუალება, შეეკრიბა ჯარი და დაეწყო ბრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისათვის, მაგრამ მის ძალის ხმევას შედეგი არ მოჰყვებოდა, თუ ამ ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მაშინდელი მმართველი ქუჯი ეგრისელი მხარში არ ამოუდგებოდა. მას თხოვნით მიმართა ფარნავაზმა და ქუჯის პასუხმაც არ დაყოვნა: “მე შენთან ვარ მთელი ჩემი ჯარით ამ მძიმე უამს და შენ იყავ მეფე, მე კი შენი მსახური, იღონდ კი ქვეყანა იყოს ბედნიერი”.

აზონის დაცემისა და ფარნავაზის გამეფების შემდეგ ფარნავაზმა “დაი თვისი მისცა ქუჯის ცოლად”. “და მისცა ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ”

განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს ძველი ქართული საისტორიო წყაროები, კერძოდ, ქართლის სამეფოს წარმოშობის, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ლეონტი მროველისეული ვარიანტი.

ლეონტი მროველი, რუისის ეპისკოპოსი, ფრიად განათლებული საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მწიგნობარი, ისტორიკოსი მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა. იყო საერო, საისტორიო, საეკლესიო და აპოკრიფული მწერლობის ჩინებული მცოდნე, კარგად ფლობდა ბერძნულსა და სპარსულ ენებს.

ლეონტი მროველის თეორიით, ქართველები წარმომავლობით ბიბლიურ მამამთავრებს ენათესავებიან, მათი მამამთავარი იყო თარგამოსი, შვილი თარშისა, შვილიშვილი იაფეტისა. იაფეტი, სემი და ქამი ნოეს შვილები იყვნენ. თარგამოსს ჰყავდა შვილები: ჰაიას, ქართლოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს, ეგროს. თარგამოსის თითოეული შვილიშვილი კავკასიის სხვადასხვა ხალხის ეთნარქი იყო. ქართლოსი საქართველოში დამკვიდრდა. მას ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს და გაჩიოს.

ლეონტი მროველის მოსაზრებებს არ იზიარებს დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. თავის შრომებში: “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები”, და “საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წყობილება”, იგი წერს, რომ ლეონტი მროველის თეორიით მეფობის წარმოშობის შესახებ საქართველოში ისე გამოდის, რომ უკვე ქართველთა პირველი მამამთავარი ქართლოსი იყო თავისი ძმების “გამე და უფალი” დამ ის მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით სარგებლობდა. მხოლოდ როდესაც მცხეთოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი უფროსი ძე, უფლოსი უნდა გამეფებულიყო, მას აღარ დაემორჩილება. ამ დროს, ლეონტი მროველის სიტყვით, ქართლში მოისპონ მეფის ხელისუფლება. უმეფობა გაგრძელდა ვითომუც ფარნავაზამდე, რომელმაც მეფის ხელისუფლება კვლავ აღადგინა და საქართველოში მტკიცე სახელმწიფო წეს-წყობილება შექმნა”. ივანე ჯავახისვილის აზრით, ეს თეორია და სექტა, რომელსაც ლეონტი მროველი გვთავაზობს, თითქოს მეფობა დასაწყისთაგანი დაწესებულება ყოფილა, ერთ ცოლქმრიანი ოჯახის საფუძველზეა აღმოცენებული და პირმშობისა და მემკვიდრეობის კანონზე დამყარებული. იგი სინამდვილის ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველისაგან შეთხზული დაყ ალბ ეფრემ ასურის თხზულების “განძთა ქვაბის” მიმბაცველობას წარმოადგენს.

ქართულ სახელმწიფოებრიობას და სამართალს უძველესი ისტორია აქვს, ბუნებრივია, პარალელურად იქმნებოდა ქართული სამართლებრივი კულტურა, რომლის შესწავლითაც დაინტერესებული იყო არა ერთი უცხოელი მკვლევარი, მათ შორის ი. კარსტი, დარესტი, ფ. ჰოლდაკი, მ. კოვალსკი და სხვები, რომლებმაც შეისწავლეს და შესაბამისი შეფასება მისცეს სხვადასხვა პერიოდის ქართულ სამართლებრივ კულტურას.

სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ზრუნვა სამართლებრივი კულტურისა და ცოდნის ამაღლებისათვის სკოლიდან უნდა დაინყოს, გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებლებსა და მოსახლეობაში. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიურ მონაზილეობას ღებულობს სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და მრავალგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში, ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი ცნებების ათვისება, სამართლის ამა თუ იმ დარგით ახალგაზრდობისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობათა შინაარსში გარკვევა ხელს შეუწყობს ყოველმხრივ განვითარებულ პიროვნებად მათ ჩამოყალიბებას, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებასა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას. ასევე მნიშვნელოვანია ზრუნვა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, რადგანაც საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ძირითადად კერძო ინიციატივასა და ავტონომიურობის საფუძვლებს ემყარება, საზოგადეობის მხრივ მაღალი სამართლებრივი კულტურის გამოვლენას მოითხოვს. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები სახელმწიფოსა და სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივებში.



სოფლის მეურნეობა

შუჟუნა დოლიძე



ონერ ძაძუა



დასავლეთ საქართველოს პონტიური სართულის ფლორა და კლიმატი ფოთლის ანაგეზდების გიჩენით

ჩვენი მიზანია დასავლეთ საქართველოს პონტიური ასაკის ფლორისა და კლიმატის შესახებ არსებული მონაცემების წარმოჩენა მცენარეთა მსხვილი ნაშთების, ძირითადად განამარხებული ფოთლების ანაბეჭდების შესწავლის საფუძველზე. ცნობილია, რომ მცენარე

გარემო პირობებისა და კლიმატის ინდიკატორია. მცენარეთა განსაზღვრული სახეები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი საარსებო პირობები, ეკოლოგიური გარემო და კლიმატი. დასავლეთ საქართველოს პონტიური ნალექებიდან მცენარეთა ნაშთები პირველად ი.პალიბინმა აღმოაჩინა გურიაში (სოფ. ახალსაყდარში) და ბიჭვინთის კონცხზე (1, 2) 1935წ. შიშკინმა იპოვა განამარხებული ფიჭვის გირჩა გუდაუთის მახლობლად (სოფ. ძირშა). მოგვიანებით ვ.ბოგარივმაც შეაგროვა ნამარხი მცენარეული ნაშთები იმავე რაიონის პონტიური ნალექებიდან. შეგროვილი ნიმუშები ინახება მოსკოვის ბოტანიკის ინსტუტში, აქვეა ზესტაფონის რაიონიდან შეგროვილი პონტიური ფლორის პატარა კოლექციაც. ზემოთ მოყვანილი ნამარხი ფლორის მონაცემები ეპიზოდურია და არასრულყოფილი. გურიიდან, სოფ. ნინოშვილის და გულიანის მიდამოებში, მ. უზნაძის მიერ (14) აღმოჩენილია: *Cryptomeria japonica* D.Don., *Phragmites* sp., *Ilex* sp., *Celastrus* sp., *Berchemia multinervis* A. Br., *Punica granatum* L., *Lauraceae*, *Quercus* ps., *Juglans cinerea* L.

პირველი მნიშვნელოვანი გათხრები დასავლეთ საქართველოს პონტიური ასაკის ფლორის შესწავლის მიზნით ჩატარა ფ. მჭედლიშვილმა. გურიაში, სოფ. მაიდანის, ლანჩხუთის (სოფ. ხორეთი, გულიანი) და ქობულეთის (სოფ. შუალედე) რაიონებიდან. სოფელ მაიდანის მიდამოებში მის მიერ მოპოვებული და განსაზღვრულია: *Cyperaceae* sp., *Salix lavateri* Heer, *S.varians* Goepp., *Salix* sp., *populus euphratica* Oliv. *Myrica salicina* Ung., *Pterocarya castaneifolia* Schelt., *Juglans acuminata* A.Br., *Caryabilinica* Ung., *Persea braunii* Heer, *Apollonias barbuzana* Engl., *Daphne cf. pontica* L., *Daphne* sp., *Ulmus* sp., *Sapindus heliconius* Ung., *Solanum dulcamera* L., *Rhamnus spathulifolia* F. At M., *Fillites* sp. მოცემული ნამარხი ფლორა ზომიერად თბილი, ტენიანი ჰავის მაჩვენებელია და ავტორმა მცენარეთა ეს კომპლექსი შუა პონტიურს მიაკუთვნა.

საქმაოდ მდიდარი პონტიური ფლორა აღმოჩნდა აფხაზეთში ბიჭვინთის კონცხის და მდინარე კოდორის ქვედა პლიოცენურ ნალექებში. 1953 წელს (4,5) ფ. მჭედლიშვილის მიერ გუდაუთის რაიონში, ბიჭვინთის კონცხის სამხრეთაღმოსავლეთ ნანილში შეგროვილი იქნა ფლორა ქვედა, შუა და ზედა პონტიური ნალექებიდან. ქვედა პონტიური ნალექებიდან მცენარეული ნაშთები იმდენად ცუდი დაცულობისაა, რომ განსაზღვრა შეუძლებელია, ხოლო შუა და ზედა პონტიურის მცენარეულობის სიას ავტორი ასე წარმოგვიდგენს:

შუა პონტიურში: *Typha latissima* A.Br., *Phragmites oenningens* A. Br., *Salix* sp., (რამდენიმე ფორმა), *Populus tremula* L., *Juglans acuminata* A.Br., *Carpinus pyramidalis* Heer., *Alnus subcordata* C.A.M., *Fagus orientalis* Lipsky, *Platanus aceroides* Heer, *Viburnum opulus* L.

როგორც სიიდან ჩანს შუა პონტურ ფლორაში ჭარბობს თანამედროვე მცენარეთა სახეები. აქ არ აღინიშნება მარადმწვანე მცენარეები და ძირითად როლს ასრულებენ ფოთოლმცვენი ფორმები. ბიჭვინთის შუა პლიოცენური ფლორა ზომიერად თბილ ნეოგენურ ფლორებს შეესაბამება. ე.ი. შავი ზღვის ამ ნაწილში (ბიჭვინთის კონცხი) შუა პონტურში ჰავა იყო ზომიერად თბილი.

ზედა პონტურის ქვედა ნაწილში აღმოჩენილი და აღწერილია შემდეგი მცენარეები: *Ginkgo biloba* L., *Pinus pithyusa* Strandw., *Phragmites oeningensis* A.Br., *Juglans acuminata* A.Br., *Carpinus pyramidalis* Heer, *Alnus subcordata* C.A.M., *Fagus orientalis* Lipsky, *Quercus praehartwissiana* Mtchedl., *Cinnamomum cf. polymorphum* A.Br., *Apollonias barbusana* Engl., *Sapindus undulatus* Ung.

ზედა პონტურში, შუა პონტურთან შედარებით უფრო თბილი ჰავა აღინიშნება. რასაც ადასტურებს ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავის ელემენტების გამოჩენა, როგორიცა *Cinnamomum*, *Apollonias* და *Sapindus*. ე.ი. ზედა პონტურში სუბტროპიკული ჰავა იყო. კლიმატური პირობების ცვლილებები შუა პონტურიდან ზემოთ, მიმდინარეობდა სითბოს მომატებით.

არსებული მონაცემები აფხაზეთის ქვედა პლიოცენური ფლორის შესახებ შეივსო ა. კოლაკოვსკის მიერ ორმოცდაათიან წლებში ჩატარებული ექსპედიციების მონაპოვრებით. შედეგები ქვეყნდებოდა სისტემატურად (7,8,9,10), ხოლო დასკვნითი მონოგრაფია დაიბეჭდა 1964 წელს, ლიტერატურაში ცნობილი კოდორის პლიოცენური ფლორის სახელწოდებით (11).

ბოჭვინთის კონცხის პონტური ასაკის ნალექებიდან კოლაკოვსკის მიერ (11,6) აღმოჩენილი და აღწერილია შემდეგი მცენარეები: *Libocedrus salicornioides* (Ung.) Heer, *Salix varians* Goepp., *Acer laetum* C.A.M., *pliocenicum* Sap. et Mar., *Carpinus grandis* Ung., *Castanea atavia* Ung., *Fagus attenuata* Goepp., *Quercus castanifolia* C.A.M. *fossilis*, *Carya serraefolia* (Goepp.) Kraus., *Cinnamomum cf. pedunculatum* Presl., *Cinnamomophyllum cf. scheuchzeri*(Heer)Kr. et Weyl., *Laurophyllo ponticum* Kol. et Schak. sp. nova, *Laurophyllo pithyusum* Kol. et Schak. Sp. Nova, *Laurophyllo* sp.1, *Laurophyllo* sp.2, *Platanus aceroides* Goepp., *Ceanothus tiliaefolius* Ung., *Frangula (Rhamnus) rectinervis* Heer.

მოცემული ნამარხი ფლორის შემადგენლობამ შეავსო და დაადასტურა უკვე არსებული ცნობები (4) აფხაზეთის ზედა პონტურში ზომიერად თბილი და სუბტროპიკული ჰავის არსებობის შესახებ. ნამარხი ფლორის შემადგენლობის მიხედვით სავარაუდოა ნალექების სიუხვე.

მდ. კოდორის ხეობაში, სოფ. მეორე ათარას მახლობლად (3) პონტური ასაკის თიხიან ნალექებში განამარხებული აღმოჩნდა შესანიშნავი დაცულობის ფოთლის ანაბეჭდები, მაგრამ პალინოლოგიური ანალიზისათვის საჭირო ყვავილის მტვერი აქ არ მოიპოვება, რაც ზღუდავს ფლორის სრული შემადგენლობის აღდგენის, ფოთლის ანაბეჭდების განსაზღვრის დაზუსტებას და კონტროლის შესაძლებლობას. ფოთლის ანაბეჭდების მიხედვით, კოდორის ფლორაში განსაზღვრულია 180 მცენარის სახეობა. მათი აღწერა და ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი მოცემულია. კოლაკოვსკის მონოგრაფიაში (11). განსაზღვრულ მცენარეთა სახეები და მათი ეკოლოგიური გარემოს შესწავლა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ნამარხი ფლორის სისტემატიკური შემადგენლობა და კლიმატი. ფლორის შემადგენლობაში წარმოდგენილია ყველა სასიცოცხლო ფორმა - ხეები, ბუჩქები და ბალახები. შესაფერ კლიმატურ, ედაფურ და ოროგრაფიულ გარემოში ისინი ქმნიდნენ სათანადო ფიტოცენოზებს. პალეოკლიმატური პირობების გამოვლენის მიზნით საჭიროა ეკოლოგიურად მსგავს მცენარეთა გამოყოფა და დაჯგუფება. ნამარხი სახეების თანამედროვე ექვივალენტების ეკოლოგიური გარემოს გამოკვლევა და შესაბამისად, მათი შედარება თანამედროვე ან წარსულ გეოგრაფიულ რეფუგიუმებთან.

ა.კოლაკოვსკის მიერ (11) კოდორის პონტურ ფლორაში გამოყოფილია შემდეგი ეკოლოგიური ელემენტები.

1) ტენიანი სუბტროპიკული ტყეების ფლორის ელემენტები (30,5%)

ხეები და ბუჩქები - მარადმწვანეები - 28 მცენარე.

Ilex georgica, *Boerlagidendron grandidentatum*, *Brassaiopsis mirabilis*, *Schefflera colchica*, *S. integrifolia*, *Celastrus eurvinervia*, *Cyclobalanopsis krychtofovichii*, *Cinnamomophyllum marginatum*, *C. scheuchzerii*, *Laurus pliocenica*, *Lindera ovata*, *Litsea magnifica*, *L. pontica*, *Oreodaphne heeri*, *O. rhombifolia*, *Celastrus plaeoopuloides*, *Elaeocarpus palaeolanceolatus*, *Croton ratiani*, *Persea colchica*, *P. indica pliocenica*, *caesalpinia macrophylloides*, *Dalbergia derrissaecapa*, *Artocarpus kimmerica*, *Myrsine colchica*, *Jasminum palaeopubescens*, *Symplocos lidiae*, *Camellia abchasica*, *Ternstroemia mocanerifolia*.

ხეები და ბუჩქები - ფოთოლმცვენი მცენარეები - 5 სახე:

Trichosantes kodorica, *Cedrela sarmatica*, *Sterculia raninervia*, *Ampelopsis abchasica*, *Leea vladimirii*.
გვიმრები - 3 სახე:

Cyclosurus Fischeri, *Woodwardia orientalis*, *Polypodium palaeopectinatum*.

ნყლის მცენარეები 2 სახე:

Salvinia palaeopilosa, *Myriophyllum sp.1.*

2).ტენიანი ზომიერად თბილი ტყის ელემენტები (52,9%)

ხეები და ბუჩქები - მარადმწვანე მცენარეები - 18 სახე:

Libocedrus salicornioides, *Tuja cf.occidentalis*, *Pinus aff. canariensis*, *P. longisquama*, *Torreya nacifera fossilis*, *Ilex cassineformis*, *Ilex falsani*, *Ilex gracilis*, *Ilex horrida*, *I. microcassine*, *I. palaeotriflora*, *Mahonia heterophylla*, *M. spinulosa*, *Buxus sempervirens fossilis*, *Myrica lignitum*, *Cotonaster palaeobacillaris*, *Photinia kodorica*, *Daphne kimmerica*.

ხეები და ბუჩქები - ფოთოლმცვენი მცენარეები - 51 სახე:

Ginkgo adiantoides, *Smilax minima*, *Acer laetum pliocenicum*, *Liquidambar europaea*, *Pentapanax fimbriatum*, *Aristolochia africanii*, *A. colchica*, *Alnus angustifolia*, *A. cordata*, *A. subcordata fossilis*, *Carpinus cuspidens*, *C. grandis*, *C. pliofauriei*, *C. uniserrata*, *Ostrya angustifolia*, *Eucommia ulmoides fossilis*, *Nussa europaea*, *Platanus aceroides*, *P. lineariloba*, *Berhemia multinervis*, *Hovenia dulcis fossilis*, *Rubus meriani*, *Populus balsamoides*, *P. latior*, *Salix varians*, *Sapindus falcifolius*, *Kadsura plaeojaponica*, *Castanea pliocatativa*, *Castanopsis furcinervis*, *Quercus kodorica*, *Q. kubinyi*, *Q. nerifolia*, *Fortunearia colchica*, *Carya minor*, *C. denticulata*, *C. mirabilis*, *C. serratifolia*, *Juglans regia fossilis*, *Lindera antique*, *Desmodium maximum*, *Gleditschia allemanica*, *Magnolia mirabilis*, *M. vittae*, *Schizandra grossheimii*, *Staphilea protocolchica*, *Halesia kodorica*, *Ulmus carpinoides*, *U. longifolia*, *Zelkowa ungeri*, *Vitis subintegra*.

გვიმრები - 1 სახე

Polipodium palaeoserratum.

ბალახები - 1 სახე

Sasa kodorica.

3).სუბქსეროფილური ზომიერადთბილი ტყის ფლორის ელემენტები (10,4%).

ხეები და ბუჩქები - მარადმწვანეები - 6 სახე:

Chamaerops humilis fossilis, *Arbutus elegans*, *Quercus sosnowskyi*, *Laurus fossilis*, *Ceratonia emarginata*, *Myrtus rectinervis*.

ხეები და ბუჩქები - ფოთოლმცვენები - 8 სახე:

Smilax aspera fossilis, *Cotinus coggygria fossilis*, *Pistacia miochinensis*, *P. terebinthus fossilis*, *Rhus rhomboidalis*, *Ceanothus ebuloides*, *Rubus codoricus*, *Celtis magnifica*

4) ზომიერი ტყის ფლორის ელემენტები (7,2%)

ხეები და ბუჩქები - ფოთოლმცვენები - 4 სახე:

Betula subpubescens, *Corylus protocolchica*, *Fagus orientalis fossilis*, *Spiraea salicifolia fossilis*.

ნყლისა და ჭაობის მცენარეები - 5 სახე:

Potamogeton aff. crispus, *Ruppia aff. Maritima*, *Typha latissima*, *Callitriches aff. Verna*, *Ceratophyllum cf. Demersum*.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით ირკვევა, რომ კოდორის პონტურ ფლორაში გაბატონებული იყო სითბოსმოყვარული მცენარეულობა, აქ ძირითადად წარმოდგენილია ტენიანი სუბტროპიკული და ზომიერად თბილი ტყის ელემენტები (83.4%), სითბოსმოყვარულ მცენარებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, ქსეროფიტებიც (10,4). ამრიგად, კოდორის ფლორაში წარმოდგენილი სითბოსმოყვარული ელემენტები 93,8%-ს შეადგენს. ხოლო ზომიერი ფლორის ეკოლოგიური ელემენტი წარმოდგენილია 7,2%-ით, ფოთოლმცვენი ტყის ხე და ბუჩქი და წყლისა და ჭაობის მცეარეულობის სახით.

კოდორის პონტური ფლორის ედიფიკატორებად გვევლინებია: *Liquidambar europeae*, *Alnus subcordata*, *Carpinus cuspiddens*, *C. uniserrata*, *Quercus kodorica*, *Q. sosnowskyi*, *Q. neriifolia*, *Carya denticulata* და დაფნისებრი ტყეების წინაპარი სახეები *Laurus pliocenica*, *Persea colchica*, *Oreodaphne heeri* და სხვა.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გარემო პირობებში არსებობდნენ კოდორის პონტური დროის მცენარეები, როგორ ტემპერატურას, ტენიანობას, სინათლეს და ოროგრაფიულ პირობებს ეგუებოდნენ, საჭიროა გადავხედოთ იმ გეოგრაფიულ რეფუგიუმებს, სადაც ამჟამად თავმოყრილია კოდორის პონტური ფლორის სახეთა ექვივალენტები. ა. კოლაკოვსკის (11) მიერ, კოდორის პონტურ ფლორაში გამოყოფილია შემდეგი რეფუგიულ-გეოგრაფიული ელემენტები.

1. პირობითად პანტროპიკული-5%
2. ინდომალაური - 9,8%.
3. მაკარონეზიული 5%,
4. აღმოსავლეთ აზიური -32%.
5. პირობითად ხმელთაშუაზღვური-13%.
6. ჩრდ.ამერიკული-15%.
7. ხმელთაშუა ზღვური- 11%.
8. პალეარქტიკული-2,5%.
9. კოსმოპოლიტური- 6%.

კოდორის პონტურ ფლორაში ჭაობობს აღმოსავლეთ-აზიური რეფუგიულ-გეოგრაფიული ელემენტი-32%. მნიშვნელოვანია ჩრდ. ამერიკული ელემენტის მონანილეობაც -15%. საყურადღებოა ხმელთაშუაზღვური რეფუგიულ-გეოგრაფიული ელემენტი--13%+11%.

კოდორის ფლორის **სუბტროპიკული ტყეების ელემენტები** (30%) ამჟამად გვხვდება სამ გეოგრაფიულ რეფუგიუმში, ეს სითბოსმოყვარული მცენარეები მიეკუთვნებიან პირობითად პანტროპიკულ, ინდო-მალაურ, მაკარონეზიულ და ნანილობრივ აგრეთვე ამოსავლეთაზიურ რეფუგიულ გეოგრაფიულ ელემენტებს. მაგრამ, აღნიშნულ ელემენტებს შედარებით ნაკლებ-მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ კოდორის პონტური ფლორის მცენარეული საფარის შექმნაში, რაც იმით აიხსნება, რომ მათთვის სასურველ ოპტიმალურ ბუნებრივ პირობებში არ იმყოფებოდნენ და ეს სითბოსმოყვარული ტროპიკული ფლორის ელემენტები, კოდორის პონტური ფლორისათვის რელიქტებს წარმოადგენდნენ. ისინი ძირითადად მთის ტენიანი სუბტროპიკული ტყეების შემადგენლობაში მონანილეობდნენ და ეგუებოდნენ შედარებით დაბალ ტემპერატურას ან ლოკალურად იყვნენ დაკავშირებული მზიანი სანაპირო ზოლის ფიტოცენოზთან ან კირქვიან, სამხრეთ ფერდობებთან,

კოდორის ფლორის ტროპიკული ნიშნების გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებით საინტერესოა პირობითად პანტროპიკული ელემენტი. პანტროპიკული ელემენტის როლი კოდორის ფლორაში 5%-ია. ამ პირობითად ტროპიკული მცენარეების ეკოლოგიური თვისებების შესწავლისას ირკვევა, რომ მათ აქვთ ტრანსფორმაციის და შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში არსებობის უნარი, ასე, მაგალითად, პანტროპიკული ელემენტის წარმომადგენლები *Cyclosurus fischeri*, *Jasminum paleopubescens* და ზოგიერთი სხვა. ხშირად ზომიერი ფლორის ზონა-

შიც კი გვხვდება. ე.ი. ტროპიკული მარადმწვანე მცენარეები სუბტროპიკული ან ზომიერადთბილი კლიმატის მცენარეებად გარდაიქმნებიან. მსგავსი მოვლენები ამჟამად თვალნათლივ შეიმჩნევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფლორაში. განვიხილოთ ამ გეოგრაფიული რეფუგიუმის ტენიანსუბტროპიკული ელემენტის ის თანამედროვე სახეები, რომლებიც კოდორის ფლორის ექვივალენტებს წარმოადგენენ, ტრანსფორმირებენ უფრო ჩრდილოეთით და ზომიერი კლიმატის ზონაშიც კი აღწევენ. ასეთი მცენარეებია *Schefflera colchica*, *S. integrifolia*, *Cinnamomophyllum marginatum*, *Lindera ovata*, *Litsea magnifica*, *Camellia abchasica*. აღნიშნულ მცენარეთა უმეტესობა სამხრ.-აღმოსავლეთ აზიის მთიან სუბტროპიკულ ფორმაციაში მონაწილეობს. ხოლო *Camellia abchasica*-ს ექვივალენტები ტაივანსა და სამხრ. იაპონიაში $-6,5^{\circ}$ ტემპერატურას ეგუებიან, ხოლო $22^{\circ} + 28^{\circ}$ -ია. აქედან, სავარაუდოა, რომ კოდორის ფლორაში, ტიპიური ტენიანი სუბტროპიკულის გვერდით, არსებობდნენ შედარებით ჩრდილოეთით ტრანსფორმირებული ტროპიკული სახეებიც, რომლებიც ზომიერად თბილი ჰავის ზონაშიც ვრცელდებოდნენ და უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებს ეგუებოდნენ ($-6,5^{\circ}$).

პირობით ტროპიკული ელემენტის შესახებ წარმოდგენას გვიფართოებს ინდო- მალაის ელემენტი. ამ გეოგრაფიულ რეფუგიუმში კოდორის ფლორის 12 ექვივალენტური სახეობა აღინიშნება. ისინი ინდო-მალაის მთიანი ტენიანი ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეების კომპონენტები არიან. აქ ტემპერატურის მინიმუმი $-2^{\circ} - 3^{\circ}$ -სა უდრის.

ასევე საყურადღებოა მაკარონეზის გეოგრაფიული რეფუგიუმი, სადაც კოდორის ფლორის 8 ექვივალენტური სახეობაა. აქ ტიპიურ სუბტროპიკულ დაფნისებრთა ტყეებს ქმნიან კოდორის პონტური და ევროპის ოლიგოცენურ-მიოცენური სუბტროპიკული ფლორების ექვივალენტები *Laurus canariensis*, *Persea indica*, *Oreodaphne foetida* და სხვა. ისინი მთაში ვრცელდებიან 700-1600მ., ხოლო *Pinus canariensis* (ესეც ნამარხი ფორმის ექვივალენტურია) ვრცელდება 1000-2000 მეტრამდე ზღვის დონიდან. აქ აგვისტოს ტემპერატურა $+21,9^{\circ}$ -ია, ზამთრის მინიმალური ტემპერატურა ზოგჯერ -7° -ს აღწევს, ასეთ შემთხვევაში მაკარონეზის სუბტროპიკული ტყეების ზოგიერთი ფორმები იღუპებიან. აქედან, პირობითად შეიძლება დავუშვათ, რომ კოდორის პონტური სუბტროპიკული ფლორისთვის ტემპერატურის მინიმალური ზღვარი -5° იქნებოდა. მაკარონეზის მთიან სუბტროპიკული ნალექების წლიური რაოდენობა მცირეა - 590 მმ, მაგრამ ატმოსფერული ტენიანობა ძალიან მაღალია. შესაძლოა, მსგავს პირობებში, ნისლიან, ღრუბლიან მთებში არსებობდა კოდორის პონტური ფლორის მარადმწვანე სუბტროპიკული დაფნისებრთა ტყეები. ზოგიერთ ავტორთა აზრით (12), ტროპიკულ მცენარეთა გავრცელება და შეგუება სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის პირობებთან უფრო ნალექების რაოდენობით და ატმოსფერული ტენიანობით (ნისლი, ღრუბლიანობა, ნამი) არის განპირობებული, ვიდრე თერმული რეჟიმით. თუმცა, რა თქმა უნდა, ტემპერატურას თავის მხრივ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. კოდორის პონტური ფლორის ე.წ. ტროპიკული ელემენტები *Trichosanthus*, *Elaeocarpus*, *Sterculia*, *Symplocos*, *Brassiopsis*, *Cedrella* და სხვა მრავალი გვხვდება ევროპის ოლიგოცენურ - მიოცენურ ფლორებშიც, სადაც ზომიერად თბილი და სუბტროპიკული კლიმატი იყო, რაც ადასტურებს, რომ კოდორის შედარებით ტროპიკული ეკოლოგიის მქონე მცენარეებს ჰქონდათ ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის უნარი.

ზემოთმოყვანილი მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოდორის პონტური ფლორის სუბტროპიკული ელემენტი მაღალი ტენიანობისა და შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებშიც არსებობდა.

კოდორის პონტურ ფლორაში გაბატონებული იყო ტენიანი ზომიერად თბილი ელემენტი (53%) და რაც მთავარია, იგი ლანდშაფტის შემქმნელის როლს ასრულებდა. აქ ფოთოლმცვენი ხე და ბუჩქი მცენარეები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ სუბტროპიკულ დაფნისებრთა მონაწილეობით, ჰქმნიდნენ ტყის ფორმაციებს.

ამ ელემენტისათვის დამახასიათებელი ფოთოლმცვენი სახეები *Liquidambar europaea*, *Alnus subcordata*, *Carpinus cuspis*, *Castanea pliosativa*, *Quercus kodorica*, *Q. kubinyi*, *Q. neriifolia*, *Carya denticulata*, *Platanus aceroides*, *Populus latior*, *Salix varians* ჰქმნიდნენ ზღვისპირა დაბლობის, მთის ფერდობების და ხეობების ტყის ფორმაციებს. მაგრამ ამ ზომიერად თბილი ტყის ფიტოცენოზებში, ისევე როგორც თანამედროვე კოლხეთის ფლორაში, ფოთოლმცვენ ფორმებთან ერთად მონანილეობდნენ ზომიერად თბილი ტყის მარადმწვანე ფორმებიც *Ilex falsani*, *Buxus sempervirens*, *Juglans gracilis* და შედარებით დაბალი ტემპერატურის ამტანი სუბტროპიკული მცენარეებიც *Camellia abchasica*, *Liquidambar europaea* და სხვ. ზომიერად თბილი ტენიანი ტყის ფლორის ელემენტების ერთი ჯგუფი დაკავშირებული იყო დაბლობის დაჭაობებულ ნიადაგებთან, ხოლო მეორე ჯგუფი მთის ფერდობების სუბსტრატთან. პირველი ჯგუფის სახეები ძირითადად ჩრდილო-ამერიკული რეფუგიუმის ექვივალენტებს წარმოადგენენ. ისტორიულად ჩრდილო-ამერიკული გეოგრაფიული ელემენტი შეესაბამება ჰოლარქტიკულ ელემენტს და მას ფართო გეოგრაფიული გავრცელება ჰქონდა მერიდიანული მიმართულებით, ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ და ზომიერადთბილ სარტყელში. აქ წარმოდგენილ დაჭაობებულ დაბლობის მცენარეებს (*Taxodium*, *Nyssa*, *Liquidambar*, *Styraciflua*) აქვთ საპარაფი ფესვები ან არსებულ ანაერობულ პირობებთან შეგუების რაიმე სპეციალიზაცია. მეორე ჯგუფია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური რეფუგიუმის ექვივალენტური ზომიერი ტყის ელემენტები, რომლებიც აგრეთვე ადაპტირებული არიან მთის გარემოსთან და დაქანებულ სუბსტრატთან (*Castanea*, *Corilus*, *Fagus* და სხვ.).

რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ჩრდ. ამერიკის დაბლობის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთის რეფუგიუმებში ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 1000-1500 მმ ფარგლებში. ზაფხულის თბილი თვეების ტემპერატურა $+22^{\circ}+27^{\circ}$ -ია, ხოლო ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი $-5^{\circ}-7^{\circ}$ -ია. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთიან ზონაში მინიმალური ტემპერატურა ხშირად მერყეობს $-4^{\circ}-5^{\circ}$ -ის ფარგლებში. ხოლო მაღალ მთის ძონაში ყინვა ზოგჯერ $-20^{\circ}-25^{\circ}$ -საც კი აღწევს. ალბათ, პონტური დროის ზოგიერთ მცენარესაც (*Liquidambar europaea* და სხვ.) ჰქონდათ ასეთი დაბალი ტემპერატურის ატანის უნარი.

კოდორის ფლორის 17 ნამარხი სახეობა მიეკუთვნება მთიან ხმელთაშუაზღვურ ელემენტს. მათ შორის აღსანიშნავია გვარ *Alnus*-ის 3 სახეობა, *Ilex falsani*, *Acer laetum pliocenicum*, *Periploca Graeca fossilis* და სხვა. ეკოლოგიურად, მთიანი ხმელთაშუაზღვური ელემენტი წარმოდგენილია ზომიერადთბილი, სუბტროპიკული და იშვიათად ზომიერი ტყის მცენარეულობით.

ამრიგად ზემოთმოყვანილი მცენარეების მიხედვით, კოდორის ფლორის სუბტროპიკული ტყის კლიმატი ზამთრის თვეებში დაახლოებით იქნებოდა $-3^{\circ}-5^{\circ}$, ხოლო ზომიერადთბილი ტყის $-6^{\circ}-7^{\circ}$. ზაფხულის თბილი თვეების ტემპერატურა $+22^{\circ}+25^{\circ}$, ნალექების წლიური რაოდენობა 1000-1500 მმ.

კოდორის პონტური ფლორის ლანდშაფტის შექმნაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა **სუბქსეროფილურ მცენარეულობას** (10%). ეს ელემენტი სახეობათა მცირე პროცენტული რაოდენობით არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ მცენარეთა განამარხებული ნაშთები მრავალრიცხოვანია. სუბქსეროფილური ეკოლოგიური ელემენტი წარმოდგენილია ხმელთაშუაზღვური მაკვისის ფონზე განვითარებული სავანებით, არიდული ტყეებით (*Pistacea*), უხეშფოთლიანი მარადმწვანე მუხებით (*Quercus ilex*, *Q. suber*), კოლხეთის ტიპის ქვეტყისა და ზღვის სანაბირო ზოლის ფიჭვებით (*Pinus pontica*, *P. pithysa*), მდინარის სანაპირო ზოლის ჭალის ტყეებით, თანამედროვე ჭადრის *Platanus orientalis* ექვივალენტური *P.lineariloba*-ს მონაწილეობით. მრავალადაა წარმოდგენილი *Quercus sosnowskyi*, *Arbutus elegans*, *Ceratonia emarginata*, *Smilax aspera*, *Celtis magnifica*-ს ფოთლის ანაბეჭდები. აღნიშნულ ფორმებს ვეგეტაციის უნარი $+6^{\circ}+27^{\circ}$ ტემპერატურაზე, მაგრამ ყინვას უძლებენ -3° , თითქმის -10° -მდეც (*Ceratonia*, *Arbutus*). ეს მცენარეე-

ბი ადვილად ეგუებიან ატმოსფეროს სიმშრალეს და მათთვის საკმარისია ნალექების წლიური რაოდენობა 550-750 მმ. ტენიანობის ასეთი მაჩვენებელი ზუსტად ნახევარია სუბტროპიკულ და ზომიერადთბილ ეკოლოგიურ ელემენტებთან შედარებით. სუბქსეროფილური მცენარეულობის საარსებო გარემო იქნებოდა მშრალი და მზიანი მთის ფერდობები და სანაპირო ზოლის კირქვიანი და კლდოვანი დაქანებები, საშუალოდ -3° + 27° -ს ტემპერატურის ფარგლებში და 550-750მმ წლიური ნალექების პირობებში. დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვხვდებით თანამედროვე აფხაზეთში, სადაც ამჟამად გავრცელებულია *Pinus pithyusa*, *Erica arborea*, *Cistus tauricus*, *Cotinus coggygria* და სიმშრალის მოყვარული დაბალტანიანი მუხები.

კოდორის ფლორაში წარმოდგენილია თანამედროვე, **ზომიერი ტყის ელემენტებიც**, თუმცა საკმაოდ შეზღუდული მნიშვნელით (7,2%). მცირე რაოდენობით არის განამარხებული *Betula*, *Corylus*, *Fagus*, *Spiraea*-ს ფოთლის ანაბეჭდები, რომლებსაც მთის მაღალ სარტყელში შეეძლოთ არსებობა, როგორც სუბტროპიკული, ასევე ზომიერადთბილი ჰავის პირობებში, ისინი ნორმალურად იტანდნენ მთის მკაცრ ზამთარსაც, თოვლიანი საფარველით და მინიმალური -23° - 25° ტემპერატურით. რაც შეეხება ჭაობის მცენარეულობას (*Typha latissima*, *Ceratophyllum cf. demersum* და სხვ.) ისინი კლიმატის მაჩვენებელი არ არიან, ვინაიდან განსხვავებულ კლიმატურ პირობებს ეგუებიან.

როგორც ვხედავთ, კოდორის ზედა პონტური ფლორის უმეტესი ნაწილი მთის ტენიანი ზომიერადთბილი და სუბტროპიკული ტყის, მცენარეულობით არის წარმოდგენილი (83,4%). სუბტროპიკული სახეების გარკვეული ნაწილი პალეოტროპიკულია, ტრანსფორმირებულია და პონტურ ფლორაში რელიქტების სახით არიან შემორჩენილი.

აქვე უნდა შევეხოთ დასავლეთ საქართველოს პონტური ფლორის პალინოლოგიური მე-თოდით შესწავლის შედეგებს (13), პალინოლოგიური ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ განვსაზღვროთ ნამარხი ფლორის მიკროსკოპული ნაშთები. სპოროვანები, წიწვიანები და ბალახოვანი მცენარეები თითქმის არ ტოვებენ მაკროსკოპულ ნაშთებს ან ფოთლის ანაბეჭდებს. ამიტომ, პალინოლოგიური მონაცემებით, პონტურ ფლორაში შედარებით ჭარბად არიან წარმოდგენილი ტენიანი სუბტროპიკული ტყეებისთვის დამახასიათებელი სპოროვნები, განსაკუთრებით, მთის ქვედა სარტყელში გავრცელებული ხისმაგვარი გვიმრები, ისინი პალინოლოგიურ სპექტრში ერთ მესამედს შეადგენენ. ნამარხი ფლორის ძირითად მასას ტყის მცენარეულობა წარმოადგენს, უმეტესად წიწვიან და სუბტროპიკულ მცენარეთა მიკროსკოპული ნაშთებით. ბალახოვნები შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი, თუმცა, სახეობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან.

ამრიგად, პალეობოტანიკური კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ პონტური ასაკის ფლორა წარმოდგენილია ზომიერი, ზომიერადთბილი და სუბტროპიკული ტყეებით და ქსეროფიტებით. ზომიერი და ზომიერადთბილი მცენარეულობა წარმოდგენილია თანამედროვე კავკასიური მთის ფოთოლმცვენი და შერეული ტყის ფორმაციებით. სუბტროპიკული ელემენტის ძირითადი შემადგენლობა სამხრეთალმოსავლეთ აზიური მთიანი სუბტროპიკული დაფნისებრთა ტყეების ფართო მონაწილეობით ხასიათდება. ქსეროფილური ელემენტი ძირითადად ხმელთაშუაზღვური მაკვისის ფონზე განვითარებული არიდული ტყეებისა და სანაპირო ზოლის ფიჭვების სახით იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება კლიმატური პირობების მონაცემებს, ფოთლების ანაბეჭდების შესწავლის შედეგებით შეიძლება ასე ვივარაუდოთ:

ეკოლოგიური ელემენტი	მინიმალური ტემპერატურა	მაქსიმალური ტემპერატურა	ნალექების წლიური რაოდენობა
სუბტროპიკული	-3° - 5°	$+22^{\circ}$ + 28°	1000-1500მმ
ზომიერადთბილი	-6° - 7°	$+22^{\circ}$ + 25°	1000-1500მმ
სუბქსეროფილური	-3° - 10°	$+6^{\circ}$ + 27°	550-750მმ

ზომიერი	-23° -25°	1000-1500მმ
---------	-----------	-------------

მცენარეული საფარის ცვლილება ქვედა, შუა და ზედა პონტურში გვიჩვენებს ტემპერატურის მატებას ქვედა პონტურიდან ზედა პონტურამდე. ათბობა დაიწყო შუა პონტური დროიდან.

პონტური დროის მცენარეულობა ძირითადად ტენიანი ტყის ფორმაციით იყო წარმოდგენილი. მცენარეულ საფარში ერთმანეთს ენაცვლებოდა წყლის სანაპირო ზოლის, მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყელის მცენარეულობა. წყლის სანაპირო ზოლის მცენარეულობა წარმოდგენილი იყო ფიჭვნარებით, ხისმაგვარი გვიმრებით, ჭაობის მცენარეულობით და ჭალის ტყეებით. მთის კირქვიანი ფერდობები დაფარული იყო ქსეროფიტებით. მთის შუა სარტყელში დომინირებდა ზომიერი და ზომიერადთბილი, შერეული ფოთოლმცვენი ტყეები, მარადმწვანეთა, განსაკუთრებით დაფნისებრთა ფართო მონაწილეობით, ლიანებით და ნიწვიანებით. უფრო მაღლა, სახეობრივი სიმრავლით გამორჩეული წიწვიანი ტყეები იყო გავრცელებული. ლანდშაფტის ასეთი მრავალფეროვნება და მცენარეთა მრავალსახეობა გვიჩვენებს მათ ზონალურ განლაგებას მთიანი რელიეფის გარემოში. პონტური ფლორის ლანდშაფტს ძირითადად ჰქმნიდა ზომიერი და ზომიერად თბილი, ტენიანი ტყის ფორმაცია. უნდა აღინიშნოს, რომ პონტური ტყეები იყო პოლიდომინანტური, თუმცა მცენარეულ საფარში, ზოგადად, დომინირებდა ზომიერადთბილი ხე და ბუჩქი ტყის სახეები (52.9%), სუბტროპიკული სახეები რაოდენობრივად, შედარებით დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ (30%), მაგრამ შეცვლილ გარემოპირობებთან ადაპტირებით, მათ შეინარჩუნეს უფრო ძველი, მიოცენური სუბტროპიკული სახეობები და პონტური ფლორის შემადგენლობაში განაგრძობდნენ არსებობას. თუმცა, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ფლორაში მათი 70% უკვე გადაშენებულია და ამჟამად მათი წარმომადგენლები შემორჩენილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის, ჩრდილო ამერიკის, მაკარონეზის და ხმელთა-შუა ზღვის რეგიონის მცენარეულ საფარში. ამჟამად, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლისა და მთიანი რელიეფის გარემოში ნაწილობრივ მაინც შემორჩა ძველი, ტენიანი სუბტროპიკული ფლორის წარმომადგენლები, რაც თანამედროვე ლანდშაფტს ორიგინალურ იქრს აძლევს.

რეზუმე

დასავლეთ საქართველოს პონტური დროის ფლორა და კლიმატი ნამარხი მცენარეული ნაშთების მონაცემებით

შრომა წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს პონტური (ქვედა პლიოცენი) ასაკის კლიმატისა და მცენარეული საფარის აღდგენის ცდას ნამარხი ფლორის შესწავლის საფუძველზე. ირკვევა, რომ დას. საქართველოს პონტური ფლორა იზრდებოდა წყლის სანაპიროს და მთაგორიანი რელიეფის გარემოში და წარმოდგენილია ზომიერი(7,2 %), ზომიერადთბილი (53%), სუბტროპიკული მცენარეულობით (30%) და ქსეროფიტებით(10%). სავარაუდო, საშუალო -10°, -3° - და +28° ტემპერატურის და 1000 – 1500 მმ ტენიანობის ფონზე.

მცენარეულ საფარში ძირითადად მონაწილეობდნენ ფოთოლმცვენი, წიწვიანი და მარადმწვანე ხე და ბუჩქი მცენარეები, ხისმაგვარი გვიმრანაირები და ბალახები, რომლებიც ზონალურად იყვნენ განლაგებული წყლის სანაპირო ზოლიდან მაღალ მთებამდე და ქმნიდნენ ტენიან შერეულ ფოთოლმცვენ და ნიწვიან ტყეებს, სუბტროპიკულ მარადმწვანე მცენარეთა და გვიმრანაირთა მონაწილეობით. მცენარეული საფარის ცვლილება ქვედა, შუა და ზედა პონტური დროის განმავლობაში გვიჩვენებს ტემპერატურის მატებას ქვედა პონტურიდან ზედა პონტურამდე. ათბობა დაიწყო შუა პონტურიდან.

ამჟამად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, პონტური დროის მცენარეთა 70% გადაშენებულია, მათი ანალოგები შემორჩენილია აღმოსავლეთ და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზის, ჩრდ. ამერიკის, მაკარონეზის და ხმელთა-შუა ზღვის რეგიონის მცენარეულ საფარში.

Резюме

Понтическая флора и климат Западной Грузии по данным ископаемого материала

Статья посвящается вопросу изучения флоры и климата понтического века Западной Грузии. Установлено, что флора Понтического века произрастала в условиях горного рельефа. Растения были расположены зонально, от побережья водоемов до высокогорных поясов, создавая широколиственные, влажносубтропические и хвойные леса с участком древовидных папоротников и трав. В среднем, при температуре -10° , -3° $+28^{\circ}$ и влажности 1000 -1500мм. Здесь в основном представлены следующие экологические элементы: умеренные - 7,2%, теплоумеренные - 53%, субтропические - 30% и ксерофильные - 10,4%

Растительный покров менялся от нижнего пункта до верхнего указывая постепенное повышение атмосферной температуры от нижнего пункта - до верхнего. Потепление началось со среднего пункта.

Ныне на территории Западной Грузии 70% -ов растений понтического века вымерло, их современные аналоги произрастают во флорах Восточной и Юго-восточной Азии, Северной Америки, Макаронезии и в области Средиземноморья.


Resume

Flora and climate of the Pont layer of the West Georgia according to the remains of fossil vegetation

The work represents the attempt of reconstruction of flora and climate of Pont layer (Lower Pliocene) on the grounds of studying of fossil vegetation. It turns out that the flora of Pont layer of West Georgia grew up on the coast of water and mountainous terrain, and was represented by vegetation of mild (7,2 %), mild warm (53 %), subtropical (30 %) zones and xerophytes (10 %), supposedly, at the background of temperature at an average from -10° , -3° to $+28^{\circ}$ and humidity of 1000-1500 mm. The vegetation mainly was represented by deciduous and evergreen trees and bushes, tree-like ferns and grasses, which were located according to the zones, from the coastland to the high mountains, and created humid, mixed deciduous and coniferous forests, along with subtropical evergreen and fern-like vegetation. The change of the vegetation cover during the lower, middle and upper Pont layers shows the increasing of temperature from lower Pont to the upper Pont. The warming period started from the middle Pont. At present, 70% of the vegetation of Pont layer is extinct on the territory of West Georgia. Their analogues are still preserved in the vegetation cover of East and South-East Asia, North America, Macaronesia and Mediterranean region.

ლიტერატურა

- Палибин И.В. 1930 – Разведочные работы полевых партий геолого-разведочного нефтяного института в 1928/29г.г. Приложение к №3 «Нефтяного хозяйства» с.53.
- Палибин И.В. 1938 – Ископаемые сосны Западного Закавказья. Сборник работ, посвященных памяти акад. Фомина. АН УССР.
- Мчедлишвили П.А. 1954 – Новые данные о понтических растительных остатках Грузии. ДАН СССР, том 96, №1. с. 185.
- მჭედლიშვილი ფ. 1954 – დასავლეთ საქართველოს პონტურ ნალექებში *Pinus pithyusa* Strandw. გირჩის პოვნის შესახებ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XV, #7. გვ. 525.
- მჭედლიშვილი ფ. 1956 Биостратиграфическое значение и палеоэкология неогеновых флор Кавказа. Автореферат диссертации. Изд. АН ГССР «Мецниереба».
- Колаковский А.А. 1961 – Понтическая флора Пицунды. Тр. сух. бот. сада, т. XIV с. 37.
- Колаковский А.А. 1955 - Плиоценовая флора Меоре-Атара. Тр. сух. бот. сада, т. VIII.
- Колаковский А.А. 1957 - Первое дополнение к кодорской плиоценовой флоре (Меоре-Атара). Тр. Сух. бот. сада, т. X. с. 235.
- Колаковский А.А. 1959 - Второе дополнение к кодорской плиоценовой флоре. Тр. сух. бот. сада, т. XII. с. 209.
- Колаковский А.А. 1960 - Третье дополнение к кодорской плиоценовой флоре. Тр. сух. бот. сада, т. XIII.
- Колаковский А.А. 1964 - Плиоценовая флора Кодора. Изд. АН ГССР, Сухуми.
- Вульф Е.В. 1944 - Историческая география растений. История флор земного шара. АН СССР.
- Рамишивили И.Ш. 1969 – Понтическая флора Западной Грузии по данным палинологического анализа. Тбилиси, Изд. «Мецниереба».
- Узнадзе М.Д. 1965 – Неогеновая флора Грузии. Изд. Геол. ин-та АН ГССР.



ნორჩი ბირნათალები



ალექსანდრე ლეთოდიანი
თბილისის 167-ე სკოლის მოსწავლე



ინტერვიუ 167-ე სკოლის დირექტორთან ქალბატონ ელენე ფუტკარაძესთან

– მოგესალმებით ქალბატონო ელენე, მოხარული ვარ, რომ თბილისის 167-ე სკოლის მოსწავლეს, ალექსანდრე ლეთოდიანს, მომეცა საშუალება ჩემივე სკოლის დირექტორთან მქონოდა ინტერვიუ.

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ ჩემი სკოლის წარჩინებული მოსწავლე მოდის ინტერვიუს ასაღებად.

– ქალბატონო ელენე ბავშვობაში თუ გოთცნებიათ დირექტორობაზე?

– უნდა ვაღიარო, რომ ადრეულ ბავშვობაში იურისტი მინდოდა. მაგრამ ერთხელ, გეორგიევსის

ტრაქტატის ორასი წლისთავის იუბილეზე, ვიყავი ქალაქ გეორგიევსკში ექსკურსიაზე. იმდენად მომენტი იქ ერთ-ერთი სკოლა, მოწესრიგებული კლას- კაბინეტებით, ლაბორატორიებით, რომ მაშინვე გავიფიქრე, გავმხდარიყავი მეც სკოლის დირექტორი და ასეთი სასწავლებელი მქონდა. ახლა, ეტაპობრივად, ნელ-ნელა, შევეცდებით არა თუ ისეთი, არამედ უკეთესი სკოლა გვქონდეს.

– გთხოვთ, მიამბოთ თქვენი პროფესიული გამოცდილების შესახებ.

– ჩემი პროფესიული გამოცდილება ინყება იმით, რომ 1986-1991 წლებში ვიყავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. 1992 წლიდან დავიწყე მუშაობა განათლების სისტემაში. თავდაპირველად ვმუშაობდი 149-ე საჯარო სკოლაში, სადაც ვიყავი რელიგიისა და კულტურის მასწავლებელი, შემდეგ დირექტორის მოადგილე 1996 წლიდან. 2005-2007 წლებში გახლდით ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ასე რომ, ამ კუთხით მაქვს ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება. შემდეგ, რამდენიმე თვე, 2007 წლის აგვისტო-ნოემბერში, ვიმუშავე 172-ე სკოლაში დირექტორის მოადგილედ. ამ სასწავლებელში, ორივე შემთხვევაში, კონკურსის წესით მოვხვდი. 2014 წლის სექტემბრიდან 167-ე სკოლაში ვარ.

– ამაყობთ თუ არა, რომ დღეს თქვენ 167-ე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობთ?

– სიამაყისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩემთვის ეს არის დიდი პატივი, იმიტომ, რომ ეს არის ერთ-ერთი წარმატებული სკოლა და ჩვენ შევეცდებით, რომ ჩემი წინა კოლეგების დაწყებული გზა გავაგრძელოთ და კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გავხადოთ 167-ე საჯარო სკოლა. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი წინამორბედი კოლეგების გამოცდილებას

– რა გეგმები გაქვთ დასახული მომავლისათვის?

– აი, რაც ცოტა ხნის წინ აღვნიშნე, რომ სკოლა კონკურენტუნარიან გარემოში არის. ის გლდანის მეორე მიკრორაიონში მდებარეობს, ჩვენთან ახლოს ძალიან წარმატებული სკოლებია: 114-ე სკოლა, 136-ე სკოლა, 160-ე სკოლა და ჩვენი პოზიცია და სურვილიც ისეთია, რომ ტოლი არ დავუდოთ მათ. ყოველწლიურად შევეცდებით, რა თქმა უნდა კოლეგების დახმარებით, პედაგოგების დახმარებით, ბავშვების მოტივაციის ამაღლებით, რომ სასწავლო პროცესის საშუალო მაჩვენებელი ავამაღლოთ და წანდათან უკეთესი მაჩვენებლისაკენ. მართალია ამას

დასჭირდება დრო, ეს ასე სწრაფად არ განხორციელდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენთან ერთად, ჩვენ ამას შევძლებთ.

- მე ნორჩი ლიტერატორი ვარ, ჩვენივე სკოლის ლიტერატურულ- შემოქმედებითი წრის წევრი, ნორჩი უურნალისტი, რას გვისურვებთ მოსწავლეებს?

- ძალიან მიხარია, თქვენ ნამდვილად მეამაყებით, იმიტომ რომ თქვენი ლიტერატურული წრის ერთ-ერთი გულშემატკივარი მე გახლავართ. ასევე, სკოლა მონაწილეობს უურნალ „ათინა-თის“ გამოშვებაში. ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, ვიძენთ ხოლმე ამ უურნალებს და საჩუქრად გადავცემთ წრის აქტიურ წევრებს. მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატება გქონდეთ და უურნალი „ათინა-თი“ გამოიცემოდეს არა მარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველო მოიცვას, იმიტომ, რომის არის ძალიან საინტერესო, იქ არის არა მარტო თქვენი თაობა, არამედ ჩემი კოლეგებიც წერენ, ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც თანამშრომლობენ, მინდა, რომ მას წარმატება ჰქონდეს. ასევე ხაზს გავუსვამ, რომ მე ვარ ძალიან დიდი ახლობელი და გულშემატკივარი ქალბატონ გულწაზი ხარაიშვილისა, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, როგორც ჭეშმარიტ მანდილოსანს, როგორც ღირსეულ ქალბატონს, დედას, ბებიას და მინდა, რომ ის წარმატებული ადამიანი იყოს.

- დიდი მადლობა, რომ უპასუხეთ ჩემს ყველა შეკითხვას.

- მადლობა თქვენ, რომ მოპრძანდით ჩვენთა. წარმატებას გისურვებთ მთელი გულით და ყოველივე საუკეთესო მისურვებია.



ლიკა გოგინაშვილი

ინტერვიუ ვალერი მოსიაშვილთან

მოგესალმებით ბატონო ვალერ, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული უურნალ „ათინა-თის“ წორჩი ათინათელი, თბილისის №51-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ლიკა გოგინაშვილი

მაინტერესებს თქვენი ბავშრობის ნლები, რას მიამბობთ ამის შესახებ.

ბავშვობის წლები, როგორც უმეტესობას მეც კარგად და სასიამოვნოდ მაგონდება, უდარდელი, უზრუნველი, აქტიური, თავგადასავლებით დატვირთული და საკმაოდ საინტერესო. ბავშვობის წლები-

დან ყველაზე მეტად მაგონდება ჩემი მეგობრები, რომელთან ერთადაც ვთამაშობდი ფეხბურთს, დავდიოდი მდინარეზე. ასევე კარგად მაგონდება სკოლის წლები, რამდენადაც მთელი რვა წლის განმავლობაში კლასში ხუთი მოსწავლე, ხუთივე ვაჟი ვიყავით და დღემდე ერთმანეთთან დიდი სიყვარული და მეგობრობა გვაკავშირებს.

ჩემი ბავშვობის გახსენებისას არ შემიძლია არ გავიხსენო დედულეთი, კერძოდ საჩხერის რაიონი, სოფელი ხვანი, მართლაც შეუდარებლად ლამაზი, მდიდარი ბუნებრივი სილამაზით და მოსახლეობით. სწორედ აქ მდინარე ძირულაზე ვისწავლე ცურვა, აქ დავიჭირე პირველად ხელში ანკესი. აქ ამ სოფელში ჩემს ბიძაშვილებთან გატარებულმა წლებმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში და დიდი როლი ითამაშა, ჩემი როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ოჯახში რამდენი დედ-მამიშვილი ხართ?



ოჯახში სამი დედმამიშვილი ვიყავით, მე უფროსი გახლდით. ჩემი ბავშვობის წლები თავის-თავად უკავშირდება ჩემს დებს. ერთმანეთთან ბუნებრივია დიდი სიყვარული და პატივიცემა გვაკავშირებდა და დღემდე გვაკავშირებს. მიუხედავად იმისა რომ ერთმანეთს კარგად ვენიყობლით, ფაქტობრივად ყოველგვარი ბავშვური კონფლიქტისა და უთანხმოების გარეშე გავატარეთ ბავშვობა, ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპზე სამივემ განსხვავებული პროფესია ავირჩიეთ. მე ფინანსისტი გავხდი, ჩემი დებიდან ერთი დაწყებითი განათლების პედაგოგია, მეორე გეოგრაფი, თუმცა ეს სულაც არ გვიშლის ხელს საერთო ინტერესი და ფასეულობები გვქონდეს.

რა პროფესიის ბრძანდებით?

თუ მხედველობაში გაქვთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, მაშინ მე ამ პერიოდს დავყოფდი ორ ნაწილად. პირველი, როცა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა გავაგრძელე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, კერძოდ 1996 წლიდან, სადაც გავაიარე გზა უფროსი ლაბორატოის თანამდებობიდან წამყვანი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე, ამ წლებმა გარდატეხა შეიტანა ჩემს ცხოვრებაში და მეტნილად განაპირობა, ჩემი როგორც პროფესიონალი მეცნიერ-ეკონომისტის ჩამოყალიბება და ფაქტობრივად განსაზღვრა ჩემი ცხოვრების შემდგომი პერიოდი. შემდეგ დავამთავრე ასპირანტურა და დავიცავი ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეორე პერიოდი სამსახურებრივ კარიერაში იწყება 2000 წლიდან, როცა უკვე დავიწყე ლექციების კითხვა და გავიარე გზა ასისტენტობიდან სრულ პროფესიონალიდან. ეს ეტაპი გრძელდება დღემდე.

ამჟამად რითო ხართ დაკავებული?

ამ ეტაპზე მეტნილად დაკავებული ვარ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ლექციების კითხვით, რომელსაც ვუთავსებ ადმინისტრაციულ თანამდებობასაც, რამდენადაც ეს საკმაოდ საინტერესო საქმიანობაა და მეხმარება ჩემი შესაძლებლობების რეალიზებაში. თუმცა, როგორც კი თავისუფალი დრო მაქვს ვუბრუმნდები ჩემს საყვარელ საქმიანობას, რაც გამოიხატება ზოგადად ეკონომიკის, და კონკრეტულად ფინანსების სფეროში კვლევით საქმიანობაში. ვწერ სტატიებს, სხვადასხვა სალექციო კურსის სტუდენტებისთვის. არ მავიწყდება საზოგადოებრივი საქმიანობაც, ვთანამშობლობ რამოდენიმე უურნალთან, ენციკლოპედიასთან, სტუდენტების თხოვნით ვატარებ საჯარო ლექციას და ტრენინგს ჩემი კომპეტენციის ფარგლებში.



რას მიამბობთ თქვენი მშობლების შასახებ?

ჩემს ასაკში ძნელია ისაუბრო მშობლებზე და იყო მიუკერძოებელი. როგორც ყველას მეცვიქონობ რომ ჩემი მშობლები იყვნენ გამორჩეულები თავიანთი შრომისმოყვარეობით, სათნოებით, პატიოსნებით და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მე და ჩემმა დებმა ცხოვრებაში მეტნაკლებად წარმატებას მივაღწიეთ, მათი დამსახურებით შევძელით მიგვეღო ღირსეული განათლება და რაც მთავარია ვყოფილიყავით საზოგადოების ღირსეული წევრები. სწორედ მშობლების დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ერთ პატარა სოფელში გაზრდილმა ოჯახის სამივე წევრმა შევძელით და მივიღეთ უმაღლესი განათლება და ჩვენს სფეროში გარკვეული წარმატყებას მივაღწიეთ.

დაოჯახებული ხართ?

დიახ ვარ დაოჯახებული. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

თქვენი შვილები კარგად სწავლობენ?

რაც შეეხება შვილებს ჯერ სკოლის მოსწავლეები არიან. კარგი მოსწავლეები არიან, თუმცა როგორც ყველა მშობელს კიდევ მეტის სურვილი და მოლოდინი მაქვს მათგან. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, რომ ისინი გაიზარდონ შრომისმოყვარე, პატიოსანი, თავისი ქვეყნის პატრიო-

ტები, შეეძლოთ ღირსეული სიტყვა თქვან ცხოვრებაში, მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება. ის თუ რამდენად მივაღწევთ ამას, დრო გვიჩვენებს.

რა პროფესიისა თქვენი მეუღლე?

ჩემი მეუღლე, ქათევან ცაბაძე სპაციალობით პედაგოგია, აქედან გამომდინარე გარკვეული თანხვედრაა პროფესიულ ასპარეზზე. ჩვენ დაოჯახებამდეც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვიცნობდით ერთმანეთს და როცა მივხვდით, რომ ერთნაირი ფასეულობები და მისწრაფებები გვქონდა გადავწყვიტეთ დაოჯახება. ბავშვებთან გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მას უფრო მეტად უნევს დროის გატარება და მეც ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავეხმარო, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს შვილებს გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები.

რამდენი წიგნის ავტორი ხართ?

ამ ეტაპზე ვარ ათი წიგნის ავტორი, რომელთაგან ორი მონოგრაფიაა, სამი დამსმარე სახელმძღვანელო და დანარჩენიც სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების-თვის.

თქვენი წიგნებით სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. რას იტყვით ამის შესახებ?

მადლობთ ასეთი შეკითხვისთვის. ჩემი წიგნები, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე განეკუთვნება ზოგადად ეკონოკის სფეროს, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით ფინანსებსა და საბანკო საქმეს. ძირითადად გადმოცემულია მიმდინარე ეტაპის აქტუალური საკითხები, რომელიც საინტერესოა როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე საზოგადოების შედარებით ფართე ფერებისთვის, რამდენადაც ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში დაინტერესების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

რომელი რაიონიდან პრძანდებით?

გავიზიარდე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონში – შიდა ქართლში, კერძოდ კი ქარელის რაიონის სოფელ საციხეურში, რომელიც მდებარეობს დასავლეთ ფრონის ხეობაში და სწორედ ამ ხეობამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი როლი ითამაში ჩემი, როგორც პირვენების ჩამოყალიბებაში, აქ ვისწავლე მეგობრისა და მოყვასის სიყვარული, შევიძინე ადამიანური ფასეულობები. და თუ რამ პოზიტიური მაქს სწორედ დიდწილად ამ რეგიონიდან მაქს. აქედან გამომდინარე ჩემთვის ძალიან მძიმეა არსებული სიტუაცია, როცა ჩემი მშობლიური კუთხე, საქართველოსთვის ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობას წარმოადგენს.

იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?

მქონდა პატივი და რამდენჯერმე პირადად შევხვდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რამდენადადც ეს იყო მართლაც შესანიშნავი პირვენება, მსოფლიო დესპანი, მოგზაური და მკვლევარი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პოპულარიზაციაში მსოფლიოს მასშტაბის. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა და მისი ცხოვრების განვლილი გზა არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რას შეიძლება მიაღწიო ადამიანმა დაუღალავი შრომით და მონდომებით, რომ ნარმატებისკენ სწრაფვა და დიადი გეგმების რეალიზება არას-დროს, არც ერთ ასაკში არ არის გვიან.

თქვენი მასალები რომელ უურნალში იბეჭდება?

მიმდინარე ეტაპზე ვთანამშრომლობ რამდენიმე სამეცნიერო უურნალთან. მათ შორის ჩვენს საყვარელ „ათინათათან“, რომელთანაც რადენიმენტილიანი ნაყოფიერი და შედეგის მომტანი პარტნიორული ურთიერთობა მაკავშირებს. ასევე ვარ საერთაშორისო სამცნიერო უურნალის „სეულ&მეცნიერება“ მთავარი რედაქტორი, რომლის ფურცლებიდან ვცდილობთ გავესაუბროთ ჩვენს მკითხველს, მივაწოდოთ მრავალმხრივი, კვალიფიციური და ობიექტური ინფორმაცია. ეტაპობრივად ვაქვეყნებ სტატიებს ისეთ უურნალებში, როგორიცაა – „ეკონომიკა“, „ბიზნეს ინჟინერინგი“ და სხვ.

რას იტყვით უურნალ „ათინათის“ შესახებ?

როგორც მოგახსენეთ უურნალ ათინათათან საკმაოდ ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის არც თუ ისე მცირე დრო მაკავშირებს, შესაბამისად ვფიქრობ ეს უურნალი მართლაც კარგ საქმეს აკეთებს და ერთგვარი ნოვატორია და ამკვიდრებს ახალ სტილს სამეცნიერო უურნალებს შორის, როცა პროფესიონალ, თავისი სფეროს ცნობად ადამიანებთან ერთად საშუალებას აძლევს ახალ თაობას მოსინჯოს შესაძლებლობები და ჩამოყალიბდეს თავი-

სი საქმის კარგ მცოდნედ. უურნალს ვუსურვებ კიდევ უფრო მრავალფეროვან რუბლიკას, ტირა- უის სიხშირეს და რაც მთავარია ღირსეულ და ობიექტურად შემფასებელ მკითხველს.

გიყვართ ბავშვები?

ბავშვები, ასე ვთქვათ ჩემი სისუსტეა და შესაბამისად ძალიან მიყვარს. დღესაც როგორც თავისუფალი დრო გამიჩნდება და ამის საშუალება მაქვს სიამოვნებით ვთამაშობ ბავშვებთან ერთად ვსაუბრობ მათთვის საინტერესო თემებზე, ვაძლევ დარიგებებს და მინდა გავულამაზო ბავშვობის წლები.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ბავშვი?

ალბად გამიჭირდება გამოვყო ერთი ან თუნდაც ორი და სამი თვისება, რომელიც ჩემი აზ- რით კარგი იქნება ბავშვებისთვის, რამდენადაც მინდა ახალ თაობას ქონდეს ღირსებისა და პოზიტივის მთელი კომპლექსი. თუმცა მაინც გამოვყოფი ზოგიერთ მათგან, ვფიქრობ კარგი იქნება და აუცილებელიცაა ბავშვები, ჩვენი საყვარელი მომავალი თაობა იყოს შრომისმოყვარე, კაცობრიობის მეობრული, სათნო, ალტრუისტი, გნათლებული, ეროვნული და ზოგადსაკა- ცობრიობის მცოდნე და მატარებელი, თავისი ქვეყნის პატრიოტი.

თქვენი განვლილი წლებიდან რას გაიხსენებდით ყველაზე საინტერესოდ?

სიმართლე გითხრათ ამ საკითხზე ჯერ არ დავფიქრებულვარ, თუმცა განვლილ წლებს თუ გადავხედავ იყო წარმატებებიც, წარუმატებლობას, პოზიტიური პერიოდი და ნეგატიური პერი- ოდიც. მთლიანობაში დიდი ალბათობით დიდს არაფერს შევცვლიდი. ეს არ ნიშნავს რომ შეცდო- მები არ დამიშვია, მაგრამ როგორც ჩანს იმ ხარისხის შეცდომა არ დამიშვია დიდად დამმახსოვ- რებოდა ან დამჩნეოდა ჩემს განვლილ გზას. ჩემს თავს ვსაყვედურობ, რომ გარკვეული პერიო- დის მანძილზე ვიყავი ნაკლებ აქტიური და მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მომლოდი- ნე. ამ გადასახედიდან შემიძლია ვთქვა რომ იმ ეტაპზე სასურველი იყო მეტი აქტიურობა გამო- მეჩინა, რაც პოზიტიურობას წაადგებოდა, როგორც ჩემს კარიერას, ასევე საზოგადოების იმ ნა- წილს ვისთანაც მქონდა საქმიანი ურთიერთობა.

რას უსურვებთ მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ, რომ ეს იყოს თაობა ერთ-ერთი გამორჩეული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, შეძლონ როგორც ყველამ ერთად, ასევე თითოეულმა ცალ-ცალკე მოახდინონ თა- ვიანთი შერსაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება, საზოგადოებაში ინტეგრაცია ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე წარმატების მიღ- წევა შეუძლებელია, მსოფლიო თანამეგობრობაში აქტიური თანამშრომლობის გარეშე. ყოველი- ვე ეს კი შეუძლებელია დროის შესატყვისი განათლების მიღების გარეშე, რამდენადაც ინტე- ლექტის მაღალი დონე უნდა გახდეს და გახდება კიდეც მათი და შესაბამისად მთელი საზოგა- დოების კეთილდღეობისა და წარმატების ბაზისი, საწინდარი. მომავალი თაობა, ეს საზოგადოე- ბის ის სეგმენტია, რომელზეც თვით საზოგადოების, ქვეყნის პერსპექტივა და მომავალია დამო- კიდებული.



მარიამ ხვედელიძე

ინტერვიუ მოძღვართან – მარიამ ხვედელიძე

მარიამ ხვედელიძე, რომელმაც ჩანერა ინტერვიუ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესი- ის წინამდღვართან – მამა მირიანთან, პატარა, ნიჭიერი გოგონაა, რომელსაც გასაოცარი ხმა აქვს (შეიძლება ითქვეს – ფენომენალური), და მღერის სხვადასხვა ღონისძიებებზე. საერთო- დაც, იგი ყოველმხრივ აქტიური ბავშვია. ეს ინტერვიუ, დიდებულ მოძღვართან, ზღვისპირა ქა- ლაქში – ურეკში ჩანერა მარიამმა, ურეკში, სადაც რამოდენიმე წლის წინ დაფუძნდა მთავარან- გელოზის სახელობის ტაძარი.

– მამაო, როდის აშენდა ეს ტაძარი?

– ეს ეკლესია (ტაძარი) აშენდა ორიათასრვა წელს. იგი მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობისაა, და რადგანაც ორშაბათია ანგელოზის დღე, ამიტომაც აქ წირვა ორშაბათს არის. კვირას საღამოსაა ლოცვა. საერთოდ, იცი ალბათ, რომ ორშაბათი ანგელოზის დღეა, სამშაბათი – ნათლისცემისა, ოთხშაბათი – ღვთისმშობლისა, ხუთშაბათი – მთავარ მამათა პარასკევი – ჯვრის თაყვანისცემისა, შაბათი – მიცვალებულთა, ხოლო კვირაა დღე ბრნყინვალე აღდგომისა.

– მამაო, მოვციყევით რაიმე თქვენი წარსულის შესახებ, როგორც ამ ეკლესის წინამდღვარი.

– აბა რა გითხრა, ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ცოტა ზარმაციც, მაგრამ მაინც კარგად ვსწავლობდი. ეტყობა, ნიჭი მქონდა. წარმოიდგინე, ზარმაცი-მეთქი, ვთქვი, და სკოლა მაინც კი ოქროს მედალზე დავამთავრე. მერე პირველივე გამოცდაზე უმაღლესი ნიშანი მივიღე, ასე ჩავირიცხე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ცხოვრებაში ბევრ აღმასვლასთან ერთად ბევრი ჩავარდნაც მქონია, მქონდა, როცა მძიმე დრო იყო. მოკლედ, ბევრი რამ გამოვიარე. მე ჩაბმული ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში და გურია-აჭარის რეგიონში ერთ-ერთი აქტიური ფიგურა ვიყავი, გახლდით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

– სასულიერო გზა როდის და როგორ აირჩიეთ?

– ეს რთული თემაა, მთლად ასეც არაა, რომ შენ აირჩივ და... არის ხაზი, რომელსაც მიყვები, ხოლო თუ დიდია შენი სურვილი, ნებისყოფა, მიზანსაც აღწევ ხოლმე... ორიათასექვსში მეუფე იოსებმა მაკურთხა, მიტროპოლიტმა. მე სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე.

ორიათასშვიდში ჯერ დიაკვნად მაკურთხეს, ხოლო მერე – მღვდლად.

– როგორ უნდა გაძლიერდეს რწმენა ადამიანში და როგორ უნდა გაძლიერდეს თვით ადამიანი სარწმუნოებაში? აი, მაგალითად, თქვენ როდიდან გაძლიერდით სარწმუნოებაში?

– ო, ეს კიდევ უფრო რთული საკითხია, და ასე ევერ ვიტყვი, თუ როგორ და როდიდან ძლიერდება ადამიანი. ეს ყოველივე ნელი პროცესია, ამას ერთბაშად ვერ აცნობიერებ, ღმერთი ნელა შემოდის სულში, მისი ნათლით ნელ-ნელა ივსება სული ადამიანისა. უნდა ელტვოდეს პიროვნება გზას უფლისას და უფალიც აუცილებლად მონახავს მას. მწყემსი კეთილი არასოდეს დაკარგავს თავისი სამწყსოდან ერთ ვინძესაც კი.

– მამაო, რამდენად რთულია აღსარების პროცესი საერთოდ, და დაგიმალავთ თუ არა ოდესმე საკუთარი მოძღვრისათვის ერთი ცოდვა მაინც?

– აღსარების პროცესი მეტ-ნაკლები სირთულის არის. ადამიანს სცხვენია საკუთარი ცოდების გამო, და კარგია, როცა იგი მიმხვდარია, რომ ცოდვა ჩაიდინა (უბედურებაა, თუ ის ვერც აცნობიერებს ამას): როცა აცნობიერებს და სცხვენია, ესე იგი, ნანობს, შეეცდება, რომ ცოდვა აღარ ჩაიდინოს. უნდა გადალახო სირცხვილი იმ მხრივ რომ პირველივე აღსარებაზე წრფელი იყო და მართალი. თავიდან, რათემა უნდა, უფრო რთულია ეს პროცესი. მერე და მერე, როცა ეჩვევი სულიერ მოძღვარს, როცა უფრო და უფრო იზიარებ ჭეშმარიტ გზას, აღსარების პროცესი ძველებურად რთული აღარ არის. პირადად მე რაც შემეხება, თავიდანვე გულწრფელი ვიყავი ამ მხრივ, ჩემი მოძღვრისათვის ტყუილი არასოდეს მიკადრებია.

– რას იტყვით სასწაულთა შესახებ და თქვენ თუ შეგმოხვევიათ ასეთი რამ.

– მე არც შენ გაკადრებ ტყუილს, ჩემო მარი, და პირდაპირ გეტყვი, რომ სასწაული არას-დროს ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ ეს კარგია. სასწაული არ უნდა იყოს საჭირო იმისათვის, რომ ირწმუნო. ხომ გახსოვს ურწმუნო თომა. მან მხოლოდ მაშინ ირწმუნა, როცა იხილა მკვდრეთით აღმსდგარი იესო, როცა იხილა სასწაული, და ამაზე მიანიშნა, სწორედ, ქრისტელმერთმა. დიახ, ვისაც არ უხილავს და მაინც სწამს, გაცილებით უფრო მყარია მისი რწმენა. უფრო გულწრფელი და მართალი.





– მამაო, ურეკი ზღვისპირა ქალაქია, ამიტომაც უცხოელნი შედარებით ბევრნი არიან აქ, მე მაინტერესებს, ისინიც – უცხოელნიც თუ შემოღიან ამ ეკლესიაში?

– აქ ყველა მოდის: ქართველიც და არაქართველიც. საერთოდ, ღვთის ტაძარი ყველასია, – ლმერთს ხომ ყველა ადამიანი უყვარს, ღმერთი ხომ თავად არის სიყვარული. აქ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში, შემოდიან სხვა სარწმუნოებათა მიმდევარნიც კი, და მათვი-საც, რა თქმა უნდა, ღიაა ჩვენი ეკლესის კარი. უფალი ყველას უწილადებს თავის სინათლეს, თუმცა, აი, ის უკვე სხვა საქმეა, თუ ვინ როგორ აღიქვამს ვინ რა დონით იღებს ამ შუქს. ადამია-ნი თავისუფალი არსება. იგი თვითონ ირჩევს საკუთარ გზას. თუმც ერთი კი არის: საფრთხი-ლოა ეს არჩევანი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ არჩევანს.

– მამაო, ძალიან მაინტერესებს, ხომ არ წაგიკითხავთ უურნალების – “ლამპრის” ან “ათინათის” ნომრები: მე დაახლოებული ვარ ამ უურნალებთან და ასე ხაზგასმით ამიტომ გეკითხებით.

– საერთოდ, სასულიერო პირნი ინტერესიანი ხალხია, ამიტომაც ჩვენ ყველაზე კარგად ვი-ცით კითხვის ფასი, ხოლო როცა კითხვა გიყვარს, თავისთავად ბევრ რამეს ეცნობი. მე ვიცი უურნალების – “ლამპრისა” და “ათინათის” შესახებ და წაკითხულიც მაქვს მათი ცალკეული ნომრები. მომწონს ეს უურნალები. მომწონს თუნდაც ის, რომ მათში კარგადაა შერწყმული საე-რო სასულიეროსთან. დიას სასულიერო ხედვას ისინი არასოდეს ივიწყებენ. მთლიანობაში, კარ-გად გააზრებული უურნალებია.

– დიდი მადლობა, მამაო, რომ დრო გამონახეთ ჩემთან სასაუბროდ. ძალიან მომენტია თქვენი პასუხები ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე.

– პირიქით: მადლობა შენ, რომ ასეთი კარგი კითხვები დასვი. პასუხთა სილამაზეს, ხში-რად, სწორედ კითხვათა სილამაზე ინვევს...



მარიამ ხვედელიძე

ინტერვიუ

საპატირიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან გარენ გიორგი ფარიაშვილთან

– ბატონო გიორგი, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიან საერთაშორისო აკადემიასთან არსებული უურნალ “ათინათის” პატარა ათინათე-ლი, თბილისის № საჯარო სკოლის მეექვსე კლასელი მარიამ ხვედელიძე. ბევრი მსმენია თქვენს პიროვნებაზე. მინდა რამდენიმე კითხვა დაგისვათ, რომ უკეთ გავაცნო ჩვენი უურნალის მკით-ხველს თქვენი პიროვნება. დავიწყოთ თავიდან:

– როგორი მოსწავლე იყავით ხელის ასაკში?



ბით დამამახსოვრდა ლია ლეკიშვილი-დაწყებითი კლასების პედაგოგი.ჩვენს სკოლას კი დარეჯან ჯანკოტიძე ხელმძღვანელობდა. დიახ, საკმაოდ კარგად ვსწავლობდი და არც ყოფა-ქცევით ვიყავი ცუდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ბავშვობაში სიცელქე ყველას ახასიათებს და სხვებთან ერთად „შატალოზეც“ წავსულვარ, ზოგი სხვა რამეც დამიშავებია, თუმცა ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოებს არასოდეს გასცდენია. საერთოდ, სკოლის პერიოდს, ჩემს მასწავლებლებს, ყოველთვის თბილად ვიგონებ. თან ისიც უნდა დავამატო, რომ ჩემს ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბება-ში, მასწავლებლებთან ერთად, რაღაც თქმა უნდა, ჩემმა მშობლებმაც შეიტანეს უდიდესი წვლილი.

- რამდენი დედმამიშვილი იყავით ოჯახში?

– მე, სამწუხაროდ, და-ძმა არა მყოლია. დედისერთა ვარ. შეიძლება ამიტომაც, მშობლების-გან ყოველთვის განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვგრძნობდი.

- ხელოვნება თუ ვიყვართ?

– ძალიან. პოეზია, პროზა, მუსიკა ჩემი დიდი გატაცებებია. ადრე თვით ოთარ რამიშვილთანაც კი დავდიოდი ქალაქური სიმღერების შესასწავლად (აკუსტიკური გიტარის თანხლებით), დასრულებული მაქვს ფორტეპიანოს შვიდწლებიც, სხვადასხვა ანსამბლთანაც კი მიმუშავია და ის, რომ სასულიერო სემინარის ასოცირებული პროფესორი ვარ, ბევრი სხვადასხვა საქმით დაკავებული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნებასთან კავშირი გავწყვიტე. საერთო-დაც ასეა: ხელოვნება ქართველი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არის.

- კონკრეტულად პოეზიაზე რას იტყვით და ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

– პოეზია უდიდესი ხელოვნებაა. ბევრი პოეტის შემოქმედებას ვარ ნაზიარები, და ეს არაა გასაკვირი: საქართველოს ხომ ხშირად ეძახიან პოეტთა ქვეყანას. თანამედროვე ხელოვანთაგან ტარიელ ხარხელაურსა და მანანა ჩიტიშვილს გამოვარჩევდი.

- რას მეტყვით მეუფე თადეოზის შესახებ, რომელიც ჩვენი უურნალის დიდი მევობარი იყო?

– მეუფეს კარგად ვიცნობდი, მასთან და მისი ოჯახის წევრებთან მიწევდა ურთიერთობა, და მათდამი უდიდესი პატივისცემით ვიყავი განწყობილი. თვითონ მეუფე თადეოზი იყო ისეთი პიროვნება, რომ საოცრად ხიბლავდა ადამიანებს. ასევე ვიყავი მეც მოხიბლული მისი პიროვნული სიდიადით. იგი რჩეული სასულიერო მოღვაწე იყო და ვერ გეტყვი თვლიდა თუ არა თავს პროფესიონალ პოეტად თუ მოყვარული კალმოსნის თვალით უყურებდა მხოლოდ სტრიქონებს, მაგრამ ათეულობით წლების განმავლობაში რომ ეჭიდებოდა რითმას და ბევრი შესანიშნავი ლექსიც შეთავაზა მკითხველს, ეს ყველასთვის ცხობილია. ამ ღვთივეურთხეულ კაცს სხვადასხვა სულიერ- შემოქმედებითი სივრცეების გაერთიანება შეეძლო საკუთარ თავში და ყველგან წარმატებებს აღწევდა. ხოლო როცა წავიდა, უზარმაზარი სევდა-სიყვარული დატოვა აქ, ჩვენს შორის.

- თუ იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?

– მიუხედავად იმისა, რომ მოხუცებულობამდე ჯერ ბევრი, ბევრი მიკლია, უკვე მაინც უამრავი რამ ვნახე ამ ცხოვრებაში და მქონდა ბედნიერება იმისა, რომ უამრავი დიდებული ადამიანი გამეცნო. ბატონ ჯუმბერსაც ვიცნობდი და ბევრი რამ ვიცი მისი გასაოცარი ცხოვრების შესა-

– ჩემო მარი, მე ვსწავლობდი თელავის პირველ საშუალო სკოლაში. ესაა პირველი სკოლა საქართველოში, რომელიც თვით ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის დაარსებულია, ამიტომ ვამაყობ, ამ სკოლის აღზრდილი რომ ვარ. კარგი მოწაფე ვიყავი, მაგრამ მეცადინეობა, საერთოდ სწავლის პროცესი, ჩემთვის თუმცა უბედურებასთან არა, მაგრამ არც ბედნიერებასთან ასოცირდებოდა. სიმართლე ისაა, რომ ბავშვები სწავლაზე დიდად არ გიჟდებიან, ისინი გვიან იგებენ სწავლა-ცოდნის ფასს. მყავდა კარგი მასწავლებლები, რომელთაგან განსაკუთრებული კლასების პედაგოგი. ჩვენს სკოლას კი დარეჯან ჯანკოტიძე ხელმძღვანელობდა. დიახ, საკმაოდ კარგად ვსწავლობდი და არც ყოფა-ქცევით ვიყავი ცუდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ბავშვობაში სიცელქე ყველას ახასიათებს და სხვებთან ერთად „შატალოზეც“ წავსულვარ, ზოგი სხვა რამეც დამიშავებია, თუმცა ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოებს არასოდეს გასცდენია. საერთოდ, სკოლის პერიოდს, ჩემს მასწავლებლებს, ყოველთვის თბილად ვიგონებ. თან ისიც უნდა დავამატო, რომ ჩემს ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბება-ში, მასწავლებლებთან ერთად, რაღაც თქმა უნდა, ჩემმა მშობლებმაც შეიტანეს უდიდესი წვლილი.

ხებ. აი აქ დიდი ტაძრის ამ დარბაზში, სადაც უამრავი სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩაგვიტარებია, ჯუმბერ ლეჟავა არაერთხელ მოსულა და თვითონაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ამ ღონისძიებებში.

- რას იტყვით გულნაზ ხარაიშვილის შესახებ?

- ქალბატონ გულნაზს ჩემს უფროს მეგობრად ვთვლი. ძალიან თბილი ადამიანია, ამიტომაც ადვილია მასთან ურთიერთობა. იგი უკონფლიქტო, მაგრამ შეუპოვარი პიროვნებაა და უკვე იმდენი ღონისძიება აქვს დაგეგმილ-შესრულებული, რომ საყოველთაო გაოცებას იწვევს. ახლა ამას მისი წიგნებიც დაამატეთ, მისი აკადემიაც, უურნალიც...

- სწორედ უურნალ „ათინათის“ შესახებ მინდოდა მეკითხა: როვორ შეაფასებდით, ხომ არა გაქვთ შენიშვნები?

- მარი შენი ყოველი კითხვა კარგად არის მოფიქრებული. საინტერესო კითხვებია. საინტერესოა თქვენი უურნალიც. იგი ამ პრინციპით არის აგებული: ბეჭდავს სხვადასხვაგვარ მასალას, სხვადასხვა დონისას, ხარისხისას, მკითხველს ყველაფერს ანვდის, მთელს სამყაროს, ხოლო არჩევანის საშუალებას მასვე (მკითხველსავე) უტოვებს, მის გემოვნებას ენდობა, თან კი ცდილობს განუვითაროს გემოვნება... მომწონს ასეთი მიდგომა საკითხისადმი.

- გიყვართ ბავშვები?

- ძალიან. მე მიმაჩნია, რომ ცუდი ბავშვი არ არსებობს, თავისებურად ყველა მათგანი კარგია. სემინარია-უნივერსიტეტების გარდა მე სკოლებთანაც მაქვს შეხება, ასე რომ ბავშვებთან ურთიერთობის გვარიანი ისტორია მაქვს. ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ ადამიანის მთელს ცხოვრებაში ყველაზე უფრო ნათელი და საინტერესო პერიოდი მისი ბავშვობაა სწორედ.

- ბატონო გიორგი, რას ურჩევთ მომავალ თაობას?


- უფლის სიყვარულს... მაგრამ უზენაესის სიყვარული ჩვენს ირგვლივმყოფთა სიყვარულით იწყება. თუ შენი მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები არ გიყვარს, უფალს ვერ შეიყვარებ. ასეა სამშობლოც, – თუ ის სახლ-კარი არ გიყვარს, სადაც ცხოვრობ, ის ქუჩა, უბანი, ის ქალაქი ან სოფელი, ვერც სამშობლოს აღიქვამ და შეიყვარებ მთლიანობაში... მცირედით იწყება დიდის, დიადის შეყვარება, ხოლო არაფერია ღმერთსა და სამშობლოზე უფრო დიადი...



ბექა ჩაბალოშვილი

თბილისის 55-ე საჯარო
სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ მამა ანდრეასთან



ჩემი წინაპრები არიან იქიდან. მე დავიბადე და გავიზარდე რუსთავში. თამამად შემიძლია ვთქვა

– მოგესალმებით მამა ანდრეა! მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთნ არსებული უურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. თბილისის 55-სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ბექა ჩაბალოშვილი.

– ძალიან სასიამოვნოა. მე ვარ უბრალოდ ცოდვილი მღვდელი ანდრეა.

– მამაო რომელი რაიონიდან ბრძანდებით?

– ნარმოშობით ზემო იმერეთიდან ვარ, საჩხერის რაიონიდან. უფრო სწორედ

,რომ ჩემი სოფელი ჭალა რომელიც მდინარე ყვირილას ხეობაშია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. ასე რომ მაქვს ბედნიერება ყოველ ზაფხულს ამ სოფელში ჩავიდე და დავისვენ.

- რომელ სკოლაში სწავლობდით?

- რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. მანამდე სხვა სკოლაშიც ვსწავლობდი
- **რამდენი შვილი გვათ? გვიამბეთ მათ შესახებ.**

– მყავს ოთხი შვილი. ორი გოგონა და ორი ვაჟი. გოგონები უფროსები არიან. სტუდენტები არიან და სამხატვრო აკადემიაში სწავლობენ. ბიჭები სკოლის მოსწავლეები არიან. სხვათაშორის სტიქაროსნები არიან და ამ ტაძარში მსახურობენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ეკლესიურად იცხოვრონ და ვზრდი ღვთისა და ერის სადიდებლად. ვცდილობ ბავშვები იმ ტრადიციებით და რწმენით აღვზარდო რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისთვის, იმიტომ რომ ჩვენ პატარა ერი ვართ. ამდენი საუკუნეების მანძილზე ამდენ განსაცდელს გავუძელით. მე ვცდილობ, რომ არ მოვწყდე ჩვენი წინაპრების ფესვებს და ტრადიციებს. მინდა პატარა ხიდის როლი შევასრულო ჩემს წინაპრებსა და შთამომავლობას შორის. რამდენად გამომდის ეს უკვე სხვა საკითხია.

- მამაო, რომელ ეკლესიაში მსახურობდით?

– ქალაქ რუსთავის აღდგენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. უამრავი ხალხი ცხოვრობდა. სიცოცხლე დუღდა, მაგრამ ქალაქში არ იყო ტაძარი, რომ მორწმუნე ადამიანი შესულიყო და სანთელი დაენთო. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენდა გასაკვირად კომუნისტების პერიოდში, მოგვიანებით აშენდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი. მე მშენებლობის დროს მივედი და ფაქტიურად ტაძარს აღარ მოვშორებივარ. შემდგომში როცა მაკურთხეს და გავხდი სასულიერო პირი თვრამეტი წელი ამ ტაძარში ვიმსახურე. ამის შემდეგ სიონის ტაძარი აშენდა. სხვათაშორის ეს განსაკუთრებული ტაძარია. რამოდენიმე საუკუნე იქნება რაც ამ წესით ტაძარი აღარ აშენებულა საქართველოში. აქ არ არის გამოყენებული არც ერთი გრამი ცემენტი და რკინა, მხოლოდ ქართული წასით ქართული დუღაბი და ქვა. როდესაც ეს ტაძარი იკურთხა მე აქ გადმომიყვანეს. ჩვენი წინამდლვარია მამა დიმიტრია.

- მამაო როგორი უნდა იყოს თითოეული დამიანი?

– რა გითხრათ შვილო, არ არსებობს რაღაც სტანდარტი თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. ვერც ჩარჩოებში ჩასვამ მას. ყოველი ადამიანი არის განუმეორებელი მოვლენა, ეს ნიშნავს რომ მისი მსგავსი არ დაბადებულა და არც დაიბადება. ღმერთმა მისცა მას გონება, გაარჩიოს თეთრი და შავი, კეთილი და ბოროტი. თვითონ აკეთებს არჩევანს, რა გზას დაადგეს. თუკი შენ გინდა მიხვდე ზეციურ მამასთან მაშინ უფლის გზაზე უნდა იარო. ღმერთმა მოგვცა რჯული სადაც თავის მცნებებს გვასწავლის. რჯული რომც არ წავიკითხოთ ყველას გვაქვს შინაგანი სინდისი. ამ სინდისის ხმას მოვუსმინოთ, გვიყვარდეს მოყვასი და ვაკეთოთ სიკეთე!!

- მამაო, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ახსარებამდე? რა უნდა გააკეთოს მან?

– უფალმა ჩვენი ცოდვები თავის თავზე აიღო და ჩვენ ნათელით შევიმოსეთ, მოვინათლეთ. მაგრამ როგორც შენი სუფთა ტანსაცმელი შეიძლება შეცდეს და რაღაც ღვთისსანინააღმდეგო გააკეთოს ან გაიფიქროს. დროის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ამიტომ მან უნდა მოინანიოს. ის მოდის სასულიერო პირთან და ღვთის წინაშე ამბობს აღსარებას. მღვდელი მას შენდობის ლოცვას უკითხავს. აღსარებით და სინაულით მას ყველა ცოდვა და ისევ განიწმინდება და მიეტევება. მომზადებისთვის კი დღეს უამრევი ლიტერატურა არ-



სებობს. მან აღსარებისწინ წასაკითხაი ლოცვები უნდა წაიკითხოს აუცილებლად . აღსარებას და ზეარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სულიერ ცხოვრებაში.

- იცნობდით თუ არა პატონ ჯუმბერ ლეგავას?

– პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი დიდი გულშემატყივარი ვიყავი. მახსოვს როგორ აიღოსტარტი მან რუსთავიდან. საოცარი პიროვნება იყო არათუ იმ თვალსაზრისით რომ, შეინაგანი ძალით გაუმჯობავდა არათუ დაავადებას, არამედ გინესის რეკორდიც კი მოხსნა. მთელი მსოფლიო ველოსიპედიტ შემოიარა ჩემთვის ერთერთი უდიდესი მოგზაური და უდიდესი პიროვნება იყო.

- იცნობთ თუ არა უურნალ ათინათს და მის რედაქტორს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს?

– ვიცნობ. მაქვს ამის ბედნიერება. რედაქტორი ქალბატონი გულნაზი ჩემი მეუღლის ნათესავია.

- მამაო გიყვართ პოეზია?

– ძალიან მიყვარს. როგორ შეიძლება ქართველმა ადამიანმა წაიკითხო ვაჟა, აკაკი, ილია გალაქტიონი და არ შეგიყვარდეს. ბოლოს და ბოლოს ვეფხისტყაოსანის ქვეყანა ვართ. ქართული ენა უნიკალური ენაა. ჩვენი მეფე იტყოდა ხოლმე არ არსებობს ისეთი რამე რაც არ ჩამოასხას ქართულმა ენამო. თუმცა დროის უკმარისობის გამო ვერ ვიტყვი რომ ხშირად ვკითხულობ.

- რას უსურვებთ მომავალ თაობას?

– მომავალ თაობას მე ძალიან დიდი პატივს ვცემ, ძალიან დიდი იმედი მაქვს მათი, ვუსურვებ, რომ ყოველთვის ღმერთის გზაზე ევლოთ და მის მიმართ რწმენა და სიყვარული არ დაკარგონ.



თორნიკე ჩაბალოშვილი

თბილისის 55-ე საჯარო
სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ როინ მატრეველთან



მოგესალმებით ბატონო როინ! მე გახდავართ ჯუმბერ ლეგავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული უურნალ ათინათის ნორჩი ათინათელი. თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ჩაბალოშვილი თორნიკე.

- კედევ ერთხელ მოგესალმებით ბატონო როინ! გთხოვთ გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ? როგორი ბავშვი იყავით?

– ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. ჩემი ბავშვობა

დაემთხვა დიდ სამამულო ომს და ომის შემდგომ პერიოდს. ამ დროს ქვეყანაში იყო რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. ეს ყველას ცხოვრებაზე კვალს ამჩნევდა და თავისთავად ჩვენს ბავშვობაზეც აისახებოდა. ყველა ოჯახს პრობლემები ჰქონდა. დღეს ბავშვობა ლალი და თავისუფალია. მახსოვს მამინ სკოლაში რომ შევედი ომის შემდეგ პერიოდში, ჩემს კლასში 30 მოსწავლიდან 29-ს მამა არ ჰყავდა.’ ყველას ძალიან უჭირდა. მე მქონდა ესეთი შემთხვევა: ბიძა-ჩემმა ირანიდან ჩამომიტანა ახალი, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელები. ამ ფეხსაცმლის ჩაცმა მომერიდა სკოლაში, იმიტომ რომ ძალიან გამორჩეული ვიქებოდი კლასელებისგან. არადა სახლში მაძალებდნენ ჩაცმას ავდექი ერთ საღამოს ჩავიცვი ეს ფეხსაცმელი და ფეხბურთის სათამაშოდ წავედი და იქამდე ვითამაშე სანამ ეს ფეხსაცმელები გარკვეულ კონდიციამდე არ მივიყვანე და

ნახმარს არ დავამსგავსე. ამის მერე ჩემს თავს უფლება მივეცი ფეხსაცმელები სკოლაში ჩამეცვა.

– რამდენი დედმამიშვილი იყავით გვიამპეთ მათ შესახებ?

– სამწუხაროდ მე დედისერთა ვარ. მაგრამ მყავდა ბევრი ბიძაშვილი რომელთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა.

– ბატონი როინ ამბობენ, რომ სკოლის ნლები ადამიანის ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია. თქვენ რომელ სკოლაში სწავლობდით და რას გაიხსენებდით სიამოვნებით ამ ნლებიდან?

– სკოლაში ძალიან მაღალი დონის პედაგოგები გვყავდა და მოთხოვნილებაც მაღალი იყო. ჩვენს სკოლაში ძალიან ბევრი წარჩინებული მოსწავლე იყო. სკოლებში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მხატვრული თვითშემოქმედება, ვდგავდით პიესებს და კონცერტებს. ნებისმიერ წრეზე შეგეძლო სიარული. მე ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში, შვიდწლედი მაქს დამთავრებული. მიუხედავათ იმისა, რომ სკოლაში ფრიადოსნი ვიყავი, მაინცდამანც წარმატებული არ ვიყავი მუსიკაში. მაგრამ აქ იყო მშობლების მოთხოვნაც და ალბათ ჩემი პასუხისმგებლობაც მათ მიმართ. მუსიკალურმა განათლებამ ბევრ რამეში შემიწყო ხელი. პირველი ჩემი სტატია მოსწავლეობის დროს გამოვაქვეყნე მოცარტის შესახებ. 1956 წლის 27 იანვარს. მოცარტი მაშინ 200 წლის გახდა. ჩემი სტატია საქალაქო გაზეთში დაიბეჭდა.

– სკოლაში სწავლის პერიოდიდან რომელი საგნები უფრო გაინტერესებდათ?

– სკოლაში ძირითადათ კარგი პედაგოგები მყავდა. არის ხოლმე რომ ზოგი ძალიან გიყვარს, ზოგი წაკლებად, ზოგი ძალიან ავია, ზოგი კი საგანს ძალიან გაყვარებს, ის რომ მე ისტორიკოსობა გადავწყვიტე განაპირობა იმანაც, რომ არაჩვეულებრივი ისტორიის მასწავლებელი მყავდა. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. იმ დროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ოქროს მედალოსანს გასაუბრებით ღებულობდნენ. მე ყველგან გზა მქონდა ხსნილი. ავირჩიე უნვერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. სიმართლე გითხრათ არავინ ჩემს გარშემო და არც ჩემს ოჯახში ამას დიდი აღტაცებით არ შეხვდნენ, თუმცა ბიძაჩემი ირწმუნებოდა რომ ყველა დარგში შეიძლება კაცმა იმუშაოს და წარმატებას მიაღწიოს. ასე გავხდი პროფესიით ისტორიკოსი

– ბატონი როინ რამდენი წიგნის ავტორი ხართ? გვიამპეთ თქვენს ნამუშევრებზე და ზოგადად თქვენს შემოქმედებაზე.

– მე ვარ ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მედიევისტი, კავკასიოლოგი. მეცნიერების დოქტორი (1974წ) პროფესორი (1977წ), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (1993წ). ვარ პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი.

1985-88 წწ. ვიყავი ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1988 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1991-2005 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. (1997-2005წ) 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. 2013 წლის ოქტომბრიდან დღემდე მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზინდეტი ვარ.



ასევე გახლავართ კალიფორნიის (აშშ, სან-ფრანცისკო) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი (1996წ). უმაღლესი განათლების საერთაშორისო აკადემიის (რუსეთი, მოსკოვი) წევრი (1997), ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის (ავსტრია, ზალცბურგი) ნამდვილი წევრი (2009წ) 1996-2004 წწ. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის რექტორთა საბჭოს თავჯდომარე. საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი (1996წ), სახალხო დიპლომატის საგანგებო და სრულუფლებისა ნიშანი (1998წ), სახალხო დიპლომატის საგანგებო და სრულუფლებისა ნიშანი (2008წ) ახალგაზრდა დიპლომატთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრი. პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2013წ). ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (2004წ). 1991 წლიდან უურნალ „მაცნეს“ რედაქტორი (ისტორიის სერია), წელიწერი „ქართული დიპლომატია“ (გამოცემულია 16 ტომი) და „კავკაზიკის“ (გამოცემულია 7 ტომი) მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადამიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე (1995წ). უურნალ „გეორგოკა“-ს (გერმანია-საქართველო) სარედაქციო კოლეგიის წევრი (1997წ). საერთაშორისო უურნალის „კავკასია და გლობალიზაცია“ (ქ.სტოქჰოლმი, ინგლისურ ენაზე) სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009წ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1996წ). მონიჭებული მაქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში (1988წ). ი.ჯავახიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო (1999წ) და სააკადემიო (2010წ) პრემიები. ა.წერეთლის სახელობის პრემია (2000წ). შოთა მესხიას სახელობის პრემია (2012წ). 2002 წლიდან – საქართველო-ისრაელის მეგობრობის საერთაშორისო პერზიდენტი ვარ. 2003 წელს დავჯილდოვდი საერთაშორისო აკადემია (სარეიტინგო) „ფორტუნა“-ს წმინდა გიორგის მედლით, ღირსების ორდენით (1999წ), ფრიტოფ ნანსენის მედლით (2000წ). ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მედლით (2003წ), ფილიპე გოგიჩაიშვილის მედლით (2003წ). 2001 წელს – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოთი - ოქროს ჯვრით, 2011 წელს – საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ვარ თბილისის (1999წ), ქუთაისის (1996), ბორჯომისა (2000წ) და იყალთო (1991წ) საპატიო მოქალაქე, თბილისის საპატიო მასწავლებელი (1999წ), ა.წერეთლის სახელობის ქუთაისის, მ.ნალბანდიანის სახელობის გიუმრისა (2000წ) და დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.


ვიკევლევ საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის, საზოგადოებრივი აზრისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხებს. გამოქვეყნებული მაქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა. ვარ საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელო-ბისა ავტორი.

- იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეუავას? როგორ აფასებთ მის სპორტულ მიღწევებს?

– ძალიან კარგად ვიცნობდი. მე პირადი ურთიერთობა მქონდა მასთან. ის საოცარი ადამიანი იყო. ფიზიკურ ძალასთან ერთად გონიერივადაც უნდა იყო ამ უზარმაზარი საქმისთვის მოწოდებული, რომ მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარო. მე მაშინ უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი და ამ მოგზაურობის დროს პრესცენტრი უნივერსიტეტში გვქონდა, ანუ ინფორმაციებს მისგან და მის შესახებ ჩვენ ვიგებდით. ის უნიკალური ადამიანი იყო.

- იცნობთ თუ არა უურნალ „ათინას“?

– უურნალ „ათინას“ ვიცნობ, ვკითხულობ და ძალიან მომწონის. აქ ისეთ ავტორებს ვკითხულობ რომლებსაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ. ამდენად ეს უურნალი ძალიან საინტერესოდ მიმართია და დადებითად ვარ განწყობილი. ის უნდა გაძლიერდეს და კიდევ უფრო გაიზარდოს.



- ბატონი როინ რას უსურვებდით მომავალ თაობას?

– მომოვალ თაობას ვუსურვებდი ძალიან დიდ სიბრძნეს. ეს სიბრძნე იცით რაში მდგომარეობს? თავისუფალი დრო რომ გამოიყენოთ რაციონალურად. მე შემიძლია გითხრათ რომ კარგად ისწავლოთ, მაგრამ ამას ყველა გეტყვით. ეს არის თქვენი ახალგაზრდების პირდაპირი მოვალეობა: ცოდნას დაეუფლოთ მაღალ დონეზე. მაგრამ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება ეს არის აუცილებელი თქვენთვის, სკოლის და უმაღლეს ასაკში. თუ წარავით გაქვს რამე მაშინ უნდა წაიკითხო, თუ გასაკეთებელი გაქვს რამე მაშინ უნდა გააკეთო იმიტომ რომ ასეთი დრო აღარ დაბრუნდება. სიმართლე რომ გითხრათ, მე არ მომნონს ზედმეტად კომპიუტერული ახალგაზრდობა. მე კომპიუტერის წინაარმდეგი არ ვარ მაგრამ ძირითადი და მნიშვნელოვანი მაინც წიგნია. წიგნიერი ახალგაზრდობა მომავლიანი ახალგაზრდობაა. ამიტომ გირჩევთ მთელი თქვენი თავისუფალი დრო წიგნს დაუთმოთ. ზოგადად მომავალ თაობას წარმატებებს გისურვებთ, გისურვებთ რომ თქვენი დასახული მიზნისთვის ღირსეულად მიეღლნიოდ.

- ჩვენი საუბრის ბოლოს რამე კურიოზის ხომ არ გაიხსენებდით თქვენი ცხოვრებიდან?

– სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ მე -7 კლასში ვიყავი. ჭიდაობაში შეჯიბრი იყო. ჩემს სკოლას ერთი წონითი კატეგორია დააკლდა. შემოვიდა ფიზიულტურის მასწავლებელი და მითხრა: გაიხადე შენ უნდა იჭიდაოო. ჩემი წონის კაცი ყოფილა. ვიჭიდავე და დავამარცხე მოწინააღმდეგე. ცხრა წონითი კატეგორია იყო. ჩემმა სკოლამ აქედან ორი მოიგო. მეორე დღეს კლასში დირექტორი შემოვიდა და იკითხა:

- ერთი გამაგებინეთ რამდენით წავაგეთ და ის გამარჯვებულები ვინ არიან?

ყველამ ჩემი გვარი უთხრა და მახსოვს მეორე ბავშვი წიქორიძე იყო გვარად. ორივე ფრიადოსნები ვიყავით. დირექტორისთვის იმდენად წარმოუდგენელი და კურიოზული იყო ჩვენი ჭიდაობაში გამარჯვება, რომ არ დაიჯერა და თქვა: არა კაცო ჭიდაობაზე გეკითხებით სწავლაზე კი არაო.

– ძალიან დიდი მადლობა, ბატონი როინ ამ საინტერესო საუბრისათვის.



თორნიკე გოგინაშვილი

თბილისის 54 საჯარო

სკოლის 7 კლასის მოსწავლე



ინტერვიუ ქალბათონ ცისანა გზედლიძესთან

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ცისანა მჭედლიძის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ პროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული უურნალ „ათინათის“ უურნალისტი თბილისის 54 საჯარო სკოლის 7 კლასის მოსწავლე თორნიკე გოგინაშვილის ინტერვიუ.

ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

ვარ მხატვართა ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ამიტომ უფრო დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია მხატვრების წინაშე და ვცდილობ მათ არ გავუმტყუნო იმედები. ასევე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის აკადემიკოსი და „ფაზისის“ სასულიერო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, ასევე ვთანამშრომლობ უურნალ „ათინათან“.

რას წარმოადგენს მხატვართა კავშირი და რამდენი წევრი გყავთ?

მხატვართა კავშირი არის მხატვრების გაერთიანება ერთი იდეისა და საერთო საქმის გარშემო. გაერთიანებულია 2000 - ზე მეტი წევრი. კავშირი ეწევა ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას, აწყობს გამოფენებს, ბეჭდავს ალბომებს, წიგნებს და კატალოგებს, აწყობს საღამოებს, აჯილდოვებს დამსახურებულ მხატვრებს.

რამდენი წიგნის რედაქტორი ბრძანდებით და რას შეეხება ეს წიგნები?



რედაქტორი ვარ 2 წიგნის ქართველი მხატვრები და რამდენიმე კატალოგის. ყველა გამოცემა ემსახურება ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას.

გიყვართ ბავშვები? რას აკეთებთ მათთვის?

რათქმაუნდა ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალია. მხატვართა კავშირში გავხსენი ბავშვთა და მოზარდთა სექცია, სადაც გაერთიანებულია ასობით ხატვის მოყვარული ბავშვი, მათთვის ხშირად ვაწყობთ გამოფენებს კავშირის საგამოფენო დარაზში. შევქმენი პრეცენდენტი ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში წელიწადში ერთხელ ყოველ გაზაფხულზე, ქალაქის რომელიმე სკვერში ეწყობა აქცია „მე მიყვარს ხატვა“, ბავშვები ფენენ თავიანთ ნამუშევრებს და კავშირის მიერ მიტანილი მასალებით ხატავენ, ასევე მხატვრები უტარებენ მათ მასტერკლასს.

ვიცი ამის შესახებ, შარშან მეც მქონდა გამოფენილი ჩემი გამოძერნილი ნამუშევრები. ძალიან მომენტონა აქცია და კიდევ დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.



როგორი უნდა იყოს ბავშვი?

ბავშვი უნდა იყოს ცელქი, ხალისიანი და შრომისმოყვარე.

რას უსურვებდით ბავშვებს?

დემოკრატიულ, თავისუფალ, გაერთიანებულ და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას.



ქეთევან ხველელიძე



საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის
| საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე,
იმერეთის მგოსნის საიუბილეო კონკურსის / „აკაკის კალამი“/
| პრიზის მფლობელი
10. 11. 2015 წელი, საჩხერე


დაცალცალკაზება დასუსტებაა

„გონიერი გული“ უნდა აკაკის ბოლომდე შეცნობას. ჯერ გულით უნდა იგრძნო აკაკი და ეს გული გონებით უნდა იყოს დამშვენებული. თვითონ ამბობდა: „ჩემებურადა ვწერ, „აკაკურად“ მხოლოდ გულს აყოლით და „ვინც გრძნობით დამიგდებს ყურს, ვფიცავ არც ის მოტყუვდება. „მისი ცხოვრება ტანჯვა-ვაებით იყო გაუღენთილი. მართლაც, რომ ლამპარივით იწვოდა აკაკის გონება და

ცდილობდა, რაღაც ახალი შემოეტანა ქართველების ცხოვრებაში. „თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება, მაგრამ სიკვდილში ვპოვებ სიცოცხლეს და ეს იქნება თვით უკვდავება. „აკაკის შემოქმედება საოცარი განძია ქართველი ხალხისთვის. ილიას უთქვამს: „სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ“. დიდი ილია გრძნობდა მის გამორჩეულობას და განსაკუთრებულობას. სწორედ ამიტომ ისინი ტოლები არიან. ორივე მწერლისთვის მთავარი ხალხის სიყვარული და სამშობლოა. ერთად იბრძოდნენ თავისუფლებისთვის. თავისუფლებისკენ ლტოლვამ შეინირა დიდი მგოსანი ილია ჭავჭავაძე, ჩამოაშორა აკაკის და თავის მამულს. ამის შემდეგ, აკაკისაც ეწვია უბედური სიკვდილი, როდესაც სული განუტევა მისი ოთახის კედელზე დაკიდებულმა საათმა მუშაობა შეწყვიტა. საქართველომ კიდევ ერთი დიდი ადამიანი დაკარგა. მისი სსენება რომ არ იყოს ღვთისმმობლის წილხვედრ ქვეყანაზე, ერი დასუსტდებოდა. ჩიტები ისე ვეღარ იჭიკიკებდნენ, როგორც უწინ. ბუნებას ელფერი აღარ ექნებოდა აკაკის გარეშე.

აკაკის სიდიადე მის გამორჩეულობაშია. როგორც ერთ-ერთი პოეტი წერს:

„შენ ხომ შეგვასვი ლექსის ფიალა, შიგ ხომ შარბათი, თაფლიც ერია, ხალხს შენი ლექსი ესმის კი არა, ჰერნია თვითონ დაუწერია“ გამორჩეულად მადლიანი კალამი ჰქოდა აკაკის და ამ კალამს მუდამ სასიკეთოდ იყენებდა, ამიტომაც უყვარდა ხალხს აკაკი განსაკუთრებულად. მურმან ლებანიძე წერს: „ასეთი ვინ ხარ და შენ პასუხობ ღიმილმჩენი : – „მამა ვარ თქვენი. „მართლაც, სულიერი მამა იყო აკაკი, არის და იქნება ქართველი ხალხისთვის. მისი საქართველოსგან განცალკევება დასუსტებაზე უარესი იქნება. თავის ოჯახში მუდამ აწუხებდა უსაქართველობა, ამიტომ წერდა ერთი ქართველი პოეტი მის შესახებ: „ასეთი ბედი ღმერთმა გაშოროს, აბა, გასძელი თუ ხარ ყოჩაღი, როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი. „აკაკი ცოლის შერთვას არ აპირებდა, მითუმეტეს უცხოელისას, მაგრამ შემთხვევას ყველაფერი შესძლებია! მისი ცოლი ბაზილევსკაიას ქალი იყო - ნატალია. აკაკის სიყვარულმა გულში სითბო ჩამიღვარა და პო-



ეტური ნიჭის გამოვლინებიაში ხელი შემიწყო. ჩემი დაწერილი ლექსით გამოვეხმაურები მას „მგოსანო შენი გმირები ცოტნე, ნათელა, სულიკო შენი ნათება გვალალებს დაე, სულიკო-სულ იყოს!“ დაე, საქართველო სულ არსებობდეს ჩვენს გულებში, ძლიერდებოდეს და ბრწყინდებოდეს. „ახლა კი მივხვდი, სადაც ხარ, სამგან გაქვს ბინა სულიკო. „დიახ, სამგან ხარ, მამულო ჩვენო, წარსულში, აწყმოსა და მომავალში. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის შვილები, ო დელა, დელა, დელაო“ თითოეული კუთხე ღირებული და მნიშვნელოვანია ჩვენი საქართველოსათვის, ერთ-ერთი მაინც, რომ დაიკარგოს, დიდი ტრაგედია იქნება. როგორც ჩონგური დაკარგავს ფუნქციას სიმების გარეშე, ისე საქართველოსგან რომელიმე კუთხის დაცალცალკევება დასუსტებას გამოიწვევს.

სიყვარული და აკაკი, პატრიოტიზმი და აკაკი, სამშობლო და აკაკი, ისევე განუყრელნი არიან, როგორც ენა, მამული და სარწმუნოება. როგორც მამული ვერ იხარებს ენის გარეშე, ისე ვერ იქნება საქართველო აკაკის გარეშე თავისუფალი საუკუნე გავიდა აკაკის გარდაცვალებიდან. საუკუნები განვლენ, მაგრამ ქართველი ხალხის თვალი არ დაიღლება დიდი მგოსნის უკვდავი ნაწერების კითხვით. მსოფლიო ლიტერატურა კი მარად იამაყებს იმ ბრწყინვალე მარგალიტით, სხვიტორის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტმა“ რომ შესძინა მას.





მარიამ ტყელაშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

ხადაზღულთა საერთაშორისო დღე

1 ოქტომბრს აღნიშნავენ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს. მინდა თითოეულ მათგანს ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა!..

მე დიდ პატივს ვცემ მათ, ჩემი სურვილია მეტი სითბო და სიყვარული ვაჩუქო თითოეულს და ვუთხრა, რომ მათი ასაკი მათივე სიმდიდრეა, გამოცდილებაა, რომელიც ახალგაზრდებს სჭირდებათ!..



ანანო კალანდია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

პედაგოგებს!..

ყველა პედაგოგს ვულოცავ 5 ოქტომბერს, პედაგოგთა საერთაშორისო დღეს, თავდაპირველად ჩემს პირველ მასწავლებელს ნატოს, რომელმაც 4 წელი თავდაუზოგავად იშრომა ჩვენთვის.

თამილა და ლამარა მასწავლებლის თაოსნობით, მოლოდინი მაქვს ლამაზ დღეთა სიმრავლისა...

დედას ვულოცავ... ისიც პედაგოგია...

დედა, შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მასწავლებელი ხარ!..





ანა კვეკვესვირი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

ესე ღვთის მცხოვრებზე

ღვთის მცნებები გვასწავლის მორჩილებას, უფროსების პატივისცემას თავმდაბლობასა და სწავლას. უნდა ვიყოთ დედ-მამის დამჯერები, მივყვეთ ათ მცნებას, დავიცვათ ყველა წესი და ვიყოთ კარგი ქართველი მამულიშვილები.



გიორგი სოლოლაშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

ივარ ქრისტე

იესო ქრისტემ ბევრი სასწაული ჩაიდინა და უამრავი ადამიანი გადაარჩინა. ჩვენ ვიცით, რომ ის აწამეს და ჯვარს აცვეს. მას შეეძლო ამ განსაცდელისათვის თავის არიდება, მაგრამ ეს არ გააკეთა.

- აპატიეთ მას, რადგან არ იციან რას სჩადიან!

იესო ქრისტე ერთ პატარა გამოქვაბულში დაკრძალეს. მის მოწაფეებს მამა ღმერთი გამოეცხადა და უთხრა:

- ქრისტე! აღსდგა! წადით ნახეთ!

მოწაფეები თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ გამოქვაბულში, მაგრამ იქ ის აღარ დახვდათ...

სწორედ ამ დღეს აღნიშნავენ აღდგომას.

- ქრისტე აღსდგა!
- ჭეშმარიტად აღსდგა!



დავით აბლოთია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

გუნდა...

ბუნება სასიცოცხლო ენერგიას გვაწვდის. ერთ-ერთ ნაწარმოებში მონადირის გასროლილი ტყვია, მელას ნაცვლად სეცდომით ხეს მოხვდა. შემებრალა ხე ძალიან შევწუხდი და ვიფიქრე, როგორ უსამართლოდ ვექცევი ბუნებას!..

უნდა გავუფრთხილდეთ მას, ეს ჩვენი ვალია



რომან გვენცაძე

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

საგვარდლო ესე

ჩვენი სამშობლო გამოირჩევა საუცხოო ბუნებით. აქ უამრავი ტურისტი ჩამოდის იმისათვის, რომ მშვენიერი საქართველო იხილოს იმოგზაუროს და დაისვენოს.

ერთხელ ჩვენ გვესტუმრა კორეელი, რომელსაც დანიელი ერქვა. აინტერესებდა როგორი იყო ჩვენი ქვეყანა. მასთან ერთად ვიყავით სხვადასხვა ადგილას ექსკურსიებზე. სტუმარს აქაურობა ძალიან მოეწონა.

მიხარია, რომ მოსწონთ ჩემი სამშობლო. საქართველო გამორჩეულია, მე ის ძალიან მიყვარს...



დავით ზაქარეიშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

ცაღირობა...

მამაჩემთან ერთად წავედი ტყეში, დიდი ხანი ველოდებოდით ნადირს, დაახლოებით ორი საათი. ბოლოს დაბოლოს გამოჩენდა ისიც. თავდაპირველად მგელი გვეგონა, სინამდვილეში კი პატარა დამფრთხალი შვლის ნუკრი აღმოჩნდა. შეგვეცოდა, არ ვესროლეთ ის თავისუფლად, საფრთხის გარეშე მიიმალა.

დავბრუნდ სახლში ბედნიერი და კმაყოფილი

მოუწოდებდი ყველას: „გიყვარდეთ და დაიცავით ცხოველები“.



ელენე ლეთოდიანი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე

მცირლები

მწერლები წერენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, ზღაპრებს.

ისინი გვიამბობენ სამშობლოსა და ბუნების სიყვარულზე...

დავდივარ ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეზე,

ვეცნობი რევაზ ინანიშვილის ნოველებს...

თითოეულმა ნოველამ, ბევრი სითბო და სიყვარული შემძინა. ისინი სიკეთესა და სიყვარულს ღალადებენ.

განსაკუთრებით მომენტი „მირანდუხტი“, რომელიც იყო პრანჭია გონებამახვილი და თამამი. ჩემი სურვილია ყველა ჩემი ტოლი გოგო იყოს მირანდუხტივით. მწერლები რომ არა, თაობები ვერ განვითარდებოდნენ.



თამარ ქრისტესიშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

გულგრილობა

გულგრეილობა ცუდი თვისებაა. ასეთი განწყობის ადამიანი ძალიან ცივია, მას არ აწუხებს გარშემო მყოფთა ბედი. მესმის, რომ ასეთი ადამინები არ იმსახურებენ ყურადღებას, მაგრამ ჩვენი ვალია მივუტევოთ მათ და კარგი მაგალითი მივცეთ.

ვცდილობ ყოველთვის ვასიამოვო ირგვლივმყოფთ: მთავარია, მათ მიმართ გამოვიჩინოთ მეტი სითბო, ყურადღება და პატივისცემა!...

მართალია ზოგჯერ ისინი გულს გვტკენენ თავიანთი ნათქვამით, მაგრამ ჩვენ ეს უგულობა ორმაგი სიკეთით უნდა გადავუხადოთ. ისინი, ალბათ მიხვდებიან, რომ არასწორია ასეთი საქციელი და შეეცდებიან გამოსწორებას. მე ასე მჯერა...

ლიზი ლომსაძე

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VI² კლასის მოსწავლე

შურისძიება

ეკესიურად შურისძიება დაუშვებელია. ჩვენ, ქრისტიანებმა ბოროტებას სიკეთით უნდა ვუპასუხოთ. უფალი დაგვითასებს და გაგვაძლიერებს...

ყველა ადამიანმა უნდა დაივიწყოს სიტყვა შურისძიება.

არიან ადამიანები, რომელთათვისაც ეს სიტყვა უცხოა, მისი გაგონებაც არ უნდათ, მათ ამიტომაც ღმერთი წყალობთ.

ჩემი აზრით, შურისძიება დამლუპველია...



ირაკლი დარსალია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

სიკვდილი და სიცოცხლე

ერთ ხალხურ ზღაპარში („მიწა თავისას მოითხოვს“)

ხალხური ზღაპარი „მიწა ტავისას მოითხოვს“ გვიყვება ყმაწვილზე რომელიც უკვდავებას დაეძებს, თუმცა, სიცოცხლე მუდმივი არ არის... დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც სიკვდილი არ ბატონობს. ამ ნაწმოების მიხედვით, ყმაწვილი იპოვის მარადიულობას და იქ დასახლდება, ერთ უმშვენიერეს ქალიშვილთან, რომელიც „ქმნილების პირველივე დღი-დან“ ხანგრძლივად ცხოვრობს სამყაროში. ამ ნაწარმოებში უკვდავება და წარმავლობა თითქოს ერთმანეთს ხიდით უკავსირდება. ერთ მხარეს წლაპარია... გადის 1000 წელი და ვაჟი ისევ ახალგაზრდაა, მეორეში – წუთისოფელში დაბრინებისას ის კვდება.

სიცოცხლე მშვენიერია, მაგრამ მის სილამაზეს ვერ შევიგრძნობდით, სიკვდილი რომ არ არსებდეს, აკი ამბობდა ვაჟა-ფშაველა: „ლმერთმა გიშვილოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“.

მოლოდინი

(რევაზ ინანიშვილი „ნეკერჩხლის წითელი ფოთლის“ მიხედვით)

ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი ელის ... არავინ იცის ვის, ან რას ელოდება იგი. უკვირს წყალს და ეცოდება, ეზიზლბეა მსუქან მაჩვს „ეს ტუტუციონ“, ბრაზობს მუხა, იმიტომ რომ ფოთოლი ცახცახებს და მტკიცეა. მოდის წვიმა, უბერავს ქარი, ეხებიან ტოტები ტოტებს, ის კი მაინც მოლოდინითაა სავსე...

რევაზ ინანიშვილმა ამ მოთხოვნის მიხედვით (ნეკერჩხლის ერთი დიდი წითელი ფოთოლი) „გაასულიერა. სადღაც წაკითხულმა ძალიან განმაცვიფრა, თურმე ის შეყვარებული „ქალბატონია“ რომელიც თავის მიჯნურს უცდის, რათა მას შეავედროს სული და... ისიც გამოჩნდა, ბებერ მუხასთან მოვიდა ხარირემი, შეხედა გაკვირვებული შეაჩერდა ფოთოლს. ისიც მოწყდა და წამოვიდა ფარფატით. ამის შემდეგ „გარინდებულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარირემის უდროული ხმა“.

აი თურმე ვის ელოდა ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი. მას თურმე სურდა უკანასკნელად ენახა თავისი სატრფო და მერე მომკვდარიყო.

ნეტავი ასე ძლიერ უყვარდა?..

ვაჭარა ანგელოზები



ლიკა და გიორგი ციცქიშვილები



ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ პირველი კლასის
მოსწავლე ლიკა ციცქიშვილი

უღრმესი პატივისცემით – თქვენი ერთგული
მკითხველი რუსუდან ფაილოძე

10. 10. 15.

ამ რამდენიმე დღის წინ, სრულიად შემთხვევით, ხელთ ჩამივარდა უღრნალი „ათინათის“ 2015 წლის №3(17), რომლის არსებობა, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცოდი. ვიფიქრე, ერთი ჩვეულებრივი რიგითი უღრნალი იქნება სხვადასხვა ავტორთა ლექსებით, თარგმნებით, პროზაული ნაწერებით გაჯერებული-თქო, შევცდი. უღრნალი „ათინათი: აღმოჩნდა არაჩვეულებრივი რამ. მომხიბლა როგორც მისმა გარეგანმა სილამაზემ, ასევე შინაარსობლივმა მრავალფეროვნებამ. მისმა თავიდან-ბოლომდე ჩაკითხვამ გამახსენა ჩემი საყვარელი უღრნალები – „ცისკარი“ და „მნათობი“, მომეჩვენა გაცოცხლებულები იდო ჩემს მაგიდაზე უღრნალ „ათინათის სახით, რომლის კითხვით ვტკბებოდი.

პირველი წერილი : შეხვედრა მამაო აკაკისთან“ (ავტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი) მან გაჭირვებით შეძლო მამაო აკაკისთან შეხვედრა, რათა უღრნალი „ათინათი“ დაელოცა, მამო აკაკიმ ჩვეული სითბოთი და ყურადღებით მიიღო ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, დალცა როგორც უღრნალი ისე უღრნალის თანამშრომლები და წარმატებები უსურვა შემოქმედებით მუშაობაში.

უღრნალი „ათინათი“, როგორც ზემოთ ავლიშნე, მრავალფეროვანი შინაარსისაა და სწორედ ამ კუთხით არის იგი საინტერესო. აქ წინა პლანზე ფიგურირებს პოზია, წარდგენილი ცნობილ თუ უცნობთა სახელებით, ამას მოყვება თარგმანები, რომლებიც ერთობ საინტერესოა. საკმაო ადგილი უკავია საბავშვო განყოფილებას. არაჩვეულებრივია პროზაული ნაწარმოებები ბატონების რევაზ მიშველაძის, რეზო ადამიასი, სერგო ლომიძის, სოსო ლონდონიშვილის, ქალბატონების- გულნაზ ხარაიშვილის, თინათინ კაპანაძის, თამარ ჯაჭვაძის; არანაკლებ საინტერესოა სხვადასხვა თემაზე გაშუქებული წერილები ლაურა სორდიასი, მანანა კვატაიასი და ლია წურწუმიასი. უღრნალში დიდი ადგილი ეთმობა ისტორიის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის და ხელოვნების საკითხებს.

უღრნალის მესვეურთ მათთან სამუშაოდ ჩაურთავთ „ნორჩი ათინათელები“, რომელთაც მეტად საინტერესო ინტერვიუები აქვთ აღებული ცნობილ პირებთან. და ბოლოს – გახსენება და მილოცვა, რომლის წაკითხვით ბევრ რაიმეს შეიტყობს უღრნალის ერთგული მკითხველი თუ დაინტერესებული პირი.

როდესაც გავეცანი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას, ისე ამაღლვა და ამაფორიაქა ამ ტრაგიკული ქალბატონის ბედმა, რომ უღრნალის წაკითხვისთანავე ექსტრენად მივუძლვენი ლექსი.

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილი!

ეს რა დიდ დარდს და მძიმე ფიქრით
მოუცვიხართ გულნაზ!
თქვენთვის უცხო ქალბატონიც
ამაღლვა დიდად!
სიმწარე და სიტკბოება
ნეტა გაყო ვინმემ?
ადამ-ევას შეცოდება
თავს გვატყდება მძიმედ.
ხართ დიდ საქმეს შეჭიდული
გულმხურვალედ იღწვით.

და სამშობლოს სიყვარულში
სანთელივით იწვით,
პოზიას ხართ ტრფიალი,
ღმერთიც თანა გიდგათ!
მორნმუნე და გულალალი
ანთებულხარ წმინდად.
დღეს ცხოვრებას დამძიმებულს
ილამაზებთ ლექსით
და სიცოცხლე კვლავ გრძელდება...
ფიქრით, ნაირფერით.

P. S. საბოლოოდ, მაღლობას ვუძღვნი უღრნალ „ათინათის“ მთავარ რედაქტორ, ჯუმბერ ლეჟავას, სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და მთელ სარედაქციო შემადგენლობას, რომელთაც უზარმაზარი მუშაობა გასწიეს უღრნალის სრულყოფისა და მკითხველის გულამდე მიტანისთვის .

უფრო და უფრო დიდი წარმატებები „ათინათელებო“



**ციალა ხაჯალია-ანდრიაძე
(მხატვარი ციალა კანდელაკი)**



ქუთათების ნიჟარაძე-მაჭავარიანს

ქალბატონი უუშუნა ნიჟარაძე 80 წლის გახდა. რომელმაც
მთელი მისი შეგნებული

სიცოცხლის მანძილზე უამრავი სიკეთე აკეთა.

ასეა. კარგის კეთება ახალგაზრდობიდანვე მიზნად უნდა დაი-
სახო და ამისთვის კიდეც უნდა გაისარჯო. თუნდაც უაღრესად ბევ-
რის დათმობისა და მოთმინების ფასად.

ჩემო კარგო, მადლი და სიკეთე არ იზომება, მაგრამ ამის გამო
დროთა

ვითარებაში ჩნდება ადამიანისადმი ნდობა და შესაბამისი სიყ-
ვარული. თავად კი ფიქრობ,

რომ ამ ქვეყნად ეს ერთ-ერთი ძალიან დიდი სიმდიდრე და ბედნიერებაა.

კეთილო ადამიანო, შენ ყოველთვის იყავი შენი მშობლების ღირსეული შვილი, კარგი დედ-
მამისშვილი, ნათესავი, ღირსეული მეუღლე, ხარ თავდადებული დედა, ბებია, დიდედა კარგი მე-
გობარი. საინტერესო თაობების აღმზრდელი და მასწავლებელი. მოაზროვნე პიროვნება, რამ-
დენიმე წიგნის ავტორი. ხშირად ანებივრებ მკითხველს უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული
წერილებით.

გაქვს შენეული ხელწერა. არ გიყვარს ადამიანის გან-
ქიქება. მით უფრო ზურგსუკან. ყოველთვის ცდილობ კე-
თილი დამოკიდებულება იყოს მეგობრებს შორის. თანაც
თუ ვინმეს გარკვეული სასიკეთო მონაცემები გააჩნია, არ
მოისვენებ, ვიდრე მის შესაძლებლობებს დღის სინათლეზე
არ გამოატანინებ. ამის უნარი ყველას ნამდვილად არა
აქვს.

ასე რომ „მოძალადე“ხარ, ამისთვის გმადლობ ჩემო
კეთილო...

ძვირფასო მკითხველო!

მისი დაბადებიდან 80 წლის თავთან მწერალთა კავ-
შირში პოეტმა მიმოზა ცანავამ იუბილარს ექსპრონტი უძ-
ღვნა, რომელიც ასე იწყება:

ლამაზი გზით იარეთ

დღე მაისობს, ამად დარობს,

დაგელოცოს ეგ კალამი

ღვანლმოსილო ამაგდარო!

თვად კი, ჩემს გულისთქმას მეც ვუერთებ პოეტ ქალბატონს. თანაც უუშუნა ჩემო ჯან-
მრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებ ძვირფასო. შენგან ჯერ კიდევ ბევრ სიკეთეს
ველით.

სიყვარულით.

2015 წლის 31 ივლისი



სერგი ლომაძე

პატარა ინფორმაცია პოემების შესახებ

აკადემიის ანთოლოგიის მესამე ტომში გამოქვეყნდა პოემა – „თეთრი“, რომელიც მე და ჩემმა ძმამ დავწერეთ ერთობლივად. ეს პოემა მინდა დაერთოს „ზღვარის“ წიგნის – „ლურჯი ლირიკის“ ახალ გამოცემებს, მითუმეტეს თუ ამ წინადაღებას ჯგუფის სხვა ძირითადი წევრებიც მოიწონებენ. პოემა უნდა მოსდევდეს ჩემს ქმნილებას – „მეფეების ბალი“ (რომელიც იმავე წიგნში შედის) დიახ, უნდა იყოს „მეფეების ბალის“ შემდეგ, და თავიდანვე განმარტება უნდა დაერთოს, რომ პოემა, სახელწოდებით – „თეთრი“, მოგვიანებით დაემატა წიგნს. პოემაში წერია ასეთი ფრაზა: „მონასტრის კართან ყორანია, – „აღარასოდეს“... აწერია რომლის ნისკარტსაც... მე კი არა მსურს, რომ „აღარასოდეს“ შევიდეს ეს უცნაური პოემა ზღვარის წიგნებში.

აქვე მინდა ვთქვა სხვა ქმნილების შესახებ, რომელიც მე და ჩემმა შვილმა დავწერეთ, – პოემა „უდროობა“ ალბათ მალე შევა რომელსამე ახალ წიგნში.

რაც შეეხება „ზღვარის“ უკვე გამოცემულ წიგნებს, შევეცდები, რომ მათში კარდინალური ცვლილებები აღარ შევიტანო.

დამატება- განვიცობა:

მე ძალიან ბევრი რამ მითქვამს და დამიწერია, მაგრამ მათში, რა თქმა უნდა, ყველაფერი სრულიადაც არაა ჭეშმარიტება. მაგალითად: არაერთხელ განმიხილავს ჩემივე შემოქმედება, მათ შორის, პოემებიც, თუმცალა ამ განხილვებში, ზოგი რამ, ხელახლა გადასახედია. საერთოდ, ადამიანი ბევრ რამეს წერს, უფრო ბევრს ფიქრობს და ამბობს, თუმცა ჭეშმარიტებამდე მაინც ძნელად მიდის..

ამასაც ვიტყვი: „ზამთრის ეპოქა“ – ესაა სინამდვილეში, პოემა „თეთრის“ პირველი სათაური, ხოლო რაც შეეხება თვითონ „თეთრს“, იგი თითქოს მეორე, თუმცა დიდად მნიშვნელოვანი სათაურია..

ჩემი მეგობარი კახა ბაციკაძე, რომელსაც რეკორდულად ბევრი – შვიდასზე მეტი პოეტური პაექრობა აქვს მოგებული სხვადასხვა პიროვნებებთან (მათ შორის ოთხასზე მეტი დროზე ადრე განასრულა, ხოლო ასზე მეტი – პირველსავე პოეტურ „რაუნდში“ განასრულა თავისი აშკარა უპირატესობის გამო), ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრს საუბრობს ჩემსავე ეპიკაზე, და ამ ფაქტმა კიდევ უფრო გამიმყარა აზრი, რომ „ზღვარის“ თუნდაც ადრეული შემოქმედებისათვის ერთი პოემა მაინც დამემატებინა, და ასეც მოვიქეცი.



მილოცვა



დაგვიანებული მილოცვა

ქალბატონ
გულნაზ ხარაიშვილს 65 ნლის
საიუბილეოდ

მე „ათინათი“ გაგიცანი გულ-ნაზო, ქალო!
გასაოცარი შემომქმედი ყოფილხარ თურმე!
ეს რამდენ საზოგადოებრივ საქმეს უძლვები!
რა შესაშური ენერგიით მოქმედებ თურმე!
ამდენ თბილ სიტყვას და მოსალოცს რომ გავეცანი,
და რამდენ მუზას შეჭიდულმა მოგიძლვნა ლექსი!
ამდენ მეგობრის სიყვარულში მე შევიცანი,
ქალი ლამაზი, გულკეთილი და მცოდნე საქმის!
განვლილი წლები...წლები შენი ახალგაზრდობის!
მოულოდნელად გაფრენილი, მაგრამ მდიდრულად!
შრომა-გარჯაში დამამვრალო! ჩავლილი დღენის
სულით მაღალო! დღესაც ვხედავ არა ხარ უქმად!
წმინდა „სამების“ ძალით მოვხვდი შენს სამყოფელში!
მაღალი ღმერთი ჩაერია ჩვენს გასაცნობად!
და ახლა ვხვდები რატომ იყო ის დღე სათუთი!
და რომ შემთხვევით, ცხოვრებაში არარა ახდება!
სულ სიხარულში მინდა განვლო ლამაზი დღენი!
წარსულზე ფიქრი, გთხოვ, უფალმა მოგათმენინოს.
ლექსთა ჭიდილში განვლე შენი წუთისოფელი!
„დავიღალეო“ ღმერთმა სიტყვა არ გათქმევინოს!

რუსუდან ფაილოძე
23. 10. 15



სიჩივრე

გულნაზ ხარაიშვილი

შენი ლოცვით.....	3
(მამა ანდრია აბაშიძეს).....	3
მაია ტყემალაძე	
ყვავილწეს- უბადლო მამულს	4
გულნაზ ხარაიშვილი	
უფლის საგალობელი	5
სერგი ლომაძე	
დიდი დღე	10
სულის გალობა	12
გულნაზ ხარაიშვილი	
კორქა	13

პრიზი

მეუფე თადეოზი

მოდიხარ წელო ახალო?	14
გაზაფხულის მოლოდინი.....	14
იმედი	15
ვენაცვალე მე ჩემს ქართულს.....	15
ყველა კეთილ ოჯახს.....	15
ალექსანდრე გოგინაშვილი	
დღე დაგვილოცე	16
ჩავჭიდოთ ხელი.....	16
დღე მშვიდობისა	16
გადამთიელი ყორნები	17
ზამთარი	17
კახა ბაციკაძე (ჯგუფ „ზღვარის“ წევრი)	
ზეცისკენ	18
ფსკერი	18
გენიალური შეშლილის ვნებანი	19
მარადიული მებრძოლი	19

თეიმურაზ ლანჩავა

მგონი	20
• • • ცოტაც და ერთად ვიქებით დედა	20
• სამშობლო	20
• მინდა ზამთარი დავხატო	21
დროს სცოდნია	21
იყო ნამით ალელვება	21

ზეგული ტყეშელეშავილი

მაინც ვიტყვი	
შემოდგომა ქართლში	22
გამიტყდა ძილი	22
ავიც და კარგიც	22
ახალი წლის ნატვრა	23
შევსვა მე წყალი	23
დაგიფარავს	23
ორი ლიახვი	23
დრო	23

უშანგი მოსიაშვილი

ერეკლე მეფე	24
დამილოცეთ საქართველო	24
რომ შევასრულო ჩანაფიქრები	24
შთაგონება	25

გოდება	25
კახა სამყურაშვილი	
სასწაული	26
ზიარების წინ	26
ირეალური რული	26
მე და ბერლინი.....	26
აკაკის იუბილე.....	27
დაგროვდა.....	27
* * * კვლავ მკლავს ტკივილი ტრფობისა კვალით	27
სამღერი ხმა – აღტაცება	27
წინაპრები.....	27
ნელი ქველაძე	
ქართული გენის უკვდავება	28
ზეციური სასწაული	28
სიკეთისა და სითბოს მთესველი.....	29
ანზორ ფანჩულიძე	
შვილისადმი	30
მეულლეს	30
* * * შენი ჭირიმე სამშობლოვ	30
ჩემი სამშობლო.....	31
გიორგი ლარიაშვილი	
აღდგომა.....	32
ცოდვის სათავე	32
ღმერთი, სამშობლო, ადამიანი	33
მინდა, რომ გიძმო სიკვდილო	33
ვიდრე	33
ნანა მესხი	
Прости	34
Сегодня	34
У храма	34
ОТЦУ ДАНИИЛУ	34
მაია ხოფერია.	
მოდელიანის მოტივებზე	35
ჩემი სიყვარული	35
წვიმს...	35
ჩამოსული ხარ სადღაც ზეციდან	35
ნონა ბერიძე	
აგვისტოს სისხლიანი დღეები	36
• ამ უბედობას რა ვუთხარი წუთისოფლისას!	36
• აქ არ არსებობს ტკივილი	36
• თითქოს დაიღალა დედამიწა ამდენი ბრუნით	37
დაჩაგრულია ყველა გენიოსი	37
თამარ გავაშელაშვილი	
ვერ მოვაღწიე	38
სიყვარულის დღეა	38
თიკანს მგელი შეუყვარდა	38
ვარსკვლავად ცაზე ავციმციმდები	39
რუსუდან ფაილოძე	
სამადლობელი უფლისადმი!!!	40
ვედრება ღვთისმშობლისადმი!	40
ნინო ჯანეანიძე	
* * * ბოლო დროს რა ხშირად მინდება ტირილი	41
* * * თუკი უფლის გწამს, შეძლებ შესწვდე ცას	41
ლამზირა შეყილაძე	
* * * ნეტავ, საით მიდიან ეს დაღლილი გზები	42

* * * როცა ცხოვრებას სიცრუით აგებ	42
მარადისობა გაიფრთამალებს	42
* * * კაცზე თქვეს: – დარდით მოკვდა-ო	42
* * * კლდიდან კლდეზე შეძახილი.....	42
* * * ჩემს დავიწყებას როცა იწყებდი	42
* * * ბედო, შენს ხელში ძლიერ ვწვალდები	42
ლექსით შეგხვდები	43
ჩემი ოცნების სიგიჟე შენ ხარ	43
* * * სიკვდილსაც ფულით მოისყიდიან	43
* * * ხშირად ვისიზმრებ შორეულ მნათობს	43
* * * უცხო ტკივილი მტანჯავდა გულთან	43
* * * ცხოვრება ისე უნდა გათვალო	43
თამარ ჯაჭვაძე	
* * * ჩემთვალით გიცქერს გვირილა	44
* * * როგორც მალამო იარებს	44
„თავთან დაკლული სიკვდილი ედო“	44
ციხის ნანგრევი	44
არ მომისაჯოთ ბედნიერება	45
ბერიკაცი	45
ლოდინი	45
ძახილი	45
თინათინ კაპანაძე	
*** ბუტაფორიაა ახლა ეს ქალაქი	46
***ვამბობ არ შეგვინდობს ღმერთი უარყოფას!!!	46
*** სულ დავიკარგეთ მეგობარო და რაღა გვიჭირს	47
იამზე ჭელიძე	
ვიგრძნოთ ხალისთან ისევ მივედით	48
დე: სიხარული ღებავდეს კარებს	48
ნაბიჯი შენი არ გახუნდება	48
ნეტავ სუყველა ჩვენ ვიყოთ კარგად	49
დროში მინდა შევცურდე, სულს ხალისი მივცე	49
გახსოვს ცისფერი დარბაზი, ვალსი	49
გვანცა ხარაიშვილი	
* * * თქვენ ამბობთ	50
ბეჟან ხარაიშვილი	
* * * ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა	52
რომელი ჯობინის	52
* * * მომიახლოვდი...	52
* * * ისევ გინატრე ყვავილობისას	53
სიზმარი	53
ეს ცხოვრება	53
სხვაობა	53
გულნაზ ხარაიშვილი	
წვიმა	54
ლექსებო	54
ქარო	54
აღარაფერს არ ვჩივი	54
გირჩევ	54
დავალ ფიქრთა ლამაზ ხეივანში	55
სიბრძნის მდინარე	55
სიმშვიდის ბალი	55
შენ	55
ნუთუ	55
ცაში	55
ჭინჭარი	55

ცის აივანი	55
გული	55
შეჩვეულ ვარდთან	56
ქარო	56
ფიქრის გუდა	56
თაკარებაა	56
უსასრულობაში	56
მაია მახარაშვილი	
სად წახველ, ლექსო?!	57
სერგი ლომაძე	
ჩვენი არაფრობა	58
აბულ-მესხი (დავით აბულაძე)	
წუთისოფლის სამდურავი	59
საქართველო	59
მიზანი	59
თარგმანები	
მაყვალა გონაშვილი	
მარ ბაჯიევი	
მანასი (პოემა)	60

სატავშვო განყოფილება

„მეზღაპრე“ ლალი კახიძე	
ჩამქრალი სანთელი	64
ჩიტის ბუდე	65
ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)	
ახალი წლის ზეიმი	66

პროგრ

რევაზ მიშველაძე	
გულის ფიცარზე დასაწერი	70
ბეჭან ხარაიშვილი	
ობოლი	74
ნუნუ გოგოლაძე	
ბედნიერება	77
ელენე ფუტკარაძე	
ამონაკვენესი.....მრავალწახნაგოვანფერი სალამანდრა..... მავანისა და მავანისათვის „თეთრი მელა“	80
მკენარა, ვარდისფერი... სიყვარულის ყვავილი...	80
უძვირფასესა	81
სოსო ლონდრიშვილი	
სწორედ ნასროლი ტყვია	82
სერგი ლომაძე	
დიდი ქომაგი დიდი მოურავისა	89
თანამედროვე ქართული ლიტერატურის ლეგენდების შეხვედრა მოსწავლეებთან	92
თამარ თელიაშვილი	
ეგვიპტური ნოველა	96
პალესტინური ლიტერატურა	96
ანა პაპუაშვილი	
მსოფლიოს პირველი ნოველა	97
გულნაზ ხარაიშვილი	
მიყვარს გარდაცვლილებთან საუბარი	98
მირანდა ხოდელიძე	
მირანდა... ჩემო დიდო იმედო	100

ფირილები

ლუარა სორდია

დანტე და გალაკტიონი – „მშვიდობის წიგნის“ ტრუბადურები	102
სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში	105
სერგი ლომაძე	
გზა მწვერვალისკენ	107
Lali Ratiiani	
Satzgefüge mit dem Attributsatz (Teilgliedsatz / Beifügesatz)	112
ქართული პოეზიის რაინდი	120
ვინ არის „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი?“	120

ისფორია

ნიკო ხერკელაძე

ზაზა ციციშვილი	125
ბაადურ ციციშვილი	126
ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები	126
ტაშისკარის დიდი ომი	127

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მედეა ჭელიძე	
საბიუჯეტო ფედერალური მის ფორმირების პრინციპები საქართველოში	130
ნოდარ ხარაიშვილი	
ბანკების ლიკვიდურობის და გადახდისუარიანობის ძირითადი მაჩვენებლები	134
სულხან მახათაძე	
ბანკის ვალდებულებების შეზღვუდვა	136
ჯუმბერ ხარაიშვილი	
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	138
ვანო შუშტაკაშვილი	
სახელმწიფო ბიუჯეტის პრექტი	140
ონერ ძაძუა	
უცხოური ინვესტიციების მოზიდვისხელშემწყობი გარემოს შექმნა და პერსპექტივები	
საქართველოში	142

სამსროთაღი

ლაშა ხარებავა

ქართული სახელმწიფოებრივობას და სამართალს უძველესი ისტორია აქვს	144
--	-----

სოფერის მეურნეობა

ჟუჟუნა დოლიძე, ონერ ძაძუა

დასავლეთ საქართველოს პონტური სართულის ფლორა და კლიმატი ფოთლის ანაბეჭდების მიხედვით	147
--	-----

ნორჩი ბორის თავისუფლები

ალექსანდრე ლეთოდიანი

ინტერვიუ 167-ე სკოლის დირექტორთან ქალბატონ ელენე ფუტკარაძესთან	156
ლიკა გოგინაშვილი	
ინტერვიუ ვალერი მოსიაშვილთან	157
მარიამ ხვედელიძე	
ინტერვიუ მოძღვართან – მამა მირიანთან	160
ინტერვიუ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან პატონ გიორგი ფარეშიშვილთან	162
ბექა ჩაბალოშვილი	
ინტერვიუ მამა ანდრეასთან	164
თორნიკე ჩაბალოშვილი	
ინტერვიუ როინ მეტრეველთან	166
თორნიკე გოგინაშვილი	

ინტერვიუ ქალბატონ ცისანა მჭედლიძესთან.....	169
ქეთევან ხვედელიძე	
დაცალცალკავება დასუსტებაა	171
მარიამ ტყელაშვილი	
ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე	173
ანანო კალანდია	
პედაგოგებს!.....	173
ანა კვეკვესკირი	
ესე ღვთის მცნებებზე.....	174
გიორგი სოლოლაშვილი	
იესო ქრისტე	174
დავით აბლოთია	
ბუნება.....	174
რომან გვენცაძე	
სამშობლო ესე	175
დავით ზაქარეიშვილი	
ნადირობა.....	175
ელენე ლეთოდიანი	
მწერლები	175
თამარ ქრისტესიშვილი	
გულგრილობა.....	176
ლიზი ლომსაძე	
შურისძიება	176
ირაკლი დარსალია	
სიკვდილი და სიცოცხლე	177
მოლიდინი.....	177
პატარა ანგელოზები.....	178
ციალა ხაჯალია-ანდრიაძე	
უუუუნა ნიუარაძე-მაჭავარიანს	180
სერგი ლომაძე	
პატარა ინფორმაცია პოემების შესახებ.....	181
მილო გადაბეკიანი	
დაგვიანებული მილოცვა	182



აუცორთა საყურადღებოლ

უურნალი „ათინათი” არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, უურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.”

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო”. გარეკანის მესამე გვერდზე მთავარანგელოზი, მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.



**უურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

ლევან ბაბუხადია – უურნალ „ხატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი

თამარ ჯაჭვაძე, აკადემიის წევრი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – უურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო განყოფილების რედაქტორები:
სიმონ ზაქარაია და ონერ ძაძუა – სსმ მეცნიერებათა დოქტორები

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური

იური მამელოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
უურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru



გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge